ეკთესისების მეორე წყება (II, III, IV, X, Xა, Xბ) სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს: იქ უკვე აღარა გვაქვს ძველი, იუსტინიანეს დროინდელი, განლაგება პროვინციებისა და ეპარქიებისა. მის შემდეგ, რაც არაბთა შემოსევის გამო რიგი ქალაქებისა დროებით ჩამოშორდა იმპერიას, საჭირო გახდა ხელახალი გადანაწილება ეპარქიებისა და მათში შემავალი ერთეულებისა². ეს ახალი გადაჯგუფება ეპარქიათა შემადგენლობისა მოხდა ლეონ კეისრის დროს (886 – 911 წ. წ.). ლეონის „ახალი განრიგების“ (Νέα τακτικά) მრავალი ხელნაწერი არსებობს და მისი ჩვეულებრივი სათაურია: «ლეონ ბრძენის მიერ შედგენილი დიატიპოსისი, რომელიც შეიცავს კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეკლესიათა კათედრების სიას»³ მაგრამ გამორკვეულია, რომ ამ სათაურით ცნობილი ნუსხები არ წარმოადგენენ ლეონის ეკთესისის ნამდვილ სახეს. ამ ნუსხების მეტნაწილს ისეთი დამატებითი ეპარქიები მოეპოვებათ, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში იყო შექმნილი, და ბევრ ამ ნუსხათაგანში კიდევაც მოხსენებული არიან ალექსი კომნენი (1081 – 1118 წ. წ.), ან ისააკ ანგელოსი (1185 – 1195 წ. წ.) ან უფრო გვიანდელი მმართველი ან პატრიარქი,

3. გელცერმა იმავე ხელნაწერში, სადაც გიორგი კვიპროსელის (ე. ი. ბასილი სოფენელის) თხზულება იყო მოთავსებული, იპოვა „ახალი“ ეკთესისი წარწერით; ταύτα μὲν τὰ παλαιὰ τακτικά, σκόπει δὲ καὶ τὰ νῆα («ეს ძველი განრიგებაა, იხილე ახალიც»). ეს ახალი ეკთესისი გელცერმა დაბეჭდა იმავე, გიორგი კვიპროსელის შრომის გამოცემაში (1890 წ.). ხოლო 1901 წელს მანვე გამო-

¹ ვ. ინგოროყვა წერს „დაბა ძიღანევისა ანუ გუდაყვისა (თანამედროვე გუდავა, ილორის ზონაში): „მნათობი“, 1950 წ. № 4, გვ. 124.

² ზოგიერთი ეპარქიის ჩამოშორების მიზეზი მაინც და მაინც მართლ არაბთა შემოსევასთან არ იყო დაკავშირებული.

³ იხ. ზემოთ გვ. 131.

აქვეყნა ¹ ეკთესისების ახალი მასალები, მათ შორის ლეონის ეკთესისის ახალი რედაქცია (იხ, ნოტიცია Xბ, ზემოთ გვ. 172 – 176).

ლეონ VI-მ, რომელიც ცნობილია თავისი ფართო საკანონმდებლო მოღვაწეობით, კონსტანტისეპოლელ პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსთან ერთად შეადგინა სამიტროპოლიტოებისა და საარქიეპისკოპოსოთა ეს ახალი სია. ამ სიის ხელნაწერთა შესწავლამ მკვლევარნი მიიყვანა შემდეგ დასკვნებამდე ².

1. ლეონ კეისრისა და ნიკოლოზ პატრიარქის მიერ შემუშავებული დებულება ეხებოდა მხოლოდ მეტროპოლიებისა და საარქიეპისკოპოსოების ჩამოთვლას. ამით აიხსნება ის, რომ მთელ რიგ ხელნაწერებში მხოლოდ მეტროპოლიები და საარქიეპისკოპოსოები ჩამოთვლილი, მეტროპოლიებისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა სია კი არ არის, ასეთია, მაგალითად, ჩვენს ცხრილში მოთავსებული „ნოტიცია II“. ჩვენთვის საინტერესო ეპარქიათაგან აქ, მის ჩეულებრივ 33 ადგილას მოხსენებულია: ἢ Τραπεζῖν „მეტროპოლია ტრაპეზუნტი“. რაც შეეხება ტრაპეზუნტის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს, მათი სია ამ ეკთესისში არაა მოთავსებული, ისევე როგორც არც ერთი სხვა მეტროპოლიის ეპისკოპოსთა სია არ არის იქ.

2. მიზეზი იმისა, თუ რატომ მართო მეტროპოლიათა და საარქიეპისკოპოსოთა სია იქმნა გამოქვეყნებული, შემდეგი უნდა იყოს: როგორც ცნობილია, დრო მეტად არეული იყო; დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა მღვდელმთავრებს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო (პატრიარქ ფოტიოსის დროიდან მოკიდებული). ამას ზედ ერთვოდა ლეონ მეფის ოჯახური მდგომარეობის გართულებაც; ლეონი მეოთხეჯერ აპირებდა დაქორწინებას (რაც აღმოსავლეთის ეკლესიის ადათებს ეწინააღმდეგებოდა) და მღვდელმთავარნი, იმისდა მიხედვით თუ ვის რა პოლიტიკური და პირადი ზრახვები ამოძრავებდა, ლეონ მეფეს ზოგნი ეწინააღმდეგებოდნენ, ზოგიერთნი კიდეც მხარს უჭერდნენ; კერძოდ, რომის პატრიარქი, გარკვეული ცეზაროპაპისტული მოსაზრებებით, ლეონს მხარს უჭერდა; მეორე მხრით, პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მოწინააღმდეგენიც, რომელნიც ნიკოლოზის გადაგდების შემთხვევაში მეფის კარზე თავისი პოლიტიკური ავლადიდების გამდიდრე-

¹ H. G e l z e r, Ungedruckte und ungenügend veröffentlichte texte der Notitiae episcopatum. M. 1901.

² იხ. H. G e l z e r, I. e. გვ. 549 – 550, 559 – 562.

ბას აპირებდნენ, რომის პატრიარქს ეთანხმებოდნენ. ასეთ პირობებში მეტად საშური იყო მღვდელმთავრებს შორის არსებულ დავას მათი რანგის შესახებ ბოლო მოღებოდა: მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა, სასწრაფოდ უნდა გამოქვეყნებულიყო სია მიტროპოლიტებისა გარკვეული რანგის ანუ თანრიგის მიხედვით, რადგან ამას გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო კრებებზე და ყრილობებზე, სადაც მღვდელმთავარნი უნდა მსხდარიყვნენ მათი რანგისდა მიხედვით. ეპისკოპოსთა სიის დამუშავება დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ აღარ დაელოდნენ ამის დამუშავებას და მარტო მიტროპოლიტთა თანრიგი დაამტკიცეს. ამ თანრიგის დამტკიცება თავისთავად წყვეტდა მეტროპოლიტებში შემავალ საეპისკოპოსოთა რანგის საკითხსაც: რა რანგისაც იყო მიტროპოლიტი, შესაფერი რანგისა იყვნენ მისდამი დაქვემდებარებული ეპისკოპოსებიც. ამ წესის მიხედვით, მაგალითად, ჰელენოპონტის ეპარქიის ეპისკოპოსები I არმენიის ეპარქიის ეპისკოპოსების უკან უნდა მსხდარიყვნენ კრებაზე, რადგან I არმენიის ეპარქიის (სებასტიის) მიტროპოლიტი სიაში მე-11 იყო, ხოლო ჰელენოპონტის ეპარქიის (ამასიის) მიტროპოლიტი – მე-12.

3. ამგვარად, ლეონ კეისრისა და ნიკოლოზ პატრიარქის მიერ შედგენილი და საეკლესიო კრებულის მიერ დამტკიცებული ეკთესისი შეიცავდა მხოლოდ მეტროპოლიათა და საეპისკოპოსოთა სიას. ამ სიის შევსება ეპისკოპოსთა სიით მერე მოხდა, უნდა ვიფიქროთ – მალე, მაგრამ მაინც ეს იყო დამტკიცებული ახალი საეკლესიო აქტით. ასეთი შევსებული ეკთესისი, რომელიც შეიცავს როგორც მიტროპოლიტთა, ისე მათდამი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა სიას, წარმოდგენილია მრავალი ხელნაწერით, რომლებიც ეკოთენის სხვადასხვა ეპოქას.

1901 წლამდე ამ შევსებული, სრული ეკთესისის უძველეს რედაქციად ითვლებოდა ის, რომელიც კონსტანტინეპოლიტის ეპოქის (912 – 959 წ. წ.) მდგომარეობას ასახავს და რომელიც გელცერმა გამოაქვეყნა გიორგი კეიპროსელის თხზულების გამოცემაში Νέα τακτικά-ს. სახელწოდებით¹. ხოლო 1901 წელს გელცერმავე გამოაქვეყნა ამ ეკთესისის სხვა რედაქცია, რომელიც მისი აზრით უფრო ძველი უნდა იყოს (იხ. ჩვენს ცხრილში „ნოტიცია Xბ“, ზემოთ გვ. 172 – 176).

¹ Georgii Cyprii Descriptio orbis romani, ed. H. Gelzer, L. 1890, 57 – 89.

4. ნოტიცია Xბ წარმოადგენს, ამრიგად, ლეონ VI-ისა და ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ შედგენილი ეკთესისის უძველეს რედაქციას. ლეონი მეფობდა 886 – 912 წლებში, ხოლო ნიკოლოზ მისტიკოსი ორჯერ იყო პატრიარქად: 901 – 907 წლებსა და 912 – 925 წლებში, მაშასადამე, ლეონი და ნიკოლოზი ერთდროულად მმართველობის სათავეში იყვნენ მხოლოდ 901 – 907 წლებში. ამავე დროს უნდა მივაკუთვნოთ Xბ ნოტიციის შედგენა. ამ ნოტიციაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საარქიეპისკოპოსოთა ნუსხაში 47. ადგილას სწერია:

ΜΖ¹. ἢ Σ ε β α σ τ ο ύ π ο λ ι ε

47. სებასტოპოლი ¹.

ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელ რედაქციაში სებასტოპოლის (ე. ი. აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო აკლია. კ. გელცერი ფიქრობს, რომ ეს გადამწერის შეცდომაა. როგორ შეიძლება აფხაზეთის სებასტოპოლი არ იყოს, როდესაც ის ჯერ კიდევ ეპიფანეს ეკთესისში (ე. ი. VII ნოტიციაში) უკვე მოხსენებულია არქიეპისკოპოსად. თანაც საბუთად ისიც მოჰყავს, რომ უსებასტოპოლოდ 50 არქიეპისკოპოსი რჩება, ხოლო ამ ერთსაც თუ მივათვლით, 51 იქნება; მაშინ მიტროპოლიტიც 51-ა, არქიეპისკოპოსიც 51 იქნება და ამ რიცხეს რაღაც მისტიკური საიდუმლოება უნდა ახლდესო ².

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ἢ Σ ε β α σ τ ο ύ π ο λ ι ε გადამწერს გამორჩა; განსხვავება ხომ სხვა ბევრ რამეშიც ემჩნევა ამ ნოტიციას კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელ ნოტიციასთან შედარებით და თვით გელცერი ამ განსხვავებათა მიზეზებს არკვევს თავისი გამოკვლევის 560 – 566 გვერდებზე, მაშასადამე, დაგვრჩენია ავხსნათ იმის მიზეზი, თე რატომ აკლია Xბ ნოტიციას „აფხაზეთის არქიეპისკოპოსი“, მიზეზი, ეფიქრობთ, უკვე ნაჩვენებია კ. ინგოროყვას მიერ, რომელიც Xბ ნოტიციას არც კი იცნობდა და უამისოდაც, სხვა მეცნიერული საბუთებით, დაადასტურა ის ფაქტი, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის მეფობის წინა ხანებში აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ჩამოშორდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოზოს ³.

¹ იხ. ზემოთ გვ. 175.

² H. G e l z e r, Ungedruckte und ungenügend veröff. Texte, გვ. 550.

³ კ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე; „მნათობი“ 1950, № 4, გვ. 124 – 125.

აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო არა ჩანს აგრეთვე იოანე ციმისხის დროს (969 – 976 წ.წ.) შედგენილ ეკთესისში, რომელიც გელცერს აქვს გამოქვეყნებული ¹.

ნიშანდობლივია, რომ იმ ეკთესისებში, სადაც აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო აღარ იხსენიება, არა ჩანს აგრეთვე ჯიქეთის მესამე, ნიკოფსიის, საარქიეპისკოპოსოც ²; ეკთესისში დარჩენილია მხოლოდ ჯიქეთის ორი არქიეპისკოპოსი: ქერსონისა და ბოსპორისა. ასეა, მაგალითად, Xა ნოტიციაში (იხ. ზემოთ გვ. 150); ასეა იოანე ციმისხის დროინდელ ნოტიციაშიც ³, თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ნიკოფსიის არქიეპისკოპოსი არა ჩანს უკვე Xბ ნოტიციაში (ე. ი. 901 – 907 წლების ეკთესისში, სადაც აფხაზეთის არქიეპისკოპოსი ჯერ კიდევ არის მოხსენებული).

5. Νέα τακτικά-ს, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელი რედაქცია (Xგ) თარიღდება 940 წლის წინა ხანებით, უფრო ზედმიწევნით, 927 – 940 ან 934 – 940 წლებით. ამის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს მელიტენის თაეგადასავალი ნოტიციათა მიხედვით, სახელდობრ:

ა) ძველს ეკთესისებში მელიტენეს მე-12 ადგილი ეჭირა:

ιγ', ἐπαρχία Ἀρμενίας α' — Μελιτηνῆς

13. ეპარქია I არმენიისა – მელიტენის მიტროპოლიტი.

(იხ., მაგალითად, ზემოთ გვ. გვ. 127, 140, 141, 143).

ბ) VIII საუკუნის პირველ წლებში მელიტენე არაბებმა დაიპყრეს და იგი არაბების ხელშია 927 წლამდე. ამიტომ ეკთესისიდან იგი ამოიშალა, მისი მე-13 ადგილი ეკთესისში დაიკავა სირაკუზის მეტროპოლიამ; Xბ ნოტიციაში (ესე იგი 901 – 907 წლებში შედგენილ ეკთესისში) ვკითხულობთ:

ιγ', τῆ Συρακοῦσιν τῆς Σικελίας

13. სირაკუზში – სიცილიის მიტროპოლიტი.

(იხ. ზემოთ, გვ. 173).

გ) ამის შემდეგ მელიტენის მეტროპოლიამ აღადგინა თავისი ადგილი, Νέα τακτικά -ში ვკითხულობთ: „**13. მელიტენის სამიტრო-**

¹ H. Gelzer, I, e. გვ. 568 – 572. იხ. ზემოთ, გვ. 179. ნოტიცია Xდ.

² ამ ეკთესისებში აღარ არის თვით ლაზიკის (ფასისის) მეტროპოლიაც, მაგრამ ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

³ H. Gelzer, I, e. გვ. 571.

პოლიტო“, ამ მეტროპოლიის აღდგენა სიაში გამოწვეული იყო იმით, რომ 927 წელს ბიზანტიელები შეიჭრნენ მელიტენეში, ხოლო 934 წელს მათ საბოლოოდ დაიპყრეს იგი და დაანგრიეს.

ნოტიცია Xა გამოსცა ბ ე ნ ე შ ე ვ ე ი ჩ მ ა cod. Vaticanus 640-ის მიხედვით ¹. გამომცემლის აზრით ხელნაწერი XIV საუკუნისაა და იგი იძლევა პართეის მიერ XV – XVI საუკ. ხელნაწერის მიხედვით გამოცემული X ნოტიციის უფრო ძველ ვარიანტს. ბენეშევიჩის აზრით Xა ნოტიცია „წერმოადგენს იმავე ნოტიციის საგანგებო რეცენზიას, რომელიც გამოყენებული იყო X ნოტიციის შესადგენად“ (recensionem singularem eiusdem notitiae praebeat, quae ad notitiam X componendam deservivit). მართლაც, საკმარისია თვალი გადავაავლოთ Xა ნოტიციას, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უფრო ადრინდელ სურათს წარმოადგენს, ვიდრე X ნოტიცია:

ა) Xა ნოტიციით პოლემონის პონტოს ეპარქიაში შედის ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო X ნოტიციით – ათი (მამასადამე, დამატებია ექვსი ახლად დაარსებული კათედრა).

ბ) Xა ნოტიციით ტრაბეხუნტის (ლაზიკის) ეპარქიაში შედის შვიდი საეპისკოპოსო კათედრა ², ხოლო X ნოტიციით – თხუთმეტი.

მეორე წყების ეკთესისების შესწავლა საბუთს გვაძლევს შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. მეათე საუკუნის პირველ წლებში (901 – 907 წლებში, როდესაც შედგენილია Xბ ნოტიცია) **ლაზეთის ეპარქია თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით** (როდოპოლისი, ცაიში, პეტრა, ზიგანევი) **უკვე აღარ ექვემდებარება კონსტანტინეპოლის პატრიარქს**. (იგი მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა). არც ერთ შემდგომ ნოტიციაში (Xგ, Xა, X, Xდ და სხვ.), რომელიც თარიღდება მეათე და მომდევნო საუკუნეებით, ძველი ეპარქია ლაზიკისა, რომლის მეტროპოლია ფასისში იყო, კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საყდართა შორის აღარ ჩანს.

¹ Studi Bizantini II (1997), 130 – 155.

² ასე იყო მეათე საუკუნის პირველი ნახევრის მთელ მანძილზე, შეად. ნოტიციები Xბ და Xგ.

2. იმავე დროიდან, 901 – 907 წლებიდან, პოლემონის პონტოს ეპარქიაში შემავალი ტრაპეზუნტის საეპისკოპოსო კათედრა აღარ ჩანს ამ ეპარქიის სიაში: წინა საუკუნეებში ამ ეპარქიაში შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო კათედრა:

1. ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი ს ა (*πρωτῆμοσιος*) „პირველმოსაყდრე“)
2. კერასუნტის
3. პოლემონიონისა
4. კომანისა.

ხოლო 901 – 907 წლებიდან შედის მხოლოდ ს ა მ ი:

1. კერასუნტისა
2. პოლემონიონისა
3. კომანისა.

ტრაპეზუნტის საეპისკოპოსო კათედრა აღარ ირიცხება პოლემონის პონტოს ეპარქიაში იმიტომ, რომ ტრაპეზუნტი იქცა მეტროპოლიად: **დაარსდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ეპარქია და მან დაიკავა ადგილი ძველი ლაზიკის ეპარქიისა;** მანვე მიიღო სახელწოდება ლაზიკის ეპარქიისა:

ὁ Τραπεζούντιος, πῶς ἂν Ἀλάκῃς

მიტროპოლიტი ტრაპეზუნტისა, მთელი ლაზიკისა,

ან τῆ Τραπεζούντι τῆς Ἀλάκῃς („ლაზიკის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს [ექვემდებარება]“). ლაზიკის ეს ახალი ეპარქია (ცენტრით ტრაპეზუნტში) მოთავსდა, თავისი რანგით, დაახლოვებით იქ, სადაც იყო ძველი ლაზიკის ეპარქია (ცენტრით ფასისში): ამ უკანასკნელს ეკავა 27. ან 28. ადგილი, ხოლო ახალმა, ტრაპეზუნტის ეპარქიამ, მიიღო 33. ადგილი. თავდაპირველად ამ ახალ ეპარქიაში შვიდი საეპისკოპოსო კათედრა შედიოდა (ხერიანის, ხამაძურის, ხალხევის, პაიპერის, კერამევის, ლერიონის, ბიზანის), ხოლო შემდეგ კათედრათა რიცხვი თხუთმეტამდე გაიზარდა ¹.

3. ის გარემოება, რომ ტრაპეზუნტის მეტროპოლიას ლაზეთის სახელი მიეკუთვნა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ტრაპეზუნტის ეპარქიამ მარტო იმიტომ კი არ დაიჭირა ძველი ლაზიკის ეპარქიის ადგილი, რომ ეს უკანასკნელი თავისუფალი აღმოჩნდა, არამედ იმიტომაც, რომ ტრაპეზუნტი თავისთავად

¹ ამ კათედრათა ცენტრების (ხერიანი, ხამაძური...) სახელწოდებათა გარკვევა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

ორგანულად იყო დაკავშირებული ლაზეთთან, ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ¹, და ამიტომ ეკლესიურადაც. ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომ ერთ დროს ტრაპეზუნტი და ფასისი ერთ მეტროპოლიას ეკუთვნოდნენ. ჰიეროკლეს „სინეკდემოსის“ გამომცემელი პ. ვესელინგი (1739 წ.) თავის კომენტარებში, ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გადმოგვცემს, რომ. «ნიკეის მეორე კრების (787 წ.) მახლობელ ხანებში ფასისი და ტრაპეზუნტი, როგორც ჩანს, ერთ მღვდელმთავარს ექვემდებარებოდნენ» (circa Nicaeni secundi concilii tempora phasis et Trapezus uni episcopo paruisse videntur; unde Christophorus τὸν Φάσιδος ἤτοι Τραπεζῖνοντος p. 345 subscribit. vide ant. Itin. P. 216) ². გამოთქმა uni episcopo ჩვენ გვესმის როგორც „ერთ მიტროპოლიტს“, ვინაიდან 1) ლათინურ თარგმანებში ბერძნულ μητροπολιτης-ს გადმოგვცემენ ხოლმე episcopus-ად და 2) გარდა ამისა, მართალია, episcopus ნიშნავს „ეპისკოპოსს“, მაგრამ სრულიად გამორიცხულია, რომ ერთმანეთს ტერიტორიულად ასე დაშორებული ფოთი და ტრაპეზუნტი ერთს საეპისკოპოსო კათედრაში ყოფილიყვნენ.

ჩვენ არა გვაქვს ამჟამად საშუალება შევამოწმოთ, თუ რა სწერია „ანტონინეს იტინერარიუმში“, რომლის 216. გვერდს ვესელინგი ამოწმებს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვესელინგის თქმა circa Nicaeni secundi concilii tempora ზედმიწევნითი არ უნდა იყოს: ნიკეის მეორე კრების ახლო ხანებში, ე. ი. VIII საუკუნეში, ტრაპეზუნტი და ფასისი ერთ მეტროპოლიაში არ იყვნენ: ტრაპეზუნტი პოლემონის პონტოს ეპარქიაში შედიოდა როგორც საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო ფასისი – ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტის რეზიდენცია იყო (იხ. VII ნოტიცია). მაშასადამე, თუ ვესელინგის ცნობა სინამდვილეს შეეფერება, ის VIII საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხანას უნდა ეხებოდეს ³.

¹ მერვე საუკუნეში არაბების მიერ მელიტენის აღების გამო თავისუფალი აღმოჩნდა. 13. ეპარქიის ადგილი და იმავე 13. ადგილას მელიტენის ეპარქიის მაგიერ ეკთესისში აღმოჩნდა სირაკუზის ეპარქია, მაგრამ ეს შემთხვევითი იყო (იხ. ზემოთ გვ. 197).

² იხ. Constantinus Porphyrogenetus, t. III. 506. Bonnae 1840.

³ ჩვენ ვიცნობთ ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს VI საუკუნეში. ეს არის ანთიმოლი, რომელიც 536 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქადაც კი იყო ათი თვის განმავლობაში, ხოლო როგორც მწვალებელი, გადაყენებულ იქნა საეკლესიო კრების დადგენილებით. მასალები ასთიმოსის შესახებ იხ. ქვემოთ, ნიკიფორე კონსტანტინეპოლელთან, გვ. 206.

ტრაპეზუნტის მხარისა და ლაზეთის ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობას არ არის მოკლებოლი პროკოპი კესარიელის ცნობა. „პოლემიკას“ მერვე წიგნში პროკოპი აგვიწერს პონტოს სანაპიროებს ბიზანტიონიდან კოლხეთამდე და ამბობს, რომ «ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე, რომელიც... ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს»¹, შემდეგ: «რიზეს მოსდევს ის მიწაწყალი ერთი თვითთავადი ხალხისა (αὐτονόμων ἀμφάπων), რომელიც რომაელებსა (ე. ი. ბიზანტიელებსა) და ლაზებს შორის მოსახლეობს»²; «ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ ვიდრე ლაზების და საგინების ქვეყნამდე დაფუძნებულ იქმნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები. ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს»³.

4. მეორე წყების ეკთესისებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ისინი ყველანი ეკუთვნიან იმ ხანას, როდესაც დასავლეთ საქართველოს კათედრები უკვე გამოსთიშვიან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, მაგრამ ერთი ეკთესისის მიხედვით „სეზასტოპოლი“ არქიეპისკოპოსი მაინც კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმია დაქვემდებარებული, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს არც ერთი სხვა კათედრა, რომელიც წინათ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა, აღარ იხსენიება უკანასკნელის სამწყსოში, ძალიან საეჭვოა, რომ ერთი კათედრა (ცხუმის საარქიეპისკოპოსო) ფაქტურად დარჩენილიყოს კონსტანტინეპოლის პატრიარქის გამგებლობაში. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სებასტოპოლის კათედრა ყველაზე პირველ ეკთესისშია დარჩენილი (ნოტიცია Xბ, 901 – 907 წლებისა), ხოლო არც ერთ მომდევნო ნუსხაში ის აღარ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კათედრა მხოლოდ ფორმალურად არის იქ დატოვებული.

5. ჩვენთვის საგულისხმო კათედრათა შორის ყურადღებას იქცევს, დასასრულ, რიზე. პირველი წყების ეკთესისებში ის არ-

¹ გეოგრაფიკა II, 92.

² იქვე, გვ. 94.

³ იქვე, გვ. 95.

სად ჩანდა, ხოლო „ახალ ტაქტიკონში“ ის ავტოკეფალურ საარქი-
ეპისკოპოსოთა რიგშია (ნოტიციები Xბ და Xგ); ცოტა უფრო გვიან
ნუსხებში რიზე შეტანილია პოლემონის პონტოს ეპარქიაში რო-
გორც საეპისკოპოსო კათედრა (ნოტიციები Xა და X). მაგრამ
აქ, ჩანს, ცნობები დამახინჯებულად უნდა იყოს გადმოცემული.
არსებული წესის მიხედვით საეპისკოპოსო კათედრა უნდა აღზევე-
ვებულიყო საარქიეპისკოპოსოდ და არა პირიქით. მართლაც, ერთ-
ერთი ცნობის მიხედვით, «რიზეს საეპისკოპოსო, რომელიც კესარიის
ხელქვეითად ირიცხებოდა, საარქიეპისკოპოსოდ იქცა პატრიარქ
გერმანოზის დროს»¹. აქ იგულისხმება გერმანოზ I, რომელიც პატ-
რიარქად იყო 716 – 729 წლებში.

¹ იხ. რ ა ლ ი ს და პ ო ტ ლ ი ს, Συναγμα ...V, 74 – 75. ამ ტექსტში სწე-
რია, თითქოს რიზე ირიცხებოდა კესარიის ხელქვეითად, ნამდვილად კი იგი
ნ ე ო კ ე ს ა რ ი ს ხელქვეითი იყო. ხელნაწერებში ხშირია „კესარია“ ნაცვლად
„ნეოკესარიისა“. შუად. ზემოთ გვ. 178 ქვევიდან მე-4 სტრიქონი.

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი

ნიკიფორე იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქად 806 – 815 წლებში. ეს იყო ხანა გამწვავებული ბრძოლისა ხატისმებრძოლთა და ხატისთაყვანისმცემელთა შორის. როგორც ცნობილია, დედოფალმა ირინემ, რომელიც მართავდა სახელმწიფოს თავისი მცირეწლოვანი ვაჟის კონსტანტინე VI-ის მაგიერ, მოაწვევინა საეკლესიო კრება (787 წელს VII მსოფლიო კრება ნიკეაში) და აღადგენინა ხატისთაყვანისმცემლობა. ამგვარად, ბერ-მონაზონთა პარტიამ გაიმარჯვა, მაგრამ საეკლესიო საქმეების უზენაესი მეთვალყურეობა დარჩა მთავრობას, რაც არ მოსწონდა მონაზონთა პარტიას (ამ პარტიას მეთაურობდა თეოდორე სტუდიელი). ნიკიფორე მთავრობის წრეებთან დაახლოვებული პირი იყო (მას მდივნის, ასე-კრეტის, თანამდებობა ეჭირა) და მხარს უჭერდა მთავრობის საეკლესიო პოლიტიკას. 806 წელს, ნიკიფორე I-ის მეფობაში (802 – 811 წ. წ.), იგი არჩეულ იქმნა კონსტანტინეპოლის პატრიარქად და კეისრის მარჯვენა ხელი იყო. ხოლო შემდეგ, როდესაც კეისარმა ლეონ V-მ (813 – 820 წ. წ.) განაახლა ხატისმებრძოლური პოლიტიკა, ნიკიფორემ თეოდორე სტუდიელთან ერთად სასტიკი ბრძოლა დაუწყო მთავრობას. ამ ბრძოლას კიდევ შესწირა ნიკიფორემ თავისი კარიერა: 815 წელს იგი გადაყენებულ იქმნა პატრიარქობიდან. ნიკიფორე გარდაიცვალა 829 წელს.

ნიკიფორემ თავის თანამედროვეთა თვალში სახელი გაითქვა თავისი საღვთისმეტყველო ნაშრომებით, რომლებშიც იგი მტკიცედ იბრძოდა ხატისმებრძოლთა წინააღმდეგ¹. მაგრამ ისტორიოგრაფიაში იგი ცნობილია თავისი ორი საისტორიო თხზულებით:

1. Ἱστορία σύντομος ἀπό τῆς Μαυρικίου βασιλείας („მოკლე ისტორია მავრიკის მეფობის დროიდან“). ეს თხზულება შეიცავს ბიზანტიის მოკლე ისტორიას მავრიკის გარდაცვალებიდან (602 წ.) კონსტანტინე V კოპრონიმის მეფობამდე (741 – 775 წ. წ.) და

¹ ნიკიფორეს საღვთისმეტყველო შრომები გამოცემულია: Migne PG. ტომი 100 (1865 წ.).

წყდება 760 წლით, როდესაც იქორწინა უფლისწულმა ლეონმა (ლეონ IV-მ). ამ ნაშრომში ნიკიფორე მრავალ საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს (განსაკუთრებით აღსანიშნავია, მაგალითად, თხრობა ბულგართა წარმოშობის შესახებ). მართალია, მრავალი ეპიზოდის გადმოცემაში ნიკიფორე ემთხვევა თეოფანე ჟამთააღმწერელს, მაგრამ ეს ორი ისტორიკოსი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელია: მათი ცნობები უნდა მომდინარეობდნენ ერთი საერთო წყაროდან.

2. Χρονογραφικόν σύντομον („მოკლე ქრონოგრაფიული გადმოცემა“). ეს წარმოადგენს მოკლე და მშრალ ქრონოლოგიურ ნუსხას ადამიდან ნიკიფორეს გარდაცვალების წლამდე (829 წ.). აქ მოკლედ არიან აღნუსხული, წლების მიხედვით, იუდაელთა, სპარსელთა, ბერძენთა და რომაელთა მთავრები და მეფეები, მსოფლიო პატრიარქები და მღვდელმთავრები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი მშრალ ნუსხას წარმოადგენდა, იგი ფართოდ იყო გავრცელებული მკითხველთა შორის როგორც ხელმისაწვდომი საცნობარო წიგნი. ის კი არა: მომდევნო ხანის გადამწერნი და მკითხველნი ამ ნუსხას აგრძელებდნენ კიდევ და ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში ეს ნუსხა გაგრძელებულია ზოგჯერ 886 წლამდე, სხვაგან 944 და 976 წლამდეც.

ძველი ბიზანტიელები უქებდნენ ნიკიფორეს თხრობის სიმართლეს, ენის სისადავეს და გადმოცემის თვალსაჩინოობას ¹.

ნიკიფორეს ცნობების დამუშავების დროს ხელთ გვექონდა:

Nicephori breviarium... Ed. J. Bekkerus. Bonnae 1837

(CB).

Georgius Syncellus et Nicophorus Cp. Ex recensione Guil. Dindorfii. Bonnae 1829 (CB); Nicephori Chronographia. brevis, გვ. 735 – 788.

Nicephori archiepiscopi Constantinopolitani opuscula historica Edidit Carolus de Boor. Lipsiae 1880 (BT) ².

¹ K. Rumbacher, Geschichte d. byz. Litteratur. M. 1897, გვ. 349 - 482; Очерки по истории Византии, под редакцией В. Н. Бенешевича. Выпуск III, стр. 97 – 99. СПб 1913.

² დებორის გამოცემამ, რომელშიც გამოყენებულია ვატიკანის კოდექსი (ორიგინალური), შესცვალა ყველა წინანდელი გამოცემა ნიკიფორეს „ისტორიის“ ტექსტისა.

532 წლიანი მოქცევა

Ἰουστινὸς ἀνεψιὸς Ἰουστινιαν-
 οῦν ἔτη ιβ' μηνῶν ι' ἡμέρας κ'.
 Τῷ ζ' ἔτει αὐτοῦ ἐπληρώθη κή-
 λος α' τοῦ ἀγίου πάσχα ἑτῶν
 φλβ', ἐξότε ὁ κήριος ἡμῶν Ἰησοῦς
 Χριστὸς ἐσταυρώθη [ἰνδ. ς'] ἔτους
 ἀπὸ κτίσεως κόσμου , ςζε' (ed. de
 Boor 98).

იუსტინე იუსტინიანეს დის-
 წული, [მ ე ფ ო ბ დ ა] 12 წელს,
 10 თვესა და 20 დღეს. მისი მე-
 ფობის მეშვიდე წელს დასრულდა
 532-წლიანი წმინდა პასექის პირ-
 ველი მოქცევა მას აქეთ, რაც
 უფალი ჩვენი იესუ ქრისტე ჯვარ-
 ცმულ იქმნა (ინდიქტიონსა ექვს-
 სა) წელსა 6065-სა დასაბამიდან
 ქვეყნისა ¹.

ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი ანთიმოსი

Καὶ ὄσοι ἐπίσκοποι ἐν Βυζαντίῳ

ვინ იყვნენ ეპისკოპოსებად ბიზანტიაში ²

α'. Ἀνδρέας ὁ ἀπόστολος.
 β'. Σταχὺς ἐν Ἀργυροπόλει ἔτη ια'.

1. ანდრია მოციქული.
 2. სტახის არგიროპოლელი
 16 წელიწადს.

.....
 μθ'. Ἐπιφάνιος πρεσβύτερος Κων-
 σταντινουπόλεως ἐπὶ Ἰουστι-
 νου ἔτη ια' μηνῶν γ'.

.....
 49. ეპიფანე ხუცესი კონსტან-
 ტინეპოლელი, იუსტინეს
 დროს, 16 წელსა და 3 თვეს.

¹ ბიზანტიურ მწერლობაში ეს მეორე შემთხვევაა, რომ გვაქვს ცნობა 532-წლიანი მოქცევის შესახებ. პირველი შემთხვევა ამ მოქცევის გამოყენებისა გიორგი სინგელოზთან გვაქვს (იხ. გეორგიკა IV, 1, გვ. 67 – 68). მაგრამ გიორგი სინგელოზმა 532-წლიანი მოქცევა გამოიყენა ქრისტეს დაბადების დასათარიღებლად: «ეს იყო 181 წელი 532-წლიანი მეთერთმეტე მოქცევისაო». მართლაც, 5500-წლიანი წელთაღრიცხვით ათი მოქცევა დასრულდებოდა 130 წელს ძვ. წ. (5500 – [532 X 10] = 180) და აქედან დაიწყებოდა მეთერთმეტე მოქცევა. ნიკიფორე კი 532-წლიან მოქცევას იხსენიებს არა ისტორიული ფაქტის (იუსტინეს მეფობის წლების) დასათარიღებლად, არამედ მარტივი ანგარიშისათვის: როდესაც ის თავის „ქრონიკაში“ იუსტინეს II-ის მეფობას მიადგა ქრონოლოგიურად, თანვე დასძინა: იოსტინეს მეფობის მეშვიდე წელს (ე. ი. 565 + 7 = 572 წელს) დასრულდა ქრისტეს დვარცმიდან ერთი 532-წლიანი მოქცევაო. მართლაც, 572 – 532 = 40, ესე იგი ნიკიფორე ქრისტეს ჯვარცმას ათარიღებს 40 წლით (ანუ, 8-წლიანი განსხვავების გათვალისწინებით, 32 წლით), რაც ქრისტიანულ წრეებში გავრცელებულ შეხედულებას ასახავს.

² ე. ი. კონსტანტინეპოლის პატრიარქებად.

ν'. Ἄνθιμος Τραπεζούντων ἐπί-
σκοπος μῆνας ι'. τοῦτου καθαι-
ρεθέντος ὑπὸ τῆς κατὰ Σευή-
ρου συνελθούσης συνόδου

50. ანთიმოსი, ტრაპე-
ზუნტთა ეპისკოპოსი,
10 თვეს, ხოლო როდესაც იგი
გადაყენებულ იქმნა იმ სინო-
დის მიერ, რომელიც შეიკრი-
ბა სევეროსის წინააღმდეგ ¹,
[პატრიარქად დასვეს]

να'. Μηνᾶς πρεσβύτερος καὶ ξενο-
δόχος τῶν Σαμψῶν ἔτη ιε'
μῆνας ε' (ed. de Boor
112—117).

51. მინასი, ხუცესი და სამგსო-
ნის ქსენოდოხოსი, 16 წელსა
და 6 თვეს.

¹ ანთიმოს ტრაპეზუნტელი კონსტანტინეპოლის პატრიარქად იყო 536 წელს. მის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკობენ ზაქარია რიტორი, თეოფანე ჟამთააღმწერელი და სხვები. «როდესაც ეპიფანე, იქაური მღვდელმთავარი, გარდაიცვალა, მისი ადგილი დაიკავა ანთიმოსმა – წერს ზაქარია რიტორი. ეს იყო ასკეტი, რომელიც ნებაყოფლობით სისაწყლემში ცხოვრობდა, მეგობარი მამვრალთა და მორწმუნე. ის იყო ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი და, რადგან ის რაღაც მიზეზის გამო იქ (ე. ი. კონსტანტინეპოლში) იყო, თავისი ქცევით და სათნოებით კეისრისა და დიდებულთა ყურადღება მიიქცია და პატრიარქად იქნა დაყენებული» (Zacharias Rhetor, Ahrens-Krüger-ის გამოცემა, გვ. 207 – 208). ცნობილია, რომ იუსტინიანე სწყალობდა მონოფიზიტებს და სურდა, რომ შემუშავებინა რაიმე საშუალო მოძღვრება, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა მართლმადიდებელ ქალკიდონიტებისათვისაც და მონიფიზიტებისთვისაც, ხოლო დედოფალი თეოდორა აშკარად მონოფიზიტებს ემხრობოდა. როდესაც 535 წელს გარდაიცვალა პატრიარქი ეპიფანე, თეოდორას დახმარებით პატრიარქად არჩეულ იქმნა მონოფიზიტი ანთიმოს ტრაპეზუნტელი. ფრთებშესხმულმა მონოფიზიტებმა გააჩაღეს მუშაობა მთელს იმპერიაში, მაგრამ მათი იმედები დაამსხვრია რომის პაპმა აგაპიტემ, რომელიც 536 წლის თებერვალში კონსტანტინეპოლში ჩავიდა როგორც გუთების მეფის ელჩი. მას წინდაწინვე ჰქონდა შეკრებილი საჭირო ცნობები ქალკიდონიტ ბერებისაგან და ანტიოქიის პატრიარქისაგან, რომელიც მონოფიზიტთა წინააღმდეგ იყო განწყობილი, და კონსტანტინეპოლში ჩასვლისთანავე შეუდგა სამზადისს ანთიმოსის გადასაყენებლად. იუსტინიანე იმდენად ანგარიშს უწყევდა რომის პაპს, როგორც დასავლეთის წარმომადგენელს, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მას და აგაპიტემ 536 წლის მარტში გადააყენა ანთიმოსი; კეისარი იძულებული იყო კიდევ დაედასტურებინა ეს თავისი 42. ნოველით, რომლითაც ანთიმოსს, სევეროსს და ყველა მათ მომხრეს აკრძალული ჰქონდათ დედაქალაქში დარჩენა და დიდ ქალაქებში ცხოვრებაც. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგაც თეოდორა ყოველი ღონით ეხმარებოდა ანთიმოსს, მან მაინც ვერ აღიდგინა თავისი მდგომარეობა (იხ. III. Д и л ъ, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке. СПб 1908, стр. 343 – 353). შუად. ზემოთ გვ. 199 – 200.

ირაკლი კეისრის ლაშქრობა

Αὐθις οὖν ἐπιστρατεύει Χοσ-
 ρόης ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς κατὰ
 Ῥωμαίων, Σάρβαρον ἡγούμενον
 τῆς στρατιᾶς ἐκπέμψας, ὅς κατα-
 δῆσιν πᾶσαν τὴν ἀνατολικὴν χῶ-
 ραν. καταλαμβάνει δὲ τῶν ἁγίων
 τόπων τὰ ζυφοποιὰ ἔξλα τοῦ σωτη-
 ρίου σταυροῦ, Μωδῆστου τηρικαῦ-
 τα Ἱεροσολύμων προεδρεύοντος,
 παρεσκευάζοντο δὲ οἱ Πέρσαι καὶ
 ἡπείγοντο [μέχρις] ἔλθειν εἰς Χαλ-
 κηδόνα. ὁ οὖν Ἡράκλειος ἔκ τε
 Περσῶν καὶ Ἀβάρων θορυβούμε-
 νος ἄμα καὶ λιμῶ πιεζομένης τῆς
 Ῥωμαϊκῆς πολιτείας καὶ λοιμικῶ
 θανάτῳ φθειρομένης, προσεκα-
 λεῖτο Σέργιον τε τὸν τῆς πόλεως
 πρόεδρον, ἔτι τε καὶ ἄρχοντας καὶ
 τὸ λοιπὸν τοῦ λαοῦ μέρος, (καὶ)
 παρατίθεται αὐτοῖς τοὺς παιδάς,
 καὶ Βῶνον τὸν πατρίκιον ἐγχει-
 ρίζει τὰς τῶν πραγμάτων διακί-
 σεις, καὶ ἀπάρας διὰ τοῦ Εὐξεί-
 νου ἐπειράτο διὰ Λαζικῆς εἰς τὴν
 Περσικὴν εἰσβαλεῖν· καθ' ἣν τί-
 τεταὶ αὐτῷ σὺδς ἐκ Μαρτίνης τῆς
 γυναικὸς (μεθ' ἑαυτοῦ γὰρ ταύτην
 ἦγετο), ὃν καὶ ἐπωνόμασεν Ἡράκ-
 λειον. ἐντεῦθεν ἀποστέλλει δῶρα
 πρὸς τὸν Τοὔρκων κύριον, ἐπὶ συμ-
 μαχίᾳ τῇ κατὰ Περσῶν συγκα-
 λούμενος· ὁ δὲ δεξάμενος ὑπέσ-

ხოსრომ, სპარსელთა მეფემ,
 კვლავ ილაშქრა რომაელთა წინა-
 აღმდეგ და გაგზავნა ჯარის წინა-
 მძლოლი სარვაროსი, რომელმაც
 მოარბია მთელი აღმოსავლეთის
 მხარე. მან წარტყვენა წმინდა
 ადგილების ცხოველმყოფელი ხე
 მაცხოვრის ჯვარისა, როდესაც
 იერუსალიმის პატრიარქად იყო
 მოდესტე¹. სპარსელები ემზადე-
 ბოდნენ, რომ სასწრაფოდ მიეღ-
 წიათ ქალკედონში, და, აი, ირაკ-
 ლიმ, შეწყუბებულმა სპარსელე-
 ბისა და ავარებისაგან და რად-
 გან ამავე დროს რომის სახელ-
 მწიფოში სიმშვილობა მძვინვარე-
 რებდა და შავი ჭირისაგან ბევრი
 იხოცებოდა, მოუწოდა სერგის,
 დედაქალაქის პატრიარქს, აგ-
 რეთვე მთავრებსა და მოსახლე-
 ობის დანარჩენ ნაწილს, ჩააბარა
 მათ თავისი ბავშვები, ხოლო
 პატრიკიოს ბონოსს გადასცა სა-
 ხელმწიფო საქმეები, თვითონ კი
 შავი ზღვით გასცურა და სცადა
 ლ ა ზ ი კ ი ს გზით სპარსეთში შე-
 ჭრილიყო. ამ ლაშქრობის დროს
 მას ეყოლა თავისი ცოლის მარ-
 ტინესგან (რომელიც თან ჰყავდა
 მას) ვაჟი, რომელსაც დაარქვა
 ირაკლი. აქედან მან საჩუქრები
 გაუგზავნა თურქთა უფალს და

¹ მოდესტე იერუსალიმის პატრიარქად იყო 631 – 634 წლებში.

χρῆτο συμμαχίσειν (de Boor სთხოვდა მოკავშირეობას სპარ-
15, 5–23)¹. სელთა წინააღმდეგ; იმანაც მი-
ილო საჩუქრები და აღუთქვა მოკავშირეობა¹.

¹ ამ ნაწყვეტში მოთხრობილია ირაკლი კეისრის ლაშქრობაზე სპარსეთის წინააღმდეგ ლაზეთისა და ივერიის გზით 620-იან წლებში. აქ მოხსენებული „თურქთა უფალი“ არის ხაზართა „ხაღანი“, რომელთანაც კავშირი გააბა ირაკლიმ.

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ეს ტექსტი ცნობილია ძველ ქართულ მწერლობაში, სახელდობრ, მოიპოვება ერთი თხზულება, რომლის ერთ ნაწილს ჰქვია: „**უწყება ვითარ იგი ერაკლი მეფემან ყოველი სამეფოა სპარსთაა წარმოტყუენა**“. აქ ვკითხულობთ ჩვენ ირაკლის ლაშქრობის ისეთ აღწერას, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნიკიფორეს ზემოთ მოყვანილ ტექსტს. ქართულ ტექსტში ვკითხულობთ:

«მერმე კულად ხუასრო სხუად მთავარი წარმოავლინა საბერძნეთსა ზედა, რომელი მოქცეულა იყო პალესტინით, სახელით სარვარონ, სიმრავლითა ერისადათა ფრიად, რომელმანცა განრყუნა და მოაოჭრა ყოველი საბერძნეთი უძკრეს პირველისა მის და შთავიდა კონსტანტინეპოლედ და ქალკიდონს დაემუნა ყოვლითა ლაშქრითა თვსითა და ყოვლითა ღონითა ისწრაფდა განრყუნად და ძვრისყოფად ქალაქისა და ერისა. ხოლო ერაკლე მეფემან ისწრაფა და ყოვლით-კერძო შეიკრიბა ლაშქარი და მოიწოდა მან ურიცხვ ერთი მბრძოლთადა ყოვლით-კერძო ნათესავთაგან მრავალთა, და ექვსინი პონტოთ, რომელ არს ზღუად ვრცელი ჩრდილოთ-კერძო, წარემართა სიმრავლითა ურიცხვთა ნავებისადათა. და ჰყვა მას თანა ცოლი თვსი, და მოიწია რად ტრ ა პ ე ზ უ ნ ტ ე დ ს ა ნ ა ხ ე ბ თ ა ს ა მ ე გ რ ე ლ ო მ ს ა თ ა (δὲ Λαζίκης), უშვა ძე, რომელსა უწოდა ერაკლე. და მიერ წარავლინა მოციქულნი ძღუნითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთადასა. ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეიწყნარნა მოციქულნი ერაკლესნი და მისცა მას აღთქუმად ერთობისადა. » (იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი: CMOMIK, XXVII [1900], გვ. 48 – 49). ქართულად ძველი ნათარგმნია „ქორონიკონსა სდბ“, ე. ი. 1042 წელს. ეს ძველი დაწვრილებით გარჩეული გვაქვს ქვემოთ (იხ. დამატება).

² ნიკიფორეს დანარჩენ ცნობებს შორის აღნიშნავთ იუსტინიანე II-ის გადაყენებასთან და მის კვლავ დაბრუნებასთან დაკავშირებულ ფაქტებს. 695 წელს, ლეონტის მიერ მოწყობილი შეთქმულების შედეგად, იუსტინიანე დაატუსაღეს, ცხვირი მოსჭრეს და გააძევეს: ის ჯერ ქერსონში იყო, შემდეგ ხაზარეთში. ხაზართა ქვეყანაში მან შეიძინა მრავალი მომხრე, რომელთა შემწეობითაც შეძლო 705 წელს დაბრუნებულიყო კონსტანტინეპოლში და ბრძოლით აეღო აგი. იუსტინიანეს მომხრეებს შორის ყველაზე უფრო აქტიურია ვინმე „ვ ა რ ა ზ ბ ა კ უ რ ი“ (Βαραზακόσιος), რომელმაც შემდეგ პროტოპატრიკოსის საპატიო წოდება მიიღო და ოფსიკიონის თემის სტრატეგოსად იქმნა დანიშნული. ამ თანამდებობაზე იყო ვარაზაკური 711 წლამდე: ამ წელს ვარდან ფილიპიკემ ტახტიდან ჩამოაგდო იუსტინიანე, თავი მოჰკვეთა მას და მასთან ერთად სიკვდილით დასაჯა მისი უერთგულესი ვარაზაკურიც (იხ. ნიკიფორეს „მოკლე ისტორია“, გვ. გვ. 41 და 48).

ნიკოლოზ მისტიკოსი

ნიკოლოზ მისტიკოსი ცხოვრობდა 852 – 925 წლებში და მოღვაწეობდა ლეონ VII-ის, ალექსანდრეს და კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს. იგი ლეონთან ერთად იზრდებოდა და შემდეგ, როდესაც ლეონი გამეფდა, კეისარმა ნიკოლოზს „მესაიდუმლის“ (μυστικός) წოდება უბოძა.

ნიკოლოზი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეფო კარის ცხოვრებაში და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობის გამწვავებაში. მან ლეონ VI-სთან ერთად დაამუშავა „ახალი დებულება“ (Νέα τακτικά) კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალ კათედრათა განრიგებისა¹. ნიკოლოზი ორჯერ იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქად: 901 – 907 და 912 – 925 წლებში. მისი გადაყენება გამოიწვია სამეფო კარზე დატრიალებულმა ინტრიგებმა. მმართველ წრეებში არსებულმა ინტერესთა წინააღმდეგობამ გარეგნული გამოსახულება ჰპოვა ლეონ მეფის მეოთხედ დაქორწინების საკითხში: მესამე ცოლის (ევდოკიას) გარდაცვალების შემდეგ ლეონ მეფემ მოინდომა მეოთხედაც დაგვირგვინებულიყო, რაც საეკლესიო წესების მიხედვით ყოველად დაუშვებელი იყო. 907 წელს ნიკოლოზი გადაყენებულ იქმნა; ახალმა პატრიარქმა ექვთიმემ მოუპოვა კეისარს აღმოსავლეთის პატრიარქთა თანხმობა და ლეონმა იქორწინა ზოია კარბუფნოფსინასთან. მაგრამ ბრძოლა ძველსა და ახალ პატრიარქებს შორის გრძელდებოდა. ძველი პატრიარქის პარტიამ ისარგებლა შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციით და 912 წელს ნიკოლოზმა კვლავ მოიპოვა პატრიარქის ტახტი.

ნიკოლოზ მისტიკოსმა დაგვიტოვა წერილები, რომლებიც საყურადღებო ცნობებს შეიცავენ იმდროინდელი პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების შესახებ². ვატიკანის ხელნაწერი შეიცავს მის 163 წერილს³. აქვე ვათავსებთ ამ წერილების ადრესატთა სიას.

¹ დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 194 – 195.

² ნიკოლოზის წერილებით სარგებლობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ «ჩვენ წინაშეა არა მარტო მათიანე, არამედ დიპლომატიური მიწერა-მოწერა, რომელიც ერთი მხრით ამბებს აგვიწერს მეტად ზოგადად, ხოლო მეორე მხრით ტენდენციურია» (იხ. Б. Мелиоранский : Виз. Вр. X [1903], стр. 514).

³ პირველად გამოსცა А. Mai-მ 1844 წელს, გადაბეჭდა Magne-მა, PG, ტომი III, გვ. 1 – 406.

ნიკოლოზის წერილთა ადრესატები

- 1 – 2. კრეტის ამირას
 3. ბულგარეთის მმართველს (*ἀγο-
 χορτῆς*) სვიმეონს
 4. ბულგარეთის არქიეპისკოპოსს
 5 – 11. ბულგარეთის მმართველს (*ἀγο-
 χορτῆς*) სვიმეონს
 12. ბულგარეთის არქიეპისკოპოსს
 13. სვიმეონის პირველ კაცს
 14 – 31. სვიმეონ ბულგარელს
 32. რომის პაპს
 33. ტრიფონ მონაზონს
 34. ელადის სტრატეგოსს
 35. სტრიმონის სტრატეგოსს
 36. სტრონგოლიმონტის კურა-
 ტორს
 37. სტილიანე დიაკონს
 38. ფილეტოს მონაზონს
 39. ეფესოს მიტროპოლიტს გრი-
 გოლს
 40. პატრიკიოს მალაკინოსს
 41 – 42. ეფესოს მიტროპოლიტს გრი-
 გოლს
 43. პატრასის მიტროპოლიტს ანდ-
 რიას
 44. სტრატეგოსს
 45. არსენი მონაზონს
 46. ა ბ ა ზ გ ი ს მ თ ა ვ ა რ ს
 47. კონსტანტინეს
 48. ეფესოს მიტროპოლიტს გრი-
 გოლს
 49. მიტროპოლიტებს, რომელნიც
 ეკლესიის გარეშე არიან
 50. კვიზიკის მიტროპოლიტს იგნა-
 ტის
 51. ა ბ ა ზ გ ი ს მ თ ა ვ ა რ ს
 52. ალანიის არქიეპისკოპოსს პეტ-
 რეს
 54. რომის პაპს იოანეს
 54 – 55. უცნობებს
 56. რომის პაპს იოანეს
 57. სვინადის ეპისკოპოსს
 58. იკონიის ეპისკოპოსს
 59. უცნობს
 60. დიდი ეკლესიის იკონომოსს
 61. უცნობს
 62. პეტრე მონაზონს
 63. ეპიფანე მონაზონს
 64. ტრიფონ მონაზონს
 65. ამისის ეპისკოპოსს იოანეს
 66 – 68. უცნობებს
 69 – 70. პროტოსპათარ დავით კამუ-
 ლიანეს
 71. ნიკეის (ეპისკოპოსს) ალექსან-
 დრეს
 72 – 77. უცნობებს (აქედან 74. ქალ-
 დიის მიტროპოლიტს ან მის
 მეზობლად)
 78. მონაზონებს
 79. უცნობებს (შეიძლება ეხებო-
 დეს ალანიას)
 80 – 81. უცნობებს
 82. პროკონსულ ლანდულფეს
 83. იდრუნტის ეპისკოპოსს
 84. პროტოსპათარ გედონს
 85. ლანგობარდების არქიელებს,
 მღვდლებს, მთავრებს...
 86. მეფეს, ეკლესიის იკონომოსის
 შესახებ
 87 – 88. უცნობებს
 89. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს
 90. უცნობებს
 91. უბრწყინვალეს კოსოპეს
 92. უცნობს
 93. კლავდიუპოლის ეპისკოპოსს
 თეოკტისტეს
 94. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს
 95. რომანოზ კეისარს
 96 – 97. ნიკომედიის ეპისკოპოსს) იგ-
 ნატის
 98. მმასა და თანამსახურს (აღმ.
 ერთ-ერთ პატრიარქს)
 99. უცნობს
 100. ნიკეის მიტროპოლიტს
 101. უცნობს
 102. სარკინოზთა სარდალს
 103. გოდინეს, კეისრის პროტოსპა-
 თარსა და მთავარს (*ἀγοχορτῆς*)

104. ლაოდიკიის მიტროპოლიტს კონსტანტინეს
105. უცნობს
106. ხერსონის არქიეპისკოპოსს
107. კვიზიკის ეპისკოპოსს
108. პისინუნტის ეპისკოპოსს
109. უცნობს
110. პისინუნტის ეპისკოპოსს
111. უცნობს
112. კლავდიუპოლის ეპისკოპოსს თეოკტისტეს
113. ნიკეტა ათენელს
114. ქალდიის მიტროპოლიტს ბასილის
115. ანტიოქიის მიტროპოლიტს (პატრიარქს) ექვთიმეს
116. ლარისის ეპისკოპოსს ფილიპეს
117. სილეონის ეპისკოპოსს ლეონს
118. ალანიის არქიეპისკოპოსს პეტრეს
119. პატრასის ეპისკოპოსს ანდრიას
120. ტრიფონ მონაზონს
121. ანატოლიკის პატრიკიოსსა და სტრატეგოსს ლეონს
122. ამბროსი ეპისკოპოსს
123. პატრასის [ეპისკოპოსს] ანდრიას
124. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს
125. უცნობს
126. იგნატის, მაგისტროსს, შემონაზოვნებულს „დიდ მინდორში“
127. ლეონ სპათარს
128. ქალდიის [მიტროპოლიტს] ბასილის
129. სილეონის [ეპისკოპოსს] ლეონს
130. კვიზიკის [ეპისკოპოსს] იგნატის
131. ტრიფონ მონაზონს
132. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს და ფოტოისს ჰერაკლეელს
- 133 – 135. ალანიის არქიეპისკოპოსს პეტრეს
136. ძმებს სტეფანეს, მიქელსა და კონსტანტინეს
- 137 – 138. კვიზიკის მიტროპოლიტს იგნატის
139. მთავართა მთავარს (სომეხთა?)
140. თესალინიკის სტრატეგოსს მიქელ პატრიკიოსს
141. მზის ბომონის წინამძღვარს
142. სარდეს მიტროპოლიტს ანტონის
143. იგნატი მაგისტროსს...
144. ლონგიზარდის სტრატეგოსს ნიკოლოზს
145. ამალფის მთავარს
146. კონსტანტინე პროტასიკრიტს
147. უცნობს
148. ექვთიმე მონაზონს
149. თრაკესიის სტრატეგოსს
150. ფილოთეოს პატრიკიოსს
151. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს
152. უცნობს
153. თეოდოსი მონაზონსა და კუბიკულარის
154. ეფესოს ეპისკოპოსს ჭრიგოლს
155. უცნობს
156. რომანოზ კეისარს
157. დიმიტრი კვიზიკელს
- 158 – 159. ლაოდიკიის მიტროპოლიტს კონსტანტინეს
160. ეფესოს ეპისკოპოსს გრიგოლს
161. პელოპონესის სტრატეგოსს
162. ა ბ ა ზ გ ი ს მ თ ა ვ ა რ ს გ რ ი გ ო ლ ს (გიორგის?)
163. ანტიოქის მონაზონს.

ნიკოლოზ მისტიკოსის ცნობების დამუშავების დროს ხელთ გვექონდა:

Migne, Patrologia graeca, ტ. 111, გვ. 1 – 406.

Проф. 10. Кулаковский, Христианство у Алан: Византийский Временник V (1898), стр. 1 – 18.

Проф. Ю. Кулаковский, Аланы по сведениям классических и византийских писателей. Киев, 1899.

წერილი 46

Τῷ ὑπερφυστάτῳ καὶ ἡγαπημένῳ
ἡμῶν υἱῷ τῷ περιδῶξῳ ἐξουσιασῆ
Ἀβασίῳ

Ἐπὶ τῷ χωρισμῷ, τέκνον ἡμῶν,
τοῦ μακαριωτάτου πατρὸς σου ἐλυ-
πήθημεν, ὡς περ ἦν ἀκόλουθον,
τὴν τε σὴν ἐννοοῦντες ἐπὶ τῷ πά-
θει πληγὴν τῆς καρδίας, καὶ τῶν
ἄλλων ὅσοι φιλεῖν οἶδασιν ἀνθρω-
πον ἀρετῇ κεκοσμημένον, μάλιστα
οἷος ἦν ὁ σὸς πατήρ παρὰ πάν-
των καὶ ἐπαινούμενος καὶ θαυμα-
ζόμενος. Πλὴν εἶχομεν τῆς λύπης
ἀπαλλαγὴν, ὅτι σὲ βλαστὸν αὐτοῦ
ὄντα γνήσιον, καὶ καρπὸν τῆς
ἐκείνου σποράς, ἡ φεία εὐδόκησε
Πρόνοια, καὶ τὴν ἐξουσίαν τῆς
ἀρχῆς ἀναδέξασθαι, καὶ ὡς περ
εἰκόνα τινὰ τῷ οἰκείῳ ἔθνει ἀντὶ
τοῦ χωρισθέντος ἐκ τῆς ματαίας
ταύτης ζωῆς παρέσχεν ὄρασθαι.
Τοῦτο ἡμᾶς ἀπήλλαξε τῆς λύπης,
καὶ μᾶλλον πρὸς φείαν εὐχαρισ-
τίαν μετένεγκεν. Καὶ ἡσυχαιό-
σαμεν καὶ εὐχαριστοῦμεν, θεόμενοι
τῆς φείας ἀγαθότητος ἐν μηδενί
σε τῶν πατριῶν ἀπολειφθῆναι

უზემთაესსა და ჩვენს საყვარელ
შვილს, აბაზგის ბრწყინვალე
მთავარს

შენი უნეტარესი მამის გარდა-
ცვალების გამო, ჩემო¹ შვილო,
როგორც მოსალოდნელი იყო,
დამწუხრებული ვართ და თანა-
ვუგრძნობთ შენს დამწუხრებულ
გულს, და ყველა იმათგან, რომ-
ლებსაც კი აქვთ უნარი უყვარ-
დეთ ადამიანი, ვაჟკაცობითა და
სიკეთით შემკული, განსაკუთრე-
ბული იყო მამაშენი, ყველას მიერ
ქებული და განცვიფრების ღირ-
სად აღიარებული. ჩვენ მაინც
გვაქვს ამ მწუხარების შემამსუბუ-
ქებელი საბუთი, რადგან ღვთის
განგებამ განსაჯა, რომ მისი
ძალაუფლების მემკვიდრე იყო
შენ, მისი ღვიძლი ნაშობი, ნაყო-
ფი მისი თესლისა, და მის საკუ-
თარს ერს მისცა შესაძლებლობა
გხედავდეს შენ, როგორც იმის
ხატს, ვინც ამ ფუჭ ცხოვრებას
გამოესალმა. აი, ეს გვიძსუბუ-
ქებს ჩვენ მწუხარებას და ღვთის
წყალობას გვადიდებინებს. მად-

¹ წერილში ყველგან „ჩვენ“ სწერია.

κτορφωμάτων, ἀλλὰ μᾶλλον ὑπερβαλεῖν, καὶ γενέσθαι τοιοῦτον ἐν τοῖς ὑποχειρίοις πατέρα καὶ ἄρχοντα, οἷος καὶ τὴν τοῦ θεοῦ ψήφον ἐπ' ἔργοις μαρτυρῆσαι δικαίαν ἐπὶ σοὶ γενέσθαι, καὶ τὸν πατέρα ἔτι μακαριώτερον ἀποφῆναι διὰ τοῦ σοῦ τρόπου καὶ τῆς καλοκαγαθίας, καὶ σεαυτῷ ἀειμνηστον κλέος ἔν τε τῇ παρόντι αἰῶνι περιποιήσασθαι, καὶ ἐν τῇ μέλλοντι τὴν ἀθάνατον δόξαν καὶ τιμὴν καὶ ἀπόλαυσιν.

'Ἀπεστειλαμεν εὐλογίας χάριν ἱμάτιον· περὶ δὲ τοῦ ἀρχιεπισκόπου Ἀλαნიᾶς, τέκνον ἡμῶν, γράφειν τι οὐκ ἔχω. Αὐτὸς γάρ συνετὸς ὢν καὶ φρόνιμος, καὶ εἰδὼς τὸ ἐκεῖνου ἔργον, ἔτι πρὸς σωτηρίαν ἀνθρώπων, ἔτι πρὸς δόξαν τοῦ μεγάλου δνόματος τοῦ θεοῦ, πάντως καὶ χωρὶς ἡμετέρας γραφῆς διὰ τὴν ἀποκατεμένην ἐκεῖθεν μυσθιαποδοσίαν τοῖς φιλοθέοις, καὶ συνεπικουρήσεις αὐτῷ, καὶ συγκατήχη τῶν πόνων· καὶ εἴ τινος ἐν ἔθνει τοιοῦτον καὶ γῆ ξένη τῶν ἀναγκαιῶν καὶ ἄνεσιν τῇ ἴσῃ φερόντων ἐνδοξὴ ἐστὶ, προθύμως ἐπιχορηγήσεις¹ τοῦ θεοῦ σοὶ θύναμιν παρασχόντος· καὶ εἴης καὶ ἔτι ἐπὶ πλεον εἰς εὐπορίαν τῆς τοιαύτης θυνάμειος καθιστάμενος βιοηθεῖς τοῖς ἀπορουμένοις (PG, t. 111, 236).

მოგანიჭა: დე, იყოს ასე და დაეხმარო დამაშვრალებს შენ, რომელსაც უხვად გაქვს ეს ძალა.

ლობა შევწირეთ და მადლობას ვწირავთ, და ვვედრებით ღვთიურ სიკეთეს, რომ არაფერში მოგაკლდეს მამისეული წარმატებები, არამედ კიდევ უფრო გადააჭარბო, და ისეთი მამა და მთავარი იყო ხელქვეითთათვის, რომ ღვთის არჩევანი საქმით გაამართლო და შენი მამა, ეგოდენ უნეტარესი, გამოაჩინო შენი ზნით და ვაჟკაცობით, მოიხვეჭო ამ წუთისოფელში მუდამ სახსოვარი დიდება, ხოლო სამომავლოდ უკვდავი სახელი, პატივი და ნეტარება.

წყალობის ნიშნად გიგზავნით წამოსასხამს; ალანის არქიეპისკოპოსის შესახებ მოსაწერი არაფერი მაქვს. შენ საკმაოდ შეგნებული და გონიერი ხარ და მამაშენის საქმიანობასაც იცნობ, რომ ადამიანთა ხსნისათვის, ღვთის დიადი სახელის დიდებისათვის, საზოგადოდ და ჩვენი წერილის გარეშეც, შენი მოღვაწეობით გვერდში ამოუდგე მას (ე. ი. მამას) და მონაწილეობა მიიღო მის შრომაში, რათა ღვთის მეგობრებს მიანიჭო კუთვნილი საზღო. და თუ მას¹ ამ ტომში, უცხო ქვეყანაში მყოფს, რამე უჭირს ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად, აღმოუჩინე დახმარება გულისხმიერად, რადგან ღმერთმა შენ ამის ძალა

¹ იგულისხმება ალანთა არქიეპისკოპოსი.

წერილი 51

Τῷ περιπόδῳ ἐξουσιασῆν Ἀβασρίας

Τὸ φιλοθέον σου καὶ τὸ χρησ-
τὸν τοῦ τρόπου ἐκίνησεν ἡμᾶς
πρὸς τὴν σὴν ἀγάπην, ὡς τὸν θεὸν
ἀνθρώπου, καὶ ἰδοὺ πρῶτοι διὰ τοῦ
γράμματός προσαγαγεύσασμέν σε, καὶ
ὡς τέκνον ἡμῶν οἷα παρόντες ἐναγ-
καλιζόμεθα, καὶ πατρικαῖς φιλήμασι
περιπτυσσόμεθα. Καὶ γὰρ τοῦ μὲν
φιλοθέου ἀπόδειξις ἡ ἐνθεός σου
σπουδῆ, ἣν ἐπὶ τῇ σωτηρίᾳ καὶ τῇ
ἐπιγνώσει τῆς ἀληθείας τοῦ ἐθ-
νοῦς τῶν Ἀλων ἐπειδείξω καὶ
ἐπιδείκνυσαι. Ἀνεμάθομεν γὰρ ἐκ
διαφόρων τῶν ἐπισταμένων τὰ σὰ
κατορθώματα, ὡς μετὰ γε θεὸν
πολλὴν τὴν πρόνοιαν κατεβάλου
εἰς τε τὸν φωτισμὸν τοῦ τῆς Ἀλα-
νίας ἄρχοντος, καὶ εἰς τοὺς ὁμοί-
ως ἀντὶ κατηξιώθησαν τοῖς ἀγίοις
βαπτίσματος. Τῆς δὲ χρηστότητος
τῶν τρόπων καὶ τῆς εὐποιίας τίς
ἄλλη περιφανεστέρα ἔσται: ἀπόδει-
ξις; ἢ τίς ἂν ἄλλο ἐπιζητήσῃ
μαρτύριον; ἀρκούσης τῆς ξενοδο-
χίας, τῆς θεραπείας, τῆς ἄλλης
ἐν πᾶσι παραμοιίας, ἢσθι δυνατὴ
χρηγεῖσθαι, ἣν εἰς τὸν θεοφιλέσ-
τατον ἀρχιεπίσκοπον τὸ τέκνον
ἡμῶν, βλῆ προαιρέσει καὶ βλῆ φυσικῇ
ὠφθη ἐπιδειξάμενος. Διὰ τοῦτο
θεόμεθα τοῦ ἱκανοῦ πολλαπλασίους
ἀντιδοῦναι τὰς ἀμοιβὰς ἐν τε τῇ

აბაზგიის ბრწყინვალე მთავარს

შენმა ღვთისმოსავობამ და უმ-
წიკვლო ქცევამ, ღვთის კაცო,
აღვიძრა სიყვარული შენდამი.
და, აი, პირველად მოგმართავ¹
შენ წერილით და, თითქოს მანდ
ვიყო, ჩაგეკონები და მამობრივი
კოცნით გეამბორები. შენი ღვთის-
მოსავობის საბუთია შენი ღვთის-
ნიერი სწრაფვა, რომელიც გამო-
იჩინე და იჩენ, რომ ალანთა
ტომი იხსნა და ჭეშმარიტება
შეაცნობინო. ჩვენ შევიტყეთ
ზოგიერთებისაგან, რომლებმაც
შეისწავლეს შენი ვაჟკაცობანი,
რომ შენ ღვთის ცნების მიხედ-
ვით დიდი ამაგი დასდე და განა-
ნათლე ალანიის მმართველი და
ყველა ისინი, ვინც მასთან ერ-
თად ღირსი გახდა წმინდა ნათ-
ლისღებისა. შენ ქცევათა უმწიკ-
ვლობისა და ქველმოქმედების
სხვა რა საბუთი იქნება უფრო
თვალსაჩინო? ან სხვა რა მოწმო-
ბაა სამებარი? საკმარისია შენი
სტუმართმოყვარეობა, მზრუნვე-
ლობა და სხვა ყოველგვარი წუ-
ხილი, რომელიც შენ გამოიჩინე
სულით და გულით ჩვენი შვილის,
ღვთიუესაყვარლესი არქიეპისკო-
პოსის მიმართ. ამიტომ ჩვენ
ვთხოვთ იმას, ვისაც ძალუძს
მრავალკეცად აუნაზღაუროს სა-

¹ აქაც და ქვევითაც ყველგან მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს ნიკოლოზი.

παρόντι βίῃ, καὶ τῇ μέλλοντι αὐ-
τὸν κατὰ τὸν πλοῦτον τοῦ ἐλέους
αὐτοῦ ἀνταναπληρῶσαι τὰς χάρι-
τας, νῦν μὲν ἐκ πάσης διατηροῦν-
τά σε σκυθρωπότητος, καὶ τῆς
τῶν ἀνθρώπων πραγμάτων ἐναν-
τιότητος, ἐν δὲ τῇ μελλούσῃ ζωῇ
συναριθμοῦντά σε τοῖς ἡγαπημέ-
νοις αὐτῷ, καὶ οὖς ἢ τῶν θερα-
πόντων αὐτοῦ ἔχει συναριθμήσεις.
Εἰ τις δ' ἂν καὶ ἔτι θύνατοῦ
σου ὄντος ὁ θεοφιλέστατος ἀρχιε-
πίσκοπος ἐπιτεύξεται παραμυθίας
τῆς σῆς, τέκνον ἡμῶν, ἀρετῆς,
πάντως καὶ τοῦτο ἔξεις τοῖς προ-
λαβούσι σου καλῶς συναριθμού-
μενον, καὶ τὴν ἀντίδοσιν παρὰ
τοῦ μεγαλοδώρα τοῦ θεοῦ ἡμῶν εἰς
τὸ πολυπλάσιον ἀπεκδεχόμενος
(PG, 111, 241—243).

ბოძვარი ამ წუთისოფელში და მომავალშიც, რათა მან თავისი მდიდარი გულშემატკივრობის მიხედვით სანაცვლოდ გაამრავლოს წყალობანი, დაგიცვას შენ ახლა ყოველგვარი უბედურები-საგან და ადამიანურ საქმეთა სიმრუდისაგან, ხოლო სამერმისო ცხოვრებაში ჩაგრიცხოს შენ თავის საყვარელ მახლობლებში და იმათ რიცხვში, ვინც მის მსახურებს შეადგენენ. თუ კი, სანამ შენ შეგიძლია, ღვთიუფსაყვარლესი არქიეპისკოპოსი შენი ვაჟკაცობის ნუგეშინისცემას მიიღებს, ჩემო შვილო, საერთოდ ესეც მიუმატე შენ წინანდელ კარგ საქმეებს და მიიღე ქველმოქმედი ღმერთისაგან საზღაური მრავალკეცად.

წერილი 162

Γρηγορίῳ ἐξουσιαστῇ Ἀβασίῃας

Τοῖς εὐγενέσις ἀνθρώποις, καὶ μάλιστα ὅσοις τὸ ἀρχεῖν ἐδωρήσατο ὁ θεός, ὥσπερ τῶν ἄλλων ἔχουσι τὸ διαφέρειν, οὕτως ἄφειλόμενον ἔστι καὶ τὸ ἐν ἀρετῇ διαπρέπειν, καὶ μὴ μόνον τῇ σαρκικῇ εὐγενείᾳ σεμνύνεσθαι, ἀλλὰ πολλῶν πλέον καὶ τῇ ψυχικῇ λαμπρότητι ἐξωραϊζέσθαι. Τοιοῦτον καὶ σὲ ἀκούομεν εἶναι, τέκνον ἡμῶν, καὶ ἀκούοντες χαίρομεν, καὶ ἐξαιτούμεθα παρὰ τοῦ πάντων αἰτίου τῶν καλῶν θεοῦ ἡμῶν ἐπὶ πλέον σε τοῖς εὐγενέσι τούτοις τρόποις καλ-

აბაზგიის მთავარს გრიგოლს
(გიორგის?)

კეთილშობილ ადამიანებს და განსაკუთრებით იმათ, ვისაც ღმერთმა ძალაუფლება მიაკუთვნა, რომ სხვებისაგან განსხვავდებოდნენ, მოეთხოვებათ, რომ გამოირჩეოდნენ სხვებში სიკეთითაც, მაგრამ არა მხოლოდ ხორციელი კეთილშობილებით უნდა გამოირჩეოდნენ, არამედ უფრო მეტად სულიერი ბრწვნივალეობაც იყვნენ შემოსილი (ἐξωραϊζέσθαι). ჩვენ გვსმენია, რომ შენ, ჩემო შვილო, ასეთი ხარ და ძალიან გვიხარია, და ჩვენ ვთხოვთ

λωπίνζεσθαι· και καλὸν ἀρχικῆς
 ἐξουσίας παράδειγμα και νῦν δια-
 φαίνεσθαι τῷ βίῳ παρόντα, και
 μετὰ τὴν ἐκ τῆς ματαιᾶς ταύτης
 ζωῆς ἀναχώρησιν δοῦναι τοῖς σοῖς
 τέως ἐπὶ τῆς σῆς ἀρχῆς καμιστα-
 μένοις πρὸς τὴν ἑμῶν ἀφορῶσι
 κατάστασιν ὀφθῆναι κατὰ μηδὲν
 λειπομένους τῆς πατρικῆς ἀρετῆς
 και μακαριότητος. "Α δὲ περὶ τῶν
 Βουλγάρων ἔγραψας, οὐκ οἶδα
 ποίοις κρίμασι τοῦ Θεοῦ, μένει τὸ
 κακὸν ἔτι τῆς ἔχθρας, και τὸ κα-
 λὸν οὐκ ἐμεσίτευσε τῆς εἰρήνης.
 Σὺ οὖν, τέκνον ἡμῶν, κατὰ τὴν
 βασιλικὴν ἀξίωσίν τε και δόξασιν,

ღმერთს, რომელიც ყველა სიკე-
 თის მიზეზია, რომ შენ უფრო
 და უფრო დაგამშვენოს ამგვარი
 კეთილშობილი თვისებებით, გა-
 მოგაჩინოს ამ ცხოვრებაში რო-
 გორც კარგი ნიმუში მთავრის
 ძალაუფლებისა, ხოლო ამ ფუჭი
 ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ
 მიანიჭოს შენს მემკვიდრეებს,
 რომელნიც შენს სამთავრო ტახტ-
 ზე (ἐπὶ τῆς σῆς ἀρχῆς) იქნებიან
 დაყენებული, ძალა, რომ აღა-
 ჰყრონ თვალნი შენს თვისებებზე
 და არაფერი მოაკლდეთ მამისე-
 ული სიკეთიდან და ბედნიერ-
 ყოფიდან ¹. რაც შეეხება იმას,

¹ ნიკოლოზ მისტიკოსის ზემოთ მოყვანილი სამი წერილის ადრე-
 სატია აზაზგიის მთავარი: მთავრის სახელი მხოლოდ მესამე წერილშია მოყვა-
 ნილი – გრიგოლი. 901 – 925 წლებში, როდესაც ნიკოლოზი ორჯერ იყო
 პატრიარქად, აფხაზეთის მფლობელი იყო გიორგი II, რომელიც მეფობდა
 922 – 957 წლებში. აფხაზეთის მფლობელი ამ დროს უკვე ატარებდა „მეფის“
 ტიტულს; როგორც ცნობილია, 786 – 798 წლებს შორის აფხაზეთის მფლობელი
 ლეონ II გადაუდგა ბიზანტიას და მეფის ტიტულიც მოიპოვა. ხოლო ნიკოლოზ
 მისტიკოსი იხსენიებს მას იმ ძველი ტიტულით (ἐξουσιαστής) რომლითაც VII
 საუკუნის პირველ ნახევარში (ლეონ I-ის დროს) ბიზანტიამ სცნო არაბებისაგან
 განთავისუფლებული აფხაზეთის მფლობელი (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა: „მნათობი“
 1950 წ. № 4, გვ. 102 – 120). მიუხედავად იმისა, რომ შიგ წერილში ნიკოლოზი
 იხსენიებს გიორგის როგორც მეფეს და ეუბნება მას «შენ კი, ჩემო შვილო,
 მეფური დირსების კვალობაზე (κατὰ τὴν βασιλικὴν ἀξίωσιν) დაიცავი
 მეგობრობის სიწმინდე» (წერილი 162.). ოფიციალურ მიმართვაში მას, ძველი
 ტრადიციით, უწოდებს მხოლოდ ἐξουσιαστής-ს. ეს გარემოება შემთხვევითი არ
 უნდა იყოს. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებას ბიზანტიისა-
 გან (VIII საუკუნის ბოლოს) მოჰყვა IX საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესიურა-
 დაც ლაზეთის მეტროპოლიის გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქის სამწ-
 ყსოდან. და იმავე ნიკოლოზ მისტიკოსს რომელიც აფხაზთა მეფეს მხოლოდ
 „მთავრის“ ან „მფლობელის“ (ἐξουσιαστής) ტიტულით იხსენიებს, ახალ საეკლე-
 სიო ეკთესისში, რომელიც მან 901 – 907 წლებში შეადგინა ლეონ კეისართან
 ერთად. კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა
 შორის შეაქვს, ძველი ტრადიციით, „სევასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსო
 აფხაზეთში“, თუმცა ეს უკანასკნელი კათედრა ფაზისის მეტროპოლიასთან და

τὸ καθαρὸν τῆς φιλίας σῶζων,
 φήλασσε παρὰ σεαυτὴν καὶ τὸ
 πρόνυμον τῆς συμμαχίας, καὶ εἴ
 γε χρεία καλέσοι, πάντως οἶα
 φίλος εὐγνώμων τὸ ζητούμενον
 ἐπιτελέσεις, ἵνα καὶ ἐν τούτῳ ἡ
 σὴ διαφαίνοντο ἀρετὴ καὶ τὸ τῆς

რასაც შენ ბულგართა შესახებ
 იწერები, მე არ ვიცი ღვთის რა
 გადაწყვეტილებით მისდევს კი-
 დევ ბოროტ მტრობას და მშვი-
 დობის სიკეთე არ იშუამავლა.
 შენ კი, ჩემო შვილო, მეფური
 ღირსებისა და ნათელის კვალო-

ნიკოფსისის საარქიეპისკოპოსო კათედრასთან ერთად უკვე მცხეთის საკათალიკო-
 სოს გამგებლობაშია (იხ. ზემოთ გვ. 194 – 196 და, განსაკუთრებით, გვ. 201).

როდის არის დაწერილი ნიკოლოზ მისტიკოსის ეს წერილები აფხაზთა
 მეფის გიორგი II-ისადმი? 51. წერილში პატრიარქი უქებს აფხაზეთის მთავარს
 „ღვთისმოსავობას“ და „ღვთისნიერ სწრაფვას“, რომელიც გამოიჩინა მან, რათა
 ეხსნა ალანთა ტომი და გაექრისტიანებინა იგი. «ჩვენ შევიტყუეთ ზოგიერთებისა-
 გან – წერს ნიკოლოზი გიორგი მეფეს – რომლებმაც შეისწავლეს შენი ვაჟკაცო-
 ბანი, რომ შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალა-
 ნიის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა
 ნათლისღებისა». ნიკოლოზ მისტიკოსის ამ სიტყვებიდან მკვლევართ სრულიად
 მართებულად გამოაქვთ დასკვნა, რომ ალანთა გაქრისტიანება X საუკუნის დასა-
 წყისში მოხდა და «непосредственное участие в этом деле принимал, пра-
 витель Авазгии» (Ю. Кулаковски й, Христианство у Алан: В. Вр. V,
 გვ. 3). და ეს უნდა მომხდარიყო – ამბობენ – ნიკოლოზის მეორედ პატრიარქო-
 ბის დროს (ე. ი. 912 – 925 წლებში). მართლაც, ნიკოლოზის ზემოთ მოყვანილი
 წერილებიდან ჩანს, რომ ალანები ახალი გაქრისტიანებული არიან და თვით
 46. წერილი, გიორგი მეფისადმი მიწერილი, ეკუთვნის 922 ან მომდევნო წელს:
 სახელდობრ, 46. წერილი დაწერილია როგორც სამძიმრის წერილი გიორგი
 მეფის მამის კონსტანტინე III-ის (893 – 922 წ.წ.) გარდაცვალების გამო. მამასა-
 დამე წერილები 46, 51 და 162 დაწერილია 922 – 925 წლებში.

ამ წერილებში მოხსენებულია ალანთა არქიეპისკოპოსი. გარდა ამისა,
 ხუთი წერილის (№ № 52, 118, 133 – 135) ადრესატია „ალანთა არქიეპისკოპოსი
 პეტრე“. მაგრამ არსად არ არის ნაჩვენები, თუ სად არის ალანთა არქიეპის-
 კოპოსის კათედრა. არც ნიკოლოზ მისტიკოსის მონაწილეობით შედგენილ ახალ
 ეკთესისში იხსენიება სახელდებით ალანთა არქიეპისკოპოსი.

როგორც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, რომ: 1) X საუკუნის დასა-
 წყისში ალანებმა მიიღეს ქრისტიანობა, 2) ალანებს ჰყავდათ არქიეპისკოპოსი,
 რომელთანაც პირადი მიწერ-მოწერა ჰქონდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს
 ნიკოლოზ მისტიკოსს, 3) ამ არქიეპისკოპოსს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა
 თვით ნიკოლოზის თქმით, აფხაზთა მეფე გიორგი, – და მიუხედავად ყველაფერ
 ამისა ალანთა არქიეპისკოპოსი არ იყო მოხსენებული საეკლესიო კათედრათა
 იმ ნუსხაში, რომლის შემდგენელია თვით პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი?
 რასაკვირველია, ამის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია.

ამავე დროს ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საეკლესიო
 კათედრათა იმ ახალ განრიგებაში (Νέα τακτικά), რომელიც შედგენილია 901 –
 907 წლებში ნიკოლოზ მისტიკოსის უშუალო მონაწილეობით, მოხსენებულია

φιλίας ἀνθρώπων (PG, 111, 389—391). ბაზე დაიცავი მეგობრობის სიწმინდე, შენს თავში შეინახე მოკავშირეობის ქველი სული და ერთგულება, და თუ საჭიროება მოგიხმობს, მაინც აღასრულე ძიებული (ე. ი. ისწრაფე სანუკვარი-საკენ) როგორც კეთილგონიერმა შეგნებულმა მეგობარმა, რათა ამაშიც ნათლად გამოჩნდეს შენი ვაჟკაცობა და გულწრფელი მეგობრობა.

ერთი ახალი საარქიეპისკოპოსო კათედრა – 34. *ἡ Σαθηρισὺπολις* (H. Gelzer Ungedr. U. unveröff. Texte, გვ. 551) და ეს კათედრა მოხსენებულია ყველა შემდგომ წუსხაში: კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელში – 36. *ἡ Σαθηρισὺπολις* (H. Gelzer, Georgius Cyprius, გვ. 60), იოანე ციმისხის დროინდელში – 36. *ἐπαρχίας* (სახელწოდება ხელნაწერში აკლია), *ἡ Σαθηρισὺπολις* (იხ. აგრეთვე ზემოთ, ეკთესისების ბერძნულ ცხრილში, ნოტიციები Xბ, Xგ, და გვ. 232). „სოტერიუპოლისი“, როგორც ჩანს (იხ. ქვემოთ, გვ. 233), არის აფხაზეთის ქალაქი ბიჭვინთა. ვისი არქიეპისკოპოსი შეიძლება იჯდეს ამ დროს, მთელი X საუკუნის მანძილზე, ბიჭვინთის ბერძნულ კათედრაზე? დასავლეთ საქართველოს ჰქონდა წინათ ორი საარქიეპისკოპოსო კათედრა, სებასტოპოლის-ცხუმისა და ნიკოფსიისა, რომლებიც IX საუკუნის მეორე ნახევრამდე კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, ხოლო შემდეგ მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდნენ და ამიტომაც ისინი აღარ იხსენიებიან Νέα τακτικά-ში (იხ. ზემოთ გვ. 196). მამასადამე, ამ დროს, X საუკუნეში, აღარ შეიძლება ბიჭვინთაში იჯდეს აფხაზთა ან ლაზთა (და საერთოდ ქართველთა) არქიეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელქვეითი. დაგვრჩენია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ სოტერიუპოლის-ბიჭვინთაში ზის კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელქვეითი არქიეპისკოპოსი ალანებისა. XI საუკუნის ეკთესისში კი, როგორც ჩანს X ნოტიციიდან (იხ. ზემოთ გვ. 144), ალანის ცალკე სამიტროპოლიტო კათედრა მიუღია.

კონსტანტინე პორფიროგენეტი

კონსტანტინე პორფიროგენეტი, ბიზანტიის კეისარი 912 – 959 წლებში, ცნობილია ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში როგორც ავტორი რამდენიმე ორიგინალური და კომპილაციური ნაწარმოებისა, მისი განკარგულებით შედგენილ იქმნა ძველ მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოკრეფილ ექსცერპტთა კრებულები, განსაკუთრებული თემების მიხედვით. ამ ნამუშევრიდან ცნობილია მისი კრებულები: *De legationibus*, *De sententiis*, *De vitiis* და სხვა.

რაც შეეხება ორიგინალურ ნაწარმოებებს, ცნობილია მისი ნარკვევი *De thematibus* (Περὶ θεμάτων), რომელშიც აღწერილია ბიზანტიის ტერიტორიაზე არსებული თემები; *De administrando imperio* (ანუ Περὶ ἐθνῶν); *De caerimoniis aulae byzantinae* („ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“) და „ბასილი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

1. განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის Περὶ ἐθνῶν. ამ თხზულებით კონსტანტინე მიმართავს თავის შვილს რომანოზს, და აცნობს მას ყველა იმ ხალხსა და სახელმწიფოს, რომლებიც გარს აკრავს ბიზანტიას.

კონსტანტინეს ამ თხზულების შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ ის კომპილაციას წარმოადგენს, რომ ის ფაქტიურად მისი თანაშემწეების მიერ არის შედგენილი და არა დამოუკიდებლად, აკად. უსპენსკი ამბობს („Византийские владения на сев. бер. Черноморья в IX и X вв.“, გვ. 10): „არც *De caerimoniis*-ში, არც *De adm. imperio*-ში არა ჩანს პირადი კომპოზიცია, არც დამოუკიდებელი დამუშავება. თითოეული თავი წარმოადგენს ან ცალკე საანგარიშო მოხსენებას, ან განსაკუთრებულ დოკუმენტს, რომელიც არქივებში ინახებოდა, ან ცალკე ნაშრომს, სპეციალური დაკვეთით შესრულებულს... ადვილი საფიქრებელია, რომ აქ გვაქვს იმპერატორის ბრძანებით შეკრებილი მასალები, რომლებიც შეუსწორებელი დარჩენილა და ერთიმეორეს შეუჯერებელი; საერთოდ აქ გვაქვს ნედლი არქეოლოგიური და ისტორიული მასალები“.

მაგრამ ეს არ მტკიცდება ამ თხზულების შესწავლით. დოკუმენტები და მასალები აქ მრავლად მოჩანს, მაგრამ ნედლად შეტანილი კი არ არის ესენი, არამედ მათ საფუძველზე აგებულია მთლიანი საისტორიო თხზულება. სწორედ იმ ნაწილში, რომელიც იბერიას (და საერთოდ კავკასიას) ეხება, ავტორს, ჩანს, ხელთ ჰქონია დიპლომატიკური დოკუმენტები.

დოკუმენტების გარდა ავტორი სარგებლობს დაწერილი თხზულებებით, ასე, მაგ., იმ თავებისათვის რომლებიც იტალიას ეხება (თავი 26 – 28), ავტორს გამოუყენებია მე-10 საუკუნის მწერლის ლიუტპრანდის ნაშრომი.

დასასრულ, ავტორი სარგებლობს ზეპირი წყაროებით, იმ პირთა მონათხრობებით, რომლებიც ადგილობრივ ყოფილან და გასცნობიან ამა თუ იმ ქვეყნის ყოფაცხოვრებას.

რა თქმა უნდა, ზოგი რამ ამ თხზულებაში დამზადებული შეიძლება იყოს სხვათა მიერ, კონსტანტინეს ხელქვეითების მიერ, რომელთაც კონსტანტინე დავალებას მისცემდა. მაგრამ ყველაფერი ეს ავტორის მიერ არის დალაგებული და ჩამოყალიბებული ერთ მთლიან ნაწარმოებად, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ერთი განზრახვა – მეზობლებთან ურთიერთობის შესახებ შვილისათვის ცნობების მიწოდება.

თხზულების შესავალშივე ის მიმართავს თავის ვაჟს:

„დაუფიქრდი აწმყოს და შეისწავლე მყოფადი, რათა შეაზავო გამოცდილება და გამჭირახობა, და შენ საქმის მცოდნე გამოხვალ. აი, მე გაძლევ დარიგებას, რათა ისარგებლო მისი გამოცდილებით და ცოდნით კარგი გადაწყვეტილების მისაღებად, და არ ჩაიძინო შეცდომები საერთო კეთილდღეობის საზიანოდ. პირველ ყოვლისა საჭიროა იცოდე: რომელი ტომი რაში შეიძლება გამოადგეს რომაელებს (ე. ი. ბიზანტიელებს), რა შეიძლება მან ავნოს მათ და რანაირად: რომელი ტომების საშუალებით შეიძლება მათ დაემუქრო და დაიპყრო. შემდეგ მოგიტხრობ მათი უზომო სიხარბის, დაუკმაყოფილებელი მისწრაფებისა და უსაფუძვლო მოთხოვნების შესახებ. შემდეგ – თითოეული ტომის ღირსებათა შესახებ, მათი წარმოშობისა და ყოფაცხოვრების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოხდა სხვადასხვა დროს რომაელებსა და სხვადასხვა ხალხებს შორის და რა მოხდა ახალი ჩვენს სახელმწიფოში და რომაელთა მთელ მიწაწყალზე. ეს მე გონიერად მოვიფიქრე და გადაწყვიტე გაცნობო შენ, ჩემ საყვარელ ვაჟს, რათა შენ გაიცნო თითოეული ამ ხალხის ღირსება-ნაკლი და ისწავლო, თუ როგორ

დაუკავშირდე მათ, როგორ მოათვინიერო ისინი, ებრძოლო მათ და დაამარცხო“.

De administrando imperio მოღწეულია ორი ხელნაწერით:

1) Cod. Parisinus Regius 2009 gr. membranaceus, XII საუკუნისა, რომელიც გამოიყენა ბეკერმა თავის გამოცემაში (ხელნაწერი ბეკერს ზედმიწევნით და კარგად აქვს გამოყენებული, ხოლო საკუთარი სახელების მართლწერის დადგენაში ზოგი რამ გაურკვეველი დასტოვა).

2) Cod. Parisinus Regius 2957 gr. chartaceus, XVI საუკუნისა.

ამ ორი ხელნაწერის გარდა უნდა ვივარაუდოთ მესამე ხელნაწერიც (cod. Palatinus), რომელიც გამოუყენებია De adm. Imp.-ის პირველ გამომცემელს Meursius-ს (1611 წ.) და რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. დაკარგული ხელნაწერის მაგივრობას, ვარიანტების შესაწამებლად, გვიწევს მეურსიუსის გამოცემა ¹.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: De administrando imperio-ს პირველი გამოცემა ეკუთვნის J. Meursius-ს (Lugduni Batavorum, 1611 წ.), რომელმაც ტექსტი დაბეჭდა პალატინის ბიბლიოთეკის (დღეს დაკარგული) ხელნაწერის მიხედვით (განმეორებული გამოცემა 1617 წ.). მეორე გამოცემა გამოვიდა 1711 წელს (ed. A. Banduri, Imperium orientale, tomus I, Parisiis 1711). უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ი მ ა ნ უ ე ლ ბ ე კ ე რ ს (Constantinus Porphyrogenitus. De thematibus et De administrando imperio, accedit Hieroclis Syncedemus cum Banduri et Wesselingii commentariis. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnae 1840). ახალი გამოცემა ეკუთვნის ცნობილ უნგრელ მეცნიერს G. Moravcsik-ს (1949 წ.).

რუსულად ამ შრომის თარგმანი ეკუთვნის გ. ლასკინს:

Г. Л а с к и н, Сочинения Константина Багрянородного „О фемах“ (De thematibus), „О народах“ (De admministrando imperio). С предисловием Гавриила Ласкина. Москва 1899, стр. 263 ².

¹ იხ. BZ VI (1897), 590.

² ამ წიგნის რეცენზენტი ი. ს ო კ ო ლ ო ვ ი (Византийский Временник VI [1899], 572 – 576) საერთოდ იწონებს ფაქტს კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებათა სრული თარგმანის გამოცემისას, მაგრამ აღნიშნავს, რომ არც შესავალ ნარკვევშია რაიმე „ახალი კონსტანტინეს სალიტერატურო მოღვაწეობაზე და არც მთარგმნელის შენიშვნებია ყოველთვის დამაჯერებელი და ავტორიტეტული“. მეორე რეცენზენტი კი, ს. პ ა კ ა დ ი მ ი ტ რ ი უ BZ IX [1900] 516 – 523), აღნიშნავს მრავალს შეცდომას თარგმანში; შენიშვნები მიაჩნია არაორიგი-

უკანასკნელად *De administrando imperio* თარგმნა ვ. ლატი-შევმა *Константина Багрянородного «Об управлении государством»* Перев. В. Л а т ы ш е в а. М. – Л. 1934. (– Изв. ГАИМК, вып. 91). ვ. ლატიშევს ეს თარგმანი დამზადებული ჰქონდა თავისი სერიისათვის *Scythica et Caucasica*, ხოლო თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო დაბეჭდვა. 1934 წელს ის დაიბეჭდა, სამწუხაროდ, უბერძნულ-ტექსტოდ და, საზოგადოდ, უაპარატოდ.

2. შრომაში „*De caerimoniis aulae byzantiae*“ აღწერილია სამეფო კარზე სხვადასხვა შემთხვევების დროს მიღებული წესები. ეს თხზულება წარმოადგენს ძვირფას წყაროს ისტორიისა და ლიტერატურის ისტორიისთვისაც: ისტორია იძენს აქ ცნობებს სასახლეთა, ტაძართა და მთელი ქალაქის ტოპოგრაფიაზე, სამეფო კარზე არსებულ თანამდებობათა და საპატიო წოდებათა შესახებ, სამეფო კარის „გარიგებაზე“. აქვე ვკითხულობთ იმაზე, თუ რა ტიტულით მიმართავდნენ ხოლმე კეისრები უცხო სახელმწიფოთა მეთაურებს¹. ლიტერატურის ისტორიას ბევრსა სძენს, მაგალითად, ამ თხზულებაში მოყვანილი მეტრული შემახილები (*πρὸσφοῦματα*), რომლებითაც ხალხი მიესალმებოდა ხოლმე კეისარს სხვადასხვა საზეიმო შემთხვევაში.

ეს ტრაქტატი ჩვენამდის მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით: ეს არის ლაიფციგის ხელნაწერი XII – XIII საუკუნისა. ჰამბურგის ბიბლიოთეკაში არის XVIII საუკუნის ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ლაიფციგის ხელნაწერიდან გადმოწერილ რამდენსამე გვერდს. გარდა ამისა ნაპოვნია კიდევ კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელი ხელნაწერის ერთი ფურცელი².

ხელნაწერში თხზულების სათაური ასეთია „თხზულება და ჭეშმარიტად მეფური გულმოდგინეობის ღირსი ნაშრომი ქრისტეს-მოყვარე და სამარადისო უფლის ქრისტეს მიერ მეფისა კონსტანტინესი, მისა ლეონისა, უბრძნესი და მარადსახსოვარი მეფისა“ (*Κωνσταντίνου τὸν φιλοχρίστου καὶ ἐν αὐτῶ τῶ Χριστῶ τῶ αἰωνίῳ*

ნალურად და ბევრ შემთხვევაში მცდარად, რაც იქიდან წარმოდგება, რომ ლასკინს ეს შენიშვნები ამოუკრეფია Lübker-ის ან Pape-Benseler-ის ლექსიკონებიდან, ხოლო ვერ გაუგია სწორად, და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლასკინის თარგმანი მკითხველმა დიდის სიფრთხილით უნდა აიღოს ხელში (გვ. 518).

¹ კონსტანტინეს შრომაში არსებული ამ ცნობების დამუშავება ეკუთვნის დ. ბელიაევს (*Д. Б е л я е в, Byzantina. Очерки, материалы и заметки по византийским древностям. I – III, СПб 1891 – 1907*).

² იხ, A. Vogt-ის გამოცემა, გვ. VII.

βασιλεί βασιλεως υἱού Λέοντος τού σοφωτάτου καί ἀειμήστου βασι-
 λεως σύνταγμα τι καί βασιλείου σπουδής όντως άξιον ποιήμα). ხოლო
 პირველმა გამომცემელმა წინასათაურად დაურთო: "Εκθεσις τῆς
 Βασιλείου τάξεως („სამეფო გარიგების წუსხა“), საიდანაც მომდინა-
 რეობს ლათინური სათაური: De caerimoniis aulae Byzantinae.

პირველი გამოცემა კომენტარებითურთ ეკუთვნის J. J. Reiske-ს
 (1754 წ.). რაისკეს დამუშავებული ტექსტი, მისივე კომენტარებით,
 გამოსცა ნიბურმა ბონის კორპუსში (1829 – 1830 წ.წ.), ხოლო გაი-
 მეორა Migne-მა: PG, ტ. 112. ახალი გამოცემა ეკუთვნის A. Vogt-ს,
 Le livre des cérémonies (Paris, 1935).

3. „De thematibus“ წარმოადგენს ტრაქტატს ბიზანტიაში
 არსებული ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) განრიგებაზე.
 ამ თხზულებაში კონსტანტინე თემების X საუკუნის მდგომარეობას
 კი არ აგვიწერს, არამედ ძველს, VII – VIII საუკუნეებისას. ეს
 თხზულება ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ბიზანტიური თემური
 ორგანიზაციის შესასწავლად.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობათა დამუშავების დროს
 ხელთ გვქონდა:

Constantinus Porphyrogenitus, I – III (CB):
 vv. I – II: De caerimoniis aulae byzantinae, e recensione J. Reis-
 kii (Bonnae 1829 – 1830); v. III: De thematibus et de admini-
 strando imperio. Recognovit Immanuel Bekkerus (Bonnae 1840) ¹.

Constantin VII Porphyrogénète, Le livre des
 Cérémonies. Texte établi et traduit par A. Vogt. T. I, Paris
 1935 (ორ წიგნად: ტექსტი თარგმნითურთ და კომენტარები).

Сочинения Константина Багрянородного „О фе-
 мах“ и „О народах“, с предисловием Гавриила Ласкина.
 Москва 1899.

Константина Багрянородного: „Об управлении
 Государством“ „О фемах Запада, т. е- Европы“, „Изложение цар-
 ского чина“ [Перевод В. Латышева]. М.-Л. 1934 (= Изв.
 ГАИМК, вып. 91). თარგმნილი ცალკეული ნაწყვეტები.

Д. Беляев, Byzantina, Очерки, материалы и заметки по
 византийским древностям, I – III. СПб 1891, 1893, 1907.

¹ სამწუხაროდ, ხელთ არ გვქონდა Constantini Porphyroge-
 niti, De administrando imperio. Greek text ed. by G. Moravcsik. Engl.,
 translation by R. J. H. Jenkins. Budapest. 1949.

DE ADMINISTRANDO IMPERIO

შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო

Κεφάλαιον μβ¹

Γεωγραφία ἀπὸ Θεσσαλονίκης μέχρι τοῦ Δανούβειος ποταμοῦ καὶ τοῦ κάστρον Βελεγράδας, Τουρκίας τε καὶ Πατζινακίας μέχρι τοῦ Χαζαρισκοῦ κάστρον Σάρκελ, τῆς Ῥωσίας, καὶ μέχρι τῶν Νεχροπόλων τῶν ὄντων εἰς τὴν τοῦ Πόντου θάλασσαν πλησίον τοῦ Δανάπρωος ποταμοῦ, καὶ Χερσῶνος ὁμοῦ καὶ Βοσπόρου, ἐν οἷς τὰ κάστρα τῶν Κλιμάτων εἰσὶν, εἶτα μέχρι λιμνης Μαιώτιδος τῆς καὶ θαλάσσης διὰ τὸ μέγεθος καλουμένης, καὶ μέχρι τοῦ κάστρον τοῦ [Τα]μάταρχα λεγομένου, πρὸς τούτοις δὲ καὶ Ζιχίας καὶ Παπαγίας καὶ Καζαχίας

καὶ Ἀλανίας καὶ Ἀβασγίας, καὶ Ἰστέον ὅτι ἀπὸ Θεσσαλονίκης μέχρι τοῦ ποταμοῦ Δανούβειος, ἐν ᾧ τὸ κάστρον ἐστὶ τὸ Βελέγ-
ραδα ἐπονομαζόμενον, ἔστιν ὁδὸς ἡμερῶν ὀκτώ, εἰ καὶ μὴ διὰ τάχους τις ἀλλὰ μετὰ ἀναπαύσεως πορεύεται. καὶ κατοικοῦσι μὲν οἱ Τοῦρκοι πέραθεν τοῦ Δανούβειος ποταμοῦ ἀλλὰ καὶ ἔγθεν

თავი 42

აღწერა ქვეყნებისა თესალონიკიდან დანუბისამდე და ბელეგრადის ციხემდე, თურქეთისა და პაჭანიკეთისა ვიდრე ხაზართა ციხე სარკელამდე, რუსეთამდე, და ვიდრე ნეკროპილამდე, რომელიც პონტოს ზღვაშია მდინარე დანაპრისის მახლობლად, ქერსონამდე ისევე როგორც ბოსპორამდე, სადაც არის კლიმატების ციხეები, შემდეგ ვიდრე მეოტის ტბამდე, რომელსაც სიდიდის გამო ზღვა ეწოდება, და ვიდრე ეგრეთწოდებულ ტამატარხის ციხემდე; გარდა ამისა ჯიქეთისა, პაპაგიისა, კაზახიისა, ალანისა და აბაზგიისა ვიდრე სოტერიუპოლის ციხემდე¹.

მეზღვი ოქროსი ოქროსი ოქროსი¹.

საცოდნელია, რომ თესალონიკიდან მდინარე დანუბისამდე, რომელზედაც მდებარეობს ბელეგრადად წოდებული ციხე-ქალაქი, რვა დღის გზაა, თუ კაცი მიდის არა სწრაფი ნაბიჯით, არამედ შესვენებით. მდინარე დანუბისის გადაღმა ცხოვრობენ თურქები² (უნგრელები), აგრეთვე მორავიის

¹ ხელნაწერში ამ სათაურის გასწვრივ არშიაზე სწერია: *Περὶ ἡγεσίας γεωγραφικῆ τῆς Σκυθικῆς γῆς* „სკვითების ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა“. ამ შენიშვნის დამწერი, როგორც ჩანს, სკვითიას უწოდებდა ქვეყნებს თესალონიკის ჩრდილოეთით და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების გასწვრივ ვიდრე აბაზგიამდე.

² «თურქებად» აქ იგულისხმებიან უნგრელები.

უნგრელების უძველეს სახელწოდებად კონსტანტინე პორფიროგენეტს De adm. imp-ის 38. თავში მოჰყავს *Σαβαρτοῦ ἄσφαλοι*. თურა შედგენილობისაა ეს სიტყვა და რა მნიშვნელობისა, ამაზე საკმაოდ დაწვრილებით უწერიათ უნგრელ მეცნიერთ: K. Fiok, W. Pecz, J. Thury და J. Gyomlay-ს (იხ. 87, VI [1897], 179 – 181; VII [1898], 201 – 202. 618 – 619). მათი კვლევის შედეგად მიღებულია განმარტება: *Σαβαρτοῦ ἄσφαλοι*, სადაც პირველი სიტყვა სომხური წარმოშობისად არის მიჩნეული (*սիւա* „შავი“, *որի* „ვავი“), ხოლო მეორე – ბერძნულად

εις την της Μοαβίας γην¹, με-
σον του Δανούβειος και του Σάββα
ποταμου· από δε κάτωθεν των
μερών Δανούβειος ποταμου της
Δίστρας αντίπερα ή Πατρινακία
παρέρχεται, και κατακρατεί ή
κατοικία αυτών μέχρι του Σάρκελ
του των Χαζάρων κάστρου, εν ή
ταξέωται καθέξονται τ'² κατά
χρόνον έναλλασσομένοι. έριμη-
νεύεται δε παρὰ αυτοίς το Σάρ-
κελ άσπρον όσπίτιον.³ όπερ έκ-
τίσθη παρὰ σπαθιροκαυδιδάτου

ქვეყანაში, დანუბისსა და სავას
წყალს შუა. მდინარე დანუბისის
ქვედა წელიდან, დისტრის პირდა-
პირ, იწყება პაჭანიკეთი; პაჭანიკთა
სამფლობელო ვრცელდება სარკე-
ლამდე, ხაზართა ციხემდე, სადაც
ზის სამასი² მეციხოვნე, რომლებიც
ყოველწლიურად იცელებიან. «სარ-
კელ» მათ ენაზე ნიშნავს «თეთრ
სახლს». იგი აგებულია სპათარო-
კანდიდატის პეტრონას, კამატე-
რად წოდებულის, მიერ, როდე-
საც ხაზარებმა სთხოვეს მეფე

(საშუალო ბერძნულის ფორმით ასφαლი „მტკიცენი“), ე. ი. მთელი გამოთქმა
ნიშნავს „მტკიცე სავარტები“ (შავი ვაჟკაცები).

ლასკინის მოსაზრება, რომ *Σαβαρτοιάσφαλοι* შეიძლება უკავშირდე-
ბოდეს ქართულ „ს ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ო ს“ (Ласкин, 142, прим. 611), მოკლე-
ბულია ყოველგვარ საფუძველს.

¹ ხელნაწერშია: *Δαν. ποτ. εις την της Μοαβίας γην, αλλά κ. ενθα μέ-*
σον... ჩვენ გადავსხით სიტყვები თანახმად *მ ა რ კ ვ ა რ ტ ი ს* შესწორებისა
(Streifz. 119).

² ბეკერის გამოცემაში არის ტა, რაც ჩვენის აზრით შეცდომაა; თუ
აქ ართრონია საჭირო, მაშინ უნდა იყოს *οί κατά γο. έναλλασσομένοι*. მაგრამ
რომ აქ τ¹ („სამასი“) იყო, ჩანს იქიდან, რომ „თეოფანეს გაგრძელებაში“, რომე-
ლიც კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ადგილს იყენებს, სწერია *Χαζάρων*
ταξέωται καθέξονται τριακόσιοι („სამასი“) *κατά χρ. έναλλασσομένοι* (იხ.)
Theophanus Continatus. Rec. Bekkerns, CB, 1838, გვ. 123,1). იხ. B u r y:
BZ XV (1906), 569 – 570.

³ ეს სიტყვა ლათინურიდან (hospitium) არის შემოსული საშუალო ბერ-
ძნულში და „სახლს“ ნიშნავს; მან განდევნა სასაუბრო ენიდან ბერძნული οἶκία,
οἶκος, οἶκημα. ახალს ბერძნულში ერთადერთი სიტყვა „სახლისათვის“ არის იმა-
ვე ლათინური სიტყვიდან განვითარებული σπίτι.

სარკელის ციხის აგების ამბავი მოთხრობილია, კონსტანტინე პორფირო-
გენეტის მიხედვით. „თეოფანეს გაგრძელებაშიც“ (წიგნი III, 28, CB გვ. 122 – 172),
სადაც სწერია: «სარკელ... რომელიც გადმოითარგმნება Λευκόν οἶκημα» („თეთ-
რი სახლი“), ე. ი კონსტანტინეს მიერ ნახმარი სასაუბრო გამოთქმა *όσπίτιον*
გადაკეთებულია ატიკურად.

სარკელის მდებარეობას განსაზღვრავენ დონის შესართავთან (ახლანდელ
ტაგანროგის ადგილას) და ამ ციხესთან აიგივებენ რუსულ მატიანეში მოხსენებულ
„Белая Вежа“-ს, რომელიც 965 წელს დაიპყრო ს ვ ი ა ტ ო ს ლ ა ვ მ ა. იხ. В. Г.
В а с и л ь е в е с к и й, О построении крепости Саркела: ЖМНПР 1889, часть
266, გვ. 273 – 289; M a r q u a r t, Streifzüge, გვ 474; Н. G e l z e r. Byz.

Πετρωνᾶ τοῦ ἐπονομαζομένου Καματηροῦ², τὸν βασιλέα Θεόφιλον πρὸς τὸ κτισθῆναι αὐτοῖς τὸ κάστρον τοῦτο τῶν Χαζάρων αἰτησαμένων. ὁ γὰρ χαγάνος ἐκεῖνος καὶ ὁ πᾶχ² Χαζαρίας, εἰς τὸν αὐτὸν βασιλέα Θεόφιλον πρέσβεις ἀποστείλαντες κτισθῆναι αὐτοῖς τὸ κάστρον τὸ Σάρκελ ᾗτήσαντο· οἷς ὁ βασιλεὺς, τῇ τούτων αἰτήσει πεισθεὶς, τὸν προρρηθῆντα σπαθιροκανδιῶτον Πετρωνᾶ μετὰ χελανθίων βασιλικῶν πλωτῶν ἀπέστειλε, καὶ χελάνθια τοῦ κατεπάνω Παφλαγονίας. καὶ ὃς ὁ αὐτὸς Πετρωνᾶς τὴν Χερσῶνα καταλαβὼν τὰ μὲν χελάνθια εὗρεν ἐν Χερσῶνι, τὸν δὲ λαὸν εἰσαγαγὼν εἰς καματερά

თეოფილეს¹ – აეგო მათთვის ეს ციხე. თვით ხაზარეთის ხაგანმა და ბეგმაც³ გაგზავნეს მეფე თეოფილესთან მოციქულები და სთხოვეს – აეგო მათთვის სარკელის ციხე. მეფე დაჰყვა მათ თხოვნას და გაგზავნა ზემოხსენებული სპათაროკანდიდატი სამეფო ნავ-ხელანდიონებით და პაფლაგონიის კატაპანის ხელანდიონები. ხერსონში რომ ჩავიდა ეს პეტრონა, ნახა ხერსონში ხელანდიონები, ჩასხა ხალხი საზიდ ნავებში და გაემგზავრა მდინარე ტანაიდის იმ ადგილისაკენ, სადაც ციხე უნდა აეგო; და რადგან ამ ადგილას არ მოიპოვებოდა ციხის ასაგებად გამოსადეგი ქვები, გააკეთა ღუმელები, გამოსწვა ამ ღუმელებში აგური და იმით

Kulturgeschichte, გვ. 273 – 289 (რუს. გამ. წიგნში Очерки по истории Византии, под ред. Бенешевича, вып. II, СПб 1912, გვ. 52).

¹ თ ე ო ფ ი ლ ე კეისრად იყო 829 – 842 წლებში სპათაროკანდიდატი პეტრონა იყო თეოფილეს ცოლისძმა (დედოფალ თ ე ო დ ო რ ა ს ძმა); იგი გაგზავნა თეოფილემ სარკელის ციხის ასაგებად 883 წელს. პეტრონა მოხსენებულია როგორც კ ა მ ა ტ ე რ ო ს თ ა საგვარეულოს წევრი: ამ საგვარეულოს შესახებ იხ. V. L a u r e n t, Un sceau inédit du protonotaire Basile Kamatéros: Byzantion VI (1981), 253 – 272 (განსაკუთრებით, გვ. 261 – 271) და G. S t a d t - m ü l l e r, Zur Geschichte der Familie Kamateros: BZ 34 (1934), 352 – 358.

² პეტრონა კამატეროსი მოხსენებულია აქ როგორც ს პ ა თ ა რ ო კ ა ნ - დ ი დ ა ტ ი. როდესაც თეოფილემ იგი ხერსონში გაგზავნა სტრატეგოსად, პ რ ო - ტ ო ს პ ა თ ა რ ო ბ ა უბოძა მას.

ს პ ა თ ა რ ი (σπαθάριος) ეწოდებოდა თავდაპირველად „გრძელი მახვილით“ (σπάθη) შეიარაღებულ ჯარისკაცს. ბიზანტიურს ეპოქაში სპათარები წარმოადგენდნენ კეისრის საპატიო გვარდიას. სასახლის ხშირი აჯანყებების დროს კეისარი სათავეში ჩაუდგებოდა ხოლმე თავის სპათარებს და ისე იცავდა თავს. პროტოსპათარი ეწოდებოდა სპათართა რაზმის უფროსს: მაგ., იუსტინიანეს დროს ეს თანამდებობა ეჭირა ნარსესს. შემდეგ ხანებში სპათარი, პროტოსპათარი და სპათაროკანდიდატი საპატიო წოდებაა (Byzantion IV [1929], 122).

³ ხელნაწერებშია ὁ καὶ πᾶχ შესწორება ეკუთვნის Bury-ს (BZ V, 570).

καράβια¹ ἀπήλθιν ἐν τῷ τόπῳ αὐτοῦ τῶν Ἰαννάδου ποταμοῦ, ἐν ᾧ καὶ τὸ κάστρον ἔμελλε κτίσασθαι· καὶ ἐπειδὴ ὁ τόπος λίθινος οὐκ εἶχε πρὸς κτίσιν τοῦ κάστρου ἐπιτηδεύουσας, καμίνιά τινα ποιησάμενος καὶ βήσαλον ἐν αὐτοῖς ἐγκάυσας μετ’ αὐτῶν τὴν τοῦ κάστρου κτίσιν ἐποιήσατο, ἐκ μικρῶν τινῶν τῶν ἐκ τοῦ ποταμοῦ καχλήκων² ἄσβεστον ἐργασάμενος.

Οὗτος οὖν ὁ προρρηθὲς σπαθιაროκανθιδᾶτος Πეტρωνᾶς μετὰ τὸ κτίσασθαι τὸ κάστρον τὸ Σάρκελ πρὸς τὸν βασιλέα Θεοφίλον εἰσελθὼν εἶπεν αὐτῷ ὅτι εἰ θύλης ἕλως τὸ τῆς Χερσῶνος κάστρον καὶ τοὺς ἐν αὐτῇ τόπους κურίως ἐξουσιάσαι καὶ τούτους μὴ τῆς σῆς ἐκτὸς γενέσθαι χειρὸς, προβάλλου στρατηγὸν ἴδιον, καὶ μὴ τοῖς ἐκαίνων καταπιστεύσης πρωτεύουσί τε καὶ ἄρχουσι· μέχρι γὰρ Θεοφίλου τοῦ βασιλέως οὐκ ἦν στρατηγὸς ἀπὸ τῶν ἐντεῦθεν ἀποστελλόμενος, ἀλλ’ ἦν ὁ τὰ πάντα διοικῶν ὁ λεγόμενος πρωτεύων μετὰ τῶν ἐπονομαζομένων πατέρων τῆς πόλεως.

Τοῦ οὖν βασιλέως Θεοφίλου πρὸς ταῦτα βουλευσαμένου τὸν ὀδεῖνα ἐξαποστεῖλαι στρατηγὸν ἢ τὸν ὀδεῖνα, ὕστερον ἀποστεῖλαι προέκρινε τὸν προρρηθέντα σπαθιარοκανθιδᾶτον Πეტρωνᾶ ὡς ἔμπειρον τοῦ τόπου γενόμενον καὶ

ზემოხსენებული სპათაროკანდიდატი პეტრონა, სარკელის ციხის აგების შემდეგ, მოვიდა თეოფილე მეფესთან და უთხრა: „თუ გსურს სრულად დაეკატრონო ხერსონის ციხეს და მის მიდამოებს და არ გინდა ისინი ხელიდან გამოგეცალოს, ნუ ენდობი იქაურ მთავრებსა და არქონტებს და ჩააყენე საკუთარი სტრატეგოსი“. თეოფილე მეფის დრომდე იქ, მართლაც, არ იგზავნებოდა აქედან სტრატეგოსი, არამედ მართავდა ეგრეთწოდებული მთავარი (პრავტუსან) ქალაქის, როგორც იტყვიან, მამებთან ერთად.

თეოფილემ ასწონ-დასწონა, თუ ვინ გაეგზავნა იქ სტრატეგოსად, და, ბოლოს, გადაწყვიტა ზემოხსენებული სპათაროკანდიდატი პეტრონა მიევლინა იქ, როგორც მცოდნე ამ ადგილისა და საქმეშიც კარგად ჩახედული. მეფემ

¹ ხალხური *εἰς καμ. καθ.* „თეოფანეს გაგრძელებაში“ შეცვლილია *σπιδου-γύλαις ναυσί-თ.*

² ხელნაწერში იკითხება *καχλιδῶν*, რაც არავითარ აზრს არ შეიცავს. Meursius-ს თავის გამოცემაში შეუსწორებია *καχλιδῶν* („წვრილი ნიჟარებისაგან“), მაგრამ ეს ამკარა შეუსაბამობაა: შეუძლებელია კირი გამოეწვათ ნიჟარებისაგან. უფრო მისაღებია ვიფიქროთ, რომ *ΙΙΙ* წარმოსდგა *IK*-ისაგან და დედანში ეწერა *καχλικων*, ე. ი. *καχλήκων* („რიყის ქვა“, „ქვიშა“). ამას მხარს უჭერს „თეოფანეს გაგრძელება“, სადაც სწერია *ἐκ τῶν μικρῶν καχλήκων.*

τῶν πραγμάτων οὐκ ἀνεπιστή-
μονα· ὃν πρωτοσπαθᾶριον τιμή-
σας προεβάλετο στρατηγὸν καὶ
εἰς Χερσῶνα ἐξαπέστειλεν, ὁρί-
σας τὸν τότε πρωτεύοντα καὶ
πάντας ὑπείκειν αὐτῷ· ἔξ οὗ καὶ
μέχρι τῆς σήμερον ἐπεκράτησεν
ἀπὸ τῶν ἐντευθειν εἰς Χερσῶνα
προβάλλεσθαι στρατηγούς.

Ἄλλ' αὕτη μὲν ἡ κάστρου Σάρ-
κελ κτίσις καθέστηκεν, ἀπὸ δε-
τοῦ Δανούβειος ποταμοῦ μέχρι
τοῦ προρρηθέντος κάστρου
τοῦ Σάρκελ ὁδὸς ἐστὶν ἡμερῶν
ξ'. μέσον δὲ τῆς τοιαύτης γῆς
ποταμοὶ μὲν εἰσι πολλοί, δύο δὲ
μέγιστοι ἔξ αὐτῶν, ὃ τε Δάνα-
στρις καὶ ὁ Δάναπρις. εἰσι δὲ
ἕτεροι ποταμοί, ὃ τε λεγόμενος
Συγγούλ καὶ ὁ Ἰβυλ, ὁ Ἄλμα-
ται καὶ ὁ Κούφις ὁ καὶ Βογού¹,
καὶ ἕτεροι πολλοί. εἰς δὲ τὰ
ἡψηλότερα τοῦ Δανάπριος πο-
ταμοῦ μέρη κατοικοῦσιν οἱ Ῥῶς·
δι' οὗ ποταμοῦ ἀποπλέοντες πρὸς
Ῥωμαίους ποιοῦνται τὴν ἀφιξίν·
ἡ δὲ Πατζινακία πᾶσαν τὴν γῆν
τῆς τε Ῥωσίας καὶ Βοσπόρου
κατακρατεῖ, καὶ μέχρι Χερσῶνος
καὶ ἕως τὸ Σαρᾶτ, Βουράτ καὶ

უბოძა მას პროტოსპათაროზა და
სტრატეგოსად გაგზავნა ხერსონ-
ში; ხერსონის მაშინდელ მთავარსა
და ყველას უბოძანა მას დამორ-
ჩილებოდნენ. აი, ამ დროიდან მო-
კიდებული ვიდრე დღემდე ძალა-
შია აქაური სტრატეგოსების გაგ-
ზავნა ხერსონში.

ასე იქნა აგებული სარკელის
ციხე. მდინარე დანუბისიდან ზე-
მოხსენებულ სარკელის ციხემდე
60 დღის სავალი გზაა. მათ შუა
მრავალი მდინარეა, მათ შორის
ორი ძალიან დიდი, დანასტრი და
დანაპრი, არის სხვა მდინარეებიც,
ეგრეთწოდებული სინგული და იბი-
ლი, ალმატე, კუვისი, ე. ი. ბოგი,
და ბევრი სხვაც. მდინარე დანაპ-
რის ზემო ნაწილებში როსები
ცხოვრობენ: ისინი ამ მდინარით
მოსცურავენ ხოლმე რომაელთა
ქვეყნებისაკენ. პაჭინაკია კი მოი-
ცავს როსიისა და ბოსპორის გას-
წვრივ მთელ ქვეყანას ვიდრე ხერ-
სონამდე, სარატამდე, ბურატამ-
დე და „30 მხარემდე“. ზღვის ნა-
პირი მდინარე დანუბისიდან და-
ნაპრისამდე² 120 მილის სიგრძი-
საა. მდინარე დანასტრისიდან მდი-

¹ ხელნაწერში სწერია ὁ Κούφις καὶ ὁ Βογού. კონიექტურა ეკუთვნის
მარკვარტს (Streifz. 505). აქ „კუვის“ წარმოადგენს მდ. ბუგის მეორე სა-
ხელწოდებას (თეოფანეს Κούφις კი ყუბანია).

² ვესტბერგის აზრით (დასახ. ნაშრ. 239) ამის მაგიერ უნდა იყოს
„დანასტრისამდე“. იხ. ფრ. В е с т б е р г, Записка Готского Тонарха: В. Вр.
XV (1910), 71 – 132, 227 – 236, სადაც 235 – 250 გვერდებზე მოიპოვება სპეცია-
ლური თავი: Описание северных берегов Черного моря у Константина Баг-
рянородного და განხილულია De adm. imperio-ს 42. თავი (ვესტბერგის ეს ნაშ-

των λ' μερών. τὸ δὲ τῆς παρα-
λίης τῆς θαλάσσης ἀπὸ τοῦ Δα-
νούβειος ποταμοῦ διάστημα μέχ-
ρι τοῦ Δανάπρειος¹ ποταμοῦ εἰσὶ μίλια ρλ'. ἀπὸ δὲ τοῦ Δανάστρειος
ποταμοῦ μέχρι τοῦ ποταμοῦ Δανάπρειος εἰσι μίλια π', ὁ χρυσὸς λε-
γόμενος αἰγιαλός².

ნარე დანაპრისამდე კი 80 მილია;
ეს არის ეგრეთწოდებული „ოქ-
როს სანაპირო“.

Ἄπὸ τὸ στόμιον ποταμοῦ τοῦ
Δανάπρειος εἰσι τὰ Ἄδαρά, καὶ
ἐκεῖσε κόλπος ἐστὶ μέγας ὁ λεγόμε-
νος τὰ Νεκρόπυλα³, ἐν ᾧ τις διελ-
θεῖν ἀδυνατεῖ παντελῶς, καὶ ἀπὸ
μὲν τοῦ Δανάπρειος ποταμοῦ μέ-
χρι Χερσῶνός εἰσι μίλια τ', ἐν
τῷ μέσῳ δὲ λίμναι καὶ λιμένες
εἰσὶν, ἐν αἷς Χερσωνῖται τὸ ἄλλας
ἐργάζονται. ἀπὸ δὲ Χερσῶνος
μέχρι Βοσπόρου εἰσὶ τὰ κάστρα
τῶν Κλιμάτων, τὸ δὲ διάστημα
μίλια τ'. καὶ ἀπὸ Βοσπόρου τὸ
τῆς Μαιώτιδος λίμνης στόμιόν
βασιλ' αὐτὸ καὶ θάλασσαν οὖσα ἐρ
βασιλ' αὐτὸ καὶ θάλασσαν οὖσα ἐρ

მდინარე დანაპრისის შესართა-
ვიდან იწყება ადარა, და იქ არის
დიდი ყურე, ე. წ. „ნეკროპილა“³,
რომლის გადალახვა სრულებით
არავის ძალუძს. მდინარე დანა-
პრისიდან ხერსონამდე 300 მილია,
შუაში ტბები და ნავსადგურებია,
სადაც ხერსონელები მარილს იღე-
ბენ. ხოლო ხერსონიდან ბოსპო-
რამდე კლიმატა ციხეებია, მან-
ძილი 300 მილია. ბოსპორიდან
იწყება მეოტის ტბა, რომელსაც,
მისი სიდიდის გამო, ზღვასაც ეძა-
ხიან ყველანი.

βασιλ' αὐτὸ καὶ θάλασσαν οὖσα ἐρ

Εἰς δὲ τὴν αὐτὴν Μαιώτιδα
θάλασσαν εἰσρέουσι ποταμοὶ πολ-
λοὶ καὶ μεγάλοι. πρὸς τὸ ἀρκ-
τῶν αὐτῆς μέρος ὁ Δάναπρις πο-
ταμός, ἐξ οὗ καὶ οἱ Ἰῶς διέρ-
χονται πρὸς τε τὴν μαύρην Βουλ-
γαρίαν καὶ Χαζαρίαν καὶ Συ-

ამ მეოტის ზღვას ერთვის მრავალი დიდი მდინარე: ჩრდილოეთის მხრიდან ერთვის მდინარე დანაპრისი, რომლითაც როსებიც დადიან შავი ბულგარიისაკენ, ხაზარიისაკენ და სირიისაკენ⁴. თვით ყურე კი მეოტიდისა აღწევს ნეკ-

რომი წარმოადგენს ავტორის 1901 წელს რუსეთის აკადემიის Записки-ს ტომში გერმანულად დაბეჭდილი გამოკვლევის გადამუშავებულ გამოცემას).

¹ ვესტბერგით Δανάστρειος. იხ. წინა შენიშვნა.

² „ოქროს სანაპიროს“ - ადგილმდებარეობა გამორკვეული არ არის. ზოგიერთების აზრით შესაძლებელია ეს ის სანაპირო იყოს, სადაც მდებარეობდა ო ლ ვ ი ა (იხ. Ласкан, გვ. 151, შენ. 656).

³ იგულისხმება კარკინის ყურე პერეკოპის დასავლეთით, იხ. В е с т b e p r, 1. e. 239.

⁴ Συρίαν საეჭვოდ არის მიჩნეული: შეუძლებელია ამ კონტექსტში ლაპარაკი იყოს იმაზე, რომ რუსები დადიან შავი ბულგარიისაკენ, ხაზარიისაკენ და ს ი

ρίαν³. ὁ δὲ αὐτὸς κόλπος τῆς Μαιώτιδος ἔρχεται ἀντικρὺ τῶν Νεκροπύλων τῶν ὄντων πλησίον τοῦ Δανάπρεως ποταμοῦ ὡς ἀπὸ μιλίων δ', καὶ μίσγεται, ἐν ᾧ καὶ σοῦδαν οἱ παλαιοὶ ποιησάμενοι διεβίβασαν τὴν θάλασσαν, μέσον ἀποκλείσαντες πᾶσαν τὴν Χερσῶνος γῆν καὶ τῶν Κλιμάτων καὶ τὴν Βοσπόρου γῆν κρατοῦσαν μέχρι α' μιλίων ἢ καὶ πλείονων τινῶν· ἐκ δὲ τῶν πολλῶν ἐτών κατεχύσθη ἡ αὐτὴ σοῦδα καὶ εἰς θάσος ἐγένετο πολὺ. καὶ οὐκ εἰσὶν ἐν αὐτῇ πλὴν δύο ὄδοι, ἐν αἷς οἱ Πατρυναίται διέρχονται πρὸς τὰ Χερσῶνα καὶ Βόσπορον καὶ τὰ Κλίματα. εἰς δὲ τὸ ἀνατολικώτερον μέρος τῆς Μαιώτιδος λίμνης εἰσέρχονται πολλοὶ τινες ποταμοί, ὃ τὰ Τάναϊς ποταμός, ὃ ἀπὸ τὸ κάστρον Σάρχελ ἐρχόμενος, καὶ τὸ Χωράκουλ, ἐν ᾧ καὶ τὸ βερζήτικον ἀλείβεται· εἰσὶ δὲ καὶ ἕτεροι ποταμοί, ὃ Βάλ καὶ ὃ Βουρλίχ, ὃ Χαδὴρ καὶ ἄλλοι πλείστοι ποταμοί.

Ἐκ δὲ τῆς Μαιώτιδος λίμνης ἐξέρχεται στόμιον τὸ Βουρλίχ ἐπονομαζόμενον, καὶ πρὸς τὴν τοῦ Πόντου θάλασσαν καταρεῖ,

როპილებს, რომლებიც მდინარე დანაპრისის ახლოს არის დაახლოვებით⁴ მილის მანძილზე, და უერთდება მათ იმ ადგილას, სადაც ძველები თხრილს აკეთებდნენ და გადადიოდნენ ზღვას ისე, რომ შუაზე სჭრიდნენ ხერსონის მთელ მიწაწყალს, კლიმატებს, და ბოსპორის ქვეყანას, რომელსაც ათასი მილისა თუ მეტის ადგილი ეჭირა. წელთა მანძილზე ეს თხრილი ამოივსო და აქ გაჩნდა დიდი ტყე. იქ არის მხოლოდ ორი გზა, რომლებითაც პატრიკები დადიან ხერსონში, ბოსპორში და კლიმატებში. მეოტის ტბას აღმოსავლეთის მხრიდან ერთვის მრავალი მდინარე, მაგალითად: მდინარე ტანაისი, რომელიც მოდის სარკელის ციხიდან, და ხორაკული, რომელშიაც ღლავს იჭერენ. არის სხვა მდინარეებიც, ბალი და ბურლიკი, ხადერი და ბევრი სხვაც.

მეოტის ტბიდან გამოდის შესართავი რომელსაც ბურლიკი ეწოდება, და ჩადის პონტოს ზღვაში იმ ადგილას, სადაც ბოსპორია.

როიისაკენო; მოსალოდნელია ისეთი ქვეყნის სახელწოდება, რომელიც იმავე ხაზზე (შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებით და კავკასიის მთებთან) მდებარეობს. გობონი ფიქრობდა (The decline and fall of the Roman empire, Chapter LV, Bury-ს მეშვიდე გამოცემა, ლონდონი 1925, ტ. VI გვ. 153, შენ. 70), რომ აქ უნდა იყოს Συανίαν კუნთისაზრით (იხ. Ласкин, გვ. 152, შენ. 661) ეს ადგილი დამახინჯებულია და უნდა წავიკითხოთ Ζუჩიან („ჯიქეთი“); ტომაშევისკი (RE III, 1045) მიაჩნია, რომ აქ უნდა წავიკითხოთ ან *Μυοίαν* (ფინური Merja), ან *Μοοδίαν* (ე. ი. მორდვა). ვესტბერგის აზრით (I. e. 244) უნდა დარჩეს *Συοία*.

ἐν ᾧ ἐστὶν ὁ Βόσπορος. Ἀντικρὺ δὲ τῆς Βοσπόρου τὸ Ταμάταρχα λεγόμενον κάστρον ἐστὶ· τὸ δὲ διάστημα τοῦ περάματος τοῦ τοιοῦτου στομίου ἐστὶ μίλια ιη'. ἐν δὲ τῇ μέσῃ τῶν αὐτῶν ιη' μιλίων ἐστὶ νησίον μέγα χαμηλὸν τὸ λεγόμενον Ἀτέχ. ἀπὸ τὸ Ταμάταρχα ἐστὶ ποταμὸς ἀπὸ μιλίων ιη' ἢ καὶ κ', λεγόμενος Οὐκροῦχ, ὃ διαχωρίζων τὴν Ζιχίαν καὶ τὸ Ταμάταρχα. ἀπὸ δὲ τοῦ Οὐκροῦχ μέχρι τοῦ Νικόψεως ποτα-

ხოლო ბოსპორის პირდაპირ არის ეგრეთწოდებული ტამატარხის ციხე; ამ სრუტის სიგრძეა 18 მილი. ამ 18 მილის შუა მანძილზე არის დიდი ვაკე კუნძული, ეგრეთწოდებული ატეხი. ტამატარხიდან 18 თუ 20 მილის მანძილზე არის მდინარე ეგრეთწოდებული უკრუხი, რომელიც ჰყოფს ჯიქეთსა და ტამატარხას. უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა¹; მისი სიგრძეა 300 მილი.

¹ ამ თავის ბოლო ნაწილში მოცემულია ცნობები ძველი აფხაზეთის („აბაზგიის“) საზღვრების შესახებ. კონსტანტინეს გადმოცემით ჯიქეთი იწყება იქ, სადაც თავდება ტამატარხა (Тмугоракань). «ტამატარხიდან 18 თუ 20 მილის მანძილზე არის მდინარე ეგრეთწოდებული უკრუხი (ე. ი. ყუბანი), რომელიც ჰყოფს ჯიქეთსა და ტამატარხას. უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა; მისი სიგრძეა 300 მილი». მაშასადამე, ჯიქეთის სამხრეთი საზღვარი გადის იქ, სადაც არის მდინარე ნიკოფსი და ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრე (κάστρον). ხოლო აქედან იწყება „აბაზგიის ქვეყანა“. «ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიის ქვეყანას». ამგვარად, ისტორიული აფხაზეთის ჩრდილო საზღვარია მდინარე და ქალაქი ნიკოფსია, ხოლო სამხრეთისა – სოტერიუპოლისი.

აფხაზეთის (და მერმე გაერთიანებული საქართველოს) ჩრდილო საზღვრად ნიკოფსიას იცნობენ ქართული წყაროები. ლეონტი მროველი წერს: «მისვე ადერკის მეფობასა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სიმონ ქალაქსა ნიკფისისასა (ვარ.: ნაკოფისსა, ნიკოფსისასა), საზღვარსა ბერძენთასა» (იხ. ანასეული ქ, ცხ., თბ. 1942, გვ. 26, 13 – 16). ეს ცნობა უნდა ემყარებოდეს იმ დროის წყაროს, როდესაც დასავლეთი საქართველო ბიზანტიელთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა.

ნიკოფსია, საზღვარი აფხაზეთისა და ჯიქეთისა, საქართველოში შედიოდა. როდესაც ქართულ წყაროებს ლაპარაკი აქვთ იმავე სიმონ კანანელზე, რომელიც დამარხულ იქმნა ნიკოფსიაში, ისინი სწერენ: «ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვ კანანელსა – ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდებოს» (ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: ათონის კრებული, თბ. 1901 წ., გვ. 315). იგივე ისტორიკოსი წერს: «რამეთუ ანდრია მოციქულმან მოვლო ქუეყანა ჩუენი, ხოლო

μοῦ, ἐν ᾧ καὶ κάστρον ἐστὶν ὀμώνυμον τῷ ποταμῷ, ἐστὶν ἡ χώρα τῆς Ζιχίας· τὸ δὲ διάστημα ἐστὶ μίλια τ'. ἀνωθεν τῆς Ζιχίας ἐστὶν ἡ χώρα ἡ λεγομένη Παπαγία, καὶ ἀνωθεν τῆς Παπαγίας χώρας ἐστὶν ἡ χώρα ἡ λεγομένη Κασαχία· ἀνωθεν δὲ τῆς Κασαχίας ὄρη τὰ Καυκάσιά εἰσι, καὶ τῶν ὀρέων ἀνωθεν ἐστὶν ἡ χώρα τῆς Ἀλανίας.

Ἡ δὲ τῆς Ζιχίας παράλιος ἔχει νησία, τὸ μέγα νησίον καὶ τὰ τρία νησία· ἐνδοθεν δὲ τούτων εἰσὶ καὶ ἕτερα νησία τὰ ἐπιναυθέντα καὶ

ჯიქეთის ზემოთ არის ქვეყანა, პაპაგიად წოდებული, და პაპაგიის ქვეყნის ზემოთ – კასახიად წოდებული ქვეყანა; კასახიის ზემოთ კავკასიის მთებია, ხოლო ამ მთების ზემოთ – ალანიის ქვეყანა.

ჯიქეთის სანაპიროზე არის კუნძულები, ერთი დიდი და სამი პატარა კუნძული; მათ შუა სხვა კუნძულებიცაა, დასახლებული და

სიმონ კანანელმან სრულიად დაამკვდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი» (იქვე, გვ. 328).

ამაზე ადრე იოანე საბანიძემ იცის, რომ ნიკოფსია დასავლეთ საქართველოში შედიოდა. დასავლეთ საქართველოს «საზღვარ არს ზღუად იგი პონტომსად, სამკვდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთად, მისაზღვრამდე ქალდი-ადას, ტრაპეზუნტიად მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეალსად და ნაფსადას (ე. ი. ნიკოფსის) ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს-მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა» (კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ. 1935 წ., გვ. 66, 1 – 7, აგრეთვე გვ. 28).

მაშასადამე, ნიკოფსია არა თუ საზღვარი იყო ჯიქეთისა და აფხაზეთისა, არამედ იგი აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) საზღვრებში შედიოდა. გეოგრაფიულად იგი სამხრეთ ჯიქეთის ქალაქად ითვლებოდა და იქ იჯდა ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი, რომელიც ჯიქეთის ეპარქიას იყო მიკუთვნებული (*ἐπαρχία Ζηχίας, ὁ Νικόψεως*). მაგრამ რომ ნიკოფსიის არქიეპისკოპოსი დასავლეთ საქართველოს სამწყსოს წარმოადგენდა და არა ჯიქეთისას, ჩანს იქიდან, რომ, როდესაც დასავლეთ საქართველოს კათედრები კონსტანტინეპოლის პატრიარქატს ჩამომორდნენ და მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდნენ, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოც, დასავლეთ საქართველოს სხვა კათედრებთან ერთად, ამ უკანასკნელის იურისდიქციას დაექვემდებარნენ, იმ დროს როდესაც ჯიქეთის დანარჩენი ორი კათედრა (ქერსონისა და ბოსპორის) კვლავ კონსტანტინეპოლოს პატრიარქის ხელქვეით დარჩა (პ. ინგოროყვა: „მნათობი“ 1950 წ., № 3, გვ. 120 – 122. იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 197).

საგულისხმოა, რომ თვით ბერძენი გეოგრაფოსები ათავსებენ ნიკოფსიას დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც „მკელილახოვი“ ეწოდება. ასე, მაგალითად, V საუკუნის „პერიპლუსის“ ანონიმური ავტორი წერს: «120 სტადიონის ანუ 16 მილის მანძილია ლაიდან ეგრეთწოდებულ მკელილახოვიკამდე (Παλαιά Λαζική), [სადაც არის ქალაქი, რომელსაც ახლა ჰქვია

παρὰ τῶν Ζιχῶν κτισθέντα, τὸ
 τε Τουργανήρχ καὶ τὸ Τζαρβα-
 γάνι καὶ ἕτερον νησίον, καὶ εἰς
 τὸν τοῦ ποταμοῦ λιμένα ἕτερον
 νησίον, καὶ εἰς τὰς Πτελέας ἕτε-
 ρον, ἐν ᾗ ἐν ταῖς τῶν Ἀλανῶν
 ἐπιδρομαῖς οἱ Ζιχοὶ καταφεύγου-
 σιν. τὸ δὲ παραθαλάσσιον ἀπὸ
 τῆς συμπληρώσεως τῆς Ζιχίας
 ἦτοι Νικόψεως ποταμοῦ ἐστὶν ἡ
 τῆς Ἀβασγίας χώρα, μέχρι τοῦ
 κάστρου Σατηριουπόλεως· εἰσὶ
 δὲ μίλια τ' (CB III 177—182).

გაშენებული ჯიქების მიერ: ეს არის ტურგანერხი, ჩარვაგანი და ერთი სხვა; არის კიდევ სხვა კუნძული მდინარის ნავსაყუდელთან, ერთი პტელეასთან, სადაც ჯიქები თავს შეაფარებენ ხოლმე აღანთა თავდასხმების დროს. ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიის ქვეყანას.


ნიკოფსისი (ἡ νῦν λεγομένη Νίκουσις), და ამ უკანასკნელის მახლობლად არის მდინარე, რომელსაც ამჟამად ეწოდება ფსახაფსისი] (Л а т ы ш е в, SC I, 278). ანონიმს ეს ადგილი ამოღებული აქვს არიანეს (II საუკ.) „პერიპლუსიდან“, სადაც უკვე იხსენიება „ძველი ლაზიკა“, ხოლო კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მას, V საუკუნის ანონიმს, ეკუთვნის. იგივე ანონიმი 59. თავში, რომელიც ამოღებული აქვს მენიპეს (I საუკ.) თხზულებიდან, წერს, რომ «ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ერქვათ: ჰენიოხები, კორაქსები და კოლიკები, მელანქლენები, მაქლონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქებიო» (იქვე). ახლა ჩვენთვის გასაგებია, რომ ნიკოფსია ყოფილა ლაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე („ძველი ლაზიკა“), რომელიც შემდეგ ჯიქეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ითვლებოდა: ამიტომაც არის, რომ ნიკოფსიის სამწყსოს კათედრა VII – IX საუკუნეთა ეკთესისებში მიეკუთვნებოდა ჯიქეთის ეპარქიას, რომელშიც შედიოდა სამი საარქიეპისკოპოსო კათედრა: ქერსონისა, ბოსფორისა და ნიკოფსისისა, ხოლო როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთას დაუკავშირდა, ნიკოფსიის კათედრაც, როგორც იმთავითვე ქართული სამწყსოს კათედრა, მცხეთას უკავშირდება და აღარ იხსენიება ჯიქეთის ეპარქიის სიაში.

ამგვარად, აფხაზეთის (და, მამსადაძამე, დასავლეთ საქართველოს) ჩრდილო საზღვარი გადის ნიკოფსიასთან.

თუ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა აფხაზეთის ჩრდილო საზღვრის შესახებ, ამრიგად, ზედმიწევნითაა და კიდევ უფრო მყარსა ხდის ჩვენს განკარგულებაში არსებულ ქართულ წყაროთა ცნობებს, აფხაზეთის სამხრეთისა და ზღვის ჩვენება ზოგიერთ გაუგებრობას ჰბადებს. კონსტანტინეს ცნობაში ნათქვამია: «მდინარე ნიკოფსიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიის ქვეყანას».

Σατηριουπόλις, ლექსიკოგრაფების ჩვენებით, არის ქალაქი აფხაზეთში (P a p e, Eigennamen... s. v.), ხოლო ზოგიერთი კომენტატორი მას ბიჭვინთასთან აიგივებს (K. D i e t e r i c h, Byzantinische Quellen zur Länder - und

ტარონის ქვეყანა. ადარნესე იბერიელი.



თავი 43.

ტარონის ქვეყნისათვის

მაგრამ ჩრდილოელი სკვითების შესახებ ხომ საკმაოდ მოგიყვები შენ, საყვარელო შვილო, და მათი ცოდნა შენთვის საზოგადოდ გამოსადეგი და სასარგებლო იქნება თავის დროზე. ხოლო საჭიროა, რომ შენ აღმოსავლეთის ამბებიც იცოდე; აქ კვლავ რომაელების ქვეშევრდომები გახდნენ, მის

Völkerkunde, L. 1912, II, გვ. 147: „Sotiriopolis, das alte Pityus, das heutige Pitzunda“). ი. კულაკოვი თავის გამოკვლევაში „Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов?“ (Арх. известия и заметки, т. V. М. 1897) გარკვევით ამბობს, რომ „სოტერიუპოლისი“ არის ბიჭვინთა. ტომაშევი (RE V, 1124) კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობის მიხედვით ვერ წყვეტს, თუ რომელი ქალაქი იგულისხმება: სებასტოპოლისი თუ პიტუსი (ე. ი. სოხუმი თუ ბიჭვინთა)? პ. ინგოროვი (I. e. გვ. 121) გადაჭრით წერს: „ქალაქ სოტერიუპოლამდე, ე. ი. თანამედროვე სოხუმამდე“.

აზრთა სხვადასხვაობას კონსტანტინე პორფიროგენეტის „სოტერიუპოლისს“ შესახებ ის გარემოება ჰქმნის, რომ:

1) სოხუმის სახელწოდება ძველ ბერძენ და რომაელ მწერლებთან მუდამ არის „დიოსკურიას“ (ძველს ხანაში) და „სებასტოპოლისი“ (უფრო გვიან საუკუნეებში): არასდროს სოხუმს არ რქმევია „სოტერიუპოლისი“.

2) მეორე მხრით, აფხაზეთის სამხრეთ საზღვრად ქართული წყაროების მიხედვით ცნობილია «ზღუდე, საზღვარი კლისურისა.. რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა» (ანასელი ქ. ცხ. 149, 28 – 31), კლისურა კი სწორედ სოხუმთან გადიოდა.

3) „სოტერიუპოლისი“ ყველგან, გარდა კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ სადავო ტექსტისა, ნიშნავს „ბიჭვინთას“ ერთგან კიდევაც სწერია: Σοτηριόπολις τὰ νῦν Πύθια („სიტეროპოლისი, რომელსაც ამჟამად პუთია ეწოდება“ (იხ. Л. Мелликсет-Бек, Древнейшая Пицунда у Понта Евксинского, Т. 1916, стр. 63).

ვინაიდან, ამრიგად, ქალაქი „სებასტოპოლისი“ დასავლეთ საქართველოში მუდამ აღნიშნავს სოხუმს, ჩვენ დაგვრჩენია ადგილი მოვუძებნოთ „სოტერიუპოლისს“.

თუ დავუშვებთ ამთავითვე, რომ „სოტერიუპოლისი“ არის ახალი სახელწოდება ძველი „პიტუენტისა“ (ბიჭვინთისა), მაშინ უნდა ვივარაუდოთ შემდეგი: კონსტანტინე პორფიროგენეტს ხელთ ჰქონია „აბაზგის“ ტერიტორიის ისეთი,

των ἐπικρατείας ἐξέπεσον. πρῶ-
τος γὰρ ὁ Κρικορίκιος ἐκείνος
τοῦ Ταρῶν ἄρχων πρὸς τὸν βα-
σιλέα Ῥωμαίων ἑαυτὸν ὑπέκλινε
καὶ ὑπέταξεν. ἀλλ' ἐξ ἀρχῆς μὲν
ἐπαμφοτερίζων ἐφαίνετο, καὶ
λόγῳ μὲν τὴν τοῦ βασιλέως φι-
λίαν προσεποιεῖτο τιμᾶν, ἔργῳ
δὲ τῶν Σαρακηνῶν κατάρχοντι
τὰ καθ' ἡδονὴν διεπράττετο, καὶ
διαφόρως ἡγεμῶν ἐχρημάτισε τῶν
ἀπὸ Συρίας ἐξερχομένων φοσσά-
των κατὰ τῶν ὑπηκόων θεμά-
των τῶν βασιλεῖ Ῥωμαίων, καὶ
πάντα τὰ τοῖς Ῥωμαίοις ἐν ἀπορ-
ρήτῳ μελετώμενα κατὰ τῶν ἀν-
τιπάλων Σαρακηνῶν πρὸς Συρίαν
ἀνεμήγυσε, καὶ λάθρα περὶ τῶν
παρ' ἡμῖν συμβαινόντων ἀεὶ πρὸς
τὸν ἀμεριουμνήν διὰ γραμμάτων
ἐδηλοποιεῖ, καὶ δοκεῖν μὲν ἐβού-
λετο τὰ τῶν Ῥωμαίων φρονῶν,
ἐνρίσκετο δὲ μᾶλλον τὰ τῶν Σαρα-
κηνῶν προκρίνων τε καὶ φρονῶν.

შემდეგ რაც ერთხელ მათ ხელი-
სუფლებას ჩამოშორდნენ. პირვე-
ლად ხომ კრიკორიკიმ, ტარო-
ნის ერისთავმა, მოიხარა ქედი
რომაელთა მეფის წინაშე და დაე-
მორჩილა მას. მაგრამ თავდაპირვე-
ლად, როგორც ჩანს, ის მერყეობ-
და: სიტყვით მეფის მეგობრობაზე
სდებდა პატივს, ნამდვილად კი
სარკინოზთა მბრძანებლის სასია-
მოვნოდ აკეთებდა საქმეებს და
რამდენჯერმე თავის თავზე აელო
წინამძღოლობა სირიიდან რომა-
ელთა მეფის ქვეშევრდომი თემე-
ბის წინააღმდეგ მისული ჯარებისა
და ყველაფერს ამჟღავნებდა სირი-
აში, რასაც რომაელები საიდუმ-
ლოდ საქმიანობდნენ მოპირდა-
პირე სარკინოზების წინააღმდეგ,
და ამ საქმეების შესახებ, რომლე-
ბიც ჩვენში ხდებოდა, მუდამ აც-
ნობებდა ფარულად ამირამუმნს
წერილების საშუალებით: ის ცდი-
ლობდა რომაელების საქმეებზე

აღწერილობა, სადაც აბაზგების მიწაწყალი უფრო ვიწრო საზღვრებში იყო
ნაჩვენები, ვიდრე შემდეგი დროის აფხაზეთისა. მართლაც, არის შემთხვევები,
რომ აბაზგების ტერიტორია ნაჩვენებია არა იმ საზღვრებში, როგორც უფრო
გვიან წყაროებში გვაქვს. ასე, მაგალითად, არიანე „პერიპლუსში“ (თავი 15.)
წერს: «ლაზებს იქით ცხოვრობენ აფსილები... აფსილების მოსაზღვრენი არიან
აბაზგები... აბაზგების მეზობლად არიან სანაიგები, რომელთა ქვეყანაში მდე-
ბარეობს სებასტოპოლისი». ამასვე იმეორებს V საუკუნის „პერიპლუსის“ ანო-
ნიმი ავტორი (თავი 51. იხ. Л а т ы ш е в, SC I, 222). მაშასადამე, სებასტო-
პოლი-ცხუმი აბაზგების ტერიტორიაზე კი არ ყოფილა, არამედ სანაიგების ქვე-
ყანაში. მართალია, ამ აღწერილობით, თუ სებასტოპოლისი არ შედის აფხაზეთში,
მით უფრო არ შევიდოდა ბიჭვინთა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ „აბაზგების“
ტერიტორია ბერძნული წყაროებისათვის ყოველთვის ერთსა და იმავე საზ-
ღვრებში არ ყოფილა ცნობილი.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, სოტერიუპოლისის საკითხი დამატებით კვლევა-
ძივბას მოითხოვს.

მზრუნველად სჩვენებოდა, უფრო კი სარკინოზთა საქმეების მოტრ-
ფიალე და მზრუნველი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

Πλήγν ἀπέστειλεν ἄει δῶρα,
ἄπερ τοῖς ἔχεισε βαρβάρους δο-
κει τίμια, πρὸς τὸν ἐν βασιλευ-
σιν ἀοίδιμον Λέοντα, καὶ ἀντε-
λάμβανε πλείονά τε καὶ κρείτ-
τονα παρὰ τοῦ εὐσεβοῦς βασι-
λεύοντος, ὃς καὶ πολλάκις αὐτῷ
προουτρέψατο διὰ γραμμάτων
πρὸς τὴν βασιλεύουσάν εἰσελ-
θεῖν τὸν βασιλέα φεάσασθαι καὶ
τῶν παρ' αὐτῶν φιλοφρονήσεων
καὶ τιμῶν μετασχεῖν. ὁ δὲ δεδοι-
κῶς μὴ πρὸς λῦπην καὶ σκάνδαλον
τοῦ ἀμεριμουμνῆ γένηται τοῦτο,
προφάσεις ἐπλάττετο, καὶ τὸ μὴ
δύνασθαι: ἑαυτοῦ χάραν ἔρημον
τῆς ἐξ αὐτοῦ βοηθείας καταλι-
πεῖν, ἵνα μὴ ὑπὸ Σαρακηγῶν
καταληύσῃ, μάρτην ἐσκήπτετο.

Ὁ δὲ αὐτὸς ἄρχων τοῦ Ταρῶν
κρατήσας ἐν πολέμῳ ποτὲ τοῦ
Ἀρκάνια τοῦ παιδῆς ἦγγου
Κρικωρίκη τοῦ πατρικίου τοῦ
πατρὸς τοῦ πρωτοσπαθαρῆος
Ἀσωτίου τοῦ ἐξαδελφούς, εἶχε
παρ' ἑαυτῶν δεσμῖους. περὶ ὧν
καὶ Συμμάτιος ὁ τότε ἄρχων τῶν
ἀρχόντων τὸν αὐτὸν μακαριώτα-
τον βασιλέα διὰ γραμμάτων ἠξίω-
σε τοῦ ἀποστεῖλαι πρὸς τὸν Τα-

მიუხედავად ამისა ის მუდამ
უგზავნიდა მეფეთა შორის უსახე-
ლოვანეს ლეონს ¹ საჩუქრებს, რომ-
ლებიც იქაურ ბარბაროსებში სა-
პატიოდ ითვლება; სამაგიეროდ
კიდევ უფრო მეტსა და უძვირფა-
სეს საჩუქრებს ღებულობდა კე-
თილსათნო მეფისაგან, რომელიც
მას ხშირად ეპატიჟებოდა წერი-
ლობით – სამეფო ქალაქში ჩამო-
სულიყო, მეფე ენახა და მიეღო
მისგან წყალობა და პატივი, ხოლო
კრიკორიკის ეშინოდა ამირამუმნს ²
არ სწყენოდა ეს და ამიტომ იგო-
ნებდა მიზეზებს – ქვეყანას ვერ და-
ვტოვებ ჩემი მზრუნველობის გარე-
შე, არა-და სარკიბნოზები ააწიოკე-
ბენო: მაგრამ ეს ტყუილ-უბრა-
ლოდ მოგონილი საბაზი იყო.

ტარონის ამ ერისთავმა ერთხელ
ომში დაამარცხა არქაიკას შვილე-
ბი, პროტოსპათარ აშოტის მამის
კრიკორიკ პატრიკიოსის ბიძაშვი-
ლები, და ციხეში დამწვდევულებს
ინახავდა. ერისთავთ-ერისთავმა
სუმბატმა მათ შესახებ წერილი
გაუგზავნა იმ ნეტარხსენებულ მე-
ფეს და სთხოვდა მას – ტარონელს
შეუთვალე და გამოითხოვე ჩემი
ძმისწულები (ხსენებული არქაიკას

¹ ლეონ VI, კეისარი (886 – 911 წ.წ.).

² *ἀμερομουμνῆς* არაბულისიტყვაა („ამირ-ალ-მუმინინ“) და ნიშნავს „მართლ-
მორწმუნეთა მბრძანებელს“; არაბთა ხალიფების ერთ-ერთი სახელწოდებათაგანია.
ბიზანტიურ წყაროებში გვხვდება სხვადასხვა ფორმით:

ἀμερομουμνῆς, ἀμερομουμνῆ,

ἀμερομουμνίμ, ἀμερομουμνῆς, ხოლო ქართულ წყაროებში „ამირ(ა) მუმნი“, „ამირ(ა)

მუმლი“. იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. საქ. მუზ. მ. IX B, გვ. 111; So p h o c l e s,

Greek Lexicon, s. v.

ρῶνίτην καὶ ἀναλαβέσθαι σπου-
δάσαι τοὺς οἰκείους ἀνεψίους,
οἵτινες ἦσαν υἱοὶ τοῦ εἰρηγμένου
Ἀρχαίου, ἵνα μὴ πρὸς τὸν
ἀμεριμυίην ἀποσταλῶσι. συγ-
γενῆς γὰρ ἦν τοῦ Συμβατίου τοῦ
ἄρχοντος τῶν ἀρχόντων*¹ Γρη-
γόριος ὁ πατρίκιος. ἐπακούσας δὲ
τῆς τοιαύτης τοῦ Συμβατίου
ἀξιώσεως Λέων ὁ μακαριώτατος
βασιλεὺς τὸν Συναύτην ἐκείνον
τὸν εὐνοῦχον ἀπέστειλε, χερτου-

ვაეები), თუ არა-და მათ ამირა-
მუმნს მიჰგვრიანო: სუმბატ ერის-
თავთ-ერისთავის ნათესავი იყო...¹
გრიგოლ პატრიკიოსი. ნეტარხსე-
ნებულმა მეფე ლეონმა ისმინა სუმ-
ბატის თხოვნა და ის საჭურისი
სინუტე, რომელიც მაშინ სწრაფი
დრომოსის ქარტულარად ² იყო,
ტარონის ერისთავთან მიავლინა ამ
დავალებით და აგრეთვე ა დ რ ა-
ნ ა ს ე რ თ ა ნ, ი ბ ე რ ი ი ს კ უ რ ო-
პ ა ლ ა ტ თ ა ნ ³, ზოგიერთი სხვა

¹ აქ ხელნაწერებში ხარვეზია.

² «ს წ რ ა ფ ი დ რ ო მ ო ს ი ს ქ ა რ ტ უ ლ ა რ ი» აღნიშნავს „სახელმწიფო ფოსტის მოხელეს“. სახელმწიფო ფოსტის წყებას განაგებდა *λογομέτης τοῦ διόμου*. ამ ფოსტის დანიშნულება იყო არა კერძო წერილების გადაგზავნა, არამედ სახელმწიფო ფოსტის (ბრძანებულებათა, განკარგულებათა და სხვათა) მიწოდება ადგილებზე, ისევე როგორც მოხელეთა, ელჩთა, გადასახლებულთა და სხვათა გადაზიდვა. ამ ლოგოთეტის თანამდებობა უდრიდა გზათა მიმოსვლის მინისტრისას (იხ. Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство и церкви в XI веке. СПб 1884, стр. 176). რამდენადაც ფოსტა და გზები დრომოსის ლოგოთეტის ხელში იყო, ამდენად ის პირველი ღებულობდა ახალ-ახალ ცნობებს მომხდარი, როგორც საშინაო ისე საგარეო, ამბების შესახებ. და ამიტომ გასაგებია, რომ კეისარი, დილის ლოცვას რომ მოათავებდა და ოქროს სავარძელში ჩაჯდებოდა, დაიძახებდა – „ლოგოთეტს დამიძახეთ“. ლოგოთეტიც მოსვლისთანავე მოახსენებდა კეისარს, თუ რამე საგულისხმო მოხდა სახელმწიფოში. კეისარი ეთათბირებოდა ხოლმე ლოგოთეტს საშინაო და საგარეო საქმეებზე (კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი, De caerimoniis II, 15, ბონის გამოც. გვ. 568 – 569; იხ. Д. Б е л я е в, Byzantina II, 16 – 17).

³ «ა დ რ ა ნ ა ს ე რ ი, ი ბ ე რ ი ი ს კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი». აქ იგულისხმება ქართველთა მეფე, ადარნასე II (I) კუროპალატი, რომელიც სუმბატის „ქრონიკით“ გარდაიცვალა 923 წელს («გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, მე დავით მოკლულისა, ქორანიკონსა რმგ [143]». ე. თაყაიშვილის გამოც. თბ. 1949 წ., გვ. 66, § 58) ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა ზ რ ი თ (დასახ. შრ. გვ. 83), „ადარნასეთი თავდება ქართლის დიდ ერისთავთა პერიოდი, მეექვსე საუკუნის ბოლოდან დაწყებული, და იწყება ახალი, ქართველთა მეფეების პერიოდი, ვინაიდან ის გახდა 599 წ. პირველ „ქართველთა მეფედ“ და შემდეგი მეფეები ყველანი მისგან მომდინარეობენ“. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ კ ი გამოარკვია, რომ „ქართველთა სამეფოს“ აღდგენა მოხდა არა IX საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ IX საუკუნის დასაწყისში აშოტ I დიდის დროს, 309/13 – 826 წლებში (იხ. „მნათობი“, 1950 წ. № 3, გვ. 145 – 146).

ტარონის მთავრის ისტორიასთან დაკავშირებით იბერიის მეფის, ადარნასე

λάριον τῆς γῆς αὐτὰ τοῦ θῆξος δρό-
μου τυγχάνοντα, πρὸς τε τὸν
ἀρχοντα τοῦ Ταρῶν τῆς τοιαύτης ἕνεκα ὑποθήσεως καὶ πρὸς τὸν
Ἀδριανασὴν τὸν κουροπαλάτην Ἰβηρίας διὰ τινὰς ἑτέρας ὑποθήσεις,
δοῦς αὐτῶν καὶ πρὸς ἀμφοτέρους ξανάλια τὰ ἀρμόζοντα.

დავალეებითაც: ორივესთან შესა-
ფერისი საჩუქრები გაატანა.

Διαβληθέντος δὲ τοῦ εἰρη-
μένου Συναίου παρὰ Θεοδώρου
τοῦ πῶν Ἀρμενίων ἐριμηνευτοῦ
πρὸς τὸν εἰρημένον ἀοιδίμιον βα-
σιλέα, ἐξαπεστάλη βασιλικὸς ἀντ'
αὐτοῦ ὁ πρωτοσπαθᾶριος Κων-
σταντῖνος καὶ δομέστικος τῆς
ὑπουργίας, ὁ τοῦ Λιβῶς, ὁ γὺν

ზემოხსენებული სინუტე სომეხ-
თა თარჯიმანმა თეოდორემ მეფეს-
თან დააბეზლა; ამიტომ მის ნაც-
ვლად გაიგზავნა მეფის პროტო-
სპათარი და სამსახურის დომეს-
ტიკი კონსტანტინე, ლიბის ძე,
ამჟამად რომ ანთიპატოს-პატრი-
კოსია და დიდი ჰეტერიარქი¹;

კუროპალატის, ხსენება კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ ბუნებრივია. რო-
ჯორც ცნობილია, სომეხთა მეფეს სუმბატსა და ქართველთა მეფეს ადარნასეს
მეგობრობა ჰქონდათ და, მაგალითად, როდესაც აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ
ქართლი დაიპყრა, მის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ სუმ-
ბატი და ადარნასე. ხოლო როდესაც შემდეგ სუმბატი კონსტანტინეს დაუმე-
გობრდა, ადარნასე სუმბატის წინააღმდეგ საბრძოლველად შეუერთდა ვასპურა-
კანის მთავარს გაგიკს და სუმბატის ძმისწულს აშოტს. ასე აგვიწერენ ამდროინ-
დელ საქმეთა ვითარებას სომეხთა ისტორიკოსები იოანე კათალიკოსი და ასო-
ლიკი (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ. 1948 წ.,
გვ. 100 – 101). კონსტანტინე პორფიროგენეტსაც აქ მოკავშირეებად ჰყავს მოხსე-
ნებული «ვასპურაკანის მთავარი გაგიკი, იბერიის კუროპალატი ადრანასერი და
ერისთავთ-ერისთავი აშოტი» (იხ. ქვემოთ, გვ. 243).

¹ *πατριζιος* – ეს იყო უმაღლესი პატივი ბიზანტიაში; შემოღებულ იქმნა
კონსტანტინე I-ის მიერ და ზენონის მიერ (V საუკ. 474 – 491 წ.წ.) მიენიჭა იმ
პირებს, რომლებიც კონსულებად და პრეფექტებად იყვნენ. იუსტინიანეს დროს
ეს პატივი ღია იყო ყველა იმ პირისათვის, რომელიც ბრწყინვალე რანგისა
(*illustris*) იყო, იმ დროს როდესაც IV – V საუკუნეთა კეისრები იშვიათად უზო-
მებდნენ ხოლმე ამ პატივს. წინააღმდეგ კონსულობისა, რომელიც მხოლოდ გან-
საზღვრულ პერიოდში იყო ძალაში, პატრიკიოსობა სამუდამო იყო: თუ მას თან
ახლავს აგრეთვე სხვა პატივი ან თანამდებობა, ის პირველ ადგილას იხსენიება,
უშუალოდ პატივისმქონის სახელის შემდეგ. VII საუკუნეში პატრიკიოსები იყვნენ
იერარქიის უმაღლესი საფეხურის პირები. VIII – IX ს.ს. ეს პატივი უფრო გახ-
შირდა. იყო ორი კატეგორია პატრიკიოსებისა: 2) ჩვეულებრივი პატრიკიოსები,
περιβλεπτοι („წარჩინებულნი“) და 2) ისინი, რომელთაც პროკონსულის პატივიც
ჰქონდათ მინიგებული, *ἀνθύπατοι καὶ πατριζιοι* (Byzantion IV, 115 – 116).

„დიდი ჰეტერიარქი“ უაღრესად მნიშვნელოვანი პირი იყო, მას
ექვემდებარებოდნენ ჰეტერიები – უცხოელთაგან შემდგარი შენაერთები გვარ-
დიისა. ეს პატივი პირველად კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს გვხვდება,

ἀνθύπατος πατρικίος καὶ μέγας
ἐπιχειράρχης, ἐνταλματικῶς ἔρι-
σθίεις τοῦ ἀναλαβέσθαι τὰ πρὸς
τὸν ἄρχοντα τοῦ Ταρῶν τὸν Κρι-
κορίκιον ἀποσταλέντα ξενάλια,
καὶ αὐτὸς μὲν πρὸς τὸ Ταρῶν
εἰσελθεῖν, τὸν δὲ Σινούτην προ-
τρέψασθαι πρὸς τὸν Ἀδριανασήρ
τὸν κουροπαλάτην Ἰβηρίας κατὰ τὰ ἐνταλθέντα αὐτῷ ἀπελθεῖν.

Καταλαβὼν δὲ τὸ Ταρῶν ὁ εἰρη-
μὲνος πρωτοσπαθᾶριος καὶ ἀπο-
θιδοῦς Κρικορίκιῳ τὰ πρὸς αὐ-
τὸν ἀποσταλέντα τοῦ βασιλέως
θῶρα καὶ γράμματα, ἀνελάβετο
τὸν νόθον τοῦ Ταρωνίτου υἱόν,
ὃς Ἀσώτιος ὠνομάζετο, καὶ εἰσ-
ήγαγεν αὐτὸν πρὸς τὴν βασι-
λεύουσιν· ὃν ὁ βασιλεὺς τῇ τοῦ
πρωτοσπαθᾶριου τιμῆσας ἀξία
καὶ ἰκανῶς φιλοφρονησάμενος πρὸς τὸν ἴδιον πατέρα διὰ τοῦ αὐτοῦ
πρωτοσπαθᾶριου ἀπέστειλεν.

Ἀναλαβόμενος οὖν ὁ αὐτὸς
Κωνσταντίνος ἔχεινος Ἀπογάνει
τὸν ἀδελφὸν τοῦ Κρικορίκιου τοῦ
ἄρχοντος τοῦ Ταρῶν εἰσήγαγε
πρὸς τὸν μακάριον βασιλέα μετὰ
καὶ τῶν δύο υἱῶν Ἀρχάτῃα·
ὃν καὶ τῇ τοῦ πρωτοσπαθᾶριου
ἀξία τιμῆσας ὁ βασιλεὺς καὶ
φιλοφρόνως πολλακίς δεξιωσά-
μενος ἀπέστειλεν αὐμὶς διὰ

მასვე დაევალა წაელო ტარო-
ნის ერისთავისათვის, კრიკორი-
კისთვის, გაგზავნილი საჩუქრები,
თვითონაც წასულიყო ტარონში;
სინუტეს კი უბრძანა იბერიის
კუროპალატადრანასერ-
თან გამგზავრებულიყო, როგორც
ეს მას მინდობილი ჰქონდა.

ხსენებული პროტოსპათარი მი-
ვიდა ტარონში და გადასცა კრი-
კორიკის მეფის მიერ მისთვის გა-
გზავნილი საჩუქრები და წერილი,
ხოლო ტარონელის შვილობილი
აშოტი წამოიყვანა სამეფო ქალაქ-
ში; მან მას პროტოსპათარის პატი-
ვი უბოძა და საკმაოდ წყალობადე-
ბული გაისტუმრა მამა-მისთან იმა-
ვე პროტოსპათარის თანხლებით.

იმავე კონსტანტინემ წამოიყვანა
აპოგანემი ¹, ტარონის ერისთავის
კრიკორიკის ძმა, და არკაიკას ორი
ვაჟითურთ მოიყვანა ნეტარხსენე-
ბულ მეფესთან; ისიც მეფემ პრო-
ტოსპათარის პატივით დააჯილდო-
ვა, ბევრი წყალობაც უბოძა და
უკან გაისტუმრა იმავე კონსტანტი-
ნეს თანხლებით მის საკუთარ ქვე-
ყანაში და საკუთარ ძმასთან. ამის

„დიდი ჰეტერიარქი“ სასახლეში გვარდიის მეთაური იყო. შემდეგ ხანებში ეს პატივი ენიჭებოდათ იმ მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთა მოვალეობა-საც შეადგენდა ელჩებისა და უცხოელი სტუმრების დახვედრა (იქვე, გვ. 91).

¹ აპოგანემი – Ἀπογάνει. სომხური წყაროებით მას ჰქვია *Ապուղა-
ნუამ, Ապուღანუქა*. იხ. ზ. აჭარიანი, სომხური საკუთარი სახელების ლექსი-
კონი, ტ. I, გვ. 198. ერევანი, 1942 წ.

τοῦ αὐτοῦ Κωνσταντίνου εἰς τὴν οἰκείαν χώραν καὶ πρὸς τὸν ἴδιον ἀδελφόν. μετὰ δὲ ταῦτα ἐν Χαλδίᾳ ὁ εἰρημένος Κωνσταντίνος ἐπὶ χρόνον ἱκανὸν διατρέψας ἐπετρέπη διὰ κλεψύσεως εἰσελθεῖν ἐν τῷ Ταρῶν καὶ ἀναλαβέσθαι Κρικორίχιον τὸν ἄρχοντα οὐσαν εἰσελθεῖν· ὁ καὶ ἐποίησεν.

Εἰσελθόντος δὲ τοῦ αὐτοῦ Κρικორίχιου ἐν τῇ θεοφυλάκτῳ πόλει, καὶ τῇ τοῦ μαγίστρου καὶ στρατηγοῦ Ταρῶν ἀξίᾳ τιμηθέντος, ἐδόθη αὐτῷ καὶ οἶκος εἰς κατοικίαν ὁ τοῦ βαρβάρου λεγόμενος, ὁ γὺν Βασιλείου τοῦ παρακουιωμένου οἶκος. ἐτιμήθη δὲ καὶ ἐτησίῳ ρόγα, χρυσοῦ μὲν δέκα λίτρας καὶ μυριασίων ἑτέρας δέκα λίτρας, ὥστε εἶναι τὸ πᾶν λίτρας εἴκοσι. καὶ ἐπὶ χρόνον ἐν τῇ βασιλευσούσῃ διατρέψας καὶ διὰ τοῦ αὐτοῦ πρωτοσπαθάρτου Κωνσταντίνου πάλιν πρὸς τὴν οἰκείαν διεσώθη χώραν.

Μετὰ δὲ ταῦτα πάλιν εἰσηλθὲν καὶ Ἀπογάνει πρὸς τὸν μακάριον βασιλέα, καὶ προεβιάσθη παρ' αὐτοῦ εἰς τὴν πατριότητα, ἐπετρέπη δὲ καὶ εἰς γυναῖκα λαβεῖν τοῦ εἰρημένου Κωνσταντίνου θυγατέρα, καὶ ἐπὶ τῇ τριακῆτι προφάσει καὶ οἶκον ἐπέζητησεν, καὶ ἔλαβε καὶ αὐτὸς τὸν τοῦ βαρβάρου οἶκον χρυσοβουλλίου χαίρις.

შემდეგ, ხსენებულმა კონსტანტინემ საკმაო ხანი რომ დაჰყო ქალღიაში, ბრძანება მიიღო ტარონში წასულიყო, წამოეყვანა ტარონის ერისთავი კრიკორიკი და სამეფო ქალაქში მოსულიყო; მან ეს ბრძანება შეასრულა.

τοῦ Ταρῶν καὶ πρὸς τὴν βασιλευσούσαν

კრიკორიკი რომ ღვთივ-დაცულ ქალაქში მოვიდა, მას ებოძა მაგისტროსისა და ტარონის სტრატეგოსის პატივი და მიეცა საცხოვრებლად ეგრეთწოდებული «ბარბაროსის სახლი», რომელიც ამჟამად პარაკიმენოს ბასილის სახლია. მას ებოძა აგრეთვე ყოველწლიური სარგო ათი ლიტრა ოქრო და სხვა ათი ლიტრა მილიარისი¹, ისე რომ სულ ოც ლიტრას ღებულობდა. ერთი ხანი რომ დაჰყო სამეფო ქალაქში, იმავე პროტოსპათარ კონსტანტინეს თანხლებით უკან გაიგზავნა მის საკუთარ ქვეყანაში.

ამის შემდეგ აპოგანემიც კვლავ მოვიდა ნეტარხსენებულ მეფესთან, რომლის მიერაც აღზევებულ იქმნა პატრიკოსად და ნება მიეცა შეერთო ცოლად ხსენებული კონსტანტინეს ქალი; ამ საბაბით ის სახლსაც ეძიებდა და კიდევაც მიიღოთ უქოიზობულოდ «ბარბაროსის სახლი». მეფის მიერ წყალობა დებულის ის მამინვე თავის

¹ „მილიარისი“ (μυριαρίσιον) მონეტის სახელწოდებაა.

καὶ φιλοφρονηθεὶς παρὰ τοῦ βασι-
λέως τῷ τότε μὲν πρὸς τὴν
ἰδίαν χώραν ὑπέστρεψε πρὸς τὸ
πάλιν εἰσελθεῖν καὶ τὰ τοῦ γά-
μου ἀπαρτίσασθαι· ἅμα δὲ τῷ
εἰς τὴν οἰκίαν χώραν διασωθῆ-
ναι μετ' ὀλίγας ἡμέρας τέλει τοῦ
βίου ἐχρήσατο. ὁ δὲ τοῦτου ἀδελ-
φὸς Κρικορίκιος διὰ γραμμάτων
αὐτοῦ ἐξήτησατο εἰσερχεσθαι εἰς
τὴν βασιλεύουσαν καὶ παρὰ τῶν
χειρῶν τοῦ ἀγίου βασιλέως λαμ-
βάνειν τὴν διδομένην ρόγαν αὐτοῦ
καὶ ἐπὶ χρόνον τινὰ ἐν τῇ Θεο-
φυλάκτῳ διατρέβειν πόλει, καὶ
ἐπὶ τούτῳ τὸν τῷ οἰκίῳ ἀδελφῷ
προχωρισθέντα οἶκον εἰς κατοί-
κησιν λαβεῖν ἡξίου, ὃν καὶ ἐπιθε-
ῶκεν αὐτῷ ὁ μακάριος βασιλεὺς
διὰ τε τὸ νεωστὶ ὑποταγῆναι καὶ
διὰ τὸ καὶ ἄλλους ἄρχοντας τῆς
ἀνατολῆς πρὸς τὸν ὅμοιον ζῆλον
τῆς πρὸς Ῥωμαίους ὑποταγῆς ἐκκαλέσασθαι· ἐγγράφον δὲ χρυσοβούλ-
ιον ὄρωρεν τοῦ τοιοῦτου οἴκου πρὸς αὐτὸν οὕκ ἐποίησεν.

Μετὰ δὲ χρόνους ἰκανοὺς, Ῥω-
μανοῦ τοῦ μακαρίου βασιλέως τῶν
σκήπτρων τῆς βασιλείας Ῥωμαίων
ἐπειλημμένου, ἀνήγαγεν ὁ αὐτὸς
Κρικορίκιος μὴ ἰσχύειν κρατεῖν τὸν
τοῦ βαρβάρου οἶκον, ἀλλ' ἡξίου
λαβεῖν ἀντ' αὐτοῦ προάσταιον ἐν
Κελτζηνῇ, εἴτε τοῦ Πατζάτου εἴτε
ἄλλον οἶον κέλευσι ὁ βασιλεὺς,
ἵνα ὅτε ἐπιδρομῇ τῶν Ἀγαρηγῶν
κατὰ τῆς χώρας αὐτοῦ γένηται,

სამშობლოში გაბრუნდა იმ განზ-
რახვით, რომ კვლავ დაბრუნდე-
ბოდა და ჯვარს დაიწერდა. სამ-
შობლოში რომ დაბრუნდა, არ
გასულა რამდენიმე დღე და გარ-
დაიცვალა. მისმა ძმამ კრიკორი-
კიმ წერილი გაუგზავნა მეფეს:
მას უნდოდა სამეფო ქალაქში ჩა-
სულიყო, უწმინდესი მეფის ხელით
მიეღო დაპირებული სარგო და
ერთი ხანი დაეყო ღვთივ-დაცულ
ქალაქში. გარდა ამისა ითხოვდა
საცხოვრებლად მისი ძმისათვის
მიკუთვნებულ სახლს. ნეტარხენე-
ბულმა მეფემ მისცა ეს სახლი,
რადგან კრიკორიკი ახლახან დაე-
მორჩილა მას: ამით მას უნდოდა
აღმოსავლეთის სხვა მთავრებიც
წაექვებინა რომაელებს დამორ-
ჩილებოდნენ; მაგრამ ნაჩუქრობის
ოქრობეჭდული სიგელი ამ სახლზე
მან არ მისცა.

რამდენიმე წლის შემდეგ, რო-
დესაც რომაელთა სამეფოს საჭე
ეპყრა ნეტარხენებულ მეფეს რო-
მანოზს ¹, კრიკორიკიმ განაცხადა,
რომ მას არ შეუძლია «ბარბარო-
სის სახლში» იცხოვროს, და მის
ნაცვლად მოითხოვდა სანახებს
კელძენეში, ან პამატში, ან სხვაგან
სადმე, სადაც მეფე ბრძანებდა,
რათა მას საშუალება ჰქონოდა
იქ გაეხიზნა თავისი ოჯახი

¹ რომანოზ I ლევკენი, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიმამრი, თანაკვეთილი იყო 919 – 944 წლებში.

ἀποστέλλειν ἐκεῖσε ἔχῃ τὴν οἰ-
κείαν συγγένειαν καὶ ὑπόστασιν.
ὁ δὲ βασιλεὺς τὴν ἀκριβῆ γνῶ-
σιν τῶν πραγμάτων μὴ κεκτη-
μένος, ἐλπίζων δὲ ἀπὸ βασιλικῶν
χρυσοβούλλιον τοῦ μακαρίου
Λέοντος ἔχειν τὸν Ἰαπωνίτην
τὸν τοῦ βαρβάρου οἶκον, δέδω-
κεν αὐτῷ τὸ προάστειον τοῦ
Γρηγοῦ ἐν Κελτῶν, καὶ τὸν
οἶκον δῆθεν ἀντέλαβε, χρυσο-
βούλλιον δὲ οὐδὲ αὐτὸς πρὸς αὐ-
τὸν ἐπὶ τῷ προαστείῳ ἐποίησατο.

Μετὰ δὲ ταῦτα ἔγραψε πρὸς τὸν
αὐτὸν βασιλέα ὁ Ἰαπωνίτης ὁ τοῦ
Ἰαπωνίτου ἀνεψιός, ὁ τοῦ Ἀπο-
γάνει ἐκείνου υἱός, ὅτι τὸν οἶ-
κον τοῦ βαρβάρου ὁ μακαριώ-
τατος βασιλεὺς Λέων τῷ ἐμῷ
πατρὶ ἔδωκεν· μετὰ δὲ τὸν
τοῦ πατρὸς μου θάνατον, διὰ τὸ
ἔτι ἀνήλικον καὶ ὀρφανὸν τυγχά-
νειν ἐμέ, κατ' ἐξουσίαν φειδός μου
τὸν τοιοῦτον οἶκον κατεκράτη-
σεν, αἰεὶ καθυπισχοῦμένός μοι,
ὅταν εἰς τὸν τέλειον τῆς ἡλικίας
ἔλθω χρόνον, ἀπολαβεῖν τὸν οἶ-
κον τὸν πατρικόν· καὶ νῦν, ὡς
ἔμαθον, δέδωκε τὸν τοιοῦτον οἶ-
κον ὁ ἐμὸς φείδης τῇ βασιλείᾳ
σου, καὶ ἔλαβεν εἰς ἀντιστάσειν αὐτοῦ τὸ προάστειον τοῦ Γρηγοῦ
ἐν Κελτῶν.

და ქონება იმ შემთხვევაში, თუ
მის ქვეყანას თავს დაესხმოდნენ
აგარიანნი. მეფემ ზედმიწევნით არ
იცოდა საქმის ვითარება და ეგო-
ნა, რომ ტარონელი ფლობდა
«ბარბაროსის სახლს» ნეტარხე-
ნებული ლეონის სამეფო სიგელის
ძალით; ამიტომ მან მისცა მას
გრიგორასის სანახები კელძენეში,
მის ნაცვლად, რასაკვირველია, ჩა-
მომართვა სახლი, მაგრამ არავითა-
რი სიგელი არ მიუცია სანახების
ფლობაზე.

ამის შემდეგ თორნიკემ, ტარო-
ნელის ძმისწულმა, იმ აპოგანემის
შვილმა¹, მისწერა მეფეს: »უნეტა-
რესმა ლეონ მეფემ მამა-ჩემს
«ბარბაროსის სახლი» აჩუქა, ხო-
ლო მამა-ჩემის სიკვდილის შემდეგ,
რადგან მე მცირეწლოვანი და
ობოლი ვიყავი, ბიძა-ჩემმა ჩაიგდო
ხელში ის სახლი და მუდამ მპირ-
დებოდა, რომ როგორც-კი სრულ-
წლოვანი შევიქნებოდი, მამა-ჩემის
სახლს უკან მივიღებდი; ახლა კი,
როგორც შევიტყე, ბიძა-ჩემს ის
სახლი შენი მეუფებისთვის მიუ-
ცია, იმის სანაცვლოდ კი გრი-
გორასის სანახები მიუღია კელ-
ძენეში“.

¹ სომხური წყაროების მიხედვით ტარონის მთავრის კრიკორიკის ძმის, აპულანემის, შვილები იყვნენ: თორნიკი, ვაჰანი და სუმბატი. იხ. პ. აჭარიანი, სომხური საკულთარი სახელების ლექსიკონი, გვ. 198. ცნობები სომხური წყაროების შესახებ შეგვიმოწმა პროფ. ილ. აბულაძემ, რომელსაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

Ἀπὸ δὲ τῶν τοιούτων βασιλικῶν φιλατιμῶν τῶν πρὸς τὸν ἄρχοντα τοῦ Ταρῶν φθόνος ὑπεφύη καὶ ἐβλάστησε πρὸς αὐτὸν παρὰ τοῦ Κωνσταντίνου τοῦ ἄρχοντος Βασπαρακῶν καὶ Ἀδριανασήρ τοῦ κουροπαλάτου Ἰβηρίας καὶ Ἀσσιτικίου τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων, οἵτινες ἔγραψαν πρὸς τὸν βασιλέα διαγγέλλοντες δι' ἣν αἰτίαν ὁ Ταρωνίτης μόνος ῥόγας ἀπολαύει βασιλικῆς, αὐτῶν ἀπάντων λαμβανόντων οὐδέν. „τίνῃ γάρ“ ἔλεγον „περισσότεραν δουλείαν ἡμῶν ποιεῖται, ἢ τί πλέον ἡμῶν τοὺς Ῥωμαίους ἐπιωφελεῖ; ὅθεν χρὴ ἢ καὶ ἡμᾶς ὡς ἐκείνον βρογέεσθαι, ἢ μή;“ ἔδεινον ἐντὸς τῆς τοιαύτης συγχάνειν ὁμοειδίας“.

Ὁ δὲ μακάριος Ῥωμαῖος ἀντέγραψε πρὸς αὐτοὺς μὴ παρ' αὐτοὺς τὴν ἐπὶ τῷ Ταρωνίτη γενέσθαι ῥόγαν, „ἐν' ἐπ' αὐτῷ κείται καὶ ἡ ταύτης γῆν ἐκκοπή, ἀλλὰ παρὰ τοῦ μακαρίου βασιλέως· καὶ μὴ δίκαιον εἶναι τὰ τῶν προβεβασιλευκότων παρὰ τῶν ἰσχυροτέρων ἀνατρέπεσθαι. ἔγραψε δ' ἑμῶς πρὸς τὸν αὐτὸν Ταρωνίτην, δηλοποιῶν αὐτῷ τὴν τῶν εἰρημίων ἀνδρῶν λύπην καὶ σκάνδαλον. ὁ δὲ ἀνήγαγε μῆτε χρυσὸν μῆτε ἄργυρον παρέχειν δύνασθαι, ὑπισχνεῖτο δὲ ἕξωθῆν τῶν κατὰ τύπον ἀποστελλομένων ξενίων δεσθῆναι ἰμάτια καὶ χαλαρώματα μέχρι τῶν δέκα λιτρῶν

რადგან ტარონის მთავარი მეფეს ასეთ წყალობაში ჰყავდა, შურით აღივსნენ მისდამი ვასპურაკანის მთავარი გაგიკი, იბერიის კუროპალატი ადრიანასერი და ერისთავთ-ერისთავი აშოტი, რომლებმაც დიდი უკმაყოფილებით მისწერეს მეფეს: რით აიხსნება, რომ მხოლოდ ტარონელი ღებულობს სამეფო სარგოს, ჩვენ კი არც ერთი არაფერს ვღებულობთო. „რა ასეთს ჩვენზე უფრო მეტ სამსახურს გიწევს, – სწერდნენ ისინი – ან რით არის ის ჩვენზე უფრო მეტად სასარგებლო რომაელებისათვის? ამიტომ ან ჩვენც იგივე სარგო უნდა გავვიჩინო, ან-და არც ის უნდა ღებულობდეს ამ წყალობასო“.

ნეტარხსენებულმა რომანოზმა უპასუხა მათ: ტარონელისათვის მე კი არ დამინიშნავს სარგო, რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული ახლა მისი გაუქმება, არამედ ნეტარხსენებული მეფისაგანაა ის დადებული; არ არის მართებული წინამორბედი მეფეების მიერ დაწესებული მომდევნო მეფეებმა ცვალონო. ასევე მისწერა მან ტარონელს და აცნობა მას ზემოხსენებულ პირთა მიერ გამოთქმული მწუხარება და წყენა. იმან კი (ე. ი. ტარონელმა) მოახსენა, რომ არ შეუძლია აძლიოს არც ოქრო და არც ვერცხლი, მაგრამ ჰპირდებოდა, რომ გარდა პირობით გათვალისწინებული საჩუქრებისა მისცემდა ხოლმე ტანსაცმელსა და სპილენ-

συντιμώμενα· ἔκαστος δὲ καὶ δέδωκε μέ-
 χρι τριῶν ἢ τεσσάρων ἐνιαυτῶν.
 μετὰ δὲ ταῦτα ἀνήγαγε μὴ θύνασ-
 θαι παρέχειν τὸ τοιοῦτον πάκτον·
 τὴν δὲ ρόγαν ἢ προῖκα λαμβάνειν
 ἡξίου καθὼς ἐπὶ τοῦ μακαριω-
 τάτου βασιλέως Δέοντος, ἢ ἐκ-
 κοπήναι αὐτήν. ὅθεν διὰ τὸ μὴ
 εἰς σκάνδαλον εἶναι τοῦ Κακι-
 κίου καὶ τοῦ κουροπαλάτου καὶ
 τῶν λοιπῶν ἐξέκοψε ταύτην ὁ
 εἰρημένος μακαριώτατος βασιλεὺς
 Ῥωμανός, παραμυθούμενος δὲ
 ὡσπερ αὐτόν, μετὰ ταῦτα τὸν
 τοῦτου υἱὸν Ἀσώτιον ἐν τῇ πόλει
 παραγεγονότα εἰς πατρικίους ἐτί-
 μιησέ καὶ φιλοφρονησάμενος αὐ-
 ταρχῶς πρὸς τὰ ἴδια ἐξαπέστειλε.

ქალაქში იყო, საკმარისად პატივი სცა და შინ გაისტუმრა.

Τοῦ δὲ μαγίστρου τοῦ Κρι-
 κορικίου τὸν βίον ἀπολιπόν-
 τος, ἀνήγαγε Τορνίκιος ὁ τοῦ
 Ἀπογάνεμι υἱὸς ἔρωτα ἔχειν ἐγ-
 κάρδιον εἰσελθεῖν καὶ τὸν βασι-
 λέα θεάσασθαι· ἐφ' ᾧ τὸν πρω-
 τοσπαθάριον Κρινίτην καὶ ἐρ-
 μηνεῦτήν ὁ βασιλεὺς ἐξαπέστει-
 λεν, ὃς καὶ εἰσήγαγεν ἐν τῇ πό-
 λει τὸν εἰρημένον Τορνίκιον, καὶ
 προήγαγε τὸν αὐτὸν Τορνίκιον ὁ
 βασιλεὺς εἰς τὴν τῶν πατρικίων
 τιμὴν. προστείνετο δὲ δικαιολο-
 γίας ἐπὶ τῇ τοῦ βαρβάρου οἴκῳ.
 καὶ ἀκούσας ὅτι πρόστειον λαβῶν
 ὁ θεὸς αὐτοῦ ἐν τῇ Κελτζηγῇ
 τὴν τοῦτου παρεχώρησεν ἐξου-
 σίαν, ἔλεγε μὴ θύνασθαι τὸν

მეულობას, დაახლოვებით ათი
 ლიტრის ღირებულს; და სამი თუ
 ოთხი წლის განმავლობაში მარ-
 თლაც აძლია. შემდეგ კი გამოუც-
 ხადა, აღარ შემძლია ეს ხარკი ვი-
 ხადო, და სთხოვდა მეფეს სარ-
 გო ან უქრთამოდ მეძლეოდეს,
 როგორც ეს ნეტარხსენებულ
 ლეონ მეფის დროს იყო, ან მო-
 მესპოს იგიო. ამიტომ, რათა სა-
 წყენი არ ყოფილიყო გაგიკისთვის,
 კუროპალატისთვის და დანარჩენე-
 ბისთვისაც, ზემოხსენებულმა უნე-
 ტარესმა მეფემ რომანოზმა მოუს-
 პო ტარონელს სარგო; ხოლო მის
 სანუგეშებლად შემდეგ პატრიკი-
 ოსობა უბოძა მის შვილს აშოტს,
 როდესაც უკანასკნელი სამეფო

როდესაც კრიკორიკი მაგისტ-
 როსი გარდაიცვალა, თორნიკემ,
 აპოგანემის ძემ, განაცხადა, გული-
 თადი სურვილი მაქვს ჩავიდე სა-
 მეფო ქალაქში და მეფე ვინახუ-
 ლოო. ამიტომ მეფემ მიავლინა
 პროტოსპათარი და თარჯიმანი
 კრინიტე, რომელმაც სამეფო
 ქალაქში ჩამოიყვანა ხსენებული
 თორნიკე. მეფემ თორნიკე პატ-
 რიკიოსად აღაზევა. თორნიკემ
 გამოაცხადა თავისი უფლებები
 «ბარბაროსის სახლზე». და რო-
 დესაც შეიტყო, რომ მის ბიძას
 კელმენემ მიუღია სანახები და
 ამ სახლის ფლობაზე ხელი აუ-
 ღია, თქვა, ჩემს ბიძას არ ჰქონდა
 უფლება მამა-ჩემის მიერ დატო-

θετον αὐτὸν ἐπὶ τῇ πατρικῇ κληρονομίᾳ αὐτοῦ ποιεῖσθαι ἀντικλαγγήν, καὶ ἡξίου ἢ τὸν οἶκον λαβεῖν ἢ τὸ προάστειον. εἰ δὲ μή, καὶ ἀμφοτέρω προτεχώρει τῆ βασιλείᾳ πρὸς τὸ μὴ ἔχειν αὐτὰ τοὺς ἐξαδελφούς αὐτοῦ. τούτου ἔνεκεν ὁ βασιλεὺς, ἐπεὶ καὶ ὁ γέρων ὁ Ταρωνίτης ἐτύγγανεν ἀποθανῶν, ἀνελάβετο τὸ προάστειον καὶ οὐδὲ τὸν οἶκον ἀντέδωκεν, ἐπεὶ μηδὲ χρυσοβούλλιον, καθὼς ἀνωτέρω προείρηται, ἐπί

Μετὰ δὲ ταῦτα εἰσηλθε πρὸς τὴν βασιλεύουσαν Παγκράτειος ἐκείνος ὁ πρῶτος υἱὸς τοῦ μαγίστρου ἐκείνου Κρικορικίου τοῦ Ταρωνίτου, καὶ προσεβίβασθη παρὰ τοῦ βασιλέως εἰς τὸ τῶν πατρικίων ἀξίωμα, καὶ γέγονε καὶ στρατηγὸς τοῦ Ταρών. ἡτήσατο δὲ γυναῖκα λαβεῖν ἀπὸ τῶν βασιλικῶν συγγενίδων, καὶ δέδωκεν αὐτῆ ὁ βασιλεὺς τὴν τοῦ μαγίστρου Θεοφυλάκτου ἀδελφὴν εἰς γυναῖκα. καὶ μετὰ τὸν γάμον διαθήκας ἐξέθηκετο, ἐν αἷς ἐδήλου ὅτι ἐάν μοι γένωνται παιδῆς ἀπὸ τῆς τοιαύτης γυναίκος, ἵνα ἔχωσι τὴν ἀπασάν μου χώραν εἰς κληρὸν προγονικόν. καὶ ἐπὶ τούτῳ ἡτήσατο βασιλέα δοθῆναι αὐτῆ τὸ προάστειον τοῦ Γρηγορᾶ πρὸς τὸ ἐν αὐτῆ τὴν πατρικίαν τὴν τούτου γυναῖκα καθ' ἐξέσθαι· μετὰ δὲ τὴν τοιαύτης ἀποβίωσιν εἶναι πάλιν τὸ

ვებული სამკვიდრო გაეცვალაო, და მოითხოვდა: ან სახლი მომეცით, ან სანახებო; თუ არა-და მეფისთვის დამითმია ორივე, ოღონდ ისინი ჩემს ბიძაშვილებს არ ჰქონდეთო. ამის გამო მეფემ, ვინაიდან მოხუცი ტარონელიც გარდაცვლილყო, სანახებიც უკან წაიღო და არც სახლი მისცა მის ნაცვლად, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, არც ერთ მათგანზე არ ყოფილა გაცემული ოქროს სიგელი. *τινι τούτων ἐξετέθη.*

ამის შემდეგ სამეფო ქალაქში ჩამოვიდა ზაგრატი, იმ კრიკორიკო ტარონელის, მაგისტროსის, უფროსი ვაჟი, და მეფის მიერ აღზევებულ იქმნა პატრიკიოსთა პატივში და დანიშნულ იქმნა ტარონის სტრატეგოსად. მან ითხოვა, სამეფო გვარეულობის ქალი შემრთეთ ცოლადო, და მეფემ შერთო მას თეოფილაქტე მაგისტროსის და. ქორწილის შემდეგ ანდერძი დასწერა, რომელშიც განაცხადა: „თუ ამ ცოლისაგან შვილები შემეძინოს, მათ ჰქონდეთ სამკვიდრო მფლობელობაში მთელი ჩემი ქვეყანაო“. სამაგიეროდ მან მოითხოვა მეფისაგან მიეცა მისთვის გრიგორასის სანახები, რათა იქ დაბინავებულიყო მისი პატრიკიოსი-ცოლი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ეს სანახები ისევ მეფის განკარგულებაში გადავიდოდა. მეფე ამაზედაც დათანხმდა, ბევრი პატივიც სცა და

τοιούτων προάστειον τῆς βασι-
λείας αὐτοῦ, καὶ ἐπένευσε καὶ
πρὸς τοῦτο ὁ βασιλεὺς, καὶ πολλαῖς φιλοτιμίαις αὐτὸν θεξίωσάμενος
μετὰ τῆς ἰδίας γυναικὸς ἐξαπέστειλεν εἰς τὴν χώραν αὐτοῦ.

Οἱ δὲ υἱοὶ τοῦ μαγίστρου
Κρικორικίου, ὃ τε αὐτὸς Παγκρά-
τειος ὁ πατρίκιος καὶ Ἀσώτιος
ὁ πατρίκιος, μεγάλως παρελύ-
πουν καὶ ἐβιάζοντο τὸν οἰκεῖον
αὐτῶν ἐξάδελφον Τορνίκιον τὸν
πατρίκιον· ὃς μὴ ὑποφέρων τὴν
ἀπὸ τούτων ἐπίθεσιν ἔγραψε
πρὸς τὸν βασιλέα ἀποστella
πιστὸν ἄνθρωπον καὶ παραλαβεῖν
τὴν χώραν αὐτοῦ, αὐτὸν δὲ καὶ
τὴν γυναῖκα καὶ τὸ παιδίον αὐ-
τῶν πρὸς τὸν βασιλέα εἰσαγα-
γεῖν. ὁ δὲ βασιλεὺς ἀπέστειλε
τὸ πρωτοσπαθάριον Κρινίτην καὶ
ἐρμηγέα πρὸς τὸ κατὰ τὴν ἀξιω-
σιν αὐτοῦ ἀναλαβέσθαι καὶ εἰσ-
αγαγεῖν αὐτὸν ἐν τῇ θεοφυλάκ-
τῃ πόλει. ὅτε δὲ τὴν τοιαύτην
χώραν ὁ Κρινίτης κατέλαβεν,
εὗρεν αὐτὸν ἤδη τὸν βίον ἀπο-
λιπόντα, διαταξάμενον πρὸ τῆς
τελευτῆς εἶναι πᾶσαν τὴν χώραν
αὐτοῦ ὑποκειμένην τῷ βασιλεῖ
Ῥωμαίων, τὴν δὲ γυναῖκα καὶ
τὸ παιδίον αὐτοῦ εἰσελθεῖν πρὸς
τὸν βασιλέα· ἣ καὶ δέδωκεν ὁ βασιλεὺς εἰς κατοικήσιν εἰσελθούσης
τοῦ πρωτοσπαθάριου Μιχαῆλ τοῦ ποτὲ γεγονότος κοιμηριαρίου Χαλ-
δίας καὶ Ὠωμαθέως τὴν μονήν.

Καὶ πάλιν ἀπεστάλη ὁ εἰρη-
μέγος Κρινίτης παρὰ τοῦ βασι-
λέως πρὸς τὸ παραλαβεῖν τὴν
χώραν τοῦ Ἀπογάνεμ ἧτοι τὸ
μέρος τοῦ πατρίκιου Τορνικίου.

მისი ცოლითურთ გაისტუმრა მის
ქვეყანაში.

მისი ცოლითურთ გაისტუმრა მის
ქვეყანაში.

კრიკორიკი მაგისტროსის შვი-
ლები, ბაგრატ პატრიკოსი და
აშოტ პატრიკოსი, დიდ მწუხარე-
ბას აყენებდნენ და მძლავრობდნენ
თავიანთ ბიძაშვილს თორნიკე პა-
ტრიკოსს. მან ვერ აიტანა ამათი
იერიში და მისწერა მეფეს: გამო-
გზავნე სანდო კაცი, რომ ჩაიბა-
როს ჩემი ქვეყანა, მე კი ჩემი ცოლ-
შვილით შენთან ჩამომიყვანოსო.
მეფემაც მიავლინა პროტოსპათარი
და თარჯიმანი კრინიტე, რათა
მას ჩამოეყვანა თორნიკე ღვთივ-
დაცულ ქალაქში. როდესაც კრი-
ნიტე ამ (ე. ი. თორნიკეს) ქვეყა-
ნაში ჩავიდა, თორნიკე მას უკვე
გარდაცვლილი დახვდა; სიკვდილის
წინ ანდერძად დაუტოვებია მისი
ქვეყანა რომაელთა მეფეს დამორ-
ჩილებოდა, ხოლო მისი ცოლი და
შვილი მეფესთან ჩასულიყვნენ. მე-
ფემ მისცა მას საცხოვრებლად,
როდესაც ის ჩავიდა, მიქაელ
პროტოსპათარის, მაშინ ქალ-
დისა და ფსომათის კომერკიარად
მყოფის, მონასტერი.

ზემოხსენებული კრინიტე კვლავ
გაგზავნა მეფემ დავალებით ჩაე-
ბარებინა აპოგანემის სამფლო-
ბელო, ესე იგი თორნიკე პატ-
რიკოსის ქვეყნის ნაწილი. თავის

ἀνταπέστειλαν δὲ ἐκεῖθεν τοὺς
 Ταρωνίτου υἱοὶ οἱ τοὺς ἀποθα-
 νόντος ἐξαδελφοί, ἀξιοῦντες δοῦ-
 ναι τὸ Οὐλνούτην καὶ ἔχειν τὴν
 χώραν τοῦ ἐξαδέλφου αὐτῶν·
 μὴ γὰρ δύνασθαι ἕλωσ ἀπὸ τοῦ
 ζῆν, εἰ τὴν τοῦ ἐξαδέλφου αὐτῶν
 χώραν ὡς οἰκείαν κατὰσχη ὁ
 βασιλεὺς. οἰκεία δὲ ἀγαθότητι
 ὑπέβλεψεν ὁ βασιλεὺς. τὴν αἵτησιν
 αὐτῶν ἐξεπλήρωσε καὶ δέδωκεν
 αὐτοῖς μὲν τὴν χώραν τοῦ Ἀπογά-
 νεμ τοῦ ἐξαδέλφου αὐτῶν, αὐτὸς
 δὲ ἀνελάβετο τὸ Οὐλνούτην μετὰ
 πάσης τῆς περιχώρου αὐτοῦ.

Ἡ δὲ ἔρημος τοῦ Ταρῶν χώρα εἰς
 τὸ οὐλνούτην ἐπέσχετο· καὶ
 τὸ μὲν ἡμισυ οἱ τοῦ μαγίστρου

მხრით ტარონელის ვაჟებმა, გარ-
 დაცვალეზულის ბიძაშვილებმა,
 შემოუთვალეს მეფეს: ულნუტს¹
 მოგცემთ და ჩვენი ბიძაშვილის
 ქვეყანა კი ჩვენ გვქონდესო: ყოვ-
 ლად შეუძლებელია ჩვენი არსე-
 ბობა, თუ ჩვენი ბიძაშვილის ქვე-
 ყანა მეფის მფლობელობაში დარ-
 ჩებაო. მეფემ თავისი გულკეთი-
 ლობით დაუთმო მათ, თხოვნა
 აუსრულა და მისცა მათ მათი
 ბიძაშვილის აპოგანემის ქვეყანა,
 თვითონ კი ჩაიბარა ულნუტი
 მთელი მისი სანახებით.

მთელი ტარონის ქვეყანა, მამა-
 სადამე, ორ ნაწილად გაიყო:
 ერთი ნახევარი ეპყრათ კრიკორი-

¹ ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს რუსული თარგმანის კომენტარებში სწერია: «Улнута в Лазике» (გვ. 66, შენიშვნა 87) და მითითებულია ბროსეს Collection d'hist. arm. I, 615. ბ რ ო ს ე ს, მართლაც, აღნიშნულ გვერდზე შენიშვნაში უწერია:

«Ulnut – lieu dans la Lazique, près de Camakh; v. Codin». ა. გ რ ე ნ ი ც, ალბათ, ბროსეს ემყარება როდესაც წერს: «... уступил императору место в Лазике, Улнута» (А. Г р е н: ЖМНП 1893, ноябрь, стр. 99). მამასადამე, ბროსეს აზრით „ულნუტი“ კ ა მ ა ხ ი ს მახლობლად მდებარეობდა.

დაკავშირებით ამ ადგილთან (τὸ Ολνούτην) უნდა გავიხსენოთ ეკთესი-
 სებში მოხსენებული τὸ Ὀλνούτην; სახელდობრ, X საუკუნის დასაწყისში შექმნილ
 ტრაპეზუნტ-ლაზიკის ეპარქიაში შედის: Ὀλნუტის ეპისკოპოსი: ὁ τοῦ Ὀλνούτην
 (ნოტიცია X, იხ. ზემოთ გვ. 165), ὁ τοῦ Συλნουτοῦ (ὁ τοῦ Ὀλνούτην
 τοῦ – ნოტიცია III, იხ. ზემოთ გვ. 133). ზედმიწევნითი იგივეობა საშუალო
 სქესის ფორმებისა τὸ Ὀλνούτην და τὸ Ὀλνούτην გვაფიქრებინებს თვით ადგი-
 ლების იგივეობაზე. ჰ. გელცერი (Ungedruckte u. unveröff. Texte... გვ. 578)
 ფიქრობს, შეიძლება ეს „ოლთისი“ იყოსო. მაგრამ, რამდენადაც ოლთისი იმავე
 სექტორში მდებარეობს, სადაც არის ომქი, ხახული და ბანა და არც ერთი
 ამთავანის კათედრა ტრაპეზუნტ-ლაზიკის ეპარქიაში არ შედიოდა, ძნელი საფიქ-
 რებელია, რომ Ὀλνούτην ოლთისი იყოს, იმაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომ
 ენობრივად Ὀλνούτην -სა და ოლთისის მანც და მანც ახლო ნათესაობა არ უჩანს.
 უფრო საფიქრებელია, რომ ეს უდრიდეს რომაულ არმენიაში ისტორიკოსთა და
 გეოგრაფოსთა მიერ აღნიშნულ *Παλνυტ* „ოლნუტ“-ს (შეად. Н. А д о н ц, Ар-
 мения в эпоху Юстиниана, გვ. 16 – 19).

Κρικορικίου εἶχον υἱοί, τὸ δὲ
ἦμις οἱ τοῦ Ἀπογάνει τοῦ πα-
τρικίου, οἱ τούτων ἐξάδελφοι
(CB, III-182—191).

კი მაგისტროსის შვილებს, ხოლო
მათ ბიძაშვილებს, პატრიკიოს
აპოგანემის შვილებს, მეორე ნა-
ხევარი ეპყრათ ¹.

სამთავროები ვანის ტბის ჩრდილო სანაპიროზე

Κεφάλαιον μδ'

Περὶ τῆς χώρας τῆς Ἀπαζουρῆς καὶ
τοῦ κάστρου τοῦ Μαντζικέρτ καὶ τοῦ
Περκρὶ καὶ τοῦ Χλιατ καὶ τοῦ Χα-
λιατ καὶ τοῦ Ἀρζες καὶ τοῦ Τιβῆ²
καὶ τοῦ Χέρτ καὶ τοῦ Σαλαμάς καὶ
τοῦ Τζεσματζοῦ

Ἰστέον ὅτι πρὸ τοῦ Ἀσωτίου
τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων, τοῦ
πατρὸς τοῦ Συμβατίου τοῦ ἄρ-
χοντος τῶν ἀρχόντων, ὃν ἀπεκε-
φάλισεν ὁ ἀμνηστὴς Περσίδος ὁ
Ἀποσάτας, ὃς καὶ ἐποίησε ὄνο-
μα υἱοῦς, τὸν τε Ἀσώτιον τὸν μετ'
αὐτὸν γενόμενον ἄρχοντα τῶν
ἀρχόντων καὶ Ἀπασάκιον τὸν
μετὰ ταῦτα μάγιστρον τιμη-
θέντα, τὰ τρία ταῦτα κάστρα,
τὸ τε Περκρὶ καὶ τὸ Χαλιατ καὶ
τὸ Ἀρζες, ὑπὸ τὴν τῆς Περσίδος

Ὅτι ὁ ἄρχων ἐκαθέζετο τῶν
ἀρχόντων εἰς τὴν μεγάλην Ἀρμε-
τὸ Ἀρζες, ὑπὸ τὴν τῆς Περσίδος

თავი 44

აპახუნის ქვეყანაზე, მანძიკერტის ციხე-
ზე, პერკრიზე, ხლიატზე, ხალიატზე, არ-
ზესა და ტიბეზე², ხერტზე, სალამასა და
ძეზმაძეზე

საცოდნელია, რომ უწინარეს
აშოტ ერისთავთ-ერისთავისა, სუმ-
ბატ ერისთავთ-ერისთავის მამისა,
რომელსაც სპარსეთის ამირამ
აპოსატამ თავი მოჰკვეთა და რო-
მელმაც ორი ძე შვა: აშოტი, რომე-
ლიც მის შემდეგ ერისთავთ-ერის-
თავად იყო, და აპასაკი, რომელ-
საც შემდეგ მაგისტროსობა ებო-
და, – სპარსეთის მფლობელობაში
იყო სამი შემდეგი ციხე: პერკრი,
ხალიატი და არზე.

ἐπικράτειαν ἐτέρχχανον.

Ὅτι ὁ ἄρχων ἐκαθέζετο τῶν
ἀρχόντων εἰς τὴν μεγάλην Ἀρμε-

ერისთავთ-ერისთავი იჯდა დიდს
არმენიაში, ყარსის ციხეში, და

¹ ამ 43. თავში კონსტანტინე პორფიროგენეტი მოგვითხრობს სომხეთის
ერთ-ერთი კუთხის, ტარონის, შესახებ. ტ ა რ ო ნ ი დიდი არმენიის ერთი 16 კან-
ტონთაგანი იყო და მას ვანის ტბის მთელი დასავლეთი სანაპირო ეკავა, ისევე
როგორც ვასპურაკანს ეკავა მისი აღმოსავლეთი მხარე. ტარონის მთავართა სია
და მათი გენეალოგია იხ. B r o s s e t, Collection d'historiens arméniens,
ტ. I, გვ. 615 – 617. ტარონის როლი იმდროინდელ სომხეთის ისტორიაში და
საერთაშორისო ურთიერთობაში დახასიათებულია ბ რ ო ს ე ს მიერ ზემოთ დასა-
ხელებული წიგნის სპეციალურ თავში: Sur le Taron et les Taronites (გვ. 613 –
618); ვროცელი გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს ნ. ა დ ო ნ ც მ ა – Les Taronites
en Arménie et à Byzance: Byzantion IX (1934), 715 – 738; X (1935), 531 – 551.

² იხ. ქვემოთ გვ. 263, შენიშვნა.

νίαν, εἰς τὸ κάστρον τὸ Κάρις, καὶ ἐπέτειχε καὶ τὰ τρία τὰ προγεγραμμένα κάστρα, τὸ τε Περκρί, τὸ Χαλιάτ καὶ τὸ Ἄρζες, καὶ τὸ Τιβή καὶ τὸ Χέρτ καὶ τὸ Σαλαμιάς.

Ὅτι Ἀπελκάρτ ἐκράτει τὸ Μαντζικιέρτ, καὶ ἦν ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων, τοῦ πατρὸς τοῦ Συμβατίου τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων. δέδωκε δὲ αὐτῷ Ἀπελβάρτ ὁ αὐτὸς Ἀσώτιος ὁ ἄρχων τῶν ἀρχόντων καὶ τὸ κάστρον τὸ Χλιάτ καὶ τὸ Ἄρζες καὶ τὸ Περκρί· ὁ γὰρ προρρηθὲς Ἀσώτιος ὁ ἄρχων τῶν ἀρχόντων, ὁ πατήρ τοῦ Συμβατίου τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων, κατείχε πάσας τὰς τῆς ἀνατολῆς χώρας. τελευτήσαντος δὲ Ἀπελβάρτ, κατέσχε τὴν ἐξουσίαν αὐτοῦ ὁ ἴδιος υἱὸς αὐτοῦ ὁ Ἀβελχამίτ, τοῦ δὲ Ἀβελχამίτ τελευτήσαντος ἐκράτησε τὴν ἐξουσίαν αὐτοῦ ὁ πρῶτος υἱὸς αὐτοῦ Ἀποσεβατάς. τοῦ δὲ Συμβατίου τοῦ ἄρχοντος τῶν ἀρχόντων παρὰ τοῦ Ἀποσάτα τοῦ ἀμηρᾶ Περσίδου ἀναιρεθέντος, ἐκράτησεν ἀνθιεντῶς καὶ κυρίως ὡς δεσπότης καὶ ἀντοκέφαλος τὸ τε κάστρον τὸ Μαντζικιέρτ καὶ τὰ λοιπὰ κάστρα καὶ τὰς χώρας· ὅστις καὶ ὑπετάγη τῷ βασιλεῖ μετὰ τῶν ἑτέρων δύο ἀδελφῶν αὐτοῦ τοῦ Ἀπολεσφοῦეტ καὶ τοῦ Ἀποσέλμη διὰ τὸ διαφόρως καταπολεμηθῆναι τὰ τε κάστρα καὶ πραιδευθῆναι καὶ ἀφανισθῆναι

ეპყრა სამი ზემოხსენებული ციხე: პერკრი, ხალიატი და არზე, და აგრეთვე ტიბე, ხერტი და სალამა.

აპელკარტი ფლობდა მანძიკიერტს და ემორჩილებოდა ერისთავთ-ერისთავის, სუმბატ ერისთავთ-ერისთავის მამის, ძალაუფლებას. ამ აპელბარტს იმავე აშოტ ერისთავთ-ერისთავმა მისცა ხლიატის ციხე, არზე და პერკრი. ზემოხსენებულ აშოტ ერისთავთ-ერისთავს, სუმბატ ერისთავთ-ერისთავის მამას, ეპყრა აღმოსავლეთის მთელი მიწაწყალი. ხოლო როდესაც აპელბარტი გარდაიცვალა, ძალაუფლება მიიღო მისმა ძემ აბელქამიტმა, ხოლო როდესაც აბელქამიტი გარდაიცვალა, მისი ძალაუფლება იპყრა მისმა პირმშო ძემ აპოსებატამ. როდესაც სუმბატ ერისთავთ-ერისთავი მოკლულ იქმნა სპარსეთის ამირას აპოსატას მიერ, მან სრულიად კანონიერად იპყრა, როგორც თვითთავადმა მზრძანებელმა, მანძიკიერტის ციხეც და დანარჩენი ციხეებიცა და ქვეყნებიც. ეს იყო რომ დაემორჩილა მეფეს თავისი ორი სხვა ძმით, აპოლესფუეტითა და აპოსელმით, რადგან რამდენჯერმე იქნა იერიშები მიტანილი მათ ციხეებზე და აოხრდა და განადგურდა მათი ქვეყნები სხოლათა დომესტიკის მიერ, რომელმაც რომაელთა მეფეს ხარკი მოუხვეჭა მათი ციხეებისა და სოფლებიდან. დაწყებული ზემოხსენებული აშოტ

καὶ τὰς χώρας αὐτῶν παρὰ τοῦ
 δομαστίκου τῶν σχολῶν, παρέ-
 χοντος τὸν βασιλέα Ῥωμαίων
 καὶ πάντα ὑπὲρ τῶν κάστρων
 καὶ τῶν χωρίων αὐτῶν. ἀπὸ δὲ
 τοῦ προρρηθέντος Ἀσωτίου τοῦ
 ἄρχοντος τῶν ἀρχόντων, τοῦ
 πατρὸς μὲν τοῦ Συμβατίου πάπ-
 που δὲ τοῦ δευτέρου Ἀσωτίου
 καὶ τοῦ μεγίστου Ἀπασακίου,
 μέχρι ζῆσης τοῦ δευτέρου Ἀσω-
 τίου ἄρχοντος τῶν ἀρχόντων
 ὑπῆρχον τὰ τοιαῦτα τρία κάσ-
 τρα ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τοῦ ἄρ-
 χοντος τῶν ἀρχόντων, καὶ ἐλάμ-
 βανεν ἐξ αὐτῶν πάντα ὁ ἄρχων
 τῶν ἀρχόντων. ἀλλὰ καὶ τὸ
 κάστρον τοῦ Μαντζικιέρτ, μετὰ
 τῆς χώρας τοῦ Ἀπαχουνῆς καὶ
 τοῦ Χαρκὰ καὶ τοῦ Κορή, ὑπὸ
 τὴν ἐξουσίαν καὶ ἐπικράτειαν
 τοῦ αὐτοῦ ἄρχοντος τῶν ἀρ-
 χόντων ὑπῆρχεν, ἕως ὅτου
 Ἀποσεβατὰς ὁ ἀμηρὰς τοῦ Μαν-
 τζικιέρτ μετὰ τῶν δύο ἀδελφῶν
 αὐτοῦ τοῦ τε Ἀπολεσφοῦετ καὶ τοῦ Ἀποσέλιμη ὑπετάγησαν τῷ βα-
 σιλεῖ, διδόντες καὶ πάντα ὑπὲρ τε τῶν κάστρων καὶ τῶν χωρίων αὐτῶν.
 ἐπεὶ ὁ ἄρχων τῶν ἀρχόντων δούλος τοῦ βασιλέως τῶν Ῥωμαίων
 τυγχάνει ὡς παρ' αὐτοῦ προβαλλόμενος καὶ τὸ τοιοῦτον δεχόμενος
 ἀξίωμα, δηλονότι καὶ τὰ ὑπ' αὐτοῦ δεσποζόμενα κάστρα καὶ πολι-
 τεῖαι καὶ χωρία τοῦ βασιλέως τῶν Ῥωμαίων τυγχάνουσιν.

Ἔστι τοῦ Συμβατίου τοῦ ἄρ-
 χοντος τῶν ἀρχόντων τῆς μεγά-
 λης Ἀρμενίας κρατηθέντος παρὰ
 τοῦ Ἀποσάτα τοῦ ἀμηρὰ Περ-
 σίδος καὶ ἀποκεφαλισθέντος παρ'
 αὐτοῦ, ἐκράτησεν ὁ Ἀποσεβατὰς,

ერისთავთ-ერისთავით, სუმბატის
 მამით, ხოლო აშოტ მეორისა და
 აპასაკი მაგისტროსის პაპით, ვიდრე
 აშოტ მეორე ერისთავთ-ერისთავის
 ცხოვრებამდე ეს სამი ციხე ერის-
 თავთ-ერისთავის ძალაუფლება-
 ში იყო, და ერისთავთ-ერისთავი
 მათგან ხარკს იღებდა. მაგრამ მან-
 ძიკიერტის ციხეც, აპახუნის, ხარ-
 კას და კორის ქვეყანასთან ერთად
 ამავე ერისთავთ-ერისთავის ძალა-
 უფლებასა და მბრძანებლობაში
 იყო, ვიდრე იმ ხანამდე, როდესაც
 მანძიკიერტის ამირა აპოსებატა
 და მისი ორი ძმა, აპოლესფუეტი
 და აპოსელმი, მეფეს დაემორჩი-
 ლნენ და ხარკსაც აძლევდნენ მათი
 ციხეებისა და სოფლებისათვის.
 რადგან ერისთავთ-ერისთავი მორ-
 ჩილია რომაელთა მეფისა, რო-
 გორც მის მიერ აღზევებული და ამ
 პატივის მომხვეჭელი, ცხადია, მის
 ბრძანებლობაში მყოფი ციხეები,
 ქალაქები და სოფლებიც რომაელ-
 თა მეფისაა.

როდესაც დიდი არმენიის ერის-
 თავთ-ერისთავი სუმბატი შეპყრო-
 ბილ იქმნა სპარსეთის ამირას აპო-
 სატას მიერ, რომელმაც მას თავი
 მოჰკვეთა, აპოსებატამ, რომელიც
 მანძიკიერტის ციხეში იჯდა, ხელთ

ὁ καθεζόμενος εἰς τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ, τὸ κάστρον τὸ Χალიάτ καὶ τὸ κάστρον τὸ Περκρὶ καὶ τὴν πολιτείαν τοῦ Ἄρζες.

Ὅτι ὁ δεύτερος ἀδελφὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ ὁ Ἀποლესφούეტ καὶ ὁ ἀνεψιὸς αὐτοῦ καὶ ὁ προγονὸς ὁ Ἀχμέτ ἐκράτησαν τὸ κάστρον τὸ Χალიάτ καὶ τὸ κάστρον τὸ Ἄρζες καὶ τὸ κάστρον τὸ Ἀლτζίκε, καὶ αὐτοὶ ὑπετάγησαν τῷ Ῥωμαίων βασιλεῖ καὶ ἐγένοντο ὑπὸ τὴν ἐξουσίαν αὐτοῦ καὶ παρῆχον καὶ πάντα καθῶς καὶ ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ Ἀποσεβατᾶς χωρίων αὐτῶν.

Ὅτι ὁ τρίτος ἀδελφὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ καὶ τοῦ Ἀποლესφούეტ ὁ Ἀποσέλιμης ἐκράτει τὸ κάστρον τοῦ Ἰζερματζῶς μετὰ καὶ τῶν χωρίων αὐτοῦ, καὶ αὐτὸς ὑπετάγη τῷ τῶν Ῥωμαίων βασιλεῖ, καὶ ἐδίδου πάντα καθῶς καὶ ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ ὁ Ἀποσεβατᾶς καὶ ὁ δεύτερος ἀδελφὸς

Ὅτι τοῦ Ἀποσεβατᾶ τελευταῖουσαντος ἐκράτησε τὸ Μαντζικιέρτ μετὰ τῶν χωρίων αὐτοῦ καὶ τῆς ἐπικρατείας αὐτοῦ πάσης ὁ Ἀβδηραχειμ ὁ υἱὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ· τελευταῖουσαντος δὲ τοῦ Ἀβδηραχειμ ἐκράτησεν ὁ Ἀποლესφούეტ ὁ δεύτερος ἀδελφὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ, φείτος δὲ τοῦ Ἀβδηραχειμ, τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ καὶ πάσας τὰς προρρηθείσας χώρας· καὶ αὐτοῦ τελευταῖουσαντος ἐκράτησεν ὁ τρίτος ἀδελφός, ἦγγου τοῦ Ἀποσεβατᾶ καὶ τοῦ

იპყრა ხალიატის ციხე, პერკრის ციხე და ქალაქი არზე.

აპოსებატას მეორე ძმამ აპოლესფუეტმა და მისმა ძმისწულმა და გერმა ახმეტმა იპყრეს ხალიატის ციხე, არხეს ციხე და ალძიკეს ციხე და თვითონ დაემორჩილნენ რომაელთა მეფეს, მისი ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ და ხარკსაც აძლევდნენ, ისევე როგორც მისი ძმა აპოსებატა, მათი ციხეებისა და სოფლებისათვის.

ἵπέρ τε τῶν κάστρων καὶ τῶν

აპოსებატას და აპოლესფუეტის მესამე ძმამ, აპოსელმმა, იპყრა ძერმაძის ციხე მისი სოფლებითურთ, და თვითონ დაემორჩილა რომაელთა მეფეს და აძლევდა მას ხარკს, როგორც მისი ძმა აპოსებატა და მისი მეორე ძმა აპოლესფუეტი.

αὐτοῦ ὁ Ἀποლესφούეტ.

აპოსებატას გარდაცვალების შემდეგ მანძიკიერტი, მისი სოფლებითურთ და მთელი მისი სამფლობელოთურთ, იპყრა აბდირაქიმმა, აპოსებატას ძემ; ხოლო აბდირაქიმის გარდაცვალების შემდეგ მანძიკიერტის ციხე და ყველა ზემოხსენებული ქვეყანა იპყრა აპოსებატამ, აბდირაქიმის ბიძამ. ესეც რომ გარდაიცვალა, აპოსებატასა და აპოლესფუეტის მესამე ძმამ აპოსელმმა იპყრა მანძიკიერტი და ყველა ზემოხსენებული ქვეყანა.

Ἀπολεσφούετ, ὁ Ἀποσέλιμης τὸ τε Μαντζικιέρτ καὶ πάσας τὰς προρρηθείσας χώρας.

“Ὅτι ὁ Ἀποσεβατὰς εἶχεν υἱὸν τὸν Ἀβδηραχειμ καὶ τὸν Ἀπελμουζέ.

“Ὅτι ὁ Ἀπολεσφούετ εἶχε προγονὸν καὶ ἀνεψιὸν τὸν Ἀχάμετ· υἱὸν γὰρ οὐκ εἶχεν, ἀλλὰ τὸν Ἀχάμετ τὸν προγονὸν καὶ ἀνεψιὸν αὐτοῦ εἶχεν ἀντὶ υἱοῦ.

“Ὅτι ὁ Ἀποσέλιμης εἶχεν υἱὸν τὸν Ἀπεლβάρτ, τὸν ἀρτίως κρατοῦντα τὸ Μαντζικιέρτ.

“Ὅτι ἀποθανόντος τοῦ Ἀποσεβατὰ κατέλιπε τὸν Ἀβδηραχειμ τὸν υἱὸν αὐτοῦ ἀμηράν· ὁ δὲ ἕτερος υἱὸς αὐτοῦ ὁ Ἀπεლμουζέ ἦν νήπιος πάνυ, διὸ καὶ κατεφρονήθη ἐλθεῖν πρὸς τὴν τοῦ πατρὸς καὶ τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ ἐξουσίαν.

“Ὅτι ὁ Ἀποσεβατὰς ὁ πρῶτος ἀδελφὸς ἐκαθέζετο εἰς τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ, καὶ ἐκράτει, καθὼς εἶρηται, ταύτας τὰς χώρας, τὸ τε Ἀπαχουνῆς καὶ τὸ Κορῆ καὶ τὸ Χάρκα, καὶ ἐδίδου τὰ ὑπὲρ αὐτῶν πάντα τῇ Ῥωμαίων βασιλεῖ· καὶ τούτου τελευτήσαντος ἐκράτησεν ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ Ἀβδηραχειμ, καὶ ἐδίδου καὶ αὐτὸς τὰ προρρηθέντα πάντα διὰ τὸ εἶναι, καθὼς προείρηται, νήπιον παντελῶς τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ τὸν Ἀπελμουζέ.

“Ὅτι τοῦ Ἀβδηραχειμ τελευτήσαντος καὶ τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ Ἀπελμουζέ ὡς νηπίου κα-

აოსებატას ჰყავდა შვილი აბდირაქიმი და აპელმუზე.

აპოლესფუეტს ჰყავდა გერი და ძმისშვილი აქამეტი. ვინაიდან შვილი არ ჰყავდა, გერი და თავისი ძმისშვილი აქამეტი ჰყავდა შვილის მაგიერ.

აპოსელმს ჰყავდა შვილი აპელბარტი, ახლა რომ უპყრია მანძიკიერტი.

როდესაც აპოსებატა გარდაიცვალა, ამირად თავისი შვილი აბდირაქიმი დასტოვა; ხოლო მისი მეორე შვილი აპელმუზე სრულიად ნორჩი იყო, ამიტომაც იგი უგულვებელ ყვეს მამისა და მისი ძმის ძალაუფლების დაჭერისაგან.

აპოსებატა, პირველი ძმა, იჯდა მანძიკიერტის ციხეში და ფლობდა, როგორც ითქვა, შემდეგ ქვეყნებს: აპახუნის, კორეს და ხარკას, – და ამათთვის უხდიდა ხარკს რომაელთა მეფეს; მისი გარდაცვალების შემდეგ ფლობდა მისი შვილი აბდირაქიმი და ისიც იხდიდა ზემოხსენებულ ხარკს, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, მისი ძმა აპელმუზე სრულიად ნორჩი იყო.

აბდირაქიმის გარდაცვალების შემდეგ, რადგან მისი ძმა აპელმუზე, როგორც ნორჩი, უგულ-

ταφρονηθέντος, ἐκράτησε τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ καὶ τὰς ὑπ' αὐτῷ προρρηθείσας χώρας ὁ δεύτερος ἀδελφὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ, ὁ προρρηθεὶς Ἀπολεσφοῦετ, φείσας δὲ τοῦ Ἀρδηραχείμ καὶ τοῦ διὰ τὴν νηπιότητα καταφρονηθέντος ἀδελφοῦ αὐτοῦ

ლებელ იქმნა, მანძიკიერტის ციხე და ზემოდასახელებული მისი კუთვნილი ქვეყნები იპყრა აპოსებატას მეორე ძმამ, ზემოხსენებულმა აპოლესფუეტმა, აბდირაქიმისა და მისი ძმის, სინორჩის გამო უგულვებლყოფილი აპელმუზეს, ბიძამ.

Ὅτι τοῦ Ἀπολεσφοῦετ τελευτήσαντος ἐκράτησεν ὁ τρίτος ἀδελφὸς τοῦ Ἀποσεβατᾶ, ἡγγουν ὁ Ἀποσέλμης, τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ μετὰ τῶν χωρίων τῶν προρρηθέντων. ὁ δὲ προρρηθεὶς Ἀχάμετ, ὁ καὶ ἀνεψιὸς καὶ προγονὸς τοῦ Ἀπολεσφοῦετ, ἐκράτει εἰδήσει καὶ βουλήσει τοῦ Ἀπολεσφοῦετ τὸ τε Χλιάτ καὶ τὸ Ἄρζες καὶ τὸ Περκρί· καὶ γὰρ ὁ Ἀπολεσφοῦετ υἱὸν μὴ ἔχων, καθὼς προεῖρηται, τοῦτον τὸν Ἀχάμετ τὸν τε ἀνεψιὸν καὶ προγονὸν αὐτοῦ εἶχε κληρονόμον πάσης αὐτοῦ ῥων καὶ τῶν χωρίων αὐτοῦ.

აპოლესფუეტის გარდაცვალების შემდეგ აპოსებატას მესამე ძმამ, აპოსელმმა იპყრა მანძიკიერტის ციხე ზემოხსენებული ადგილებითურთ. ზემოხსენებული აქამეტი, აპოლესფუეტის ძმისწული და გერი, აპოლესფუეტის თანხმობითა და სურვილით ფლობდა ხლიატს, არზეს და პერკრის: ვინაიდან აპოლესფუეტს ძე არ ჰყავდა, როგორც ზემოთ ითქვა, ეს აქამეტი, თავისი ძმის შვილი და გერი, ჰყავდა მთელი თავისი სამფლობელოს, თავისი ციხეებისა და სოფლების მემკვიდრედ.

τῆς ὑποστάσεως καὶ τῶν κάστρων

Ὅτι τελευτήσαντος τοῦ Ἀποσέλμης ἐκράτησε τὸ κάστρον τὸ Μαντζικιέρτ ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ Ἀπεלבάρτ μετὰ καὶ τῆς περιχώρου αὐτοῦ. ὁ δὲ Ἀχάμετ ἐκράτησε τὰ τρία κάστρα, τὸ τε κάστρον τὸ Χλιάτ, τὸ κάστρον τὸ Ἄρζες καὶ τὸ κάστρον τὸ Ἄλτζικε.

აპოსელმის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ აპელბარტმა იპყრა მანძიკიერტის ციხე და მისი მიდამო ადგილები. ხოლო აქამეტმა, იპყრა სამი ციხე: ხლიატის ციხე, არზეს ციხე და ალძიკეს ციხე.

Ὅτι καὶ αὐτὸς ὁ Ἀχάμετ δοῦλος ἦν τοῦ βασιλέως, καθὼς καὶ προεῖρηται, παρέχων καὶ τὰ ὑπὲρ αὐτοῦ καὶ τὰ ὑπὲρ τοῦ φείσου αὐτοῦ τοῦ Ἀπολεσφοῦετ πάντα.

ეს აქამეტიც მორჩილი იყო მეფისა, როგორც ზემოთაც ვთქვი, და იხდიდა, როგორც თავისთვის ისე თავისი ბიძისათვის, აპოლესფუეტისთვის, ხარკს, ხოლო აპელ-


ὁ δὲ Ἀπελβάρτ μετὰ δόλου καὶ χλεύης αὐτὸν ἔσφαξε, καὶ ἀνελάβετο τὰ τρία αὐτοῦ κάστρα, τό τε κάστρον τὸ Χλιὰτ καὶ τὸ κάστρον τὸ Ἄρζες καὶ τὸ κάστρον τὸ Ἀλτζίνε· καὶ ταῦτα ὀφείλει ὁ βασιλεὺς ἀναλαβέσθαι ὡς ἴδια αὐτοῦ τυγχάνοντα, ὅτι ταῦτα πάντα τὰ προρρηθέντα κάστρα καὶ αἱ προρρηθεῖσαι χῶραι οὐδέποτε γέγονασιν ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τῆς Περσίδος ἢ ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τοῦ ἀμερμουνη, ἀλλ' ὑπῆρχον, καθὼς εἴρηται, ἐν ταῖς ἡμέραις τοῦ κυροῦ Λέοντος βασιλέως ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τοῦ Συμβατίου τοῦ ἀρχόντος τῶν ἀρχόντων, καὶ μετὰ ταῦτα ἐγένοντο ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τῶν τριῶν ἀδελφῶν τῶν προρρηθέντων, ἀμυράδων, τοῦ τε Ἀποσεβατᾶ καὶ τοῦ Ἀπολεσφοῦετ καὶ τοῦ Ἀποσέλιμη, καὶ ἐν ταῖς ἡμέραις αὐτῶν καὶ ἐδοσλῶθησαν καὶ ἐπακτῶθησαν καὶ ἐγένοντο ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τῶν βασιλέων Ῥωμαίων.

Ὅτι τὰ τρία ταῦτα κάστρα, τό τε Χλιὰτ καὶ τὸ Ἄρζες καὶ τὸ Περκρί, εἰ κρατεῖ ὁ βασιλεὺς, Περσικὸν φοσσάτον κατὰ Ῥωμανίας ἐξελεῖν οὐ δύναται, ἐπειδὴ μέσον τυγχάνουσι τῆς τε Ῥωμανίας καὶ Ἀρμενίας, καὶ εἰσὶ φραγμὸς καὶ ἀπληκτα τῶν φοσσάτων.

ბარტმა მოჰკლა იგი ვერაგობითა და მოტყუებით და აიღო მისი სამი ციხე: ხლიატის ციხე, არზეს ციხე და ალძიკეს ციხე. და ესენი მეფემ უნდა დაიბრუნოს როგორც მისი კუთვნილი, რადგან ყველა ზემოხსენებული ციხეები და ზემოხსენებული ქვეყნები არასდროს არ ყოფილა სპარსეთის ძალაუფლებაში, ან ამერმუმნის ძალაუფლებაში, არამედ ისინი, როგორც ითქვა, ბატონ ლეონ მეფის დროს სუმბატ ერისთავთ-ერისთავის ძალაუფლებაში იყვნენ, და ამის შემდეგ ზემოხსენებული ამირების, სამი ძმის – აპოსებატას, აპოლესფუეტისა და აპოსელმის – ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ, და მათ დროს ისინი რომაელთა მეფეების მორჩილნი, მოხარკენი და მათი ძალაუფლების ქვეშ იყვნენ.

თუ ეს სამი ციხე-ხლიატი, არზე და პერკრი მეფის ფლობაში იქნება, სპარსელთა ჯარი რომანიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ შესძლებს, რადგან ისინი რომანიისა და არმენიის შუაში არიან და წარმოადგენენ ჯარებისათვის ღობესა და საფარს.

იბერიელთა გენეალოგია. ბაგრატიონთა გამეფება იბერიაში.
ბასიანის საკითხი



თავი 45

იბერთა შესახებ

საცოდნელია, რომ თავისი თავისი განმადიდებელი იბერები, ესე იგი კუროპალატის იბერები, ამბობენ, რომ ისინი ურიას ¹ ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა; ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან დავითთან რომ შეეძინა, და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგ, რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი ².

¹ უ რ ი ა – ეს იყო ხეტების გმირი («ურია ქეტელი»), რომელიც დავითის ჯარში მსახურებდა; მის ცოლს ერქვა ბ ე თ ს ა ბ ე ს ი (ქართულად «ბერსავია»). დავითმა ამ ქალთან დაიჭირა კავშირი. ბიბლიაში (II მეფეთა, თავი XI) ვკითხულობთ: «ადდგა დავით საწოლისაგან თვისისა და ვიდოდა ერდოსა ზედა სახლისა სამეფოსსა, და იხილა დედაკაცი ერდოფთ, რომელი იბანებოდა. ხოლო დედაკაცი იგი იყო შესახედავად ფრიად კეთილ. და წარავლინა დავით, და იძია დედაკაცი და თქუა: „არა ესე არსა ბერსავია, ასული ელიაზისი, ცოლი ურია ქეტელისა?“ და წარავლინა დავით მსახურნი, და მოიყვანეს იგი, და შევიდა მისდა და დაიძინა მის თანა». ბერსავია დაორსულდა. დავითმა მოინდომა თავიდან მოეცილებინა ურია და განგებ გაგზავნა ის ფიცხელ ბრძოლაში, სადაც ის მოკლულ იქმნა.

² კონსტანტინე პორფიროგენეტი გადმოგვცემს: თვითონ იბერიელები ამბობენ, რომ ისინი „დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავნი არიანო“. ეს აზრი უკვე აშოტ კურაპალატის (გარდ. 826 წ.) დროს ყოფილა გავრცელებული. გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი ს სიტყვით გრიგოლ ხანძთელი აშოტს ეუბნება: «დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ კელმწიფეო» (გრ. ხანძთ. იხ). ს უ მ ბ ა ტ ი ც თავის „ქრონიკაში“ იცნობს ამ ტრადიციას: «ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან» (ე. თაყაიშვილის გამოც. თბ. 1949, გვ. 59). ისტორიკოსი ჯ უ ა ნ შ ე რ ი ც წერს: «მაშინ მოვიდა მთავარი ერთი მისა (ე. ი. არჩილთან),

Ἰβήρων ἀκασίτως τὰς συγγενι-
δας αὐτῶν πρὸς γάμον ἄγουσι,
τὴν παλαιὰν οἰόμενοι φυλάττειν
νομοθεσίαν· ἐξ Ἱερουσαλήμ τε
λέγουσιν εἶναι τὴν γένησιν αὐ-
τῶν, καὶ ἐκ τῶν ἔκεισε κατ'
ἄναρ μετελθεῖν καὶ κατοικῆσαι
πρὸς τὰ μέρη Περσίδος ἦγον
εἰς τὴν χώραν εἰς ἣν νῦν οἰ-
κοῦσιν. οἱ δὲ χρηματισθέντες
καὶ ἐξελθόντες ἐκ τῆς Ἱερου-
σαλήμ ἠπήρχον ἢ τε Δαβὶδ ἔκει-
νος καὶ ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ Σπαν-

ამიტომაც იბერთა დიდებულებს დაუბრკოლებლივ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ამით ისინი ძველ წესწყობას იცავენ¹. ისინი ამბობენ, რომ მათი გვარი იერუსალემიდან არის და იმ ადგილებიდან სიზმრის ჩვენებით გადასულან და დასახლებულან სპარსეთის მხარეებთან, ესე იგი იმ მიწაწყალზე, სადაც ახლა მოსახლეობენ. სიზმრის ჩვენება რომ მიიღეს და იერუსალემიდან გამოვიდნენ, ეს იყვნენ ის

რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე» (ანასეული ქ. ცხ. 154, 31 – 32). შემდეგ ხანებში ხომ ეს სრულიად გავრცელებული აზრია (მოიპოვება თამარის ისტორიაში „ისტორიანი და აზმანი“ გვ. *594) და მეფეთა ტიტულატურაშიც აისახა: მაგალითად, მეფეთა სიგელების დასაწყისია: «შეწევნითა და ბრძანებითა ღმრთისათა ჩუენ იესიან და ვითიან სოლომონიან პანკრატონიანმან, ჳელმწიფეთ და მეფეთ ძემან...» (აქ იხსენიებიან: ბიბლიური და ვით მეფე და წინასწარმეტყველი, მისი მამა იესე და დავითის შვილი სოლომონი).

მაშასადამე, ცხადია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის ცნობილია ქართული წყაროებიდან მომდინარე ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიელები თავიანთ თავს სთვლიდნენ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით თვით ქართველებში ეს თქმულება დავით მეფისაგან შთამომავლობის შესახებ ჩამოყალიბდა IX საუკუნის დასაწყისში და „ისახავდა მიზნად ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებას“ (იხ. „მნათობი“ 1950 წ. № 1, გვ. 114 და 122).

¹ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები“. როგორც ჩანს, სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება მიღებული ყოფილა. ჯერ კიდევ ტ ა ც ი ტ ე ს (Annales XII, 46) მოთხრობილი აქვს, რომ ფარსმანს, იბერთა მეფეს, ჰყავდა ძმა მითრიდატი, რომელმაც რომაელთა დახმარებით დაიპყრა სომეხთა სამეფო ტახტი. ამ მითრიდატს ცოლად ჰყავდა თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული. ეს წესი „ენდოგამიისა“ სპარსული მაზდეანობის გავლენის შედეგი უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მხოლოდ წარჩინებულთა საგვარეულოში იყო ხოლმე და საერთო მოვლენა არ ყოფილა (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია I, 164). საგულისხმოა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობაც: «ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი (იგულისხმება ადარნასე I, მეფე და კუროპალატი, 888 – 923 წ.წ.), სახელით ლატავრი. და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად, არათურე კეთილად მეცნიერ იყო, რამეთუ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყუელისანი» (ანასეული ქ. ცხ. 161, 15 – 19).

διάτης, ὅστις Σπανδιάτης ἦν ἐκ
 θεοῦ λαβὼν χάρισμα, ὡς αὐτοὶ
 φάσκουσι, τοῦ μὴ ἐν πολέμῳ ἀπ-
 τεσθαι αὐτοῦ ξίφος εἰς οἶον ὀήπο-
 τε μέλος τοῦ σώματος αὐτοῦ ἀνευ-
 τῆς καρδίας, ἦν καὶ διὰ τινος
 περισκεπάσματος ἐν τοῖς πολέμοις
 περιεφρούρει. διὰ τοῦτο καὶ ἐπτο-
 οῦντο τοῦτον καὶ ἐδεδείσαν ὁ
 Πέρσαι· ὁ δὲ γενίχηκεν αὐτοὺς
 καὶ αὐτῶν κατεκράτησε, καὶ
 τοὺς συγγενεῖς ἐνέκτισεν Ἰβη-
 ρας εἰς τὰς δυσκολίας τὰς νῦν
 παρ' αὐτῶν κρατούμενας, ἐξ ὧν
 κατ' ὀλίγον ἐπλατύνθησαν καὶ
 εἰς μέγα ἔθνος ἐγένοντο. εἰθ' ὅ-
 σῃα τοῦ βασιλέως Ἡρακλείου
 κατὰ Περσίδος ἐκστρατεύσαντος
 ἠγάθησαν καὶ συνεταξίνδυσαν
 αὐτῷ, καὶ ἔκτοτε ὑπέταξαν τῷ
 φόβῳ Ἡρακλείου τοῦ βασιλέως

დავითი და მისი ძმა სპანდიატი;
 ეს სპანდიატი იყო რომ ღმერთი-
 საგან წყალობა მიიღო, როგორც
 თვითონ იბერები ამბობენ, რომ
 ომში მას ვერ შეეხებოდა მახვილი
 მისი სხეულის ვერც ერთ ნაწილში
 გარდა გულისა, რომელსაც ის
 ომებში რაღაც საფარით იცავდა.
 ამიტომ სპარსელებს მისი ძალიან
 ეშინოდათ: იმან გაიმარჯვა ამათზე
 და სძლია ისინი და თანამონათე-
 სავე იბერები დაასახლა ძნელგა-
 სავალ ადგილებში, რომლებიც მათ
 ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი
 თანდათან განივრცნენ და გამ-
 რავლდნენ და დიდ ერად იქცნენ ¹.
 ამნაირად, შემდეგ როდესაც ირა-
 კლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის
 წინააღმდეგ, ისინი მას შეუერთ-
 დნენ და მასთან ერთად ილაშ-
 ქრეს ². და მას აქეთ მათ დაიმორჩი-

¹ აქ მოხსენებული სპანდიატი შეიძლება იყოს მხოლოდ ირანის გმირი
 ოსპანდიატი (შვილი ვიშტასპისა). მაგრამ ქართველებმა ის საკუთარ გმირად
 აქციეს და მემატიანენი მოგვითხრობენ, რომ ის სპარსელთა წინააღმდეგ იბრ-
 მოდა, ისინი დაამარცხა და შიშის ზარი დასცა მათ. ისპანდიატი უხსოვარი
 დროის სპარსეთის მეფედ ითვლებოდა. მან აღაშენა ალანთა ციხე (დარიალი),
 აქ ჩააყენა კაცები, რომ ალანებისათვის ნება არ მიეცათ ამიერკავკასიაში გად-
 მოსულიყვნენ. ეს ციხე პიტალო კლდეზეა აგებული, ასე რომ მისი აღება შეუძლე-
 ბელი საქმე იყო. ეს ამბები მოთხრობილია „ფაიქარნამეში“ ანუ ომის წიგნში
 (იხ. M a r k w a r t, streifzüge... გვ. 166). აი, ეს მოთხრობა გვაგონდება ჩვენ,
 როდესაც კონსტანტინეს თხზულებაში ვკითხულობთ: „თანამონათესავე იბერები
 დაასახლა ძნელგასავლელ ადგილებში, რომლებიც მათ ახლაც უპყრიათო“. ეს
 ძნელგასავლელი ადგილები უნდა იყოს ის პიტალო კლდე, რომლის შესახებაც
 ლაპარაკია „ფაიქარნამეში“. ეს უნდა იყოს „ალანთა ციხე“. ე. ი. დარიალის ციხე.

² აქ კონსტანტინე პორფიროგენეტი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ
 ირაკლი კეისრის ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ იბერიელებმაც მიიღეს
 მონაწილეობა; ეს უნდა ყოფილიყო ირაკლის პირველი ლაშქრობის დროს
 622 – 623 წელს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თ ე ო ფ ა ნ ე ჟ ა მ თ ა -
 ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ირაკლის ლაშქრობას
 სწორედ 622 – 623 წლის ქვეშ მოგვითხრობს იმაზე, რომ «ირაკლი მეფე გაე-

Ῥωμαίων μᾶλλον ἢ περ τῆ ἐαυ-
τῶν ἰσχύι καὶ δυνάμει πόλεις
καὶ χώρας ἱκανὰς τῶν Περσῶν·
ἅπαξ γὰρ τοῦ βασιλέως Ἡρακ-
λείου τοὺς Πέρσας τροπωσαμένους
καὶ εἰς τὸ μηκέτι εἶναι τῶν τού-
των ἀρχὴν παραστήσαντος, εὐά-
λωτοι καὶ εὐχείρωτοι οὐ μόνον
τοῖς Ἰβηροῖν ἀλλὰ καὶ τοῖς Σα-
ρακηνοῖς οἱ Πέρσαι γεγόνασιν.
διὰ δὲ τὸ κατάγεσθαι αὐτούς,
ὡς αὐτοῖς λέγουσιν, ἐκ τῆς Ἰε-
ρουσαλήμ, διὰ τὸ μεγάλην πίσ-
τιν ἔχειν ἐν αὐτοῖς καὶ ἐν τῷ
τάφῳ τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ
Χριστοῦ, καὶ κατὰ τινὰς καιροὺς
ἀφθόγως ἀποστέλλουσι χρήματα
τῷ πατριάρχῃ τῆς ἀγίας πόλεως
καὶ τοῖς ἐκεῖσε Χριστιανοῖς, ὃ
δὲ προρρηθὲν Δαβὶδ, ὃ τοῦ

ლეს სპარსელთა საკმაო ქალაქები
და ქვეყნები უფრო რომაელთა მე-
ფის ირაკლის წინაშე შიშის წყალო-
ბით, ვიდრე საკუთარი ძალღონის
შემწევობით: ერთხელაც ხომ, რო-
დესაც ირაკლი მეფემ სპარსელები
აოტა და მათი სახელმწიფო საბო-
ლოოდ გაანადგურა, სპარსელები
არა მხოლოდ იბერებისაგან, არა-
მედ სარკინოზთაგანაც ადვილად
დასამარცხებელი და დასამორჩი-
ლებელი შეიქნენ. რადგან ისინი,
როგორც თვითონ ამბობენ, იერუ-
სალემიდან შთამომავლობენ და
რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი
და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს
საფლავისა, ისინი განსაზღვრულ
ხანებში უხვად უგზავნიან ფულს
წმინდა ქალაქის პატრიარქს და
იქაურ ქრისტიანებს¹. ხოლო ზემო-

მართა სატახტო ქალაქიდან და სასწრაფოდ მოვიდა არმენიაში»; შემდეგ, დაი-
ზამთრა ალბანიაში; გზაზე მას შეტაკებები ჰქონდა სპარსელებთან და ყველგან
გაიმარჯვა. ხოლო როდესაც ხოსრომ დიდძალი ჯარი გამოგზავნა ირაკლის
წინააღმდეგ სარაზმანგას მეთაურობით, ირაკლის ჯარი შეშინდა, უარი სთქვა
მტერთან შებმაზე; არ დაეთანხმნენ ირაკლის განსაკუთრებით «მოკავშირეები
ლაზთაგან, აზაზთაგან და ი ბ ე რ ი ე ლ თ ა გ ა ნ» (იხ. გეორგიკა IV, I, გვ. 92 –
95). რომ ქართველები ირაკლი კეისარს შეუერთდნენ და მასთან ერთად ილაშ-
ქრეს, ამას ამოწმებს ერთი ქართული ხელნაწერის ცნობაც: «ამისა შემდგომად
გამოვიდა ჰერაკლე მეფე და შეერთნეს ქართველნიცა და შევიდა სპარსეთს და
შეწევნითა ღვთისათა შემუსრა სპარსეთი» (თ. ქო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 58;
ხელნაწერი A – 170, გვ. 364).

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეს ცნობა, რომ იბერიელები „უხვად
უგზავნიან ფულს იერუსალემის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“, იმასთან კი
არ არის დაკავშირებული, რომ იბერიელები იერუსალემიდან შთამომავლობენ,
არამედ იმასთან, რომ იერუსალემში არსებობდა იბერიელთა მონასტერი, რომელ-
თანაც ქართლის მცხოვრებთ ურთიერთობა ჰქონდათ. იბერიელთა მონასტერი
იერუსალემში ჯერ კიდევ VI საუკუნეში იყო ცნობილი ბიზანტიურ მწერლობაში.
პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი წ ე რ ს (De aedificiis V, 9): «იერუსალემში იუსტი-
ნიანემ შემდეგი მონასტრები განაახლა: წმინდა თალელესი, წმინდა გრიგოლისა...
ი ბ ე რ თ ა მონასტერი იერუსალემში, ლ ა ზ თ ა მონასტერი იერუსალემის უდაბ-

Σπανδιότου ἀδελφός, ἐγέννησεν υἱὸν τὸν Παγκράτειον, καὶ ὁ Παγκράτειος ἐγέννησεν υἱὸν τὸν Ἀσώτιον, καὶ ὁ Ἀσώτιος ἐγέννησεν υἱὸν τὸν Ἀδριανασὴ τὸν καὶ κουροπαλάτην τιμηθέντα παρὰ Λέοντος τοῦ φιλοχρίστου βασιλέως Ῥωμαίων. ὁ δὲ Σπανδιότης ὁ ἀδελφός τοῦ προρρηθέντος Δαβὶδ ἐτελεύτησεν ἄτεκνος. ἀπὸ δὲ τῆς ἐξ Ἱερουσαλήμ μετακινήσεως ἀντῶν εἰς τὴν νῦν οἰκουμένην παρ' ἀντῶν χώρων ἔτη σ' ἢ καὶ φ' μέχρι τῆς σήμερον, ἦτις ἐστὶν ἰνδικτιῶν ἰ' ἔτη ἀπὸ

ხსენებულმა დავითმა, სპანდიატის ძმამ, შვა ძე ბაგრატი, ბაგრატმა შვა ძე აშოტი, აშოტმა შვა ადრანასე, რომელსაც კუროპალატობა ებოძა რომაელთა ქრისტესმოყვარე მეფის ლეონისაგან¹. სპანდიატი კი, ძმა ზემოხსენებული დავითისა, გარდაიცვალა უძეო. ხოლო იმ დროს, როდესაც ისინი იერუსალემიდან იმ მიწაწყალზე გადასახლდნენ, რომელიც ახლა არის მათ მიერ დასახლებული, გარდახდა 400 თუ 500 წელი ვიდრე დღევანდლამდე, რომელიც არის ინდიქტიონი მეათე, დასაბამიდან ქვეყ-

ნოში...» (იხ. გეორგიკა II, 192). კ. კეკელიძის აზრით (ქართული ლიტ. ისტორია I³, 77) შესაძლებელია პროკოპის მიერ მოხსენებული იბერთა მონასტერი ის მონასტერი იყოს, რომელიც პეტრე მაიუმელის (V საუკ.) ცხოვრებაშია მოხსენებული.

¹ აქ მოცემული ცნობის მიხედვით კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქის წინა ხანების ბაგრატიონთა გენეალოგია ასეთია:

დავითი —> ბაგრატი —> აშოტი —> ადარნასე.

ამავე ცნობით ადარნასეს კუროპალატობა ებოძა მეფის ლეონისაგან. ლეონი მეფობდა 886 – 911 წლებში, ხოლო ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია (ინგოროყვა, ჯავახიშვილი), რომ ადარნასე, ქართველთა მეფე და კუროპალატი, მოღვაწეობდა 888 – 923 წლებში. ხოლო რადგან ადარნასე აშოტის ძე კი არ იყო, არამედ დავით I კუროპალატისა, და ამავე დროს სხვა დანარჩენში კონსტანტინე პორფიროგენეტი, ჩანს, სარგებლობს სანდო წყაროებით, რომლებიც ქართველ ისტორიკოსთა წყაროების ანალოგიურია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინეს აქ აურევია თანამიმდევრობა დასახელებული ბაგრატიონებისა. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს შემოაქვს შემდეგი შესწორება ამ თანამიმდევრობაში;

აშოტი —> ბაგრატი —> დავითი —> ადარნასე.

ამით, რასაკვირველია, გამორიცხულია, რომ კონსტანტინეს მიერ პირველ ადგილას დასახელებული „დავითი“ იყოს დავით წინასწარმეტყველი (იხ. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ: თბ. უნივ. შრომები XVIII [1941], 70; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, თბ. 1949, 24; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე; მნათობი, 1950, № 1, გვ. 139 – 140; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II² (1948), 111). აქ მოხსენებულ ადარნასეზე კონსტანტინე პორფიროგენეტი ლაპარაკობს 43. თავშიც (იხ. ზემოთ გვ. 237 – 238).

κτίσεως κόσμου, εὐξ', ἐπὶ τῆς βασιλείας Κωνσταντίνου καὶ Ῥωμανοῦ τῶν φιλοχρίστων καὶ πορφυρογεννήτων βασιλέων Ῥωμαίων.

Ἰστέον ὅτι φιλόχριστος καὶ πορφυρογέννητος καὶ θεοδίκμος βασιλεὺς Λέων ἀκούσας ὅτι εἰς τὸν τὸν λεγόμενον Φασιανὴν ἐλθόντες οἱ Σαρακηνοὶ τὰς ἐκεῖσε ἐκκλησίας ἐποίησαν ἀστροὶ, ἀπέστειλε

ნისა 6460 წელი, რომელთა ქრისტესმოყვარე და პორფიროგენეტი მეფეების კონსტანტინეს და რომანოზის მეფობის დროს ¹.

საცოდნელია, რომ როდესაც ქრისტეს მოყვარე და პორფიროგენეტმა და სახელოვანმა მეფემ ლეონმა გაიგო, რომ იმ ადგილას, რომელსაც ფასიანი ეწოდება, სარკინოზები მივიდნენ და იქაური

¹ ეს თარიღიანი ტექსტი ჩვენთვის ორი მხრით არის საყურადღებო: ა) ამ თარიღით აღნიშნულია, თუ როდის არის დაწერილი კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მისი შრომა, De administrando imperio; ბ) იგივე თარიღი მიუთითებს, თუ რა დროისათვის გულისხმობს კონსტანტინე ბაგრატიონთა დინასტიის გამეფებას ქართლში (იბერიაში).

ა) კონსტანტინე აღნიშნავს: დღეს, როდესაც მე ამ წიგნს ვწერ და როდესაც ვმეფობთ მე და რომანოზო, «არის ინდიქტიონი მეათე, დასაბამიდან ქვეყნისა 6460 წელიო». ეს თარიღი კი გვაძლევს 952 წელსა (6460 – 5508). მაშასადამე, De administrando imperio დაწერილია კონსტანტინეს მიერ 952 წელს. მეორე დამხმარე თარიღიც («ინდიქტიონი მეათე») გვაძლევს იმავე 952 წელს: ბიზანტიურს ქრონოლოგიაში მიღებული 15-წლიანი მოქცევით ახალი კვინკლოსი, დაიწყო 942 წელს, ასე რომ «მეათე ინდიქტიონი» (ანუ წელი) ხვდება სწორედ 951/2 წელს.

ბ) კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, იმ დროიდან, რაც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალნი იერუსალემიდან იბერიაში მოვიდნენ და მეფობა დაიწყეს, «გარდახდა 400 თუ 500 წელი, ვიდრე დღევანდლამდე» (ე. ი. 952 წლამდე). ესე იგი, კონსტანტინე გულისხმობს, რომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ბაგრატიონები იბერიაში მოვიდნენ და გამეფდნენ V თუ VI საუკუნეში. ჩვენ აქ იმ საკითხს კი არა ვსვამთ, მართლა ამ საუკუნეებში გამეფდნენ თუ არა ბაგრატიონები, არამედ საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, თუ რის მიხედვით ამტკიცებს ამ დებულებას კონსტანტინე პორფიროგენეტი, რა წყაროები უნდა ყოფილიყო მის განკარგულებაში, რომ V თუ VI საუკუნეში ევარაუდა ბაგრატიონთა დინასტიის მეფობის დასაწყისი იბერიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დებულების წამოყენების დროს კონსტანტინეს იმგვარივე წყაროები ჰქონდა, როგორც აქვთ ქართველ ისტორიკოსებს.

ქართველი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ, როდესაც VI საუკუნეში სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს (და ეს ფაქტი იურიდიულად დაუდასტურეს სპარსელებს ბიზანტიელებმა 532 წლის საზავო ხელშეკრულებით), ქართლის ბედი სპარსელებისა და მათი სატელიტების, ქართლის აზნაურების ხელში იყო. ნახევარი საუკუნეც არ გასულა, რომ სამშობლოს გამყიდველმა აზნაურებმა, მის შემდეგ რაც თავის ზურგზევე იგრძნეს სპარსელთა ბატონობის საშინელება, ისარგებლეს სპარსეთის სამეფო კარზე დაწყებული არეულობით, მოი-

τὸν πατριῶν καὶ στρατηγῶν
τῶν Ἀρμενιῶν τὸν Λαλάκωνα
μετὰ τοῦ στρατηγοῦ Κωλωνείας
καὶ τοῦ στρατηγοῦ Μεσοποταμίας
καὶ τοῦ στρατηγοῦ Χαλδίας, καὶ
κατέστρεψαν τὰ τοιαῦτα κάστρα,
τὰς ἐκκλησίας ἐλευθερώσαντες,
ληϊσάμενοι καὶ πᾶσαν τὴν Φα-
σιανήν τῇ τότε καιρῷ ὑπὸ τῶν
Σαρακηνῶν κρατούμενην. καὶ

ეკლესიები ციხეებად გარდააქციეს, გაგზავნა ლალაკონი, პატრიკიოსი და არმენიაკთა თემის სტრატეგოსი კოლონიის სტრატეგოსითურთ, მესაპოტამიის სტრატეგოსითურთ და ქალდიის სტრატეგოსითურთ, და მათ მოსპეს ეს ციხეები, განათავისუფლეს ეკლესიები და მოარბიეს მთელი ფასიანიც, რომელიც მაშინ სარკინოზებს ეჭირათ. ამნაირად,

შორეს სპარსელთა უდელი და სთხოვეს ბიზანტიის კეისარს ჩარეულიყო ქართლის საქმეებში და ქართველ „ნათესავთაგან“ რომელიმე დაემტკიცებინა ქართლის მმართველად. კეისარმაც დაუმტკიცა მათ ერისთავად გუარამი. **ჯ უ ა ნ შ ე რ ი** ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: «მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსასა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ქართველთა ერისთავთა, აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა ერისთავთა მამული ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თვს-თვსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა... შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნეს შფოთნი დიდნი სპარსთა შინა... მაშინ ქასრე ამბარვეზმან დაუტევა რანი, ქართლი, და წარვიდა შუელად მამისა თვსისა. ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძებთა მეფისა. და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყვნენ ერისთავად თვს-თვსად საერისთაოსა შეუცვალელებლად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი. და მისცა ძმისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძენთა მეფისა ასული[...]. რომელსა ერქუა **გ უ ა რ ა მ**, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ამას გუარამს მოსცა კეისარმან კულაპარატობა, და წარმოგზავნა მცხეთას» (ანასეული ქ. ცხ. გვ. 142 – 143).

ს უ მ ბ ა ტ ს ა ც თავის „ქრონიკაში“ ასევე აქვს მოთხრობილი: «ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა... არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან...»; «და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან»; «და გუარამ განაჩინეს ერისთავად, და მისცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურატპალატობა» (**ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს** ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 58 – 59. თბ. 1949).

სუმბატს, განსხვავებით ჯუანშერისაგან და მსგავსად კონსტანტინე პორფიროგენეტისა, მოთხრობილი აქვს, რომ ეს გუარამი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია. სუმბატის „ქრონიკა“ ხომ იწყება გენეალოგიით ადამიდან და უკანასკნელ მოდგმაში აღნიშნული აქვს «სოლომონ შვა შვიდნი ძმანი» და შემდეგ განაგრძობს: «და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, მოიწივნეს ეკლესს... და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი

εἶθ' οὕτω πάλιν ἀπέστειλεν τὸν
 μάλιστα Κατακλιὸν καὶ δομέσ-
 τικὸν τῶν σχολῶν, ἃς ἐλθὼν ἐν
 τῇ κάστρῳ Θεοδοσιουπόλεως καὶ
 τὰ περίεξ ἀντὶς ληϊσάμενος καὶ

შემდეგ კვლავ გაგზავნა მან კატა-
 კალონი, მაგისტროსი და სხოლათა
 დომესტიკი ¹, რომელიც მოვიდა
 თეოდოსიუპოლის ² ციხეში, მთარ-
 ბია მისი მიდამოები, ფასიანის მი-

სახელით გუარამ განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი» (ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი-
 თ ი ს ძ ე, გვ. 58). მართალია, კონსტანტინე პორფიროგენეტი „გუარამს“ არ
 იცნობს, მაგრამ კონცეფცია VI საუკუნეში იბერიაში ჩამოსულ, დავით წინა-
 სწარმეტყველის შთამომავალთა გამეფებისა მას ისეთივე აქვს, როგორც სუმბატ
 დავითისძეს. ჩვენის აზრით, კონსტანტინე ამ მოთხრობის დროს უნდა სარგებ-
 ლობდეს ქართული წყაროებიდან მომდინარე ცნობებით, იმავე წყაროებიდან,
 რომლებსაც ემყარება სუმბატ დავითისძეც.

ის გადატრიალება, რომლის შედეგადაც ქართლმა პოლიტიკური დამოუ-
 კიდებლობა მოიპოვა, მოხდა 571 – 572 წელს. ამ გადატრიალების შესახებ დანამ-
 დვილებით ვიცით ჩვენ VI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის თეოფანე ბიზან-
 ტიონელის თხზულების გადარჩენილი ნაწყვეტებიდან. ერთ ნაწყვეტში სწერია:
 «მოგვითხრობს ის (ე. ი. თეოფანე) იმასაც, თუ როგორ აწვალებდა (მარზპანი).
 სურენა არმენიელებს.. ისინი შეთანხმდნენ ერთმანეთში და მოკლეს სურენა...
 არმენიელები ჩამოშორდნენ სპარსელებს და რომაელებს მიემხრნენ... (სპარსე-
 ლებს) მაშინვე გადაუდგნენ იბერიელებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავ-
 რობდა გორგენი, ხოლო იბერიელთა დედაქალაქი მაშინ ტიფილისი იყო»
 (იხ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 256 – 258).

როგორც ვხედავთ, ქართლში მომხდარი პოლიტიკური გადატრიალების
 ფაქტს ადასტურებს ამ გადატრიალების თანამედროვე ისტორიკოსი: მით უფრო
 მეტი მნიშვნელობა ენიჭება გვიანდელი ისტორიკოსების (ჯუანშერის, სუმბატის,
 კონსტანტინე პორფიროგენეტის) ნაწილობრივ ლეგენდებით შეფერადებულ ცნო-
 ბებს. მაგრამ თეოფანეს ცნობა იმით განსხვავდება ქართველ ისტორიკოსთა.
 ცნობისაგან, რომ თეოფანეს მიხედვით გადატრიალებას ახდენენ იბერიელები
 გ უ რ გ ე ნ ერისთავის მეთაურობით, ხოლო ქართველ ისტორიკოსთა ცნობით –
 გ უ ა რ ა მ ერისთავის მეთაურობით.

¹ „ს ხ ო ლ ა თ ა დ ო მ ე ს ტ ი კ ი“. Scholae (palatinae) – ამ სახელით
 აღინიშნებოდა IV საუკუნიდან უბრწყინვალესი რაზმები, რომლებიც ემორჩილე-
 ბოდა არა magister militum-ს ან dux-ს, არამედ, magister officiorum-ს და,
 ამრიგად, წარმოადგენდნენ არა სახელმწიფო ჯარის ნაწილებს, არამედ კეისრის
 ამაღას. პირველად ესენი იხსენიებიან კონსტანტინე პირველის მეფობის ბოლო
 წლებში (იხ. RE III A [1921], 621 – 624). სხოლათა დომესტიკი იყო ორი: ერთს
 ემორჩილებოდა აღმოსავლეთის თემების (აზიის) რაზმები, მეორეს – დასავლე-
 თის თემებისა.

² თ ე ო დ ო ს ი უ პ ო ლ ი დააარსა თეოდოსი II-მ (408 – 450 წ.წ.) მთაზე,
 ქალაქ კარინის ზემოთ. მერმე მას უწოდეს ა რ ზ ე ნ - ე რ - რ უ მ („რომაელთა
 არზენი“) განსასხვავებლად ძველი არზენისაგან, რომელიც მის აღმოსავლე-
 თით იყო.

τὴν χώραν τῆς Φασιανῆς καὶ τὰ περὶ αὐτὴν κάστρα τῶν ὁμοίων ὁλέθριον παραδοὺς ὑπέστρεψε, μέγαλην πληγὴν ἐν τούτῳ δοὺς τοῖς Σαρακηνοῖς. ἐπὶ δὲ τῆς βασιλείας κυροῦ Ἰωμανοῦ βασιλέως ὁ μαγιστρος Ἰωάννης ὁ Κουρκούας ἀπερχόμενος κατὰ τοῦ κάστρου Τιβίου¹ εἰς τὴν δίοδον αὐτοῦ ἠφάνισε τὴν πᾶσαν χώραν τῆς Φασιανῆς ὡς ὑπὸ τῶν Σαρακηνῶν κρατουμένην. ἀλλὰ καὶ ὁ πατρίκιος Θεόφιλος ὁ ἀδελφὸς τοῦ προρρηθέντος μαγιστροῦ Ἰωάννου, τὸ πρῶτον στρατηγεύοντος ἐν Χαλδίᾳ, ἐπραΐδευσε τὴν τοιαύτην χώραν τῆς Φασιανῆς ὡς καὶ τότε ὑπὸ τῶν Σαρακηνῶν δεσποζομένην. μέχρι γὰρ τοῦ γεγονέναι τὸν λόγον μετὰ τοὺς Θεοδοσιουπολίτας εἰς τὴν χώραν τῆς Φασιανῆς χωρίον οὐ συνέστη, οὐδὲ εἰς τὸ κάστρον τοῦ Ἀβνίκου· καὶ οἱ Ἰβήρες πάντοτε εἶχον ἀγάπην καὶ φιλίαν μετὰ τῶν Θεοδοσιουπολιτῶν καὶ τῶν Ἀβνικιωτῶν καὶ μετὰ τῶν Μαντζικιερωτῶν καὶ μετὰ πᾶσαν τὴν Περσίδα, ἀλλ' ἐν Φασιανῇ οὐδέποτε ἐπεκτίσαντο χωρίαν.

“Ὅτι πολλάκις ὁ κῆρις Λέων ὁ βασιλεὺς καὶ ὁ κῆρις Ἰωμανὸς καὶ αὐτὴ ἡ βασιλεία ἡμῶν ἐπέζητησε τὸ κάστρον τὸ Κετζέον

წაწყალი და მის გარშემო მდებარე ციხეებიც მოსრა და გამობრუნდა; ისე რომ დიდი ვაი მიყენა ამით სარკინოზებს. მეუფე რომინოზის მეფობის დროს მაგისტროსი იოანე კურკუა რომ გაემგზავრა ტიბის¹ ციხის წინააღმდეგ, გზაში მან მოარბია მთელი ფასიანი, როგორც სარკინოზთა მიერ დაჭერილი. მაგრამ თეოფილე პატრიკიოსმაც, ზემოხსენებული იოანე მაგისტროსის ძმამ, წინათ, როდესაც ის ქალდიის სტრატეგოსი იყო, მოარბია ფასიანის იგივე მიწაწყალი, რადგან ის მაშინაც სარკინოზთაგან იბატონებოდა. ვიდრე მოლაპარაკება დაიწყებოდა თეოდოსიუპოლელებთან, ფასიანის მიწაწყალზე სოფელიც აღარ დარჩა, არც აზნიკის ციხეში; და იბერებს მუდამ სიყვარული და მეგობრობა ჰქონდათ თეოდოსიუპოლელებთან, აზნიკელებთან, მანძიკიერტელებთან და მთელ სპარსეთთან, მაგრამ ფასიანში არასდროს ადგილები არ სჭერიათ.

ლონ მეფე, ბატონი რომანოზი და თვით ჩვენი მეუფებაც ხშირად ცდილან აეღოთ კეჯეს ციხე და ჩაეყენებინათ მცველები, რათა იქი-

¹ κατὰ τοῦ κάστρου Τιβίου „ტი ბ ი ს ციხის წინააღმდეგ“. აქ Τιβίου აღნიშნავს „დ ვ ი ნ ს“; ამ ქალაქს კონსტანტინე იხსენიებს 44. თავშიც (τοῦ Τιβῆ ὀβ. ზემოთ, გვ. 248). იგივე ქალაქი პროკოპი კესარიელთან იწოდება τὸ Δούβιος (BP, 25; II, 30). განსხვავება აიხსნება იმით, რომ კონსტანტინეს და პროკოპის წყაროები, ალბათ, სხვადასხვა იყო: დასავლურ სომხურში „ტი“ გვაქვს ხოლმე იქ, სადაც აღმოსავლური სომხური „დ“-ს გამოსთქვამს.

τοῦ ἀναλαβέσθαι αὐτὸ καὶ εἰσαγαγεῖν ταξάτους, πρὸς τὸ μὴ ἐκείθην σιταρχεῖσθαι τὴν Θεοδοσιούπολιν, ἐξασφαλιζόμενοι πρὸς τε τὸν κουροπαλάτην καὶ τοὺς ἀδελφοὺς αὐτοῦ τοῦ μετὰ τὸ παραιληφθῆναι τὴν Θεοδοσιούπολιν ἀναλαβέσθαι αὐτοὺς τὸ τοιοῦτον κάστρον. ἀλλ' οὐκ ἠνέσχοντο οἱ Ἰβηρες τοῦτο ποιῆσαι διὰ τὴν ἀγάπην τῶν Θεοδοσιουπολιτῶν καὶ διὰ τὸ μὴ πορθηθῆναι τὸ κάστρον Θεοδοσιούπολιν, ἀλλ' ἀντεδῆλωσαν τὸν κῆριν Ῥωμανὸν καὶ τὴν βασιλείαν ἡμῶν, λέγοντες ὅτι εἰ τοῦτο ποιήσομεν, ἀτιμία ἔχομεν γενέσθαι εἰς τοὺς γείτονας ἡμῶν, οἷον εἰς τὸν μάγιστρον καὶ εἰς τὸν ἐξουσιαστὴν Ἀβασγίας καὶ εἰς τὸν Βασπαρακανίτην καὶ εἰς τοὺς ὑπερεξάρχοντας τῶν Ἀρμενίων, καὶ εἰπεῖν ἔχουσιν ὅτι ὁ βασιλεὺς ἀπίστους ἔχει τοὺς Ἰβηρας, τὸν τε κουροπαλάτην καὶ τοὺς ἀδελφοὺς αὐτοῦ καὶ οὐ πιστεύει αὐτοῖς, καὶ διὰ τοῦτο ἀνελάβετο τὸ κάστρον ἐξ αὐτῶν. ἀλλὰ μάλλον ἄς ἀποστείλῃ¹ ὁ βασιλεὺς τουρμάρχην ἢ βασιλικόν τινα, καὶ ἄς καθέλθῃται² εἰς κάστρον τοῦ Κετζέου, καὶ ἄς³ θεω-

დან სურსათი არ მიეღო თეოდოსიუპოლს, და არწმუნებდნენ კუროპალატს და მის ძმებს, რომ თეოდოსიუპოლის ალების შემდეგ ისინი დაუბრუნებდნენ იმ ციხეს. მაგრამ იბერებმა ამას მხარი არ დაუჭირეს თეოდოსიუპოლელთადმი სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ თეოდოსიუპოლის ციხე არ განადგურებულყო, და ბატონ რომანოზს და ჩვენს მეუფებას უპასუხეს შემდეგი: „ეს რომ ვქნათ, უპატიობას ჩავიდენტ ჩვენი მეზობლების მიმართ, როგორც, მაგალითად, აფხაზეთის მაგისტროსისა და მთავრის¹, ვასპარაკანელის და არმენიელთა ზემთავრების მიმართ, და იტყვიან, რომ იბერებს, კუროპალატსა და მის ძმებს არ ენდობა მეფე და ამიტომ აიღო მათგან ციხე. მაგრამ უმჯობესია მეფემ გამოაგზავნოს ტურმარქი ან ვინმე სამეფო მოხელე, და ის იჯდეს კეჯეს ციხეში და იმეთვალყურეოს“⁴. და პასუხად მიიღეს მართვა: „რის მაქნისია ტურმარქის ან სამეფო მოხელის გამოაგზავნა? ყოველ შემთხვევაში, ტურმარქი ან სამეფო მოხელე რომ შევიდეს, მას შეუძლია შევიდეს ათი ან თორმეტი კაცით და შეუძლია და-

¹ „აფხაზეთის მაგისტროსისა და მთავრის“ ეს უნდა იყოს აფხაზეთის მეფე გიორგი II, რომელიც მეფობდა 921 – 955 წლებში (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს მიხედვით 922 – 957 წლებში: მნათობი 1950 წ. № 4, გვ. 106).

² კონსტანტინე პორფიროგენეტის ენა ხშირად შორდება კლასიკური ბერძნულის ნორმებს, განსაკუთრებით ამ თხზულებაში (De adm. Imp.) და შეიცავს ხალხურ ფორმებს. აქ ნახმარი ἄς ἀποστείλῃ („გამოაგზავნოს“), ἄς καθέλθῃται („იჯდეს“), ἄς θεωρῇ („იმეთვალყურეოს“) ამგვარი ხალხური ენის ფორმებია,

რჱ. και ἐδέξαντο διὰ κελύσεως ὅτι τί ὄφελος ἢ τουρμάρχην ἢ βασιλικὸν ἀποστείλαι; πάντως ἐὰν εἰσέλθῃ εἴτε τουρμάρχης εἴτε βασιλικός, μετὰ δέκα ἢ δώδεκα ἀνθρώπων ἔχει εἰσελθεῖν, καὶ καθέζεσθαι ἔχει εἰς τὸ ἀπληκτον β παρ' ὑμῖν λάβῃ· καὶ ἐπεὶ πολλοὶ εἰσιν ὅσοι αἱ εἰσαγούσαι εἰς τὸ κάστρον Θεοδοσιουπόλεως, οὐ δύναται ἀπὸ τοῦ κάστρου βλέπειν τὰ εἰσερχόμενα καρβάνια¹ εἰς τὸ κάστρον Θεοδοσιουπόλεως· δύνανται δὲ εἰσερχεσθαι καρβάνια ἐν Θεοδοσιουπόλει τῇ νυκτὶ ἐκείνων μηδὲν νοσούντων. ἀλλ' οὖν διὰ τὸ μὴ θέλειν τοὺς Ἰβήρας πορνεύειναι τὴν Θεοδοσιουπόλιν ἀλλὰ μάλλον σιταρχεῖσθαι, τούτου ἕνεκα οὐχ ὑπήκουσαν καὶ δέδωκαν τὸ κάστρον τὸ Κετζέον, αἰῶται καὶ ἕρκον ἔγγραφον δεχόμενοι τοῦ μετὰ τὸ παραληφθῆναι τὴν Θεοδοσιουπόλιν ἀποστραφῆναι αὐτοῖς τὸ τοῖσιν κάστρον.

ჯდეს იმ ბანაკში, რომელსაც თქვენგან მიიღებს; და რადგან მრავალი გზა არსებობს, რომელიც მიდის თეოდოსიუპოლის ციხეში, შეუძლებელია ციხიდან უთვალყურო თეოდოსიუპოლის ციხეში შემოსულ ქარავნებს: ქარავნებს ღამით შეუძლიათ შევიდნენ თეოდოსიუპოლში ისე, რომ ისინი (ე. ი. მეთვალყურენი) აინუნშიც არ იყვნენ“. ამრიგად, რადგან იბერებს არ სურდათ, რომ თეოდოსიუპოლი განადგურებულიყო, არამედ უფრო მოწადინებული იყვნენ, რომ ის სურსათით მომარაგებული ყოფილიყო, ამიტომ ისინი არ დაემორჩილნენ და არ გადასცეს კეჯეს ციხე, თუმცა წერილობითაც კი მიიღეს ფიცი, რომ თეოდოსიუპოლის აღების შემდეგ მათ ეს ციხე უკან დაუბრუნდებოდათ².

რომლებიც შემდეგ ახალ ბერძნულ ლიტერატურაში ნორმად იქცა. ასეთსავე ხალხურ ფორმას წარმოადგენს ცოტა ზემოთ ნახმარი *εἰπεῖν ἔχουσιν* („სათქმელად აქვთ“, ე. ი. „იტყვიან“).

¹ *Καρβάνια* მრავლობითი რიცხვია, ე. ი. მხოლოდობითად ბერძენს გაუკვებია *καρβάνιον* „ქარავანი“. – ეს არაბული სიტყვა (qirwan) პირველად კონსტანტინე პორფიროგენეტთან გვხვდება.

² „კეჯეის ციხე“ – *τὸ κάστρον τὸ Κετζέον*. ბროსე (Addit. 146) ფიქრობდა, რომ ეს შეიძლება იყოს ქ ა ჯ ე თ ი ს ც ი ხ ე ჩ ა ქ ვ ის წყლის ნაპირას, გურიაში, შავი ზღვის პირას, ან ძველი ა რ ტ ა ა ნ ი, ან, უფრო, წუნდა. „ქაჯეთის ციხე“ ჩაქვის წყლისა ძნელი წარმოსადგენია რომ *Κετζέον*-ას უდრიდეს, ვინაიდან კონსტანტინეს მოთხოვნის მიხედვით ეს ციხე თეოდოსიუპოლის მახლობლად მდებარეობდა და იქიდან შეიძლებოდა თეოდოსიუპოლელთა საქმიანობის ზვერვა. „ქაჯთა ქალაქი“ იხსენიება ქართულ წყაროებში არტანთან დაკავშირებით. *ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ თ ა ნ ე კ ი თ ხ უ ლ ო ბ თ*: «ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქ ა ლ ა ქ ი ა რ ტ ა ნ ი ს ა, რომელსა მაშინ ერ-

“Ὅτι οὐδέποτε ἐβουλήθησαν οἱ ἱβηρῆες πραιδεῖσαι ἢ αἰχμαλωτίσαι τὰ πέραξ τοῦ κάστρου Θεοδοσιουπόλεως ἢ τὰ χωρία αὐτοῦ ἢ εἰς τὸ κάστρον τοῦ Ἀβνίκου ἢ τὰ περὶ αὐτὸ χωρία, ἢ εἰς τὸ κάστρον Μαντζικιέρτ καὶ εἰς τὴν αὐτοῦ ἐπικρατείαν.

“Ὅτι καθὼς ἐνίσταται ὁ κοροπαλάτης περὶ τῶν χωρίων τῆς Φασιανῆς ἐπιζήτητον ἄλλην τὴν Φασιανὴν καὶ τὸ κάστρον τοῦ Ἀβνίκου, προσφασίζόμενος χρυ-

იბერებმა არასგზით არ მოი-სურვეს დაერბიათ ან მოეტყვევ-ნათ თეოდოსიუპოლის ციხის გარ-შემო მდებარე ადგილები და მისი სოფლები, ან აბნიკის ციხე და მის გარშემო სოფლები, ან მანძი-კიერტის ციხე და მისი მიწა-წყალი.

რადგან კუროპალატი ჯიუტობს ფასიანის ადგილების შესახებ და მოითხოვს მთელს ფასიანსა და აბნიკის ციხეს და თან დასძენს, რომ მას ნეტარი მეფის ბატონი

ქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰური» (იხ. ანასეული ქ. ცხ. გვ. 6, 9). ამასვე იმეორებს ის სხვა ადგილას: ფარნავაზმა შეკრიბა დიდძალი ჯარი აზონის წინააღმდეგ: «ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური» (იხ. ანასეული ქ. ცხ. გვ. 16 – 17). მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი მროველის მიერ მოხსენებული «ქაჯთა ქალაქი» სამხრეთ საქართველოს რაიონშია. მაინც ის ძალზე დაშორებულია იმ „კეჯეს ციხეს“, რომელიც, კონსტანტინეს აღწერით, თეოდოსიუპოლის მახლობლად მდებარეობდა, საქართველოს სამხრეთ საზღვართან. ეს „კეჯეს ციხე“ უნდა ვეძებოთ სხვაგან, დაახლოვებით იქ, სადაც, ევფრატის სათავეებთან, ამჟამად „ამ-ყალა“ მდებარეობს.

კონსტანტინეს მიერ აღწერილი ეპიზოდი „კეჯეს ციხის“ დაუფლების შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობაა ბიზანტიისა და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიისათვის. როგორც ჩანს, „კეჯეს ციხე“ იბერიის ფარგლებში შედიოდა და იბერიის მმართველთა თავისი სუვერენიტეტის შელახვად მიაჩნდათ – დროებით, სტრატეგიული საჭიროებისათვის, დაეთმოთ ბიზანტიელებისათვის ეს ციხე, რათა ამით ბიზანტიელებს გაადვილებოდათ წაერთმიათ არაბებისათვის თეოდოსიუპოლი, რომელიც წინათ ბიზანტიას ეკუთვნოდა, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ იბერიის კუროპალატი არ ენდობოდა ვერაგ ბიზანტიელებს, რომელნიც, რასაკვირველია, ეცდებოდნენ, რომ დროებითი გადაცემა ციხისა მუდმივ მიტაცებად გადაქცეულიყო, და არც თეოდოსიუპოლელებთან ლოიალურ ურთიერთობას დაარღვევდა. იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა; მნათობი 1949, № 11, გვ. 146 – 147.

ასეთი წინადადებით (κέλευσις), რომ იბერიის კურაპალატს დროებით დაეთმო „კეჯეს ციხე“ ბიზანტიისთვის, კეისარს შეეძლო მიემართა 928 წლის წინა ხანებში, რადგან 928 წელს ბიზანტიელებმა თეოდოსიუპოლი აიღეს. იხ. F. D ö l g e r, Corpus der griech. Urkunden... 1, 75.

σοβούλλια¹ ἔχειν τοῦ μακαρίου βασιλέως τοῦ κυροῦ Ῥωμανοῦ καὶ τῆς ἡμετέρας βασιλείας, ὧν καὶ τὰ ἴσα πρὸς ἡμᾶς ἀπέστειλε διὰ τοῦ Ζουρβανέλη² πρωτοσπαθαρίου τοῦ ἀζάτου αὐτοῦ, ταῦτα ἐπισκεψάμενοι εἴρομεν αὐτὸν μηδεμίαν βοήθειαν ἔχοντα. τὸ μὲν γὰρ χρυσοβούλλιον τοῦ πενήτεροῦ ἡμῶν περιέχει ὑποσχέσθαι τὸν αὐτὸν κουροπαλάτην, ὡς δι' ἔργου ἐβεβαίωσεν αὐτὸν οἰκεία χειρὶ ἐγγραφάμενος, τοῦ διαμειναι ἐν τῇ πίστει τῆς ἡμετέρας βασιλείας καὶ τοῖς μὲν ἐχθροῖς ἡμῶν ἀντιμάχεσθαι, τοῖς δὲ φίλοις ὑπερασπίζεσθαι, καὶ τὴν ἀνατολήν ὑπόσ-

რომანოზის და ჩვენი მეუფეების ოქრობეჭედნი¹ აქვს, რომელთა პირები ჩვენ გამოგვიგზავნა თავისი აზატის პროტოსპათარ ზურვანელის ხელით², ჩვენ ეს ზედმიწევნით გავზომეთ და დავრწმუნდით, რომ ეს მას ვერაფერს უშველის. ვინაიდან ჩვენი სიმამრის ოქრობეჭედი შეიცავს დაპირებას თვით კუროპალატისას, რომ ის როგორც თვითონ ფიცს სდებს და ამტკიცებს საკუთარი ხელის მოწერით, დარჩება ერთგული ჩვენი მეუფებისა, ჩვენს მტრებს შეებრძოლება, ხოლო მეგობრებს დაიცავს, აღმოსავლეთს ჩვენი მეუფების ქვეშევრდომად გახდის,

¹ ეს დოკუმენტიც (*χρυσοβούλλια*), რომლითაც იბერიის კუროპალატი უმტკიცებს კეისარს თავის უფლებებს ბასიანის მხარეზე, თარიღდება 928 წლის წინა ხანებით.

² როგორც გადმოგვცემს Banduris-ი თავის შენიშვნებში, ხელნაწერის ამ ადგილას არშიაზე სწერია იმავე ხელით: *οὗτος δὲ Ζουρβανέλη ὁ πατήρ τοῦ Τορνίκη τῆς Ἀβᾶ, τοῦ ἀρτίως συγκέλλου* – «ეს ზურვანელი არის მამა ამა თორნიკისა, აწ სვინგელოზისა» (იხ. CB III, 373). ამ მინაწერის მიხედვით, მაშასადამე, ის პროტოსპათარი ზურვანელი, რომლის ხელითაც იბერიის კუროპალატმა ბიზანტიის კეისარს გაუგზავნა 928 წლის წინა ხანებში საბუთები თავისი უფლებების დასამტკიცებლად ბასიანის მხარეზე, ყოფილა იმ თორნიკეს მამა, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების ხელნაწერის გადაწერის დროს სვინგელოზის (ე. ი. პატრიარქის „თანამოსაკანის“ σύγκελλος) წოდებას ატარებს. ის ხელნაწერი, სადაც ეს მინაწერი მოიპოვება, როგორც ჩანს, XII საუკუნისაა, რადგან Banduris-ს სწორედ ამ ხელნაწერთან (cod. Parisinus regius 2009. იხ. ზემოთ გვ. 221) შეუმოწმებია ტექსტი. მაგრამ ის გარემოება, რომ მინაწერი ხელნაწერის ხელით არის შესრულებული (eadem manu „იმავე ხელით“, როგორც წერს ბანდური), მოწმობს, რომ XII საუკუნის გადამწერს გადმოუწერია თავის დედნიდან ტექსტთან ერთად არშიაზე მინაწერიც, ხოლო თვით დედანში (ე. ი. რომელიმე წინა საუკუნის ხელნაწერში) შესაძლებელია მკითხველის მიერ იყო არშიაზე ის შენიშვნა მიწერილი არა ხელნაწერის ხელით, არამედ სხვა ხელით. და, აი, ამ მკითხველს სცოდნია, რომ 928 წლის მახლობელ ხანებში პროტოსპათარად მყოფი ზურვანელი იმ თორნიკეს მამა იყო, რომელსაც მის (ე. ი. მკითხველის) დროს სვინგელოზის წოდება ჰქონდა. მაშასადამე, XII საუკუნის ძირითადი ხელნაწერის დედანი უთუოდ X საუკუნის მეორე ნახევ-

πονηδον ποιησαι τη βασιλεία ἡμῶν, και κάστρα χειρώσασθαι, και μεγάλα πρὸς φεράπειαν ἡμῶν ἔργα ποιήσασθαι· και ὑπεσχέθη αὐτοῖς παρὰ τοῦ πενθεροῦ ἡμῶν ἵνα ἐὰν φυλάξῃ τὴν τοιαύτην πίστιν θεούλωσιν και εὐγνωμοσύνην, διαμείνῃ ἀμετασάλευτος και ἀντιὸς και οἱ τοῦ γένους αὐτοῦ ἐν τη τούτου ἀρχῇ και ἐξουσίᾳ, και οὐ μεταστήσει τὰ ἔθνη τῶν τόπων αὐτοῦ ἀλλὰ κατὰ τῶν πρώτων βασιλέων τὰ σύμφωνα στέρξει και περαιτέρω μὴ ὑπερβήσεται, και ἔτι οὐδὲ κωλύσει αὐτὸν καταστρέψαι τὴν Θεοδοσιουπόλιν και τὰ λοιπὰ κάστρα τῶν ἐχθ-

ციხეებს დაიპყრობს და ჩვენ დიდს სამსახურს გაგვიწევს; და მათ დაპირება მიეცა ჩვენი სიმამრისაგან, რომ თუ ის დაიცავდა ამ ერთგულებას, სამსახურს და კეთილგანწყობილებას, ისიც და მისი მემკვიდრეებიც უწყევად დარჩებიან ამ ძალაუფლების მქონედ, თუ არ გადალახავენ თავისი ადგილების საზღვრებს, არამედ წინანდელ მეფეებთან დადებულ შეთანხმებებს დასჯერდება და მათ არ დაარღვევს და არ შეუფერხებს მას თეოდოსიუპოლის და მტრის სხვა ციხეების განადგურებას, და ისინი ან თვით მარტო მის მიერ იქნებიან ალყაშემორტყმული, ან

რისაა, როდესაც შეიძლება კაცმა ივარაუდოს 928 წლის წინა ხანებში მოღვაწის შვილი. ასეთ შვილად, ბუნებრივია, პირველ რიგში ვივარაუდებთ ათონელ მოღვაწეს იოანე თორნიკეს. ამ ბერძნული მინაწერის თითქმის ზედმიწევნით ადეკვატურია ის ქართული მინაწერი, რომელიც მოიპოვება 977 წელს გადაწერილსა და ათონის ივერიის მონასტრის წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერში: «... იოვანე თორნიკ ყოფილისათჳს და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოანე სჳნგელ ოზისათჳს» (თ. ჟორდანიას, ქრონიკები I, გვ. 108; R. Blake, ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 49 – 50 [ცალკე ამონაბეჭდი ჟურნალიდან *Révue de l'Or. Chr.* VIII, 1931 – 32]; შუად. მ. ბერძნიშვილი, იოანე ვარაზგაჩესთვის: ანალები I. 1947, გვ. 241).

ასეთია ის მინაწერი, რომელიც XII საუკუნის ხელნაწერში მოპოვება და რომელიც გვაწვდის ძვირფას ცნობას ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 976 – 979 წლებში წარმოებული ბრძოლების დროს განთქმული ქართველი სარდლის და ათონის მთაზე ბერად აღკვეცილი თორნიკეს შესახებ. ბერძნული ფორმით *Zoug-* βανέλη გადმოცემულია ქართული „იორდვანელი“ (ე. ი. ჩორჩანელი); ქართული ჩ-ს გადმოცემა ბერძნულად მხოლოდ მიახლოვებით შეიძლებოდა; აქ ის გადმოცემულია მეტის (ζ) მეშვეობით: იგივე სახელი ერთ ბერძნულ ტექსტში სწერია *Τζουσβανέλη* (იხ. *Byzantion* X (1935), გვ. 543). შუაში „დ“ ამოვარდნილია, რადგან ბერძენს *δδβ* კომპლექსის გამოთქმა უჭირდა.

ჩვენ არ ვიცი, რა წარმოშობისაა კონსტანტინეს თხზულების XII საუკუნის ხელნაწერი, მაგრამ მისი დედანი კი რომელშიც მკითხველს „ჩორჩანელის“ შემცველი მინაწერი დაურთავს არშიაზე, უთუოდ უნდა იყოს ნამყოფი ათონის მთის რომელსამე ბიბლიოთეკაში.

ρῶν, καθὼν τε διὰ [τοῦ] αὐτοῦ μόνου πολιορκηθήσονται καθὼν τε δι' αὐτοῦ τοῦ στρατοπέδου ἡμῶν. ταῦτα μὲν τὰ κεφάλαια περιέχουσι. τὰ χρυσοβούλλια, ἐξ ὧν οὐδεμίαν βοήθειαν ὁ κουρσπαλάτης ἔχει· τὸ μὲν γὰρ τοῦ πενθεροῦ ἡμῶν διαγορεύει ὅτι οὐ παρασαλεύομεν αὐτὸν ἐκ τῶν παλαιῶν ὀρίων τῆς χώρας αὐτοῦ, καὶ ὅτι, ἐὰν δυνήθῃ, εἴτε καὶ μόνος εἴτε καὶ μετὰ τοῦ στρατοπέδου ἡμῶν, πολιορκήσει καὶ καταστρέψει τὴν Θεοδοσιούπολιν καὶ τὰ λοιπὰ κάστρα τῶν ἐχθρῶν, οὐχὶ δὲ κατασχεῖν αὐτὰ εἰς τελείαν δεσποτείαν καὶ κυριότητα, τὸ δὲ τῆς βασιλείας ἡμῶν περιέχει ἕνα, ὅσους ἂν τόπους δυνήθῃ καὶ αὐτὸς καὶ ὁ ἀνεψιὸς αὐτοῦ ὁ μάγιστρος Ἀδρανᾶσῃ ἐξ οἰκείας δυνάμεως καθυποτάξαι τῶν Ἀγαθηῶν ἢ ἀπὸ τοῦ νῦν καθυποτάξει, κατέχῃ ἐπὶ δεσποτεία καὶ κυριότητι. καὶ ἐπεὶ οὕτε ἐξ οἰκείας δυνάμεως τὴν Θεοδοσιούπολιν καταστρέψατο οὕτε τὸ

თვით ჩვენი ჯარის მიერ. აი, ამ თავებს შეიცავდნენ ის ოქრობეჭედნი, რომლებიც კუროპალატს ვერაფერს შველის: ვინაიდან ჩვენი სიმამრის ოქრობეჭედი აღნიშნავს, რომ ჩვენ არ დავძრათ ის მისი მიწაწყლის ძველი საზღვრებიდან და რომ, თუ შესაძლებელი იქნება, ან მან მარტო თვითონ, ან ჩვენი ჯარითურთ ალყა შემოარტყას და გაანადგუროს თეოდოსიუპოლი და მტრის სხვა ციხეები, ხოლო ისინი არ უნდა ჰქონდეს საბოლოო მბრძანებლობაში და ბატონობაში; ხოლო ჩვენი მეუფების ოქრობეჭედი ¹ შეიცავს იმას, რომ, აგარენტა რომელი ადგილების დამორჩილებაც შესძლო ან თვითონ, ან მისმა ნათესავმა ადრანასე მაგისტროსმა ² საკუთარი ძალით, ან დღეის შემდეგ დაიმორჩილებს, ის ჰქონდეს თავისი მბრძანებლობის და ბატონობის ქვეშ. და რადგან მას თავისი ძალით არ გაუნადგურებია არც თეოდოსიუპოლი, არც აზნიკი, არც მასტატი, მას არ შეუძლია ისინი ეპყრას,

¹ ჩვენი მეუფების ოქრობეჭედი“, ე. ი. კონსტანტინე პორფიროგენეტის *χρυσοβούλλιον*, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოცემული 945 – 952 წლებში, ვინაიდან ეს უნდა მომხდარიყო რომანოზის გადმოგდების შემდეგ (იგი გადმოგდეს, ტახტიდან 944 წლის 16 დეკემბერს) და 952 წლამდე (De adm. imp.-ს დაწერამდე). იხ. Dölger, Corpus... 80 – 81.

² „თვითონ, ან მისმა ძმისწულმა ადრანასე მაგისტროსმა“. იგულისხმებიან სუმბატ I, ქართველთა მეფე და კუროპალატი (გარდ. 958 წ.) და მისი ძმისწული ადარნერსე II, ქართველთა კუროპალატი (გარდ. 961 წ.) უკანასკნელი, კონსტანტინეს მიხედვით, სუმბატ I-ის ძმისწულია (*ἀνεψιός*); ქართული წყაროებითაც ასე ჩანს; ადარნერსე არის ბაგრატ მაგისტროსის, სუმბატ I-ის ძმის, შვილი. იხ. პ. ი. ნ. გ. ო. რ. ყ. ვ. ა: მნათობი 1950 წ. № 1, გვ: 140 – 141.

Ἰβηκίον οὐτε τὸ Μασσατόν, οὐκ ὀφείλει ταῦτα κατέχειν ὡς ὄντα ἔνθεν τὸν Ἑραξ ποταμὸν ἦτοι τοῦ Φάσιδος, διότι τὸ μὲν κάστρον τοῦ Ἀβνίκου μέχρι τοῦ νῦν ἦν ἀντεξούσιον καὶ ἀντοδῆσποτον ἔχον ἴδιον ἀμνηρᾶν, καὶ πολλὰκις ὁ λαὸς τῆς βασιλείας ἡμῶν ἐπραιδεύσεν αὐτὸ· ἀλλὰ καὶ ὁ πρωτοσπασμάριος Ἰωάννης καὶ στρατηγὸς ὁ Ἀρραβωνίτης, καὶ ὁ πατριάρχης Θεόφιλος καὶ ἀρτίως στρατηγὸς Θεοδοσιουπόλεως, καὶ οἱ λοιποὶ στρατηγοὶ μεγάλην πραιδίαν καὶ αἰχμαλωσίαν εἰς αὐτὸ εἰργάσαντο, κατακαύσαντες τὰ χωρία αὐτοῦ, μηδέποτε τοῦ καιροπαλάτου πραιδεύσαντος αὐτό, καὶ ἦνίκα ἔφρανίσθησαν τὰ τοῦτου χωρία παρὰ τῆς βασιλείας ἡμῶν, ὑπεισῆλθον οἱ Ἰβηραὶ καὶ κατακράτησαν αὐτὰ, πειρώμενοι ἐκ τοῦτου τὸ κάστρον κρατῆσαι. ὁ δὲ ἀμνηρᾶς πολλὰκις μνησθεὶς παρὰ τοῦ πατριάρχου Θεοφίλου καὶ στρατηγοῦ, καὶ ἰδὼν ὅτι οὐδαμῶς ἔχει ἐλπίδα ζωῆς, ὑπετάγη καὶ κατένευσε θεοῦτος γενέσθαι τῆς βασιλείας ἡμῶν, θεὸς τὸν υἱὸν αὐτοῦ ὀψίδα. τὸ δὲ Μασσατόν ὑπήρχε τῶν Θεοδοσιουπολιτῶν, καὶ ἦνίκα ὁ μάγιστρος Ἰωάννης ἐπολιόρησε τὴν Θεοδοσιούπολιν ἐπὶ τὰς μῆνας διὰ τὸ μὴ θύνασθαι παραλαβεῖν αὐτήν, ἀποστείλας λαὸν παρελάβε

როგორც მდინარე ერასის ანუ ფასისის აქეთ მდებარე, რადგან აბნიკის ციხე დღემდე იყო თვითთავადი და თვითუფალი და ჰყავდა საკუთარი ამირა, და ჩვენი სამეფოს ხალხს ხშირად დაურბევია იგი; მაგრამ იოანე პროტოსპათარმა და თეოფილე პატრიკოსმა და თეოდოსიუპოლის ყოფილმა სტრატეგოსმა და სხვა სტრატეგოსებმაც დიდი ნადავლი და ტყვეები მოიხვეჭეს იქ და გადასწვეს მისი სოფლები, კუროპალატს კი არასდროს არ დაურბევია იგი. და როდესაც მისი სოფლები განადგურებულ იქმნა ჩვენ მიერ, მოვიდნენ იბერები, დაიპყრეს იგი და მას აქეთ ცდილობენ ციხე მათ ხელთ იყოს. ამირამ, რომელსაც თეოფილე პატრიკოსი და სტრატეგოსი ხშირად არწმუნებდნენ, დაინახა, რომ დიდი ხნის არსებობის იმედი აღარ იყო, დაგვექვემდებარა, ჩვენი სამეფოს მორჩილად აღიარა თავი და თავისი შვილიც მოგვცა მძევლად. ხოლო მასტატი თეოდოსიუპოლელებისა იყო; და როდესაც იოანე მაგისტროსს გარემოცული ჰქონდა თეოდოსიუპოლი შვიდი თვის განმავლობაში, რადგან ვერ შესძლო მისი აღება, გაგზავნა ხალხი და აიღო მასტატის ის ციხე და ჩააყენა იქ პროტოსპათარი პეტრონა ვოილა, რომელიც მაშინ ნიკოპოლის კატაპანი იყო. მაგრატ მაგისტ-

το αὐτὸ κάστρον τὸ Μαστάτον
καὶ εἰσῆγγαγεν ἐν αὐτῷ τὸν πρωτο-
στρατηγικὸν Πετρωῶν τὸν Βόϊλαν,
τὸν τότε ὄντα κατεπάνω Νικοπό-
λεως. ὁ δὲ μάγιστρος Παγκρά-
τειος συνταξιδεύσας τῷ αὐτῷ
μαγίστρῳ ἐν Θεοδοσιουπόλει, ἤνι-
κα ἔμελλεν ἀναχωρεῖν, παρεκά-
λεσεν ἵνα δώσῃ αὐτῷ τὸ τοιοῦτον
κάστρον, ποιήσας ἕγγραφον ἔρ-
κον πρὸς αὐτὸν τοῦ ἐπικρατεῖν
αὐτὸ καὶ μηδέποτε τοῦτο τοῖς
Σαρακηνοῖς ἐπιδοῦναι. καὶ διὰ
τὸ εἶναι αὐτὸν καὶ Χριστιανὸν καὶ
θεῖον τῆς βασιλείας ἡμῶν, πισ-
τεύσας τῷ ἔρκῳ αὐτοῦ δέδωκεν
αὐτὸ τῷ εἰρημένῳ Παγκρατεῖ.
ὁ δὲ πάλιν ἀπεχαρίσατο αὐτὸ
τοῖς Θεοδοσιουπολίταις· καὶ ἤνι-
κα παρελήφθη ἡ Θεοδοσιουπό-
λις, ὑπεισεληθόντες οἱ Ἰβηρες
ἐκράτησαν αὐτὸ. διότι οὔτε τοῦ
τοιοῦτου κάστρου τοῦ Μαστάτου
οὔτε τοῦ Ἀβνίκου ἔχουσιν ἐξου-
σίαν ἐπιζητεῖν, ἀλλ' ἐπειδὴ ὁ
κουροπαλάτης πιστὸς καὶ ὀρθὸς
θεῖλος καὶ φίλος ἡμῶν ἐστί, διὰ
τὴν αὐτοῦ παρεκλήσιν, ἵνα γέ-
νηται σύνορον τῆς Φασσαωνῆς ὁ
ποταμὸς ὁ Ἰβραξ ἦτοι ὁ Φᾶσις,
καὶ τὰ μὲν ἀριστερὰ μέρη τὰ
πρὸς τὴν Ἰβηρίαν² κατέχουσιν

როსმა¹ იმ მაგისტროსთან (ე. ი. იოანესთან) ერთად ილაშქრა თეოდოსიუპოლში და, როდესაც მან დააპირა უკან გაბრუნება, სთხოვა იოანეს, რათა მას ის ციხე მასტატი მისთვის მიეცა, და მისცა მას ფიცის წერილი, რომ მას ის ციხე თავის მფლობელობაში ექნებოდა და მას არასდროს სარკინოზებს არ გადასცემდა. და რადგან ის ქრისტიანიც იყო და ჩვენი სამეფოს მორჩილი, იოანემ დაუჯერა მის ფიცს და მისცა ციხე ხსენებულ ბაგრატს; ამან კი ის კვლავ თეოდოსიუპოლელებს უწყალობა; და როდესაც თეოდოსიუპოლი აღებულ იქმნა, მოვიდნენ იბერები და დაიჭირეს ის. ამიტომ არც ამ მასტატის ციხეზე, არც აზნიკზე არ შეუძლიათ მათ უფლება მოითხოვონ, მაგრამ რადგან კუროპალატი ჩვენი მორჩილი და მეგობარია, სანდო და მართალი, იყვეს თანახმად მისი მოთხოვნისა ფასიანის საზღვრად მდინარე ერაქსი ანუ ფასისი, და მარცხენა მხარე, იბერიისაკენ² მიმართული, ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიუპოლისკენ არის, როგორც ციხეები ისე სოფლები, იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, ისე რომ, მამასადამე, ორივეს საზ-

¹ „ბაგრატ მაგისტროსი“. სუმბატის ქრონიკის მიხედვით ბ ა გ რ ა ტ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი გარდაიცვალა 945 წელს: «გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, მე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა რმე (165+780=945), თვესა მარტსა, და დაუტევა მე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა...» (ე. თაყაიშვილის გამოც. გვ. 66, § 64).

² ბერძნულ ხელნაწერებში სწერია Ἰβηρίαν, რაც სრულიად გაუგებარია. შესწორება ეკუთვნის ბროსეს (Additions... გვ. 148).

οὐκ ἴβηρες, τὰ δὲ δεξιὰ ἄστυ εἰσὶ
 πρὸς τὴν Θεοδοσιούπολιν, καὶν τε
 κάστρα καὶν τε χωρία εἰσὶν, ὧσιν
 ὑπὸ τὴν βασιλείαν ἡμῶν, τοῦ
 ποταμοῦ θηλονότι σύνορον ἀμφο-
 τέρων ὑπάρχοντος, καμῶς και-
 ζῶν ὁ μακάριος Ἰωάννης Κουρ-
 κούας περὶ τοῦτου ἐρωτηθεὶς
 ἐξείπετο συμφέρον εἶναι τὸν ποτα-
 μὸν σύνορον. τὸ μὲν γὰρ ἀκριβὲς
 δίκαιον ὁδόμεναι ἐξουσίαν παρ-
 χει τῇ κουροπαλάτῃ εἶτε εἰς τὰ
 ἔνθεν τοῦ ποταμοῦ εἶτε εἰς τὰ
 ἔκενθεν διακράτησιν ἔχειν, διότι
 τὰ τοιαῦτα πάντα χάρις τῶν
 Θεοδοσιουπολιτῶν τὰ στρατεύ-
 ματα τῆς βασιλείας ἡμῶν ἡχμα-

ღვრად მდინარე იქნება, როგორც
 ეს ნეტარხსენებულმა იოანე კურ-
 კუამ ჯერ კიდევ სიცოცხლეში,
 როდესაც მას შეეკითხნენ ამის
 შესახებ, აზრი გამოთქვა, ხელსაყ-
 რელია მდინარე იყვეს საზღვრა-
 დო¹. ზედმიწევნით მართლად რომ
 ვთქვათ, არავითარი უფლება არა
 აქვს კუროპალატს არც მდინარის
 აქეთა მხარეზე, არც მდინარის
 იქითა მხარეზე, რადგან თეოდო-
 სიუპოლელთა ყველა ეს სოფლები
 ჩვენი სამეფოს ჯარებმა ტყვევნეს
 და ცეცხლს მისცეს, და არასდროს
 იბერები ჩვენი ხალხის უიმისოდ
 არ შესულან თეოდოსიუპოლში
 და არ გაუნადგურებიათ იგი, არა-

¹ ძირითადი საკითხი, რომელსაც ეხება კონსტანტინე პორფიროგენეტი თავისი შრომის ამ 45. თავში, არის საკითხი იბერიის იმ მხარისა, რომელსაც ეწოდება Φασიაνή. ეს არის ქართული წყაროებით კარგად ცნობილი ბ ა ს ი ა ნ ი.

ქართული „ბასიანი“ რომ დაეწერა Βασιανή, ეს წაიკითხებოდა „ვასიანი“ და არა ბასიანი. რადგან β ამ დროს „ვ“-ს ნიშნავდა. ამიტომაც არის რომ „ბაგრატი“ არსად β-ით არ არის გადმოცემული, იგი იწერება ყოველთვის Παγκρα-
 τειος. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევას, გავითვალისწინებთ, მაშინ ავტორს უნდა დაეწერა Πασιανή. ზეპირმეტყველებაში მაშინდელი ბერძენი ამ სიტყვას ალბათ, ამბობდა „ვასიანი“ (შეად. „პანკრატოს“). მაგრამ თუ მაინც Φασიაνή უწოდა კონსტანტინე პორფიროგენეტმა და არა Πασιανή, უთუოდ შემდეგი მიზეზის გამო: ბასიანი დაკავშირებულია არაქსის სათავეებთან, ხოლო არაქსს ბერძნულ წყაროებში ეწოდება Φάσις და მაშასადამე, იმ კუთხეს, რომელიც არაქსის სათავეებთან მდებარეობს. ბუნებრივია, რომ უწოდა Φασიაνή, მით უმეტეს რომ ადგილობრივ სახელი ამ ადგილისა ჟღერდა ამის მსგავსად („ბასიანი“).

45. თავის მეორე ნაწილში მოთხრობილია იმ დავის შესახებ, რომელიც არსებობდა ბიზანტიასა და იბერიას შორის ბასიანისა და მისი მეზობელი მხარეების შესახებ. ბასიანი, რომელიც არაქსის სათავეებთან მდებარეობდა «ირიჯლუს მთას იქით», არაბთა შემოსევამდე ბისანტიის სამფლობელოში შედიოდა. ხოლო როდესაც იგი არაბთა ხელში გადავიდა, ბიზანტიასა და იბერიას შორის შეთანხმება მომხდარა, რომ «აგარიანთა რომელი ადგილების დამორჩილებაც შესძლო ან თვითონ (კუროპალატმა) ან მისმა ძმისწულმა ადრანასე მაგისტროსმა საკუთარი ძალით, ან დღეის შემდეგ დაიმორჩილებს, ის ჰქონდეს თავისი მზრუნელობის და ბატონობის ქვეშ» (იხ. ზემოთ გვ. 269) ამრიგად, ბიზანტიელები და იბერიელები გაერთიანებული ძალებით ებრძოდნენ არაბებს, მაგრამ, რო-


λῶτισαν καὶ ἐπυρπόλησαν, καὶ οὐδέποτε χωρὶς ἡμετέρου λαοῦ Ἰβήρες ἐξήλθον καὶ ἐπραΐδουσιν Θεοδοσιούπολιν, ἀλλ' αἰεὶ φίλους εἶχον αὐτοὺς καὶ ἐπραγματεύοντο μετ' αὐτῶν, καὶ τῷ μὲν στόματι ἤμελλον πορνεύειν τὴν Θεοδοσιούπολιν, τῇ δὲ καρδίᾳ οὐδ' αὐτῶν ἐβόσλοντο παραληφθεῖν αὐτήν. ἀλλ' ἡ βασιλεία ἡμῶν, ὡς εἴρηται, διὰ τὴν πρὸς τὸν κουροπαλάτην ἀγάπην ἡμέτερος γενέσθαι τὸν ποταμὸν τὸν Ἑραζῆ τοῖς Φῶσιν σύνορον ἀμφοτέρων, καὶ ὀφείλουσιν ἀρκεῖσθαι εἰς τὴν

τοιαύτην διακράτησιν καὶ μηδὲν πλεόν ἐπιζητεῖν (CB, III, 197—205).

მედ მუდამ ჰყავდათ ისინი მეგობრებად და მათთან ერთად მოქმედებდნენ; და მხოლოდ სიტყვით სურდათ, რომ თეოდოსიუპოლი განადგურებული ყოფილიყო, გულით კი არასდროს არ სურდათ, რომ იგი აღებული ყოფილიყო. მაგრამ ჩვენმა მეუფებამ, როგორც ითქვა, კუროპალატის სიყვარულის გულისთვის მოისურვა, რომ მდინარე ერასისი ანუ ფასისი ყოფილიყო ორივეს საზღვრად, და ისინიც უნდა დაკმაყოფილდნენ ამ მფლობელობით და მეტი აღარ მოითხოვონ.

გორც ჩანს, ბიზანტიელთა ექსპანსია ისე შორს წასულა, რომ ისინი თვითონ აპირებდნენ ყველა იმ ქვეყნებს დაპატრონებოდნენ, რომელთაც ქართველთა დახმარებით ართმევდნენ არაბებს. ამიტომ ქართველებს შეუწყვეტიათ თავისი აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში და, მაგალითად, თეოდოსიუპოლის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელსაც კი უშლიდნენ ბიზანტიელებს. მაგრამ როდესაც ბიზანტიელებმა წაართვეს არაბებს თეოდოსიუპოლიც და მისი მეზობელი მხარეებიც (აზნიკი, მასტატი, მანძიკიერტი), «მოვიდნენ იბერები, დაიპყრეს იგი და მას აქეთ ცდილობენ ციხე მათ ხელთ იყოს», კონსტანტინე პორფიროგენეტი თვლის, რომ იბერიის კუროპალატი მართალი არ არის; ეს მხარე (ბასიანი) ბიზანტიელებმა წაართვეს ბრძოლით არაბებს და არა იბერიელებმა და, მაშასადამე, ის მათ არ ეკუთვნისო. კონსტანტინე, რასაკვირველია, ობიექტური არ არის: თუ იბერიელებს არ მიუღიათ მონაწილეობა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორღა შესძლებდნენ ისინი თეოდოსიუპოლის ციხის ხელში ჩაგდებას? ბოლოს, ის თვითონაც აღიარებს იბერიელთა მონაწილეობის მნიშვნელობას: «არასდროს იბერები ჩვენი ხალხის უიმისოდ არ შესულან თეოდოსიუპოლში და არ გაუნადგურებიათ იგი, არამედ მუდამ ჰყავდათ ისინი მეგობრებად და მათთან ერთად მოქმედებდნენ». კონსტანტინე იძულებულია ანგარიში გაუწიოს იბერიის ძალას და სადავო საკითხს კომპრომისულად სწყვეტს; ბასიანს ორად ჰყოფს: საზღვრად სდებს არაქსს, ანუ ფასისს: «მარცხენა მხარე, იბერიისაკენ მიმართული, ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიუპოლისკენ არის, როგორც ციხეები ისე სოფლები, იყვეს ჩვენი (ე. ი. ბიზანტიის) მეუფების ქვეშ» (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. პ. ი. ნ. გ. ო. ო. ყ. ვ. ა: მნათობი 1949 წ. № 11, გვ. 149 – 152).

როგორც ჩანს, ეს მორიგება დროებითი იყო. იბერია კვლავ აცხადებდა თავის პრეტენზიებს მთელ ამ მხარეზე, მთელ ბასიანზე. და როდესაც მას საშუა-



თავი 46

იბერთა გენეალოგიისა და ადრანუჯის ციხის შესახებ

საცოდნელია, რომ ბაგრატი და დავითი, რომელსაც მამფალიც ეწოდებოდა, რაც გადმოითარგმნება «ყოვლად წმინდა»², იყვნენ

ლება მიეცა ბიზანტიაზე ზეგავლენა მოეხდინა, მან დაიბრუნა ეს მხარე. 976 – 979 წლებში ბიზანტიას გაჭირება დაადგა ბარდა სკლიაროსის განდგომის გამო და იბერიის კუროპალატს მიმართა დახმარებისათვის. იმ მიწერ-მოწერიდან, რომელიც გაიმართა დავით კუროპალატსა და ბიზანტიის მთავრობას შორის სარდალ თორნიკეს მეშვეობით, ჩანს, რომ კუროპალატი აღუთქვამდა ბიზანტიას ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ დაგეხმარებითო, ხოლო მოითხოვდა ბიზანტიისაგან იმ მხარის დაბრუნებას, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტმა სადავოდ გახადა. «ხოლო თორნიკ – წერს გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი - კუროპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კუროპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზ ე მ ო ნ ი ქ უ ე ყ ა ნ ა ნ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ა ნ ი კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ს ა, რ ა დ თ ა თ ა ვ ი ს ა ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ა ჰ ქ ო ნ დ ი ნ » (გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ც 5 იოვანესი და ეფთემესი, თბ. 1946, თავი 20; იხ. აგრეთვე თავი 10).

¹ არ არის საჭირო ეს სახელი წავიკითხოთ „პანკრატი“ (აწ „პანკრატი-ოსი“). რომ „ბაგრატი“ X საუკუნის ბერძენს დაეწერა *Βαγρατ*, ის წავიკითხებოდა „ვადრატ“. ერთადერთი შესაძლებელი ტრანსკრიფცია „ბაგრატისა“ ამ დროისთვის არის *Παγκρατ...*: π-ით გადმოიცემა ბილაბიალური **პ ბ ფ**, ისევე როგორც κ-ით გადმოიცემა **კ გ ქ**.

საშუალო საუკუნეების ბერძნულში β და γ უკვე სპირანტებია (ვ და ღ) და ამიტომ **ზ** და **გ** ბერძენის გადმოსაცემად ხმარობენ π და κ-ს, უფრო მეტის სიზუსტისათვის κ-ს წინ ნახალური ბერძენის გამომხატველ ასოს დაუწერდნენ ხოლმე (ν), რაც ამ κ-ს გააჟღერებდა. *Παγκρατ*-ში („პანკრატი“) ნახმარი γ (გამოთქმაში „ნ“) მომდევნო κ-ს მჟღერად აქცევს და, ამგვარად, მთელი სიტყვა გამოითქმება „ბანგრატი“, ხოლო რადგან ჩვენ ვიცით, რომ γ (= ნ) ნახმარი იყო κ-ს გასაჟღერებლად, ამიტომ **ნ** შეგვიძლია სრულიადაც არ გამოვთქვათ.

² „და ვ ი თ მ ა მ ფ ა ლ ი“ (ὁ Δαβίδ καὶ ὁ Μάμπαις). ბ ე კ ე რ ს ბონის გამოცემაში (გვ. 206), ისევე როგორც კომენტატორს Bandurius-ს (იქვე, გვ. 373), „ბაგრატი“, „დავითი“ და „მამფალი“ სამ პიროვნებად გაუგიათ. საჭიროა ტექსტის შესწორება: *ὁ Παγκράτειος καὶ ὁ Δαβίδ ὁ καὶ Μάμπαις* „ბაგრატი და დავითი, რომელსაც მამფალიც ეწოდებოდა“. შესწორება ეკუთვნის მარკვარტს (I. c. 186).

სუმბატის „ქრონიკაში“ დავით მამფალის, მისი მამისა და მისი ძის შესახებ ვკითხულობთ:

«და მამფალი სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, მისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა რთ (109, ე. ი. 780 + 109 = 889), და დაუტევნა ძენი ორნი: [და ვ ი თ მ ა მ ფ ა ლ ი და] ბაგრატი მამფალი არტანუჯელი» (ე. თა-

ρος. και ἔλαχε τὸ Ἀδρανοῦτζη εἰς κληρονομίαν τῆ Παγκρατεῖω, τῆ δὲ Δαβὶδ ἔλαχεν ἑτέρα χώρα. ὁ δὲ Παγκράτειος ἐποίησεν υἱοὺς τρεῖς, τὸν Ἀδρανασίω, τὸν Κουρκενίω και τὸν πατρίκιον Ἀσώτιον τὸν και Κισκάσην, και διεμέρισεν αὐτοῖς τὴν χώραν αὐτοῦ και ἔλαχε τὸ Ἀδρανοῦτζη τῆ υἱῷ αὐτοῦ Κουρκενίω, κακείνου τελευτήσαντος ἀτέκνου εἶασεν αὐτὸ τῆ ἀδελφῷ αὐτοῦ Ἀσωτίω τῆ και Κισκάση. ὁ δὲ πατρίκιος Ἀσώτιος ὁ και Κισκάσης ἐπήγε γαμψὸν εἰς θυγατέρα αὐτοῦ τὸν Κουρ-

მენი დიდი სუმბატ იბერისა. და ადრანუჯი წილად ხვდა ბაგრატს, ხოლო დავითს ერგო სხვა ქვეყანა. ბაგრატს ჰყავდა სამი ვაჟი: ადრანასერი, გურგენი და პატრიკოსი აშოტი, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა¹, და გაუყო მათ თავბსი მიწაწყალი, და ადრანუჯი ერგო გურგენს და, როდესაც ის უძეოდ გარდაიცვალა, დაუტოვა იგი თავის ძმას აშოტს, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა. ხოლო აშოტ პატრიკოსმა, კისკასმა, აიყვანა სიძედ, თავისი ქალის ქმრად, ის გურგენ მაგის-

ყაიშვილის გამოც., § 48, გვ. 65. შდრ. ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 287).

«გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მონაზონობასა შინა, ქორანიკონსა რიგ (163, ე. ი. 780 + 163 = 943), ფებერვალსა ოცსა, და დაუტევა ძე თვისი სუმბატ, რომელიცა იგი დასუეს ერისთავთა ერისთავად» (ე. თაყაიშვილის გამოც., § 63, გვ. 66).

«გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორანიკონსა სჭ (208, ე. ი. 780 + 208 = 988), და დაუტევნა ძენი ორნი, დავით და ბაგრატ» (ე. თაყაიშვილის გამოც., 573, გვ. 67).

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით „მამფალის“ სახელწოდება „გვარამ აშოტ დიდის ძის გარდა, მხოლოდ არტანუჯელ-კლარჯ „კელმწიფეებს“ უტარებიათ“. „მამფალი“ ყოვლადწმიდას ნიშნავს – ამბობს კონსტანტინე პორფიროგენეტი, მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი; „მამფალი“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „დედოფალი“, ხოლო თუ რას ნიშნავსო „მამფლობა“ და რით განსხვავდებოდა ის სხვა სახელისუფლო სახელისაგან, არა ჩანსო – დაასკვნის განსვენებული აკადემიკოსი (ქ. ერის ისტ. II² [1948], 110). პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით, თავისი მნიშვნელობით „მამფალი“ იგივეა, რაც ძველს იბერიაში მიღებული სახელისუფლო წოდება „პიტიახში“ (იხ. „მნათობი“, 1950 წ. № 1, გვ. 109).

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით ბაგრატს ჰყავს სამი ვაჟი: ადრანასერი, გურგენი და პატრიკოსი აშოტ კისკასი. სუმბატის „ქრონიკით“ კი «გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისა, ქორანიკონსა რკთ (129, ე. ი. 780 – 129 = 919), თუესა აპრილსა კ... დღესა აღვსებისა, და დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ ედვა მას, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით» (ე. თაყაიშვილის გამოც., § 53, გვ. 65), მამასადამე კონსტანტინე არ იცნობს ბაგრატ I არტანუჯელის მეოთხე ვაჟს, დავითს. თავის მხრით, ქართული წყაროებისათვის უცნობია აშოტის მეტსახელი კისკასი.

κέντην ἔκεινον τὸν μάλιστα, ὅστις θυμαστεύσας ἀφείλετο ἐκ τῶν πενήτερον αὐτῶν Ἀσωτίου τὸ Ἄδρανουτῆ κατὰ τυραννίδα, καὶ δέδωκεν αὐτῷ εἰς ἀντιστήκασιν τὸ τε Τυρόκαστρον¹ καὶ τὴν ποταμὴν τῶν Ἀτῆαρά, τὴν οὖσαν σύνορον τῆς Ῥωμανίας εἰς Κώλωριν². εἶχε δὲ γυναῖκα ὁ πατρίκιος Ἀσώτιος

ტროსი, რომელმაც, ხელისუფლება რომ მიიღო, ძალით წაართვა თავის სიმამრს აშოტს ადრანუჯი და ამის საბაძლოდ მისცა მას ტიროკასტრონი¹ და აჭარის წყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან². პატრიკიოს აშოტს, კისკასს, ცოლად ჰყავდა

¹ ტიროკასტრონი (Τυρόκαστρον) წარმოადგენს ქართული „ყველისციხის“ ბერძნულ თარგმანს: τυρός „ყველი“, κάστρον „ციხე“. ამ ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის მდებარეობდა საზღვარზე შავშეთისა, აჭარისა და ჯავახეთისა, აჭარისწყლის სათავეებთან, არსიანის მთის კალთაზე. იგი ხშირად იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში:

აბულ-კასიმი, შემოსევის დროს (914 წელს), შიდა-ქართლის მოოხრების შემდეგ შევიდა სამცხეში, მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი და მოადგა თმოგვის ციხეს. ეს რომ ვერ აიღო, «აიყარა მუხით და მოვიდა ყ ვ ე ლ ს, მოადგა გარე და იწყო ბრძოლა». მას იცავდა ჭაბუკი გობრონი, რომელიც შემდეგ აწამეს (ანას. ქ. ცხ. 166, 25 – 28).

ყ ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე იხსენიება არტანუჯის ციხესთან ერთად. როდესაც ლიპარიტი (და მისი ძე ივანე) შეიპყრეს, ბაგრატმა «აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყ ვ ე ლ ი, უფლისციხე და ბირთვსი» (ანას. ქ. ცხ. 190, 15 – 16).

ყველისციხეში ზის ცალკე ერისთავი, «მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუეღისა» (ანას. ქ. ცხ. 194, 11).

გიორგი II-ის დროს, თურქთა მიერ საქართველოს აოხრების ხანაში, «გიორგი მეფესა, ყუეღს გარემდგომსა, დაესხნეს უგრძნაულად თურქნი დიდნი» (ანას. ქ. ცხ. 200, 22).

წყაროებში იხსენიება აგრეთვე „ყველის მთა“, „ყველის თავი“: თეგუთარმა (ყანმა) «თვთ ლაშქრითა და მეომრითა გარემოიარა არსიანი, აქეთ სირმონ (ნოინმა) ჩამოვლო მთა ყუეღისა და მოვიდეს ორნივე თავსა ყვეღისასა (მარიამის ქ. ცხ. *857, ჭიჭ. 590).

საგულისხმოა გამოთქმა „ყუელის ყური“: «დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყვეღის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს, ვიდრე ფანასკერტამდე» (ანას. ქ. ცხ. 191, 10), თავისი წარმოებით „ყველის-ყური“ მოგვაგონებს ჭანურ ფორმას „არტანისიშეუჯი“ (მდრ. ქვემოთ, გვ. 280, შენიშვნა).

დღევანდელ რუკებზე იმ ადგილებში. სადაც „ყუელისციხე“ იყო, აღნიშნულია: 1) გადასავალი ყვეღის წვერი, რაც უნდა უდრიდეს ძველ წყაროებში მოხსენებულ „ყუელის მთას“; 2) დასახლებული პუნქტი „ქვეღი“, რაც უთუოდ რუსული Квели-ს უხეირო ტრანსლიტერაციას წარმოადგენს, უნდა იყოს „ყველი“ (შტაბის რუსულ რუკაზე სწერია Квель В.. Квель Н., Квель Ср.).

თავის მეორე თხზულებაში (De caerimoniis) კონსტანტინე იცნობს ამ ციხის ქართულ სახელწოდებასაც Κούελ „ყველი“ (იხ. ქვემოთ, გვ. 291).

² „კოლორი“ (Κώλωριν) – დაბა კაპადოკიის საზღვარზე.

ἡ καὶ Κισκάσης τὴν ἀδελφὴν τοῦ
 μαγίστρου Γεωργίου καὶ ἐξουσια-
 στοῦ Ἀβασγίας· καὶ ὅτε ἐγέν-
 οντο κατ' ἀλλήλων ἕτε μάλιστα
 Κουρκένιος καὶ ὁ μάλιστα
 Γεώργιος καὶ ἐξουσιαστής Ἀβασ-
 γίας διὰ τὸ συναγωνίζεσθαι τὸν
 πατρικίον Ἀσώτιον τοῦ ἐξουσιασ-
 τοῦ Ἀβασγίας, θυγηθεὶς ὁ Κουρ-
 κένιος ἀφείλετο καὶ τὴν ἀντιση-
 κωσιν ἣν δέδωκεν αὐτῷ ὑπὲρ τοῦ
 Ἀδρανοῦτζιου, καὶ ἐδίωξεν αὐ-
 τόν, καὶ ἀπηλθὲν εἰς Ἀβασγιάν.
 τελευτήσαντος δὲ τοῦ μαγίστρου
 Κουρκένιου κατελείφθη τὸ Ἀδρα-
 νοῦτζη τῇ γυναικὶ αὐτοῦ τῇ τοῦ
 πατρικίου Ἀσωτίου τοῦ Κισκάση
 θυγατρὶ ὡς πατρικὸν αὐτῆς. ὅτε
 δὲ διεμέριζον τὴν χώραν τοῦ μα-
 γίστρου Κουρκένιου μετ' ἄλλων
 ἕτε Ἀσώτιος ὁ κουροπαλάτης καὶ
 ὁ μάλιστα Γεώργιος ὁ ἐξουσιασ-
 τῆς Ἀβασγίας καὶ ὁ μάλιστα
 Παγκράτειος ὁ ἀδελφὸς τοῦ προρ-
 ρηθέντος κουροπαλάτου, ἦλθον
 εἰς συμβίβασιν καὶ ἐπῆρεν ἕκασ-
 τος τὸ πλεονάζον αὐτῷ. τὸ δὲ
 Ἀδρανοῦτζην ἐπλησίαζε τῇ Συμ-
 βατίῳ τῇ τοῦ προρρηθέντος Δαβι-
 θίῳ. τότε ἐκράτησαν πάντες τὴν
 γυναῖκα τοῦ μαγίστρου Κουρκε-
 νίου ἡγοῦν τὴν θυγατέρα τοῦ πα-
 τρικίου Ἀσωτίου τοῦ καὶ Κισκά-
 ση, λέγοντες ὅτι σὺ γυνὴ οὖσα οὐ
 δύνασαι κρατεῖν τὸ κάστρον. τότε
 δέδωκεν ὁ Συμβάτιος εἰς συνάντη-
 σιν τοῦ κάστρου χωρὶς τῇ γυναικί,
 καὶ ἀνελάβετο τὸ τοιοῦτο κάστρον τὸ Ἀδρανοῦτζην.

გიორგი მაგისტროსის, აფხაზე-
 თის მთავრის, და; და როდესაც
 ერთმანეთში აიშალნენ გურგენ
 მაგისტროსი და გიორგი, მაგის-
 ტროსი და აფხაზეთის მთავარი,
 რადგან აფხაზეთის მთავარს გა-
 მოესარჩლა აშოტ პატრიკოსი,
 გურგენმა შესძლო და წაართვა
 აშოტს ის საბადლო ქვეყანაც,
 რომელიც მან მისცა მას ადრან-
 ნუჯის მაგიერ, და გააძევა იგი.
 ისიც გაემგზავრა აფხაზეთში.
 ხოლო როდესაც გურგენ მაგისტ-
 როსი გარდაიცვალა, ადრანუჯი
 დარჩა მის ცოლს, აშოტ პატრი-
 კოსის, კისკასის, ქალიშვილს,
 როგორც მისი მამისეული. ხოლო
 როდესაც გურგენ მაგისტროსის
 მიწა-წყალს ინაწილებდნენ იარა-
 ლის საშუალებით აშოტ კუროპა-
 ლატი, აფხაზეთის მთავარი გიორ-
 გი მაგისტროსი და ბაგრატ მაგის-
 ტროსი, ზემოხსენებული კურო-
 პალატის ძმა, ისინი მორიგდნენ
 და თითოეულმა წაიღო თავისი
 სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა.
 ადრანუჯი ახლოს მდებარეობდა
 ზემოხსენებული დავითის მის სუმ-
 ბატისათვის მაშინ შეიპყრეს
 გურგენ მაგისტროსის მეუღლე,
 ესე იგი აშოტ პატრიკოსის,
 კისკასის, ქალიშვილი და უთხრეს:
 „შენ ქალი ხარ და არ შეგიძლია
 გეპყრას ციხე“. მაშინ სუმბატმა
 ციხის მაგიერ მისცა ქალს სხვა
 მიწები და ხელთ იგდო ეს ციხე
 ადრანუჯი.

Ἰστέον ὅτι ἡ συγγένεια τῶν τοιούτων Ἰβήρων τοῦτον ἔχει τὸν τρόπον. τοῦ Δαβίδ ἡ μητήρ καὶ τοῦ Ἀδρανασῆ τοῦ κουροπαλάτου, τοῦ πατρὸς τοῦ ἀρτίως Ἀσωτίου τοῦ κουροπαλάτου, ἠπῆρχον δύο ἀδελφῶν παιδία ἦγον ἐξ ἀδελφαι. εἶχε δὲ Συμβάτιος ὁ τοῦ Δαβίδ σὺνδὲ γυναικα τὴν θυγατέρα τοῦ μαγίστρου Παγκρατείου τοῦ πατρὸς τοῦ Ἀδρανασῆ τοῦ ἀρτίως μαγίστρου· καὶ τελευταίως ἔλαβεν ὁ Ἀδρανασῆ τὴν ἀδελφὴν τοῦ Συμβατίου τοῦ σὺν τοῦ Δαβίδ.

Ὅτι τὸ κάστρον τὸ Ἀδρανοῦτζιν ὄχυρόν ἐστι πάνυ, ἔχει δὲ καὶ ῥαπάτιν μέγα καὶ χωρόπολιν. καὶ

საცოდნელია, რომ ასეთნაირია ამ იბერთა ნათესაობა. დედა დავითისა და ადრანასე კუროპალატისა, ახლანდელი კუროპალატის აშოტის მამისა, იყვნენ ორი ძმის შვილები, ესე იგი ბიძაშვილები. სუმბატს, დავითის ძეს, ცოლად ჰყავდა ზაგრატ მაგისტროსის, ახლანდელი მაგისტროსის ადრანასეს მამის, ქალიშვილი. როდესაც ეს გარდაიცვალა, ადრანასემ ცოლად მიიყვანა სუმბატ დავითის ძის და.

ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი «რაბატიც» და დაბა-ქალაქიც¹: და იქ მოდის

¹ „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი ῥαპάτιν და დაბა-ქალაქიც“. და დაბა-ქალაქიც“. კონსტანტინეს ამ განმარტებაში ორი

ცნება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: 1) „ῥαπάτιν“ და 2) „დაბა-ქალაქი (χωρό-πολις)“:

პირველი ცნებით „ῥαπάτιν“ აღნიშნულია ქალაქის (არტანუჯის) განსაკუთრებული ნაწილი. სიტყვა „რაბატი“ სპარსულია და ნიშნავს „გამაგრებულ ადგილს“. საქართველოში დღესაც ცოცხალია ეს სიტყვა (მაგალითად, ახალციხის რაბათი, ადიგენის რაბათი) და იმით აღინიშნება ქალაქისა თუ დასახლებული ადგილის ის გამაგრებული ნაწილი, სადაც თავმოყრილია სავაჭრო ბინები, ადმინისტრაციული დაწესებულებები და მისთანანი. მაშასადამე, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, არტანუჯი არის პირველ რიგში ციხესიმაგრე (τὸ κάστρον τὸ Ἀδρανοῦτζιν), ხოლო იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქიც არის და მას, ამიტომ, აქვს ῥαπάτιν.

კონსტანტინეს თქმით არტანუჯს აქვს აგრეთვე *χωρόπολις*. სიტყვა *χωρόπολις* დადასტურებულია მხოლოდ ამ ადგილას (სხვაგან, მთელ ბიზანტიურ მწერლობაში არსად არ გვხვდება). Sophocles-ის ჩვენებით (Greek Lexicon... გვ. 1177) ის უდრის κἀμη-ს და ნიშნავს დაბაქალაქს („large country town“). ახ. წ. IV საუკუნიდან *χωρίον* (ნაწარმოები სიტყვისაგან *χώρα*, რომელიც, მაგალითად, ეგვიპტისათვის „პროვინციას“ აღნიშნავს და უპირისპირდება დედაქალაქ ალექსანდრიას) იხმარება κἀμη -ს („სოფლის“) მნიშვნელობით, (Preisigke, Fachwörter 185). რაც შეეხება κἀμπολις-ს, ის ძველი ქართული ტექსტების გაგებით „დაბაქალაქს“ ნიშნავს; მაგალითად, ადიშის ოთხთავში სწერია: «და ჰრქუა მათ: მოვედით და მივიდეთ გარემო მახლობელთა მათცა და ბ ა ქ ა ლ ა ქ თ ა (ოპიზა-ტბეთი: მახლობელსა დაბნებსა და ქალა-

αὶ πραγματεῖαι τῆς τε Τραπεζουσ-
τος καὶ τῆς Ἰβηρίας καὶ Ἀβασ-
γίας καὶ ἀπὸ πάσης τῆς χώρας
τῆς Ἀρμενίας καὶ τῆς Συρίας
ἔκεισε ἀφικνοῦνται· ἔχει δὲ καὶ
κοιμητήριον ἐκ τῶν τοιοῦτων πραγ-
ματειῶν ἄπειρον· ἣ δὲ χώρα τῶν
κάστρων Ἀδρανοῦτζιου ἦτοι τὸ

საქონელი ტრაპეზუნტისა, იბე-
რიისა, აფხაზეთისა, და არმენიის
და სირიის ყველა ქვეყნიდან;
და ამ საქონლებიდან მას უამ-
რავი ზაჟი შემოდის. ადრანუ-
ჯის ციხის მიწაწყალი, ესე იგი
არზენი, დიდია და ნაყოფიერი
და წარმოადგენს იბერიის, აფხა-

ქებსა), რადთა მუნცა ვკადაგებდე» (მარკ. I, 38: ... ἀγῶμεν ἀλλαχοῦ εἰς τὰς
ἐχομένας κομοπόλεις).

კონსტანტინე პორფიროგენეტს არ შეეძლო არ სცოდნოდა სიტყვა კამო-
პოლის, მაგრამ მას სპეციალურად შეუქმნია არტანუჯის დასახსიათებლად ახალი
სიტყვა *χωρὸπολις*. ამით მას, უთუოდ, სურდა აღენიშნა, რომ არტანუჯი უბ-
რალო სოფელი კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი ცენტრი, არტანუჯის პრო-
ვინციის მთავარი ქალაქი იყო.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტის ამ ადგილის განხილვისას ყურად-
ღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: ხელნაწერები იძლევიან სხვადასხვანაირ
წაკითხვას. იმ ხელნაწერებში, რომლებითაც სარგებლობს ბეკერი (ბონის გამო-
ცემაში), სწერია:

τὸ κάστρον τὸ Ἀδρανοῦτζιν ὄχυσόν ἐστι πάνυ, ἔχει δὲ καὶ διατάτιν
μέγα ὡς χωρὸπολιν

„ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს რაბატიც ისე დიდი, როგორც
დაბა-ქალაქი“.

ხოლო E. Honigmann-ს ერთ თავის ნარკვევში ეს ტექსტი მოჰყავს სხვა
ვარიანტით:

τὸ κάστρον τὸ Ἀδρανοῦτζιν ὀχ. ε. π., ἔχει δὲ καὶ διατάτιν μέγα
καὶ χωρὸπολιν

„ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-
ქალაქიც“.

ეს ვარიანტები იმდენად განსხვავებულია ერთიმეორისაგან, რომ შეუძლე-
ბელია ე. ჰონიგმანს რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო შეეცვალა ἄც და
დაეწერა καί, მართალია, ის ციტაციისას მიუთითებს იმავე ბეკერის გამოცემას,
მაგრამ წაკითხვის შეცვლა უნდა ემყარებოდეს რაღაც ახალ ტექსტუალურ მონა-
პოვარს (იხ. E. H o n i g m a n n, Charsianon kastron: Byzantion X, 1 [1935],
გვ. 149).

ამ ახალი წაკითხვით არტანუჯის დახასიათება უფრო ნათელი ჩანს: არ-
ტანუჯი მაგარი ციხეა, და მას აქვს რაბატიც და დაბა-ქალაქიც, ე. ი. არტა-
ნუჯში – ტექსტის ამ უკანასკნელი გაგებით – განსხვავებულია ორი ნაწილი:
ერთი მხრით „რაბატი“, ხოლო მეორე მხრით „ხოროპოლისი“. პირველი, „რა-
ბატი“, უდრის ძველ ბერძნულ *προάστειον*-ს, ხოლო მეორე, „ხოროპოლისი“
წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიას, „ქვეყანას“, „სოფელს“. ჩვენის აზრით, ასეთ-
სავე ვითარებას ჰგულისხმობს სუმბატ დავითის ძე, რომელიც ამბობს, რომ მურ-

Ἄρξιν ἔστι καὶ πολλή καὶ εὐφο-
ρος, καὶ ὑπάρχει κλειδὸν τῆς τε
Ἰβηρίας καὶ Ἀβασγίας καὶ τῶν Μισχίων¹.

Ὅτι ὁ μακάριος βασιλεὺς ὁ
κύρις Ῥωμανὸς ἀπέστειλε τὸν
πατρίκιον Κώνσταντα καὶ ἄρου-
γάριον τοῦ πλωτμοῦ, τῷ τότε
καιρῷ πρωτοσπαθάρου καὶ μαγ-
γλαβίτου τυγχάνοντος, δεδωκῶς
αὐτῷ καὶ ἱμάτιον μαγιστράτου
πρὸς τὸ ποιῆσαι τὸν Κουρκένιον
τὸν Ἰβηρα μαγιστρον. μετὰ δὲ
τὸ ἐξελεῖν τὸν πατρίκιον Κών-

ზეთისა და მესხთა ქვეყნის გასა-
ღებს.

Μισχίων¹.

ნეტარხსენებულმა მეფემ, უფალ-
მა რომანოზმა, გაგზავნა კონს-
ტანტი, პატრიკიოსი და ნაოსნო-
ბის დრუნგარი, რომელიც მაშინ
პროტოსპათარი და მანკლავიტი
იყო, და მისცა მას მაგისტროსის
სამოსი, რათა მას გურგენ იბერი
მაგისტროსად აღუზევებინა. რო-
ცა კონსტანტიმ, პატრიკიოსმა
და ნაოსნობის დრუნგარმა, ნი-

ვან ყრუს მიერ აოხრებული არტანუჯი «განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე
ციხედ და წინა კერძო მისსა, ქუეშეთ, აღაშენა ქალაქი»
(ე. თაყაიშვილის გამოც. § 31, გვ. 62. ძირითადად მაინც არტანუჯი, როგორც
ქართული ისე ბიზანტიური წყაროებით, არის „ციხე“ (*τὸ κάστρον*), რომელიც
ისეთ გზაჯვარედინზე და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა,
რომ იბერიის მნიშვნელოვან ქალაქად იქცა.

„არტანუჯს“ იცნობს უკვე ანტიკური საბერძნეთი: პტოლემაიოსის
„ბეოგრაფიაში“ მას ეწოდება *Ἀρτάνουσα* (ძვ-ით გადმოცემულია ბერძნისათვის
უცხო ბგერა „ჯ“, რასაც შემდეგ ბიზანტიური პერიოდის ბერძენი τჯ-ით გად-
მოგვეცემს).

„არტანუჯი“-ს ეტიმოლოგია უკანასკნელ ხანებში წარმოადგინა პროფ.
აკ. შანიძემ (იხ. სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო
სესია, 1952 წლის 20 – 22 ივნისს, თეზისები, გვ. 11), რომლის აზრით „არტა-
ნუჯი“ სახემეცვლილი ჭანური გამოთქმაა – „არტაანიშეუჯი“, ე. ი. „არტანის
ყური“ (შდრ. ყუელის ყური, ანუ ყველის ციხე. იხ. ზემოთ გვ. 276). მართლაც,
ის ტერიტორია, სადაც არტანუჯია, ძველად ჭანების მიწაწყალში შედიოდა: აქ
იცნობს ჭანებს, მაგალითად, პროკოპი კესარიელი (იხ. De aed. III;
გეორგიკა II, 182 – 188).

¹ Μισχίων Bekkerus, Μισχίων Meursius, Bandurius; დიტერიხს (Quel-
len... გვ. 50) აქვს Minhier, რაც, ჩანს, კორექტურული შეცდომა უნდა იყოს
(Mischier). ცხადია, აქ იგულისხმება „მესხთა ქვეყანა“ და, მაშასადამე, კონსტან-
ტინე პორფიროგენეტი ამბობს, რომ არტანუჯის ქვეყანა დიდი ეკონომიური
მნიშვნელობისაა, რადგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან (ტრაპეზუნტიდან, არ-
მენიიდან, სირიიდან, იბერიიდან და აფხაზეთიდან) მოდიან აქ ვაჭრები, და რომ
იგი წარმოადგენს შესასვლელ კარებს მთელი საქართველოსათვის: იბერიისთვის,
აფხაზეთისთვის და მესხეთისთვის, ე. ი. აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ
საქართველოსათვის. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ დაიკავა არტანუჯმა მთელი
იბერიის დედაქალაქის ადგილი დროებით, როდესაც თბილისი არაბების ხელში
იყო.

σταντα και ὄρουγγάριον τοῦ πλωῖμου μέχρι Νικομηθείας εἰσηλθὲν ὁ μοναχὸς Ἀγάπιος ὁ τοῦ Κυμηῶ, ὅς ἦν τῷ τότε χρόνῳ εἰς τὴν ἀγίαν πόλιν εὐχῆς ἕνεκα· καὶ διερχομένου αὐτοῦ τὴν Ἰβηρίαν κατήνησεν εἰς τὸ κάστρον τὸ Ἀδρανούτιζιν. καὶ εἶχεν ὁ πατρίκιος Ἀσώτιος ὁ καὶ Κισκάσης καλούμενος ἔχθραν μετὰ τοῦ γαμβροῦ αὐτοῦ τοῦ Κουρκένη, καὶ ἐλάλησεν εἰς τὸν μοναχὸν Ἀγάπιον ὅτι ἐνορκῶ σε εἰς τὸν θεὸν καὶ εἰς τὴν δύναμιν τοῦ τιμίου καὶ ζωοποιῦ σταυροῦ ἵνα ἀπέλθῃς ἐν τῇ πόλει καὶ εἰπῆς τὸν βασιλέα, ἵνα ἀποστείλῃ καὶ παραλάβῃ τὸ κάστρον μου καὶ ἔχῃ ὑπὸ τὴν ἐξουσίαν αὐτοῦ. ὁ δὲ μοναχὸς Ἀγάπιος εἰσελθὼν ἐν τῇ πόλει διηγήσατο τὸν βασιλέα ὅσα ἐλάλησε πρὸς αὐτὸν ὁ πατρίκιος Ἀσώτιος ὁ καὶ Κισκάσης. τοῦ δὲ προρρηθέντος πατρικίου Κώνσταντος καὶ ὄρουγγαρίου τοῦ πλωῖμου ἐν Νικομηθεία τυγχάνοντος διὰ τὴν προρρηθεῖσαν τῆς προβολῆς τοῦ μαγίστρου τοῦ Κουρκένη Ἰβηρος ὑπόθεσιν, ἕκ προστάξεως τοῦ βασιλέως ἔλαβε τὸ πιττάκιον τοῦ πατρικίου Συμεῶν τοῦ ἀσηκρητις, ὡς ὅτι κελεύει ὁ βασιλεὺς ἡμῶν ὁ ἅγιος καταλιπεῖν σε πάσας σου τὰς δουλείας, καὶ ἀπελθεῖν ἐν συντόμίᾳ πρὸς τὸν πατρίκιον Ἀσώτιον τὸν καὶ Κισκάσην λεγόμενον, καὶ παραλαβεῖν τὸ κάστρον αὐτοῦ

კომედიამდე მიაღწია, მოვიდა მონაზონი აგაპი კიმენელი ², რომელიც იმ დროს წმინდა ქალაქში ყოფილა სალოცავად; მას იბერიანზე გამოუვლია და ადრანუჯის ციხეში მისულა. აშოტ პატრიკოსს კი, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა, მტრული ურთიერთობა ჰქონდა თავის სიმესთან, გურგენტან, და უთქვამს აგაპი მონაზონისათვის: „გაფიცებ ღმერთსა და პატრიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ძალას, რათა მიხვიდე ქალაქში და უთხრა მეფეს, რომ გამოგზავნოს ვინმე და ჩაიბაროს ჩემი ციხე და ჰქონდეს ის თავის ძალაუფლებაში“. აგაპი მონაზონი ქალაქში რომ მოსულა, უამბუნია მეფისათვის ყველაფერი, რაც აშოტ პატრიკოსს, კისკასს, მისთვის უთქვამს, როდესაც ზემოხსენებული კონსტანტი, პატრიკოსი და ნაოსნობის დრუნგარი, ნიკომედიამი იყო გურგენ იბერის მაგისტროსად აღზევების ზემოთქმული მიზეზისათვის, მეფის განკარგულებით მიიღო პიტაკი პატრიკოსს სიმეონ ასეკრეტის, სადაც ნათქვამი იყო: „მეფე ჩვენი წმინდა გიბრძანებს მიატოვო ყველა შენი საქმე და დაუყოვნებლივ გაემგზავრო აშოტ პატრიკოსთან, ეგრეთწოდებულ კისკასთან, და ჩაიბარო მისი ციხე ადრანუჯი, რადგან აგაპი

² კ ი მ ე ნ ე სამონასტრო ცენტრი იყო ბითვინიამი, კიმენის მთაზე.

την, ἐπειδὴ ἀναμεταξὺν οἱ τοῦ Ἀδριανασὲ τοῦ κουροπαλάτου πατρῶες τοῦ πατρὸς αὐτῶν τελευταίως φιλονεικίαις τινὰς ἔσχον μετὰ τοῦ ἐξαδέλφου αὐτῶν. διὰ τὸ καὶ τὸν πρῶτον ἀνθρώπον ἀποστεῖλαι μετὰ μεγάλου κινισκίου τὸν Κουρκένιον πρὸς τὸν βασιλέα, ἐξαίτουμένον τὸ κουροπαλατίκιν ἢ τὸ μαγιστράτον, ὑπέλαβον οἱ τέσσαρες ἀδελφοί, ἦγον τοῦ Ἀδριανασὲ τοῦ κουροπαλάτου οἱ παῖδες, ὅτι διὰ τὸ ποιῆσαι τὸν Κουρκένιον κουροπαλάτην ἀπέρχεται ἐκεῖσε. ὁ δὲ πατρίκιος Κώνστας ἀπελογήσατο ὅτι διὰ τὸ μέλλειν με τιμῆσαι τὸν Κουρκένιον μάγιστρον ἐπιφέρομαι καὶ τὸν τοσούτον λαόν, καὶ ἀποχαιρέτισας αὐτὸν ὅτι ἀπέρχομαι εἰς τὸν Δαβίδ τὸν μάγιστρον. εἶχε δὲ ὁ αὐτὸς πατρίκιος Κώνστας καὶ πρὸς τὸν Δαβίδ κέλευσιν ἀπὸ τοῦ βασιλέως καὶ ξένια. καὶ ἀπελθόντος τοῦ αὐτοῦ πατρικίου Κώνσταντος εἰς τὴν χώραν τοῦ Κουρκένιου ἐτίμησεν αὐτὸν μάγιστρον, καὶ εἰσῆλθῆεν εἰς τὸ κάστρον τοῦ πατρικίου Ἀσωτίου τοῦ καὶ Κισκάση, εἰς τὸ Ἀδριανουτζίν, καὶ δέδωκεν αὐτῷ τὴν πρὸς αὐτὸν τοῦ βασιλέως κέλευσιν, οὐ περὶ τοῦ κάστρου Ἀδριανουτζίου περιέχουσάν τι, ἀλλὰ περὶ ἐτέρων ὑποθέσεων. εἶπε δὲ πρὸς αὐτὸν ὁ πατρίκιος Κώνστας ὅτι κἀν μὲν ἢ κέλευσις οὐδὲν περιέχει περὶ τοῦ κάστρου Ἀδριανουτζίου, ἀλλ' οὖν τοῦ μονα-

ზოგიერთი დავა ჰქონდათ თავიანთ ბიძაშვილთან. რადგან გურგენმა პირველი (კარის) კაცი გაგზავნა მეფესთან დიდძალი საჩუქრითურთ და სთხოვდა მას კუროპალატობას ან მაგისტროსობას, ოთხივე ძმამ, ესე იგი ადრანასე კუროპალატის შვილებმა ეჭვი აიღეს, რომ კონსტანტი იქ იმისთვის მიდის, რომ გურგენი გააკუროპალატოსო. ხოლო კონსტანტიპატრიკიოსი თავს იმართლებდა: „იმისთვის მოვიყვანე ამდენი ერი, რომ მაგისტროსობა უნდა ვუბოძო გურგენს და, მას რომ მივესალმები, წავალ დავით მაგისტროსთანო“. ამ კონსტანტიპატრიკიოსს დავითთანაც ჰქონდა მეფისაგან მინდობილობა და საჩუქრები. და როდესაც ეს კონსტანტიპატრიკიოსი გურგენის ქვეყანაში ჩავიდა, უბოძა მას მაგისტროსობა და შევიდა აშოტპატრიკიოსის, კისკასის, ციხეში, ადრანუჯში, და გადასცა მას მისდამი მეფის შემონათვალი, არა ადრანუჯის ციხის შესახებ რისამე შემცველი, არამედ სხვა გარემოებების შესახებ. კონსტანტიპატრიკიოსმა უთხრა მას: „თუმცა შემონათვალი არაფერს შეიცავს ადრანუჯის ციხის შესახებ, მაგრამ რადგან აგაპი მონაზონი მეფესთან მივიდა და აუწყა მას, რაც შენ მას ადრანუჯის ციხის შესახებ დაავალე, ამიტომ მან გამომგზავნა მე, რათა ჩავიბარო ციხე და ჩავაყენო შიგ რაც რამ

χροῦ Ἀγαπίου πρὸς τὸν βασιλέα
 εἰσελθόντος καὶ ἀναγγείλαντος αὐ-
 τὸν ὅσα καὶ παρήγγειλας αὐτὸν
 περὶ τοῦ κάστρου Ἀδρανοῦτζίου,
 διὰ τοῦτο καὶ ἀπέστειλέ με ὅπως
 παραλάβω τὸ κάστρον καὶ εἰσα-
 γάγω ἐν αὐτῷ ὄνπερ περιφέρομαι
 λαόν, καὶ ἐπειδὴ, καθὰ προείρη-
 γται, εἶχεν ἔχθραν ὁ πατριῖος
 Ἀσώτιος ὁ καὶ Κισιάτης μετὰ
 τοῦ γαμβροῦ αὐτοῦ τοῦ Κουρκένη,
 προεπιμήθη δοῦναι τὸ κάστρον
 αὐτοῦ μᾶλλον τὸν βασιλέα, ὁ δὲ
 πατριῖος Κώνστας εἶχε παρ' ἑαυ-
 τῷ φλάμουλα, καὶ ἐπιθέθηκε τῷ
 πατριῖῳ Ἀσώτῳ τῷ καὶ Κισ-
 κιάτῃ. ὁ δὲ λαβὼν αὐτὸ εἰς κον-
 τᾶριον παρέθηκε, καὶ ἐπιθέθηκε
 τῷ πατριῖῳ Κώνσταντι εἰπὼν
 ὅτι ἐπίστησον αὐτὰ ἀνωθεν εἰς
 τὸ τεῖχος, ἵνα γινῶσι πάντας τοῦ
 βασιλέως εἶναι ἀπὸ τῆς σήμερον
 ἡμέρας τὸ τοιοῦτον κάστρον, καὶ
 τοῦτο ποιήσας ὁ πατριῖος Κώνσ-
 τας καὶ τὸ φλάμουλον ἐπιστήσας
 ἀνωθεν τοῦ τεύχους, καὶ τοὺς
 βασιλεῖς τῶν Ῥωμαίων κατὰ τὸ
 εἰρηθὸς εἰσηγήσας, πᾶσιν ἐγένετο
 γνωστὸν ὅτι τὸ κάστρον τὸ Ἀδ-
 ρανούτζιον ἀπεχαρίσατο ὁ πατρι-
 ῖος Ἀσώτιος ὁ καὶ Κισιάτης τὸν
 βασιλέα. ὁ οὖν Δαβίδ ὁ μέγας τὴν
 ἑαυτοῦ χώραν οὐκ ἐδόξου τὸν
 βασιλέα, κἄν τάχα συνορη τὴν
 τοῦρμαν τοῦ Ἀκαμψῆ καὶ τῆ
 Μουργουβλή, ὁ οὖν πατριῖος Κών-
 στας ἀνήγαγε πρὸς τὸν βασιλέα
 ἑξαποστείλας δύο ἀναφοράς, τὴν

ერთი მომიყვანია. და რადგან,
 როგორც წინათ ითქვა, აშოტ
 პატრიკოსს, კისკასს, მტრული
 ურთიერთობა ჰქონდა თავის სი-
 ძესთან, გურგენთან, მან უფრო
 ამჯობინა მეფისთვის მიეცა თა-
 ვისი ციხე. ხოლო კონსტანტი
 პატრიკოსს თან ჰქონდა დროშა
 და გადასცა იგი აშოტ პატრი-
 კოსს, კისკასს; ამან კი აიღო ის
 და ჯობს შემოახვია, გადასცა კონ-
 სტანტი პატრიკოსს და უთხრა:
 „დაარქვე ეს კედლის თავზე, რა-
 თა ყველამ უწყოდეს, რომ დღე-
 ინდელ დღიდან ეს ციხე მეფისაა“.
 და ეს შეასრულა კონსტანტი
 პატრიკოსმა, დაარქო დროშა
 კედლის თავზე და ადიდა რომა-
 ელთა მეფეები ჩვეულებრივი წე-
 სით; ყველასათვის საცნობელი
 გახდა, რომ აშოტ პატრიკოსმა,
 კისკასმა, ადრანუჯის ციხე მეფეს
 აჩუქა. ხოლო დიდმა დავითმა თა-
 ვისი მიწაწყალი არ მისცა მეფეს,
 თუმცა უნდა ითქვას, ის აკამფ-
 სისა და მურღულის მიდამოების
 მოსაზღვრე არის. კონსტანტი
 პატრიკოსმა ორი მოხსენება
 გაუგზავნა მეფეს: ერთი შეიცავ-
 და იმას, თუ როგორ უბოძა მან
 გურგენს მაგისტროსობა და რო-
 გორ მიიღო მაგისტროსობა და
 ადიდა მეფე გურგენმა; ხოლო
 მეორე შეიცავდა ცნობებს ადრა-
 ნუჯის ციხის შესახებ, თუ რო-
 გორ ჩაიბარა მან იგი აშოტ
 პატრიკოსისაგან, კისკასისაგან.
 აცნობებდა იმასაც, რომ დიდი

μὲν μίαν περιέχουσαν ὅπως ἐτί-
 μησε τὸν Κουρκένιον μάλιστα
 καὶ ὅπως ὁ Κουρκένιος ἀπεδέξα-
 τα τὸ μαγιστράτον καὶ εὐφήμεσε
 τὸν βασιλέα, τὴν δὲ ἑτέραν περιέ-
 χουσαν περὶ τοῦ κάστρου Ἀδρα-
 νουτζίου, καὶ ὅπως τοῦτο παρέ-
 λαβε παρὰ τοῦ πατρικίου Ἀσσι-
 τίου τοῦ καὶ Κισκάση, καὶ ὅτι
 μεγάλην διαφορὰν καὶ ἔχθραν
 ἔχουσι πρὸς ἀλλήλους ὁ τε πατρί-
 κιος Ἀσώτιος μετὰ τοῦ γαμβροῦ
 αὐτοῦ μαγιστροῦ Κουρκένιου, καὶ
 ἵνα ἀποστείλῃ ὁ βασιλεὺς βοή-
 θειαν τοῦ ταξάτεβου τὸ τοιοῦτον
 κάστρον, καὶ ὅτι, εἰ ἐνδέχεται,
 ἔλθῃ καὶ ὁ δομέστικος τῶν σχολῶν.
 ταῦτα ἰδόντες οἱ Ἰβηρες,
 ὁ τε μάλιστα Κουρκένιος καὶ
 ὁ μάλιστα Δαβὶδ καὶ ὁ ἀδελφὸς
 τοῦ κουροπαλάτου Ἀσσιτίου, ἔγ-
 ραψαν πρὸς τὸν βασιλέα ὅτι εἰ
 τοῦτο καταδέξῃται ἡ βασιλεία σου
 καὶ εἰσέλθῃ μέσον τῆς χώρας
 ἡμῶν, ἔξερχόμεθα τῆς δουλώσεως
 τῆς βασιλείας σου καὶ γινόμεθα
 μετὰ τῶν Σαρακηνῶν, ἐπειδὴ ἔχειν
 ἔχομεν μετὰ τῶν Ῥωμαίων μάχας
 καὶ πολέμια, καὶ βιαζόμενοι κινήσαι
 ἔχομεν φοβασάτον κατὰ τε τοῦ
 κάστρου Ἀδρανουτζίου καὶ τῆς
 χώρας αὐτῶν καὶ αὐτῆς τῆς Ῥω-
 μανίας. ταῦτα καὶ διὰ τῶν γραμ-
 μάτων τῶν προρρηθέντων ἀρχόν-
 των ἀγαμαθῶν καὶ παρὰ τῶν
 ἀποσταλέντων παρ' αὐτῶν ἀνθρώ-
 πων ἀκηκῶς, καὶ πτοηθεὶς μή-
 πως γένωνται μετὰ τῶν Σαρακη-

დავა და მტრობა აქვთ ერთ-
 მანეთში აშოტ პატრიკიოსსა
 და მის სიძეს გურგენ მაგისტ-
 როსს, და სწერდა, რომ მეფეს
 დახმარება გამოეგზავნა იმ ციხის
 დასაცავად და რომ, თუ შესაძ-
 ლებელია, მოსულიყო სხოლათა
 დომესტიკიც. ეს რომ დაინახეს
 იბერებმა, გურგენ მაგისტროსმა
 და დავით მაგისტროსმა, აშოტ
 კუროპალატის ძმამ, მისწერეს
 მეფეს: „თუ შენი მეუფება ამას
 დაუშვებს და ჩვენს მიწაწყალში
 შემოიჭრება, შენი მეუფების მორ-
 ჩილებიდან გამოვალთ და სარკი-
 ნოზებს მივკედლებით, რადგან
 რომაელებთან მოგვიხდება ბრძო-
 ლა და მტრობა და იძულებული
 ვიქნებით წავიყვანოთ ჯარი ად-
 რანუჯის ციხის წინააღმდეგ, მი-
 სი მიწაწყლისა და თვით რომა-
 ნის წინააღმდეგაც“. ეს რომ
 გაიგო მეფემ ზემოხსენებული
 ერისთავების წერილების საშუა-
 ლებით და პირადადაც მოისმინა
 მათ მიერ გამოგზავნილი კაცები-
 საგან; რადგან მას შეეშინდა,
 რომ ისინი არ მიჰკედლებოდნენ
 სარკინოზებს და არ გამოეყვა-
 ნათ სპარსეთის ჯარები რომა-
 ნის წინააღმდეგ. მან იუარა და
 თქვა: „მე არ მიმიწერია პროტო-
 სპათარ კონსტანტი მანკლავიტი-
 სათვის ამ ციხისა და მისი მიწა-
 წყლის შესახებ, რომ იგი აელო;
 მან ეს, როგორც იტყვიან, თა-
 ვისი უჭკუობით ჩაიღინა“. ასე
 თქვა მეფემ, რადგან უნდოდა

νων και εξαγάγωσι τὰ τῆς Περ-
σίας φροσάτα κατὰ Ῥωμανίας,
ἤρνησατο λέγων ὅτι οὐκ ἔγραφα
τὸν πρωτοσπαθᾶριον Κώνσταντα
τὸν μαγγελιβίτην περὶ τοῦ τοιοῦ-
του κάστρου καὶ τῆς χώρας αὐτοῦ
τοῦ παραλαβεῖν αὐτῆν, ἀλλ' ἐξ
οἰκείως ὡς εἰπεῖν ἀφροσύνης τοῦτο
ἐποίησεν. καὶ ταῦτα εἶπεν ὁ βασι-
λεὺς τελείως ἀποθηραπεύσαι τοῦ-
τους βουλομένους· καὶ ἐδέξατο ὁ
αὐτὸς πρωτοσπαθᾶριος Κώνστας
καὶ μαγγελιβίτης κέλυσιν μετὰ
ἕβρων καὶ ἀπειλῶν περιέχουσιν
„τίς ὠκρίσατό σοι τοῦτο ποιῆσαι;
ἀλλὰ μάλλον ἐξελίθη ἐκ τοῦ κά-
στρου, καὶ ἀναλαβὸν Ἄσωτιον τὸν
υἱὸν τετελευτηκότης Ἀδρανᾶσῆ
τοῦ κουροπαλάτου, καὶ εἰσάγαγε
αὐτὸν ἐνταῦθα, ὅπως τιμῆσωμεν
αὐτὸν τὴν τοῦ πατρὸς αὐτοῦ ἀξίαν
τοῦ κουροπαλάτου“. ταῦτα δεξά-
μενος ὁ πατρίκιος Κώνστας κατέ-
λαβε τὸν πατρίκιον Ἄσωτιον τὸν
καὶ Κισκάσην εἰς τὸ ἑαυτοῦ κά-
στρον τὸ Ἀδρανούτζιν, κἀκεῖνος
ἐξελεθὼν ἀπήει πρὸς τὸν Δαβίδ
τὸν μέγαν, καὶ ἐπιβέβωκεν αὐτῷ
ἣν περιείχε πρὸς αὐτὸν κέλυσιν,
καὶ ὑπέστρεψε, καὶ εἰσῆλθεν εἰς
Ἰβηρίαν, καὶ εὗρεν ἐπὶ τὸ αὐτὸ
συνηθροισμένους τὸν τε μέγιστρον
Κουρκένιον καὶ τὸν μέγιστρον
Δαβίδ τὸν ἀδελφὸν Ἄσωτίου τοῦ
κουροπαλάτου. καὶ ἤρξαντο φιλο-
νεκεῖν καὶ κατονεῖν τὸν πα-
τρίκιον Κώνσταντα, λέγοντες ὅτι
κρυπτῶς ἀνθρώπος καὶ κακῶς τυγ-

ისინი დაემშვიდებინა: და თვით
კონსტანტი პროტოსპათარმა და
მანკლავიტმაც მიიღო ბრძანება,
ლანძღვა-გინებისა და მუქარის
შემცველი: „ვინ გიბრძანა შენ
მაგის ჩადენა? ახლავე გამოდი
ციხიდან; წამოიყვანე აშოტი,
გარდაცვლილი ადრანასე კურო-
პალატის ძე, და მოიყვანე ის აქ,
რათა ჩვენ მას მისი მამის პატივი,
კუროპალატობა, ვუბოძოთ“. ეს
რომ მიიღო კონსტანტი პატრი-
კოსმა, დასტოვა აშოტ პატრი-
კოსი, კისკასი, მის ციხეში ადრა-
ნუჯში, თვითონ კი გაშორდა და
გადასცა მას, რასაც მისდამი
გაცემული ბრძანება შეიცავდა,
და გამობრუნდა და შევიდა იბე-
რიაში და ჰპოვა ამ საქმისათვის
შეკრებილი გურგენ მაგისტროსი
და დავით მაგისტროსი, ძმა აშოტ
კუროპალატისა. და იმათ დაიწ-
ყეს კონსტანტი პატრიკოსთან
დავა და მისი გინება და უთხრეს:
„შენ ჩუმ-ჩუმა და ბოროტი ადა-
მიანი ყოფილხარ, რომ არ გა-
გვიმჟღავნე ჩვენ ადრანუჯის ცი-
ხის შესახებ, რომ მისი დაპყრობა
გინდოდა და რომ მისი დაპყრობა
მეფის ნების წინააღმდეგ ხდე-
ბოდა. ჩვენ ამ გარემოების გამო
მივმართეთ მეფეს და პასუხად
მივიღეთ, რომ მეფემ არაფერი
იციოდა ამ გარემოების შესახებ,
არამედ შენ ჩაგიდენია ეს აშოტ
პატრიკოსის, კისკასის, გულისა-
თვის. ხოლო კონსტანტი პატრი-
კოსმა თავის დასაცავად მიუგო

χάνεις, ὅτι οὐκ ἐφανερώσας ἡμᾶς
 περὶ τοῦ κάστρου Ἰδρανοῦτζίου
 ὅτι μέλλεις τοῦτο κρατῆσαι καὶ
 ὅτι συμφέρει τοῦτο κρατεῖσθαι
 παρὰ τοῦ βασιλέως· ἡμεῖς γὰρ καὶ
 περὶ τῆς τοιαύτης ὑποθέσεως ἀνηγάγομεν πρὸς τὸν βασιλέα, καὶ
 ἐδεξάμεθα μηδαμῶς γινώσκειν τὸν βασιλέα περὶ τῆς ὑποθέσεως ταύ-
 της, ἀλλὰ σὲ τοῦτο ποιῆσαι διὰ τὴν ἀγάπην τοῦ πατρικίου Ἀσωτίου
 τοῦ καὶ Κισκόση. ὁ δὲ πατρικίος Κώνστας προσάποιοι γησάμενος τού-
 τοις τὰ εἰκότα ἀνελάβετο Ἀσώτιον τὸν υἱὸν Ἰδρανοῦτῆ τοῦ κουροπα-
 λάτου, καὶ εἰσήγαγεν αὐτὸν ἐν τῇ πόλει, καὶ ἐτιμήθη παρὰ τοῦ
 βασιλέως κουροπαλάτης (CB, III 206—213).

მათ, რაც შეეფერებოდა, წამო-
 იყვანა აშოტი, ძე ადარნასე
 კუროპალატისა, და მოიყვანა ის
 ქალაქში; და მას მეფისაგან
 ებოძა კუროპალატობა¹.

ლაზეთის დაპყრობა სარმატების მიერ III საუკუნეში

თავი 53

Βασιλεύοντος Διοκλητιανοῦ ἐν
 Ῥώμῃ, ἐν δὲ τῇ Χερσωνιτῶν στε-
 φανοφοροῦντος καὶ πρωτεύοντος
 Θεμιστοῦ τοῦ Θεμιστοῦ, Σαυρόμα-

როდესაც რომში მეფობდა
 დიოკლეტიანე, ხოლო ხერსონე-
 ლების ქვეყანაში გვირგვინი ემოსა
 და მთავრობდა თემისტე, თემის-

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ აქ გადმოცემული ცნობა იბერიასა და ბიზანტიას შორის არტანუჯის გამო მომხდარი კონფლიქტის შესახებ ნათელს ჰყენს ქართველ მეფეთა და ბიზანტიის კეისართა შორის არსებულ დამოკიდებულებას: იბერია ამ ეპოქაში იყო სუვერენული სახელმწიფო. ქართველთა მეფე და კუროპალატი სცნობდა ბიზანტიის კეისარს როგორც მთელი საქრისტიანო მსოფლიოს უზენაეს მფარველს, მაგრამ თავისი ქვეყნის საქმეებში იგი აწარმოებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას. ბიზანტიის კეისარს არ შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა და თუ რომელიმე მთავრის გამცემლობით დალატით კეისარი აგრესიულ ნაბიჯს გადასდგამდა იბერიის წინააღმდეგ, ქართველთა მეფე და კუროპალატი, ისევე როგორც მთავრები ერთობლივ უწევდნენ წინააღმდეგობას ბიზანტიის კეისრის განზრახვას. კონსტანტინეს მოთხოვნით, აშოტ კისკასმა გურგენ მაგისტროსის მტრობით გადასცა არტანუჯის ციხე რომანოზ კეისარს. ამის საპასუხოდ ქართველი მთავრები დაემუქრნენ კეისარს: თუ არტანუჯი არ დაგიტოვებია, «შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებით... და იძულებული ვიქნებით წავიყვანოთ ჯარი ადრანუჯის ციხის წინააღმდეგ, მისი მიწა-წყლის წინააღმდეგ და თვით რომანიის (ე. ი. ბიზანტიის) წინააღმდეგაცო». კეისარი შეშინდა და უკან დაიხია (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტორია II² [1948], 109 – 110; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე: მნათობი 1949 წ. № 11, გვ. 149). ქართველებმა ასევე გაუწიეს წინააღმდეგობა კეისარს „კეჯეს ციხის“ საკითხშიც (იხ. ზემოთ, გვ. 263 – 266).

τος ὁ ἐκ τῶν Βοσποριανῶν, Κρισ-
κωνόρου δὲ παῖς γενόμενος, συν-
αθροίσας Σαρμάτας τὴν Μαυρίτιδα
λίμνην οἰκοῦντας ἐστρατοπεδεύσα-
το κατὰ Ῥωμαίων, καὶ καταλα-
βῶν τὴν τῶν Λαζῶν χώραν καὶ
πολεμήσας τοὺς ἐκεῖσε φθάσκει καὶ
ἕως τοῦ Ἄλυσος ποταμοῦ. μαθὼν
δὲ τοῦτο ὁ βασιλεὺς Διοκλητιανός,
πορθεῖσθαι τὴν τῶν Λαζῶν χώραν
καὶ τὴν Ποντικὴν, ἀπέστειλεν ἐκεῖ-
σε στρατὸν ἀντιπαρατάξασθαι Σαρ-
μάταις βουλόμενος ἦν δὲ ἕξαρχος
τοῦ στρατοῦ Κώνστας τριβούνος.
καὶ καταλαβῶν τὸν Ἄλυν ὁ Κώνσ-
τας σὺν τῷ στρατῷ κατέστη ἐκεῖ-
σε, κληθὼν Σαρμάτας ἀντιπερᾶσαι
τὸν Ἄλυν (CB III, 244).

ტეს ძე, ერთმა ბოსპორელთა-
განმა, ვინმე სავრომატემ, კრის-
კონორეს შვილმა, შეკრიბა მეო-
ტის ტბასთან მცხოვრები სარმა-
ტები და ილაშქრა რომაელების
წინააღმდეგ: ჯერ მან დაიპყრა
ლაზთა ქვეყანა, ეომა იქაურ
მცხოვრებლებს და ჰალისის მდი-
ნარემდეც კი მივიდა. როდესაც
დიოკლეტიანე მეფემ გაიგო,
ლაზთა ქვეყანა და პონტოს მხარე
მოოხრებულ იქმნაო, გაგზავნა იქ
ჯარი იმ განზრახვით, რომ ის
სარმატების წინააღმდეგ დარაზ-
მულიყო. ჯარის ეგზარხოსად
იყო ტრიბუნი კოსტა. კოსტა
ჰალისს რომ მიადგა თავისი ჯა-
რით, იქ დაბანაკდა და აფერ-

ხებდა სარმატებს, რომ ისინი ჰალისზე არ გადმოსულიყვნენ.

კოსტამ ვერ შეძლო გამკლავებოდა სარმატებს და გადაწყვიტა
სხვა გზით აეძულებინა სავრომატე უკან დაბრუნებულიყო. კოსტამ
და დიოკლეტინემ, მართლაც, მიუსიეს ბოსპორელებს ხერსონელები,
რომლებმაც აიღეს ბოსპორი და ელჩები გაგზავნეს სავრომატესთან
მომხდარი ამბის შესატყობინებლად. შემდეგ ეს ელჩები, სავრომა-
ტესთან მოლაპარაკების შემდეგ, გადავიდნენ ჰალისის ნაპირებთან,
კოსტასთან. ამ გზით აიძულეს სავრომატე ზავი დაედვა რომაელებ-
თან. კოსტამ მოსთხოვა სავრომატეს დაებრუნებინა ტყვეები.
ტყვეები რომ მიიღო კოსტამ, ხერსონელ ელჩთაგან ორი თავისთან
დაიტოვა, ხოლო დანარჩენები სავრომატეს გაუგზავნა]

ὅστις Σαυρόματος παραλαβῶν
αὐτοὺς προαπέστειλεν ἐκ τῆς τῶν
Λαζῶν χώρας μετὰ καὶ τῶν ἰδίων
ἀνθρώπων πρὸς τὸ παραδοῖναι
αὐτοῖς τὴν τε Βόσπορον καὶ τὰς
φамиλιὰς αὐτῶν (CB III, 249).

სავრომატემ ისინი (ე. ი. ხერ-
სონელები) რომ ჩაიბარა, წინდა-
წინ გაგზავნა ლაზთა ქვეყნიდან
ისინი, თან გააყოლა თავისი სა-
კუთარი კაცები, რომლებისთვისაც
იმათ უნდა გადაეცათ ბოს-
პორი და მათი ოჯახები¹.

¹ აქ ბოსპორელთა იმ ოჯახებზეა ლაპარაკი, რომლებიც ხერსონელებმა

Μετὰ δὲ χρόνους τινὰς τοῦ ταῦτα γεγονέναι Σαυρόματος, ὁ ἔγγονος Σαυρομάτου τοῦ Κρισκορόνου τοῦ πολεμήσαντος τὴν Λαζικήν, συναθροίσας πόλεμον ἐκ τῆς Μαϊώτιδος λίμνης ἐπανέστη τοῖς Χερσωνίταις, βουλόμενος, φησί, τὴν τῆς αἰχμαλωσίας ἕβρυν τοῦ οἰκείου πάππου ἐκδικῆσαι τὴν παρ' αὐτῶν ἐπὶ Διοκλετιανοῦ τοῦ βασιλέως γενομένην (CB III, 252).

მათ მიერ, რაც მოხდა დიოკლეტიანე მეფის დროს¹.

რამდენიმე წელი რომ გავიდა მის შემდეგ, რაც ეს მოხდა, სავრომატემ, იმ სავრომატე კრისკორონეს ძის შვილიშვილმა, რომელმაც ლაზეთი დალაშქრა, ჯარი შეკრიბა მეოტის ტბის მხარეში და გაილაშქრა ხერსონელების წინააღმდეგ; როგორც ამბობენ, მას სურდა შური ეძია თავისი პაპის შეურაცხყოფისათვის, მისი დატყვევებისათვის

დაატყვევეს ბოსპორში, რათა ამით აეძულებინათ სავრომატე ხელი აედო ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაზე.

¹ კონსტანტინეს შრომის ეს 53. თავი, რომელიც Bury-ს დასკვნით რომელიდაც ლიტერატურული წყაროდან უნდა იყოს შემდეგ ჩართული, თითქმის მთლიანად (CB III, 244 – 268) ხერსონის ისტორიას ეხება: აქ განხილულია რომის და ხერსონის ურთიერთობის ეპიზოდები III – IV საუკუნეთა ხანისა, დიოკლეტიანეს და კონსტანტის (კოსტას) დროიდან, ხერსონის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული: კერძოდ, დიოკლეტიანეს და კონსტანტის დროისათვის დასახელებულია ხერსონის შვიდი მეფე და მათ დროს მომხდარი ამბები. ეს შვიდი მეფეა:

Θεμιστός τοῦ Θεμιστοῦ – თემისტე თემისტესძე

Χρήστος τοῦ Παπίου – ხრესტოსი პაპიასძე

Διογένης τοῦ Διογένους – დიოგენე დიოგენესძე

Βύσκος τοῦ Σουπολίχου – ვისკე სუპოლიხესძე

Φάρνακος τοῦ Φαρνάκου – ფარნაკე ფარნაკესძე

Λάμαχος – ლამახე

Ζήθος τοῦ Ζήθονος – ზეთე ზეთონისძე

Στρατόφιλος τοῦ Φιλομοῦσου – სტრატოფილე ფილომუსესძე

პირველი მათგანის, თემისტეს, დროს, როდესაც რომის იმპერიის ტახტზე დიოკლეტიანე იჯდა, ბოსპორელთა მხედართმთავარს სავრომატეს, კრისკონორეს შვილს, ლაშქრობა მოუწყვია რომაელთა წინააღმდეგ. როგორც ჩანს, სავრომატე გამომგზავრებულა შავის ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებით და დაბანაკებულა ლ ა ზ ე თ შ ი, საიდანაც მას იერიშები მიუტანია რომაელების წინააღმდეგ. ხერსონელებმა დახმარება გაუწიეს თავის მოკავშირე რომაელებს, შეესივნენ ბოსპორელებს, დაატყვევეს მათი ოჯახები და ამით აიძულეს სავრომატე ზავი ჩამოეგდო რომაელებთან. როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებიდან ჩანს, მთელი ამ ლაშქრობის დროს ბოსპორელებს ლ ა ზ ე თ შ ი აქვთ მთავარი ბანაკი. ზავის ჩამოგდების შემდეგაც სავრომატე ლაზეთშია და იქიდან (ἐκ τῆς τῶν Λαζῶν χώρας) გზავნის ხერსონელთა ელჩებს და თავის კაცებს ბოსპორში სამშვიდობო საქმეების მოსაგვარებლად.

DE CAERIMONIIS

Κεφάλαιον μη'

Τὰ ἄκρια τῶν εἰς τοὺς ἐθνικοὺς
γενομένων ἐπιγραφῶν

Εἰς τὸν πάπαν Ῥώμης. βούλλα
χρυσῆ μονοσολδία. „ἐν ὀνόματι
τοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ
ἁγίου πνεύματος τοῦ ἐνὸς καὶ μόνου
ἀληθινοῦ θεοῦ ἡμῶν. ὁ θεὸς
καὶ ὁ θεῖνα πιστοὶ ἐν αὐτῷ τῷ
θεῷ βασιλεῖς Ῥωμαίων πρὸς ὁ θεῖνα
τὸν ἀγιάτατον πάπαν Ῥώμης
καὶ πνευματικὸν ἡμῶν πατέρα“.

Ὁμοίως καὶ εἰς τὸν πάπαν
Ἀλεξανδρείας, πλὴν πατέρα οὐ
γράφει.

Ὁμοίως καὶ εἰς τὸν πατριάρ-
χην Ἀντιοχείας καὶ τὸν πατριάρ-
χην Ἱεροσολύμων, πλὴν πνευμα-
τικὸν πατέρα οὐ γράφει. αἱ δὲ
βούλλα: χρυσαὶ τρισολδία.

Εἰς τὸν πρωτοσύμβουλον, ἕγγον
εἰς τὸν Ἀμερμουμένην. βούλλα
χρυσῆ τετρασολδία

Εἰς τὸν ἄρχοντα τῶν ἀρχόντων
τῆς μεγάλης Ἀρμενίας. βούλλα
χρυσῆ τρισολδία. „Κωνσταντῖνος
καὶ Ῥωμανός, πιστοὶ ἐν χριστῷ
τῷ θεῷ ἀντοκράτορες- ἀβγυστοι
μεγάλοι βασιλεῖς Ῥωμαίων, πρὸς
ὁ θεῖνα τὸν περιφανέστατον πρω-
τον τῆς μεγάλης Ἀρμενίας καὶ
πνευματικὸν ἡμῶν τέκνον“.

თავი 48

უცხოელებისადმი მიმართვის წესთა
სახეები

რომის პაპისადმი. ოქროს ბუ-
ლები ერთი სოლიდისა. „სახე-
ლითა მამისათა და ძისათა და
სულისა წმიდისათა, ერთისა და
მხოლოდსა უფლისა ჩვენისათა.
მავანი და მავანი რომაელთა მე-
ფე, იმავე უფლის მორწმუნე, მა-
ვანსა უწმინდეს პაპს რომისას
და ჩვენს სულიერ მამას“.

ამნაირადვე ალექსანდრიის პაპს
(ე. ი. პატრიარქს), ხოლო „სული-
ერი მამა“ არ იწერება.

ამნაირადვე ანტიოქიის პატ-
რიარქს და იერუსალიმის პატ-
რიარქს, ხოლო „სულიერი მამა“
არ იწერება. ოქროს ბულები სამი
სოლიდისა.

პროტოსიმბულს, ე. ი. ამირა-
მუმნს, ოქროს ბულები ოთხი
სოლიდისა (შემდეგ მოსდევს მი-
მართვის სახე)

დიდი არმენიის ერისთავთ-
ერისთავს. ოქროს ბულები სამი
სოლიდისა. „კონსტანტინე და
რომანოზი, ქრისტე ღმერთის
მიერ მორწმუნე თვითმპყრო-
ბელნი, ავგუსტები, დიდი მეფეები
რომაელებისა, მავანს უბრწყინ-
ვალეს, უპირველეს (კაცს) დიდი
არმენიისას და ჩვენს სულიერ
შვილს“.

Εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Ἀσπουρα-
κῆν, ἔργου τοῦ Βασπαρακῆν, ὁ
τὸν τιμηθεὶς ἄρχων τῶν ἀρχόν-
των. βούλλα χρυσῆ τρισελδία.
„Κωνσταντῖνος καὶ Ῥωμανός, πισ-
τοὶ ἐν χριστῇ τῇ θεῷ αὐτοκρα-
τορες ἀγούστοι βασιλεῖς Ῥωμαίων,
πρὸς ὁ θεῖνα τὸν περιφανέστατον
ἄρχοντα τῶν ἀρχόντων“.

Εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Κοκοβίτ,
Ἄρμενία· εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ
Ταριῶ, Ἄρμενία· εἰς τὸν ἄρχοντα
τοῦ Μῦσεξ, Ἄρμενία· εἰς τὸν ἄρ-
χοντα τοῦ Λύζαν, Ἄρμενία· εἰς
τὸν ἄρχοντα τοῦ Σονγῆς, Ἄρμενία·
εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Βαυτζῶρ,
Ἄρμενία· εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ
Χατζιμένης, Ἄρμενία. εἰς τοὺς γ'
ἄρχοντας τῶν Σαρδοτιῶν τῶν λεγο-
μένων Μαῦρα παιδία· ἐπιγραφὴ
εἰς πάντας τοὺς προειρημένους·
„κέλευσις ἐκ τῶν φιλοχρίστων δεσ-
ποτῶν πρὸς τὸν ὁ θεῖνα ἄρχοντα
ταῦδε“.

Εἰς τὸν κουροπαλάτην Ἰβηρίας.
βούλλα χρυσῆ δισελδία. „κέλευσις
ἐκ τῶν φιλοχρίστων δεσποτῶν
πρὸς ὁ θεῖνα τὸν ἐνδοξότατον
κουροπαλάτην“. ἔχει δὲ περὶ αὐ-
τὸν ὁ κουροπαλάτης ἑτέρα· ἐξου-
σίας δ' εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ
Βεριασάχ, Ἰβηρία. εἰς τὸν ἄρχοντα
τοῦ Καργατάης, Ἰβηρία. εἰς τὸν
ἄρχοντα τοῦ Κούελ, Ἰβηρία· εἰς
τὸν ἄρχοντα τοῦ Ἀτζαρά, Ἰβη-
ρία· „κέλευσις ἐκ τῶν φιλοχρίσ-
των δεσποτῶν πρὸς ὁ θεῖνα“.

ასპურაკანის, ე. ი. ვასპარაკა-
ნის ერისთავს, რომელიც ამჟა-
მად პატივდებულია ერისთავთ-
ერისთავად. ოქროს ბულები სამი
სოლიდისა. „კონსტანტინე და
რომანოზი, ქრისტე ღმერთის
მიერ მორწმუნე ავტოკრატი-
რები, ავგუსტები, მეფეები რომა-
ელებისა, მავანს უბრწყინვალეს
ერისთავთ ერისთავს“.

კოკოვიტის ერისთავს, არმე-
ნიაში; ტარონის ერისთავს, არ-
მენიაში; მოექსის ერისთავს, არ-
მენიაში; ავზანის ერისთავს, არმე-
ნიაში; სივნიეთის ერისთავს, არ-
მენიაში ბაიძორის ერისთავს,
არმენიაში; ხაძიენის ერისთავს,
არმენიაში; სერვოტიელთა, ანუ
ეგრეთწოდებული „შავი ყრმე-
ბის“ სამ ერისთავს: ყველა ამ
ზემოხსენებულ პირს ასე მიემარ-
თოს: მიმართვა ქრისტესმოყვარე
უფალთაგან მავან ერისთავს ამა
და ამ (სამფლობელოსი)“.

იბერიის კუროპალატს. ოქროს
ბულები ორი სოლიდისა. „მიმარ-
თვა ქრისტესმოყვარე უფალთა-
გან მავან უდიდებულეს კურო-
პალატს“. კუროპალატს თავი-
სადმი დაქვემდებარებული ჰყავს
ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასა-
ხის ერისთავს, იბერიაში; კარნა-
ტაის ერისთავს, იბერიაში; ყუე-
ლის ერისთავს, იბერიაში; აჭა-
რის ერისთავს, იბერიაში: „მი-
მართვა ქრისტესმოყვარე უფალ-
თაგან მავანს“.

Εἰς τὸν ἐξουσιοκράτορα Ἀλβανίας, βασιλῆα χρυσοῦ δισολδία. „ἐν ὄνοματι τοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος, τοῦ ἐνός καὶ μόνου ἀληθινοῦ θεοῦ ἡμῶν. Κωνσταντίνος καὶ Ῥωμαῖνός, πιστοὶ ἐν αὐτῷ τῇ θεῷ βασιλεῖς Ῥωμαίων, πρὸς ὃ δεῖνα τὸν ἐξουσιαστικὴν Ἀλβανίας καὶ πνευματικὸν ἡμῶν τέκνον“.

Εἰς τὸν ἐξουσιαστικὴν Ἀβασγίας, βασιλῆα χρυσοῦ δισολδία. „κέλευσις ἐκ τῶν φιλοχριστιανῶν δεσποτῶν πρὸς ὃ δεῖνα τὸν περιφανῆ ἐξουσιαστικὴν Ἀβασγίας“.

Εἰς τὸν ἄρχοντα Ἀλβανίας· εἰς τὸν ἄρχοντα τῶν Κρεβατῶν, ἦγουν τὸν λεγόμενον Κρεβατῶν· εἰς τὸν ἄρχοντα Κηθωνίας· εἰς τοὺς ἄρχοντας Ἰζαναρίας· εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Σαρβῶν, οἵτινες κείνται¹ μέσον Ἀλβανίας καὶ Ἰζαναρίας· εἰς τοὺς ἄρχοντας Ἀζίας, ἐν ἧ εἰσὶν αἱ Κασπείαι πόλεις· εἰς τὸν ἄρχοντα Χρύστα· εἰς τὸν ἄρχοντα Βρέζαν· εἰς τὸν ἄρχοντα Μωκῶν (ἰστέον, ὅτι ἀπὸ Μωκῶν ἔστιν ἡ Μαυώτης λίμνη). ἐπιγραφὴ εἰς πάντας προειρημένους· „κέλευσις ἐκ τῶν φιλοχριστιανῶν δεσποτῶν πρὸς ὃ δεῖνα τὸν ἄρχοντα τῆσδε“.

ალანიის მთავარს. ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ერთისა და მხოლოდსა ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩვენისათა. კონსტანტინე და რომანოზი თვით ღვთის მიერ მორწმუნე მეფეები რომაელები—სა, ალანიის მავან მთავარს და ჩვენს სულიერ შვილს“...

აბაზგიის მთავარს. ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან ბრწყინვალე მთავარს აბაზგიისას“.

ალბანიის ერისთავს; კრევატადთა ერისთავს, ანუ ვერეთოდეზულ კრევატასს; კედონიის ერისთავს; ჭანარიის ერისთავებს, – ერისთავს შარვანისას, რომელიც მდებარეობს ალანიასა და ჭანარიას შუა; ერისთავებს აჟიისას, სადაც არის კასპიის კარები; ხრილას ერისთავს; ვრეჟანის ერისთავს; მოკანის ერისთავს (საცოდნელია, რომ მოკანიდან იწყება მეოტის ტბა); ყველა ზემოთ ჩამოთვლილისადმი გაგზავნილ მიმართვას უნდა წაეწეროს: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთა ამა და ამ ქვეყნის მავან ერისთავს“.

¹ ტექსტში სწერია: „ერისთავს სარვანისას, რომლებიც მდებარეობენ...“ - τοῦ Σαρβῶν-ში Σ-თი უნდა იყოს გადმოცემული შ-ზეგრა, ე. ი. „შარვან“ , ხოლო ამის მომდევნო ⁵¹¹¹⁷⁰ („რომლებიც“) უნდა აღნიშნავდეს მცხოვრებლებს („შარვანელებს“).

Εἰς τὸν καθολικὸν Ἀρμενίας, εἰς τὸν καθολικὸν Ἰβηρίας, εἰς τὸν καθολικὸν Ἀλβανίας, ἐπιγραφὴ εἰς τοὺς γ' καθολικοὺς. «κέλευσις ἐκ τῶν φιλοχριστῶν δεσποτῶν πρὸς τὸ θεῖον τὸν ἐμβαβεστάτον καθηγητὴν τῆσδε» (CB I, 686—688).

Εἰς τὸν χαγάνον Χαζარίας. Βούλλα χρυστῆ τρισολῖα. «ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος, τοῦ

არმენიის კათოლიკოსს, იბერიის კათოლიკოსს, ალბანიის კათოლიკოსს; ამ სამი კათოლიკოსისადმი გაგზავნილ მიმართვას უნდა წაეწეროს: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან ამა და ამ ქვეყნის მავან უნეტარეს მოძვარს“¹.

ხაზარეთის ხაგანს. ოქროს ბულები სამი სოლიდისა. „სახელითა ღმრთისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ერთისა და

¹ „De caerimoniis“-ის II წიგნის ამ 48. თავში ჩვენს ყურადღებას იპყრობს, პირველ რიგში, ორი მიმართვა: იბერიის კუროპალატისადმი და აბაზგიის მთავრისადმი

იბერიის კუროპალატს	აბაზგიის მთავარს
ოქროს ბულები ორი სოლიდისა უდიდებულეს კუროპალატს	ოქროს ბულები ორი სოლიდისა ბრწყინვალე მთავარს

უცხოელებისადმი გასაგზავნ მიმართვას ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე ოქროს ბეჭედს (ბულას), რომელზედაც კეისრის სახე იყო ამოტვიფრული. იმისდა მიხედვით, თუ ვის ეგზავნებოდა მიმართვა, ბულა შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი სოლიდის ფასისა და წონისა, ორი სოლიდის, სამი სოლიდისა და ა. შ. (*μισσοσολῖα, δισοσολῖα, τρισσοσολῖα...*). იბერიის კუროპალატსა და აბაზგიის მთავარს მიმართვა ეგზავნება ორ-სოლიდიანი ბულით, მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ორივე ქვეყანა, იბერია და აბაზგია, ერთისა და იმავე რანგის სახელმწიფოებს წარმოადგენდა ბიზანტიის „კარის გარიგების“ მიხედვით. მართლაც, აქ „აბაზგია“ ძველი ლაზეთის პროვინცია კი არ არის, არამედ ამ დროს, X საუკუნის შუა წლებში, „აბაზგია“ გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს ჰქვია. ამ ქვეყნების მმართველთა ეპითეტებად კეისრები ხმარობენ: „უდიდებულესს“ (*ἐνδοξότατος*, როგორც ეს კუროპალატს შეეფერება) და „ბრწყინვალეს“ (*περιφανής*). ეს რომ შევადაროთ ჩვენს მეზობლებისადმი მიმართვის წესებს, დავინახავთ, რომ ზოგი მეზობელი სახელმწიფო უფრო მაღალ რანგში ჰყავს აყვანილი ბიზანტიის მთავრობას, ზოგიც უფლო დაბალ საფეხურზე ჰყავს: მაგალითად:

1) დიდი არმენიის ერისთავთ-ერისთავს მიმართვა ეგზავნება სამ-სოლიდიანი ბულით, ხოლო ეპითეტად მიეკუთვნება „უბრწყინვალესი“ (*περιφανέστατος*).

2) ხაზარეთის ხაგანისადმი გაგზავნილ მიმართვას აგრეთვე სამ-სოლიდიანი ბულა აქვს დაკიდებული, და თვით ხაგანსაც ეწოდება „უკეთილშობილესი“ და „უბრწყინვალესი“.

ένος καὶ μόνου ἀληθινῶν θεῶν
ἡμῶν. Κωνσταντῖνος καὶ Ῥωμα-
νός, πιστοὶ ἐν αὐτῷ τῷ θεῷ βασι-
λεῖς Ῥωμαίων πρὸς τὸν ὁ θεῖον
εὐγενέστατον, περιφανέστατον χα-
γάνον Ναζαρίαν“.

Εἰς τὸν ἀρχοντα Ῥωσίας. βεσύλ-
λα χρυσῆ διπολθία. „γράφματα
Κωνσταντίνου καὶ Ῥωμανοῦ τῶν
φιλοχρίστων βασιλέων Ῥωμαίων
πρὸς τὸν ἀρχοντα Ῥωσίας“.

Εἰς τοὺς ἀρχοντας τῶν Τούρ-
κων. βεσύλλα χρυσῆ διπολθία.

მხოლოდსა ჭეშმარიტისა ღმრთი-
სა ჩვენისათა. კონსტანტინე და
რომანოზი, ღმრთის მიერ მორწ-
მუნე მეფეები რომაელებისა, მა-
ვან უკეთილშობილეს, უბრწყინ-
ვალეს ხაგანს ხაზარეთისას“.

რუსეთის მთავარს. ოქროს ბუ-
ლები ორი სოლიდისა. „რომა-
ელთა ქრისტესმოყვარე მეფეების,
კონსტანტინეს და რომანოზის,
წერილი რუსეთის მთავარს“.

თურქთა ერისთავებს. ოქროს
ბულები ორი სოლიდისა. „რომა-

3) ალანიის მთავარს, როსიის მთავარს, თურქთა მთავრებს, პაჭინაკთა მთავრებს, მიმართვა ეგზავნებათ ორ-სოლიდიანი ბულით, ხოლო არავითარი ეპითეტი არ მიეკუთვნება (მარტივად სწერია „მავან მთავარს“).

ამირამუმნს (ე. ი. ხალიფს) წერილი ეგზავნება ოთხ-სოლიდიანი ბულით, ხოლო ფრანკთა მეფეს – ერთსოლიდიანი ბულით. ცხადია, ასეთი სხვადასხვა წესი მიმართვისა იმით აიხსნება, რომ ბიზანტიის მთავრობისათვის ამ ქვეყნებს ერთ-ნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდათ საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით.

ი ბ ე რ ი ს კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ს, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცხო-ბით, ექვემდებარება ოთხი ერისთავი: ვერიასახის, კარნატის, ყუელისა და აჭარის. სამწუხაროდ, პირველი ორი ადგილის მდებარეობის დადგენა არ ხერხდება: იმდენად დამახინჯებული ჩანს მათი სახელები (*Βερίασαχ* და *Καρνατίουχ*), რომ შეუძლებელი ხდება მათი მიახლოებით მაინც მიმსგავსება რომელიმე ცნობილ საბიოგრაფიო სახელებთან: ივ. ჯავახიშვილის აზრით როგორც ყუელის ციხე და აჭარა მესხეთის ქვეყნებია, ისე „ვერიასახი“ და „კარნატისი“ „მესხეთისავე სხვა თემების რომელისამე ციხეების დამახინჯებული სახელები იქნება“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 111. თბ. 1848).

ამავე თავში იხსენიებს კონსტანტინე პორფიროგენეტი ამიერკავკასიის სამ კათოლიკოსს: არმენიის, იბერიის და ალბანიის კათოლიკოსებს მიმართვა ეგზავნებათ ერთნაირი წარწერით და სამსავე კათოლიკოსს მიეკუთვნება ერთნაირი ეპითეტი „უნეტარესი“.

ბიზანტიის კეისრის მიმართვაში საქართველოს ქვეყნების მფლობელები-სადმი ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, თუ რა სახელწოდებით იხსენიებს ის ამ მფლობელთ: აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მფლობელს იხსენიებს (*Ἐξουσιαστής*-ის სახელწოდებით; ყველის ციხის, ან აჭარის მფლობელს უწოდებს *ἀρχαγυ-ს*; „ექსუსიასტი“ ღირსებით „არხონზე“ მალლა იდგა (შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტორია II, გვ. 106 – 107). საგულისხმოა, რომ აფხაზეთის მფლობელს ნ ი კ ო ლ ო ზ მ ი ს ტ ი კ ო ს ი ს წერილებშიც „ექსუსიასტი“ ეწოდება (იხ. ზემოთ გვ. 212, 214, 215).

„γράμματα Κωνσταντίνου και Ῥωμανοῦ τῶν φιλοχρίστων βασιλέων Ῥωμαίων πρὸς τοὺς ἄρχοντας τῶν Τούρκων“.

Εἰς τοὺς ἄρχοντας τῶν Πατζინακίτων. βόλλα χρυσῆ δισοδία. „γράμματα Κωνσταντίνου και Ῥωμανοῦ τῶν φιλοχρίστων βασιλέων Ῥωμαίων πρὸς τοὺς ἄρχοντας τῶν Πατζინακίτων“ (CB I, 690—691).

ელთა ქრისტესმოყვარე მეფეების კონსტანტინეს და რომანოზის წერილი თურქთა ერისთავებს“.

ჰაჭინაკთა ერისთავებს, ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „რომელთა ქრისტესმოყვარე მეფეებისა, კონსტანტინეს და რომანოზის წერილი ჰაჭინაკთა ერისთავებს“.

DE THEMATIBUS

კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ტრაქტატის სრული სათაურია: „უბრძნესი მეფის კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება რომაელთა სამეფოში შემავალი «თ ე მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ», თუ საიდან ჰქონდათ მათ სახელწოდებანი, და თუ რას ნიშნავენ მათი სახელწოდებანი, და თუ რატომ ზოგიერთ მათგანს ძველი სახელწოდება აქვს, ხოლო სხვებმა ახალი სახელწოდება შეიძინეს“

(Τοῦ σοφωτάτου βασιλέως Κωνσταντίνου τοῦ Πορφυρογενήτου περὶ τῶν θεμάτων τῶν ἀνηκότων τῆ βασιλείᾳ τῶν Ῥωμαίων, πόθεν ἔσχον τὰς ὀνομασίας, καὶ τί σημαίνουσιν αἱ τούτων προσηγορίαι, καὶ ὅτι τὰ μὲν αὐτῶν ἀρχαῖονται, τὰ δὲ νέαν ἐκτήσαντο τῆν προσηγορίαν).

ტრაქტატი შედგება ორი წიგნისაგან: პირველ წიგნში აღწერილია აზიის თემები, მეორეში – ევროპის თემები. აზიის თემებია 17:

- | | |
|--------------------|-----------------------|
| 1. ანატოლიკის თემი | 10. კოლონიის თ. |
| 2. არმენიაკის თ. | 11. სევასტიის თ. |
| 3. თრაკესიელთა თ. | 12. ლიკანდის თ. |
| 4. ოფსიკიონის თ. | 13. სელევკიის თ. |
| 5. ოპტიმატის თ. | 14. კვირეოტთა თ. |
| 6. ბუკელართა თ. | 15. კვიპროსის თ. |
| 7. პაფლაგონიის თ. | 16. კუნძულ სამოსის თ. |
| 8. ხალდიის თ. | 17. ეგეოსის ზღვის თ. |
| 9. მესოპოტამიის თ. | |

მეორე წიგნში აღწერილია ევროპის თემები, რომელთა რიცხვი 12-ა: თრაკიისა, მაკედონიისა, სტრიმონისა, თესალონიკისა, ელადისა, პელოპონგისა, კივალენიისა, ნიკოპოლისა, დირახიონისა, სიცილიისა, ლანგობარდიისა და ხერსონისა.

თხზულება ცნობილია ჯერჯერობით ორი ხელნაწერით:

A – codex Regius
C – codex Parisinus Regius 851,

პირველი გამოცემა ეკუთვნით: პირველი წიგნისა B. Vulcanius-ს, 1588 წ., (V), როლო მეორე წიგნისა – F. Morellus -ს, 1609 წ., (F). ბონის კორპუსში (CB) გამოცემულია ბეკერის მიერ კონსტანტინეს სხვა თხზულებებთან ერთად III ტომში.

არმენიაკის თემი

Θέμα δεύτερον τὸ καλοῦμενον Ἀρμενιάκον
Τὸ θέμα τὸ καλοῦμενον Ἀρμενιάκον ὁ κύριος ἔχει τὸ ὄνομα, ὁμῶς ἀρχαία τις ἔστιν ἢ τούτου προσηγορία, ἀλλὰ ἄπὸ τῶν ἴμο-

თემი მეორე, ეგრეთწოდებული არმენიაკი

ეგრეთწოდებული არმენიაკის თემი საკუთარ სახელს კი არ ატარებს, არც ძველია ეს მისი სახელწოდება, არამედ ეს სახელი

ρρύντων καὶ συνοικούντων Ἀρμενίων τὴν προσηγορίαν ἐκτίθειτο. δοκῶ δὲ εἶπαι ὅτι ἐπὶ Ἡρακλείου τοῦ βασιλέως καὶ τῶν κάτω χρόνων τὴν τοιαύτην προσηγορίαν ἐκλήρονόμησεν. οὔτε γὰρ Στράβων ἢ γεωγράφος τῆς τοιαύτης ὀνομασίας ἐμνήσθη, καίτοι Καππαδοκίης ὡν τὸ γένος, ἐξ Ἀρμενίων τῆς πόλεως, οὔτε Μένιππος ἢ τοὺς σταδισμοὺς τῆς ὁδοῦ ἀπογραφόμενος, οὔτε μὴν Σκύλαξ ἢ Καρυανθός, οὔτε Παυσανίας ἢ Δαμασκηνός, οὔτε ἄλλος τις τῶν ἱστορῶν γεωγράφων. καὶ φαίνεται νεωτέρω ἢ τοιαύτη ὀνομασία· οὔτε γὰρ Προκόπιος, οὔτε μὴν Ἀγαθίας, οὔτε Μένανδρος, οὔτε Ἡσύχιος ἢ ἑλλουστρίος ἐμνημόνευσαν τοῦ τοιαύτου ὀνόματος, οἱ τὰ χρονικά συντάξαντες ἐπὶ τῆς Ἰουστινιανοῦ βασιλείας.

Τὴν γὰρ Καππαδοκίαν οἱ παλαιοὶ εἰς τρία τέμνουσι μέρη, εἰς τε Καταονίαν τὴν ἀπὸ Μελιτηνῆς ἀρχομένην, καὶ τὴν ἀπὸ τοῦ Ταύρου Ταυρικὴν ὀνομασμένην, καὶ αὐτὴν τὴν μεσόγειον, ἐν ἣ Καισάρεια ἢ πόλις τῶν Καππαδοκῶν μητρόπολις ἔδρευε. καλοῦσι δὲ οἱ παλαιοὶ μεγάλην τε καὶ μικρὰν Καππαδοκίαν, μεγάλην μὲν τὴν ἀπὸ Καισαρείας τε καὶ τοῦ Ταύρου καὶ ἕως τῆς Ποντικῆς θαλάσσης, ἣν διορίζει Ἄλιος μὲν ποταμὸς ἐκ θυσιῶν, Μελιτηνὴ δὲ ἐξ

შეიძინა მან მოსაზღვრე და მეზობელ არმენიელთაგან. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახელწოდება მას წილად ხვდა ირაკლი მეფის დროს ან მომდევნო ხანებში: ვინაიდან არც გეოგრაფოსი სტრაბონი იხსენიებს მის ასეთ სახელწოდებას, თუმცა ის წარმოშობით კაპადოკიელი იყო, ქალაქ ამასიიდან, არც მენიპე, რომელმაც აღწერა „მთელი მსოფლიოს გზათა მანძილები“, არც სკილაქს კარიანდელი, არც პავსანია დამასკელი, არც სხვა ვინმე იმათგან, ვინც „ისტორიები“ დასწერა. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება უფრო ახალია, ვინაიდან არ იხსენიებენ ამ სახელწოდებას არც პროკოპი, არც აგათია, არც მენანდრე და არც ჰესიხი ბრწყინვალე, რომლებიც „ქრონიკებს“ სწერდნენ იუსტინიანეს მეფობაში.

კაპადოკიას ძველი მკვლევარნი სამ ნაწილად ჰყოფენ: კატაონია, რომელიც მელიტენიდან იწყება, ტავრიდის კაპადოკია, რომელსაც ტავრისაგან აქვს ეს სახელწოდება, და შიდა კაპადოკია, რომელშიც არის დაარსებული კესარია, კაპადოკიელთა დედაქალაქი. ხოლო ძველი მკვლევარნი ასახელებენ დიდსა და მცირე კაპადოკიას: დიდი კაპადოკია არის კესარიიდან და ტავრიდან ვიდრე პონტოს ზღვამდე; მას დასავლეთიდან საზღვრავს მდინარე ჰალი-

ἀνατολῶν. καὶ αὕτη μὲν ἡ μεγάλη
Καππαδοκία...

Μικρὰ δὲ Καππαδοκία ἡ νῦν
χρηματίζουσα εἰς θέματα, ἣτις ἄμο-
ρός ἐστι Λυκαονίας καὶ διαβαίνει
μέχρις αὐτῆς Καισαρείας, πλατύ-
νεται δὲ ὡς ἀρχῆς τῶν Βουκελ-
λαρίων, καταλήγει δὲ πρὸς ἀνα-
τολὰς μέχρις αὐτῆς Ῥοδεντοῦ καὶ
τοῦ φρουρίου τοῦ καλουμένου Λού-
λου καὶ αὐτῆς Ποδενδοῦ. τὰ δὲ
ἐπέκεινα τῆς Κιλικίας εἰσὶ μέρη,
ὧν ἀπάρχεται ἡ Ταύρος καὶ ἡ
Μόφουεστία καὶ Ἄδανα, καὶ ἦδε
μὲν ἡ μικρὰ Καππαδοκία, ἡ ἀρ-
τίως εἰς θέματος ὄνομα χρηματί-
ζουσα.

Ἐπὶ δὲ τῶν ἄνω χρόνων εἶπε
Ἰουστινιανὸς εἶτε ἄλλου πινὸς τῶν
βασιλέων τμηθείσης τῆς Καππα-
δοκίας εἰς τρία μέρη τὸ μὲν μεσό-
γαιον ἐκλήθη Χαρσιανὸν ἀπὸ Χαρ-
σίου πινὸς ἀρχοντος τῷ τότε και-
ρῷ εὐδοκίμησαντος ἐν τῇ πρὸς
Πέρσας πολέμῳ, καὶ διὰ τοῦτο
εἰς θέματος τόξιν καὶ στρατηγίδα
μέχρι τοῦ νῦν ἐχρημάτισε. τὸ δὲ
κάτω καὶ πρὸς θάλασσαν ἐκλήθη
Ἀρμενιακὸν διὰ τὸ εἶναι αὐτὸ
πλησιόχωρον τῶν Ἀρμενίων, τὸ
δὲ ἄνωθεν καὶ ὀμοροῦν τοῖς Λυ-
κάοσι καὶ τῷ Ταύρῳ Καππαδοκία
μικρὰ, ἡ νῦν, ὡς ἔφαμεν, εἰς θέ-
ματος ὄνομα χρηματίζουσα.

მოსაზღვრე, არის მცირე კავადოკია, რომელიც ამჟამად, როგორც ვთქვით, თემად არის გამოცხადებული.

სი, ხოლო აღმოსავლეთიდან – მელიტენე. აი, ეს არის დიდი კავადოკია...

ხოლო მცირე კავადოკია, რომელიც ახლახან იქმნა გამოცხადებული თემად, მოსაზღვრე არის ლიკაონიისა და ვრცელდება თვით კესარიამდე და გადაჭიმულია ბუკელართა თემის დასაწყისამდე, ხოლო აღმოსავლეთით თავდება იქ, სადაც თვით როდენტი არის, ეგრეთწოდებული ლულის ციხე და თვით პოდენდი. ხოლო ამის იქით არის კილიკიის მხარეები, რომელთაგან უმთავრესებია თარშეთი, მომფსუესტია და ადანა. აი, ეს არის მცირე კავადოკია, რომელმაც ახლახან მიიღო თემის სახელი.

ხოლო წინა ხანებში, იუსტი-
ნიანეს თუ სხვა რომელიმე მეფის
დროს, როდესაც კავადოკია გა-
ყოფილი იყო სამ ნაწილად, შიდა
ნაწილს ეწოდებოდა ხარსიანონი,
ვინმე ხარსისაგან, რომელსაც
იმ დროს თავი უსახელებია რო-
გორც მთავარს სპარსელთა წი-
ნააღმდეგ ომში, და ამის გამო
ის გამოცხადებულ იქმნა თემად
და სტრატეგიად, და დღემდისაც
არის ამ ხარისხში. ხოლო ქვემო
ნაწილი, რომელიც ზღვას აკრავს,
წოდებულ იქმნა არმენიაკად,
რადგან იგი არმენიელთა ქვეყ-
ნის მეზობლად იყო; ზემო ნაწი-
ლი კი, ლიკაონელთა და ტავრის

. Ἐβασιλεύετο δὲ μέχρις Αὐγούστου Καίσαρος, ἦν δὲ ὑπὸ τὴν Περσικὴν βίβουσιαν, πρὶν ἢ τὸ Ῥώμης ἀνέξῃθῃναι βασιλείον. ἐγένετο δὲ καὶ αὐτόνομος, ὅτε Ἀριαράθης ἦρχεν αὐτῆς ὁ βασιλεύς, ἐξ οὗ καὶ ἡ λίμνη ἢ τὸ ἄλλο τίκεται, ἦν ἀρτίως βαρβαρίζοντες Καρατίαν καλοῦσιν, Ἀριαράθῃα ἐπωνόμαστο. μετὰ δὲ Ἀριαράθῃν βασιλεύει αὐτῆς Ἀρχέλαος ὁ κηδεστής Ἡρώδου τοῦ βασιλέως τῆς Ἰουδαίας, μετὰ δὲ τούτου παυσαμένης τῆς βασιλείας εἰς ἐπαρχίαν παρὰ τῶν Ῥωμαίων τὸ σχῆμα μετέβαλεν, καὶ ἀνθύπατος ταύτην ἐδασιμολόγει τε καὶ διατάττετο. εἰσὶ δὲ πόλεις ἐπίσημοι κατὰ τὴν πρώτην ἐπαρχίαν τέσσαρες, Καισάρεια μητρόπολις, ἢ ἀπὸ τοῦ μεγάλου Καίσαρος Ἰουλίου ὀνομασθεῖσα, ἦτις πρότερον ἐκαλεῖτο Μάζακκα ἀπὸ Μωσῶχ τοῦ τῶν Καππαδοκῶν ἀρχηγόνου, δευτέρα δὲ πόλις Νύσσα, τρίτη Θερμά, τετάρτη Ῥεγεποδανδός¹. τῆς δὲ δευτέρας Καππαδοκίας εἰσὶ πόλεις ὑπὸ ἡγεμόνα ἔκτι. Τύανα, Φαυστινούπολις, Κύβιστρα, Ναζιανζός, Ἐρύσιμα, Παρνασός, Ῥεγέδωρα, Μαικισσός, καὶ φρούριον τὸ καλούμενον Κόρον. τῆς δὲ τρίτης Καππαδοκίας, ἢ νῦν ὀνομάζεται Ἀρμενιάκον, εἰσὶ πόλεις ἑπτὰ Ἀμάσεια, Ἰβῶρα, Ζάλιχος, Ἀνδραπα²,

კეისარ ავგუსტეს ხანამდე მას მეფეები მართავდნენ, ხოლო სპარსელთა ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ, სანამ რომაელთა სამეფო გაძლიერდებოდა. იგი თვითთავადი იყო, როდესაც მის მეფედ იყო არიარათე, რომლის სახელისგანაც იმ ტბას, რომელიც მარილს იძლევა და რომელსაც ამის წინ ბარბაროსები თავიანთ ენაზე კარატიას ეძახდნენ, არიარათია დაერქვა. არიარათეს შემდეგ მეფობდა არხელაე, იუდეის მეფის ჰეროდეს ნათესავი. ხოლო მის შემდეგ მეფობა შეწყდა მცირე კაპადოკიაში და რომაელებმა მას მისცეს ეპარქიის სახე, ანთიპატმა (ე. ი. პროკონსულმა) გადასახადები დაადო და მართავდა. არის ოთხი გამოჩენილი ქალაქი პირველ ეპარქიაში: დედაქალაქია კესარია, რომელსაც ეს სახელი დაერქვა დიდ იულიოს კეისრისაგან და რომელსაც წინათ ერქვა მ ა ზ ა კ ა, კ ა პ ა დ ო კ ი ე ლ თ ა პ ი რ ვ ე ლ წ ი ნ ა პ ო რ ი ს მ ო ს ო ხ ი ს ა გ ა ნ; მეორე ქალაქია ნისა, მესამე – თერმა, მეოთხე – რეგეპოდანდი. მეორე კაპადოკიის განკარგულებაშია რვა ქალაქი; ტვიანა, ფაუსტინუპოლისი, კვიზისტრა, ნაზიანზი, ერისიმა, პარნასი, რეგედორა, მოკისი და ეგრეთწოდებული კორის ციხე. მესამე კაპადოკიაში,

¹ Ῥεγεποδαντός V.

² Ἀνδραπα V.

ἸἸ Ἀρμενίας, Νεοκαισάρεια, Σινώπη
(CB III, 17—21).

რომელსაც ამჟამად არმენიაკი ეწოდება, შვიდი ქალაქია: ამასია, ივორა, ზალიხი, ანდრაპა, ამინსი, ნეოკესარია, სინოპი.

ხალდიის თემი

Ἰ Ὄρθρον θέμα τὸ καλούμενον
Χαλδία

Τὸ δὲ καλούμενον θέμα Χαλδία καὶ ἡ μητρόπολις λεγομένη Τραπεζοῦς Ἑλλήνων εἰσὶν ἀποικίαι, καθὼς καὶ Ξενοφῶν ἐν τῇ ἀναβάσει Κύρου λέγει¹. τὰ δὲ ἄνω καὶ μεσόγαια τῆς μικρᾶς Ἀρμενίας εἰσὶ προίκια. τοῦτο δὲ πιστεύεται ἐξ αὐτῶν τῶν ὀνομάτων· ἦ τε γὰρ Καλιπύγη² καλούμενη καὶ ὁ Συσπειρίτης³ καὶ τὸ Γοιζάνιον. μαρτυρεῖ δὲ καὶ περὶ τούτων ἡ θεία γράφη ἐν τῇ τετάρτῃ τῶν βασιλείων⁴· τοὺς γὰρ κατοικοῦντας τῆς Σαμάρειας αἰχμαλώτους λαβόντες Ἀσσύριοι κατήρισαν αὐτοὺς ἐν τῇ ποταμῷ Γοι-

მერვე თემი, ეგრეთწოდებული ხალდია

ეგრეთწოდებული ხალდიის თემი და მისი დედაქალაქი, რომელსაც ტრაპეზუნტი ეწოდება, ელინთა ახალშენები არიან, როგორც ამას ქსენოფონტიც ამბობს „კიროსის ანაბაზისში“⁴. მისი ზემო და შიდა მხარეები მცირე არმენიის მისავალ ადგილებს წარმოადგენენ. ეს მტკიცდება თვით სახელწოდებათაგან: ეგრეთწოდებული კელძენე², სისპირიტი³ და გვიზანი. ამათ შესახებ გვემოწმება საღმრთო წერილიც „მეფეთა“ მეოთხე წიგნში⁴: ვინაიდან სამარიის მცხოვრებლები ტყვედ წამოიყვანეს ასირი-

¹ ქსენოფონტი „ანაბაზისში“ წერს:

«აქედან (ე. ი. მაკრონების ქვეყნიდან) ელინებმა გაიარეს ორი სადგური, შვიდი ფარსანგი, და მივიდნენ ზღვის ნაპირას ტრაპეზუნტში ი, მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში ევქსინის პონტოზე, სინოპელთა მიერ კოლხთა ქვეყანაში დაარსებულ ახალშენში» (ანაბაზისი IV, 8, 22).

«შინა წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ მივიდნენ ელინები ზღვის ნაპირას ევქსინის პონტოში, ელინურ ქალაქ ტრაპეზუნტში ი» (იქვე V, 1, 1)

«როდესაც ჩვენ მივედით ელინურ ქალაქებში, მაგალითად, ტრაპეზუნტში ი...» (იქვე, V, 5, 14).

² Καλιπύγη A.

³ ხელნაწერებში სწერია Σοισίτης, შესწორებულია ბანდურიუსის მიერ B. Vulcanius-ის გამოცემის მიხედვით.

⁴ მეფეთა IV. 17, 6; «მეცხრესა წელსა ოსიასსა აღიღო მეფემან ასურისმან სამარია, და წარიყვანნა ისრაელნი ასურსა შინა, და დააშენა იგინი ალავს (ჰალის?) მდინარეთა ზედა გოზანისათა (Γοιζαν) და საზღვართა შინა მიდელ-

ζανῶν¹. ἔλαβε δὲ τὴν προσωνυμίαν
τοῦ καλεῖσθαι Χαλδῆα ἐν τῆς
τῶν Περσῶν προσηγορίας καὶ τῆς
αὐτῶν ἀρχαιογόνου πατρίδος Χαλ-
δίας, ὅθεν καὶ Χαλδαῖοι προσωνο-
μάζονται (CB III, 30).

ელეზმა და დაასახლეს ისინი
მდინარე გვიზანზე. ხალდიამ თა-
ვისი სახელი მიიღო სპარსთა
(მიერ) მიცემული სახელწოდები-
საგან და მათი პირვანდელი სამ-
შობლოსაგან, ხალდისაგან, საი-
დანაც ისინი ხალდეველებად იწოდებიან.

¹ Γοζιανῶν V, Γοιζάνων C. თუ რომელი მდინარეა ეს, არ არის გამორ-
კვეული.

ოსებ გენესიოსი

ოსებ გენესიოსი X საუკუნის შუა წლების მოღვაწეა და ეკუთვნის იმ მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც თავის გარშემო შემოიკრიბა კონსტანტინე პორფიროგენეტმა და რომელთა დახმარებითაც მან გაშალა თავისი სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობა (იხ. ზემოთ გე. 220).

კონსტანტინე პორფიროგენეტის დავალებით გენესიოსმა 945 – 959 წლებში დასწერა საისტორიო შრომა „მეფობანი“ (Γενεσιου «Βασίλειαι»). შრომა ოთხი წიგნისაგან შედგება და შეიცავს 813 – 867 წლების ისტორიას, საკმაოდ ტენდენციურად დაწერილს.

I წიგნი – ლეონ V-ის მეფობა (813 – 820 წ.)

II წიგნი – მიხეილ II ამორეველის მეფობა (820 – 829 წ.წ.)

III წიგნი – თეოფილეს (მიხეილ II-ის შვილის) მეფობა (829 – 842 წ.წ.)

IV წიგნი – მიხეილ III-ის (თეოფილეს შვილის) მეფობა (842 – 867 წ.წ.).

მეოთხე წიგნს დამატების სახით დართული აქვს ბასილ I-ის მეფობის ისტორია.

გენესიოსი სარგებლობს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი წყაროებით: ზეპირ წყაროდ მას ჰქონდა მიხეილ III-ის დროინდელ მოღვაწეთა გადმოცემები, ხოლო წერილობით წყაროებად – ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ბიოგრაფია, ნიკიტა დავით პაფლაგონელის მიერ დაწერილი ბიოგრაფია იგნატი პატრიარქისა და გიორგი ამართლოს „ქრონოგრაფია“¹.

გენესიოსის „მეფობათა“ დამუშავების დროს გამოვიყენეთ:

Genesius, ex recognitione Caroli Lachmanni. Bonnae

1834 (ბონის კორპუსის 49. ტომში, თეოფილაქტე სიმოკატასთან ერთად).

Сборник документов по социально-экономической истории Византии. Москва 1951, стр. 115 – 120.

Е. Э. Липшиц, Восстание Фомы Славянина и византийское крестьянство на грани VIII – IX в. в.; ВДИ 1939, № 1, стр. 352 – 365.

¹ იხ. Очерки по истории Византии, под редакцией В. Н. Бенешевича. Вып. III (1913), стр. 32 – 34.

ქართველების მონაწილეობა თომა სლავის აჯანყებაში

Ἀκηκοῶς δὲ, ὡς φασιν, ὁ Θωμᾶς τὸν Μιχαήλ βασιλεύσαντα, ταχέως νεωτερισμὸν πολυάνθρωπον ἐντυρεύεται κατ' αὐτοῦ. ἀνέκαθεν γὰρ ἀλλήλοις ἀντιπεπονθότως δίσταντο· καὶ ὁ μὲν Μιχαήλ παραπαντὸς τοῦ τῶν ἀνατολικῶν στρατεύματος ἐτύχχανε στρατηγός, οὐχ ἦττον δὲ καὶ ἐπίμωμος ἀπὸ τε τῆς πατρίδος αὐτοῦ Ἀθηγαῶνων πληθύν ἐκτροφούσης, ὡς εἶοικε, καὶ διὰ τὸ τῆς γλώττης ἐλάττωμα καὶ τὸ μὴ ἱκανῶς ἔχειν τισὶ πρὸς ἀνδρείαν νομίζεσθαι, ὁ δὲ Θωμᾶς πάσι φιλοστοργούμενος διὰ τε τὸ ἀνδρείφρον οὐκ ἔλαττον καὶ ἀστειὸν καὶ εὐπροσέγγορον, καὶ τῶν βελτίστων οὐκ ἔλαττούμενος Λέοντος, εἰ καὶ σκυθίζων τῷ γένει, πρὸς δὲ καὶ γηραιὸς ὢν, τὸν πόδα πεπηρωτο. οὗτος οὖν κατὰ τῶν δημοσίων φόρων πάντας ἀπατητῆτάς ἐγγράφως τὰς νενομισμένας ἀπεκλήροῦτο εἰσπράξεις, ἐξ ὧν διανομάς ἐν λαοῖς ποιησάμενος στρατηγεσίας κατὰ τοῦ Μιχαήλ ἐγκρατῶς διακτίθησιν. οὐδεὶς δὲ τῶν ἐξ ἀνατολῆς ὀριμημένων ἀπελιμπάνετο, οὐδὲ τῆς ἐσπέρας αὐτῆς, οὐ τῶν ἐξ ἐθνῶν ἐπηλύθων, οὐκ αὐτοχθόνων, οὐ γειτονούντων, οὐ τῆς δουλικῆς μοίρας ἕσον παρῆν μισοδέσποτον, οὐχ ὀλοκλήρων

ამბობენ, რომ როგორც კი გაიგო თომამ მიხეილის გამეფების შესახებ, სწრაფად მოაწყო მის წინააღმდეგ დიდძალი ხალხისაგან შეთქმულება და გადატრიალება განიზრახა. ისინი იმთავითვე განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან; მიხეილი მთელი აღმოსავლეთის ჯარის სტრატეგოსი იყო, მაგრამ ის დიდი წუნი ჰქონდა, რომ ერთი მხრით ისეთი კუთხიდან იყო, რომელსაც მრავალი ათინგანი¹ მოუცია, ხოლო მეორე მხრით, როგორც ჩანს, იმიტომაც იყო დასაძრახისი, რომ ენის მანკი ჰქონდა და არც თუ საკმარისად მამაც ვაჟკაცად ითვლებოდა. თომა კი ყველას უყვარდა როგორც მისი სიმამცისათვის, ისე თავაზიანობისა და სასიამოვნო სიტყვა-პასუხისათვის, არც ლეონს ჩამოუვარდებოდა თავისი კარგი თვისებებით, თუმცა სკვითური წარმოშობისაც იყო, სიბერისკენაც მიხრილი და ფეხმოტეხილი. აი, ამან (ე. ი. თომამ) ხელთ იგდო სახელმწიფო გადასახადების ამკრეფნი, წერილობითი ბრძანება გასცა ჩამოერთმიათ შეკრებილი გადასახადები და ისინი ხალხს დაურიგა. ხალხის ამნაირი მიმხრობით მან ძლიერი ჯარი შეკრიბა მიხეილის წინააღმდეგ. არც აღმოსავლელ-

¹ ათინგანები, ანუ მელქისედეკიტები განსაკუთრებულ სექტას წარმოადგენდნენ.

ἐθῶν, κατὰ διαφόρους καιρούς οἱ οὗτοι αὐτῶν προσεργήσαν καὶ συνείποντο, οἱ μὲν κατὰ γῆν, οἱ δὲ κατὰ θάλασσαν, νέψι Ξέρξῃ καὶ δημοπίστοις ἀναφανέντι, ὡς ἐντεῦθεν καὶ πάντα τὰ θέματα σὺν τοῖς στρατηγοῖς σπένδεσθαι τούτῳ συνέβαινε, Ὀλβιανοῦ μόνου, τοῦ τῶν Ἀρμενικῶν στρατηγοῦντος, τούτους περινοήσας ἐπιπειθεὶς ἄγοντος, καὶ Κατάκλυα τοῦ Ὀφικίου τῷ βασιλεῖ Μιχαήλ γε προσκειμένων. καὶ τοσοῦτον ἐπολυπλασίαζε τὸ πλῆθος κατὰ τῶν ἐμοφύλων, ὥστε καὶ τοὺς Σαρακηνούς ἐπ' ἀδείας λαβέσθαι καὶ πάσας νήσους καὶ χώρας καταληΐζεσθαι, καὶ καθέξειν ἕλωσ αὐτάς, εἰ μὴ μετὰ ταῦτα τούτοις διὰ πολλῆς φήμης ἀνανταγώνιστος ὁ Θωμᾶς ἀνεδέδεκτο. οἱ δ' ἔπειρᾶται πρὸς αὐτούς κηρυκεύεσθαι τρόπῳ τοιούτῳ, πανούργως ἐνδεδεάσας¹ ὅπερ αὐτοῖς βουλητὸν ἴσμεν, νίξεται τῇ ἐκείνου παμπληθεῖ δυνάμει καταπλαγεῖσιν. διαπέμπεται οὖν πρὸς αὐτούς εἰρήνην ἀνακαλούμενος, πολλῶν δὲ μᾶλλον συνασπισμὸν, τῆς βασιλικῆς ἀντιέξουσιν ἀποπτώσεως.

არ დაებრუნებინა უბრძოლველად, თავისი დიდი სახელგანთქმულობის წყალობით. ამის გამო მან სცადა მათთან მოლაპარაკება იმნაირად, რომ ეშმაკურად მოატყუა და მათ, მისი უამრავი ჯარით

თავან აკლდა ვინმე, არც თვით დასავლელთაგან, არც უცხო-ტომელთაგან, არც ადგილობრივ მკვიდრთაგან და არც მეზობელთაგან, არც ვინმე იმათგან, ვინც მონურ ბედში იყო და ბატონი სძულდა, არც მთელ ტომთაგან იყო ვინმე, რომ ისინი სხვადასხვა დროს არ მოსულიყვნენ მასთან – ზოგნი ხმელეთით, ზოგნი ზღვით – და არ მიმხრობოდნენ მას. ერთ-მორწმუნეთა შორის მოვლენილ ახალ ქსერქსს, ისე რომ შემდეგ ყველა თემი¹ თავიანთი სტრატეგოსებითურთ მას ეახლა კავშირის შესაკრავად; მხოლოდ არმენიაკთა თემის სტრატეგოსი ოლვიანე, რომელსაც ეს არმენიაკები თავისი ფრთხილი ხელმძღვანელობის მორჩილებაში ჰყავდა, და ოფსიკიონის თემის სტრატეგოსი კატაკილა მიხილ მეფის ერთგულნი დარჩნენ. და ისე გაიზარდა რიცხვი თვისტომთა წინააღმდეგ მებრძოლებისა², რომ სარკინოზები თავისუფლად და უშიშრად არბევდნენ მთელ კუნძულებსა და ქვეყნებს, და მთლადაც დაიპყრობდნენ მათ, რომ ამის შემდეგ თომას ისინი უკან

¹ იგულისხმება ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები (θέματα).

ე. ი. გაჩაღდა შინაური ბრძოლა, სამოქალაქო ომი. კლასიკურ ბერძნულში არის მხოლოდ ზმნა δελεάζω.

გაკვირვებულთ, შეპირდა სურვილების ასრულებას. და, აი, გზავნის მათთან მოციქულებს და წინადადებას აძლევს შეკრან მასთან ზავი, ან უფრო მეტი, კავშირი შეკრან და მხარი დაუჭირონ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას.

Ποιείται τοίνυν σπονδὰς μετ' Ἀγαρηῶν, εἰδὼς τοὺς αὐτῶν ἀρχηγούς, ἀναδείτῃ στέφος βασιλείον παρὰ τοῦ ἀρχιερέως Ἀντιοχείας Ἰώβ, εἶτα μετ' Ἀγαρηῶν, Ἰνδῶν, Αἰγυπτίων, Ἀσσυρίων, Μήδων, Ἀβασγῶν², Ζηγῶν Ἰβήρων, Καβείρων³, Σκλάβων, Οὐγγων, Βανδύλων, Γετῶν καὶ ὅσοι τῆς Μένεντος βδελυρίας μετείχον, Λαζῶν τε καὶ Ἀλανῶν, Χάλδων τε καὶ Ἀρμενίων καὶ ἑτέρων παντοίων ἔθνων πολυθρήσκητον πανστρατιᾶν στρατοπεδευσάμενος ἀπάσης τῆς ἀνατολῆς ἐκυρίευσεν, τελευταῖον μέρεσι τοῖς κατὰ Θράκην προσεμπελάσας ἐλεπολεῖν τὸ Βυζάντιον ἐκβιάζεται ἰππεῦσιν ἐνόπλοις καὶ πετροβολισταῖς τοῖς ὑπὸ χεῖρα πεζοῖς, ἔτι καὶ σφενδονισταῖς γε καὶ πελτασταῖς ἀμέτροις ἐπιρωννύμενος, προσέτι μὴν καὶ πολιορκητικοῖς οὐκ ὀλίγοις τεχνάσμασι κρατυνόμενος. μεθ' ὧν πολλὰκις τοῖς κατ' ἠπειρον τείχεσι προσβαλὼν ἀπρακτος ἀποκρούεται, τοῦ βασιλικῶν παιδὸς Θεοφίλου⁴

ამგვარად, თომა კავშირს ჰკრავს აგარიანებთან, მათი წინამძღოლის ნებართვით, და სამეფო გვირგვინს იდგამს ანტიოქიის მღვდელმთავრის (პატრიარქის) იოვის¹ ხელით; შემდეგ შექმნა სახელგანთქმული საერთო ჯარი აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა, აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა³, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტთაგან, და ყველა იმათგან, ვინც მანის მწვალელობას იზიარებდა, აგრეთვე ლაზთა და ალანთაგან, ხალდთა და არმენიელთაგან და ყოველგვარ სხვა ტომთაგან შექმნა ჯარი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონდა; დასასრულ, როდესაც მიუახლოვდა თრაკიის მხარეებს, განიზრახა ალყა შემოეერთყა და აეღო ბიზანტიონი; თომას განკარგულებაში იყვნენ კარგად შეიარაღებული ცხენოსნები ქვისმტყორცნელი ქვეითა ჯარი, აგრეთვე მეშურდულენი და უამრავი პელტასტები; გარდა ამისა, ძლიერი იყო

¹ „თეოფანეს გამგრძელებელი“ იოვის ნაცვლად ანტიოქიის პატრიარქად ასახელებს იაკობს.

² ხელნაწერებშია Ἀβασίων, რაც დამწერლობის ნიადაგზე წარმოშობილი შეცდომა უნდა იყოს.

³ ლაიფციგის ხელნაწერში (L) სწერია *Σαβήριων*.

⁴ თ ე ო ფ ი ლ ე – მიხეილ II-ის შვილი, რომელიც შემდეგ მეფობდა 829 – 842 წლებში.

αὐτοῖς ἐπιόντος καὶ διαγωνιζομένου τὰ μάλιστα, ἀλλὰ μὴν καὶ τοῦ πατρὸς Μιχαὴλ ἔσθ' ὅτε ὑπετόντος καὶ τοῖς ὑπεναντίοις ἐπιτιθεμένου αὐτόχειρος.

ქცეულ იქმნა, რადგან უფლისწული თეოფილე თავს დაეცა მათ და სასტიკად შეებრძოლა, გარდა ამისა თვით მამაც, მიხეილი, ფარულად გამოხდა და საკუთარი ძალებით შეუტია მოწინააღმდეგეებს.

Ὅθεν ἀπηχωνὸν ἔθωμάς καὶ ἐπὶ ναυμαχίαν προσέρχεται, πολλὴν ἐκλάσθων σωρείαν ἐπαγόμενος, κακέισε παρὰ πλεῖστος ἐνδυστυχεῖ· αὐταὶ γὰρ τῇ πολεμικῇ ψυρὶ κατανάλωντο, τῆς περὶ τοῦτου παρὰ βραχὺ τὸ πρὶν διοκλυμένης εἰδήσεως¹, τηρικαντα δὲ ὁπῶς ἀνευρεθείσης. Καλλίνικός τις τῶν ἐξ Αἰγύπτου, ἀνὴρ ἐχέφρων καὶ αὐτὸς μόνος εἰδήμων τῶνδε, παρρησιασάμενος ἔφη τῇ βασιλεῖ κατὰ Θωμά συμπονήσειν αὐτῇ παρὰ θάλασσαν, εἴπερ προσέλθοι. δὲ τηρικαντὸς τῶνδε συνθεῖς τοῖς ναυάρχαις ἐπεχορήγησεν.

წინააღმდეგ საბრძოლველადო. და მან ოსტატურად შეამზადა ეს ცეცხლი და ნავარებს მიაწოდა.

Ἐπὶ τρισὶ δὲ ὁ θεῖλαιος ἐνεωτερίσατο ἕτεσιν (CB, 32—34).

არა მცირედი რაოდენობის საალო მანქანებით. ამ ძალებით ბევრჯერ მიიტანა თომამ იერიში ქალაქის კედლებზე ხმელეთით, მაგრამ ვერაფერს გახდა და უკუ-

ამიტომ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა თომამ მიმართა საზღვაო ბრძოლას და დიდი შენაერთი ხომალდებისა მოიყვანა, მაგრამ აქაც იმგვარადვე დამარცხდა: მისი ხომალდები სამხედრო ცეცხლით იქმნა განადგურებული. ამ ცეცხლის შესახებ არსებული წინანდელი ცოდნა თითქმის დაკარგული იყო და მაშინ კვლავ იქმნა მოპოვებული. ერთმა ეგვიპტელმა კალინიკემ, კაცმა ნიჭიერმა და ამ საქმის ერთადერთმა მცოდნემ თამამად უთხრა მეფეს: თუ ინებებ, გამგზავნე ზღვაში თომას


სამი წლის განმავლობაში განაგრძობდა უბედური თომა აჯანყებას².

¹ იგულისხმება ე. წ. „ბერძნული ცეცხლი“, რომელიც პირველად გამოიყენეს ბიზანტიელებმა 673 წელს არაბებთან ბრძოლაში კონსტანტინეპოლის მისადგომებთან. ამ ცეცხლის გამოგონებას გადმოცემა მიაწერს ინჟინერ კალონიკუსს. გენესიოსს კი კალინიკე მიაჩნია ამ ცეცხლის აღმადგენლად მიხეილ II-ის დროს.

² ამ თავში გენესიოსი მოგვითხრობს იმ აჯანყების შესახებ, რომელსაც სათავეში ედგა თომას ლავი და რომელსაც ადგილი ჰქონდა 822 – 824 წლებში.

თომას წარმოშობის შესახებ სხვადასხვა ცნობებია დაცული; გენესიოსის თქმით იგი სკვითი იყო (სხვა ადგილას მას ნათქვამი აქვს, რომ თომა სომეხი

არმენიელთა წარმოშობა



ლეონი ¹ ნარევი წარმოშობისა იყო, ასირიელთაგან და არმენიელთაგან, – რომელნიც საკუ-

იყო), თეოფანეს გამგრძელებლის სიტყვით თომა სლავი იყო, ხოლო სვიმეონ მაგისტროსი მას „რომაელს“ (ე. ი. ბიზანტიელ ბერძენს) ეძახის. პირველად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა თომა IX საუკუნის პირველ წლებში: ის თანაგანმზრახველი იყო ვარდანისა, რომელმაც 803 წელს აჯანყება მოაწყო იმპერატორ ნიკიფორეს წინააღმდეგ სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით და დამარცხდა. ამ აჯანყების შედეგად თომა გაძევებულ იქმნა ბიზანტიის საზღვრებიდან და ხალიფის სამფლობელოში ცხოვრობდა. გაძევებიდან დაბრუნების შემდეგ (ლეონ V-ის მეფობაში) თომა დანიშნულ იქმნა ტურმარქად. ჯერ კიდევ ლეონის მეფობის ბოლო ხანებში თომა შეუდგა სამზადისს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. 820 წელს რომ ლეონი მოკლულ იქმნა და მიხეილ II გამეფდა, გენერალმა თომამ, რომელსაც უკვე დიდი წინასწარი სამზადისი ჰქონდა ჩატარებული, აჯანყება მოაწყო მცირე აზიაში და ამ აჯანყებაში ჩაითრია მცირე აზიისა და კავკასიის მრავალი ტომი, მათ შორის ი ბ ე რ ე ბ ი, ა ბ ა ზ გ ე ბ ი და ლ ა ზ ე ბ ი.

აჯანყებამ მიიღო სოციალური ხასიათი და სწორედ მოსახლეობის დაბალი ფენები, რომლებიც ამ აჯანყებიდან ელოდნენ ბატონთა უღლის გადაგდებას, მრავლით მონაწილეობდნენ აჯანყებაში, მაგრამ აჯანყებას არ ჰქონია ორგანიზებული ხასიათი და არც კლასობრივი მიზანდასახულობა; თომას, როგორც წყაროებიდან ჩანს, სრულიადაც არ ჰქონია მიზნად არსებული წყობილების სისტემის შერყევა. იმ მიზნით რომ გაემარჯვა და სამეფო ტახტი ხელში ჩაეგდო, იგი თავის ბანაკში თავს უყრიდა ყველა უკმაყოფილო ელემენტს: ხატისთაყვანისმცემელ ბერ-მონაზვნებს, რომელთაც არ მოსწონდათ ხატისმებრძოლ კეისართა საკანონმდებლო პოლიტიკა, კეისრის კარზე პატივ-აყრილ დიდებულებს, რომელნიც თავისი დაკარგული თანამდებობების აღდგენაზე ოცნებობდნენ. ერთი სიტყვით, აჯანყების მონაწილეთა შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო: იქ იყვნენ გაერთიანებული ერთიმეორისათვის კლასობრივად უცხო ელემენტები. ამიტომ გასაგებია, რომ აჯანყება, რომელიც სამ წელს (822 – 824) გაგრძელდა, დამარცხდა. მიუხედავად ამისა, მეტად საგულისხმოა აჯანყების მონაწილეთა შემადგენლობის შესწავლა, რადგან ამით ჩვენ შევძლებთ იმ მიზეზების გარკვევას, რომლებიც აიძულებდნენ, მაგალითად, თესალონიკის სლავებს, ან იბერებს, აზაზგებსა და ლაზებს აჯანყებას მომხრობოდნენ.

ოსებ გენესიოსი პირველი ძირითადი წყაროა, რომელიც თომას აჯანყებაზე მოგვითხრობს. გენესიოსის ცნობებზე დაყრდნობით იმავე აჯანყებაზე მოგვითხრობს თ ე ო ფ ა ნ ე ს გ ა მ გ რ ძ ე ლ ე ბ ე ლ ი (Theophanes Continuatus). გენესიოსის ცნობების სინამდვილეს ადასტურებს მიხეილ II-ის წერილი ლუდოვიკისადმი, რომელშიც თომას მომხრეთა შორის დასახელებული არიან იბერები, აზაზგები და სომხები (იხ. К. Э. Л и п ш и ц, Восстание Фомы Славянина: ВДИ 1939, № 1)

¹ ლაპარაკია ლეონ V-ზე, რომლის მეფობის ისტორიას მიუძღვნა გენესიოსმა თავისი შრომის I წიგნი.

Ξαναστάντων αὐτοῦς τε μαιφογη-
σαμένων καὶ πρὸς τοὺς τῶν Ἀρμε-
νίων χωρίοις κατὰ φυγαδεῖαν ἐν-
σκηνοσάντων, ἀκείσε τὸν ἀνήμε-
ρον θῆρα τεκεῖν· ἐξ ᾧν ἕτερογε-
νὲς τι τεράστιον κεχρημάτικεν.

სხვა ჯიშის რაღაც საკვირველება გაჩნდა.

Ἀρμενίους δὲ φασιν ἐξ Ἀρμε-
νου κληθῆναι τοῦ ἀπὸ Ἀρμενίου
πόλεως Θετταλίας, ὅς Ἰάσονι
συνεστράτευσεν.

Εκκρατῆται δὲ Λέων τῆς βασι-
λείας ζ' ἔτεσι καὶ μησὶ ε' κατὰ
θεοῦ ὑψίστου ἐμμανῶς ἀρχησάμε-
νος (CB, 28—29).

თარი მშობლების წინააღმდეგ აჯანყდნენ, ისინი მოკლეს და არმენიელთა ქვეყნების საზღვრებში ლტოლვილებად დაბინავდნენ, რომ იქვე ეს მოუთვნიერებელი მხეცი დაებადებინათ. მათგან

ამბობენ, რომ არმენილებმა ეს სახელი მიიღეს ვინმე არმენი-საგან, რომელიც თესალიის ქალაქ არმენიდან იყო და იაზონთან ერთად ილაშქრა.

ლეონმა იმეფა შვიდ წელსა და ხუთ თვეს, და მაღალი ღმერთის მიმართ სულელურად ამაცობდა.

გიორგი ამარტოლი

გიორგი ამარტოლი (Γεώργιος Ἀμαρταλός) ავტორია „ქრონოგრაფიისა“, რომელიც მან მიხეილ III-ის მეფობაში (842 – 867) დასწერა და რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ადამიდან კეისარ თეოფილეს გარდაცვალების წლამდე (842 წ.). თხზულების სათაურია: „შემოკლებული ქრონიკა, სხვადასხვა ქრონოგრაფთაგან და განმმარტებელთაგან ამოკრეფილი და შედგენილი ცოდვილი მონაზონის გიორგის მიერ“ (Χρονικόν συντομον ἐκ διαφόρων χρονογράφων τε καὶ ἐξηγητῶν συλλεγὲν καὶ συντεθὲν ὑπὸ Γεωργίου ἀμαρταλοῦ μοναχῶν).

თავის „ქრონოგრაფიაში“ გიორგი მტრულად ეკიდება ხატისმებრძოლ კეისრებსა და მათ მიმდევრებს. რელიგიურ საკითხებზე კამათთან დაკავშირებით იგი დაწვრილებით მსჯელობს ბერძენთა მითოლოგიაზე, პლატონის მოძღვრებაზე, კერპთთაყვანისმცემლობაზე, სარკინოზთა სარწმუნოებაზე და სხვა ამგვარზე. „ქრონოგრაფიაში“ ისტორიული ამბებიც საკმარისი სისრულით არის მოთხრობილი და ეპოქის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებაც ასახული. ამით აიხსნება, რომ გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფია“ ფართოდ გავრცელებული სახელმძღვანელო იყო მსოფლიო და ბიზანტიის ისტორიისა. მას, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოდ იყენებდნენ მეზობელ ქვეყნებშიც. სლავურ ქვეყნებში ადრევე გადართარგმნა ის და ცნობილია მისი ბულგარულ-სლავური და სერბულ-სლავური რედაქციები¹. ქართულადაც ითარგმნა იგი XII საუკუნის დასაწყისში არსენი იყალთოელის მიერ².

გიორგი ამარტოლს რამდენიმე გამგრძელებელი გამოუჩნდა და მათ მოთხრობა გააგრძელეს: ზოგმა 948 წლამდე, სხვებმა – 1071, 1081 და აგრეთვე 1142 წლამდისაც.

¹ იხ. В. М. И с т р и н, Хроника Георгия Амартола в древнем славянорусском переводе, том I, Пгр. 1920; том II, Пгр. 1922.

² იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფი, ნაწილი I (ტექსტი), თბ. 1920; ნაწილი II (გამოკვლევა), თბ. 1926; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა: ეტიუდები I, თბ. 1936; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „რუსთაველის კრებული“, თბ. 1938, გვ. 141 – 143.

ხელთ გვეყონდა ტექსტი და თარგმანი:

Georgii Monachi Chronicon, edidit Carolus de Bour.

I – II. Lipsiae 1904 (Teubner).

ხრონოლოგია გიორგი მონაზონისაჲ, გამოცემა სიმ. ყაუხჩიშვილისა. თბილისი 1920 (ეს ძველი ქართული თარგმანი წყდება თეოდოსი I-ის მეფობაზე).

იაფეთი და მისი მოდგმა

Καὶ γίνεται διαμερισμὸς ἦτοι διασπορὰ τῶν υἱῶν Νῶε καὶ τῶν ἐξ αὐτῶν γεννηθέντων.

Ὁ μὲντοι Σήμ ἐγέννησε τὸν Ἑλᾶμ καὶ τὸν Ἀσσοῦρ καὶ τὸν Ἀρφαξᾶδ καὶ τὸν Λούθ... ὁ δὲ Ἰάφεθ τὸν Γάμερ καὶ τὸν Μαγῶγ καὶ τὸν Θήρα καὶ τὸν Ἰωῦαν καὶ τὸν Ἑλισᾶ καὶ τὸν Θωβέλ καὶ τὸν Μοσόχ καὶ τὸν Μαδαί.

Μετὰ γοῶν τὴν σύγχυσιν... κατακληροῦνται τῇ μὲν πρωτοτάκῳ υἱῷ Νῶε Σήμ ἀπὸ Περσίδος καὶ Βάκτρων ἕως Ἰνδικῆς καὶ Πινοκουρούρων τὰ πρὸς ἀνατολήν, τῇ δὲ Χάμ ἀπὸ Πινοκουρούρων ἕως Γαδεύρων τὰ πρὸς νότον, τῇ δὲ Ἰάφεθ ἀπὸ Μηδείας καὶ ἕως Γαδεύρων τὰ πρὸς βορρᾶν.

Αἱ δὲ λαχοῦσαι χῶραι τῇ μὲν Σήμ εἰσὶν αὐταί· Περσίς, Βακτριανή, Ὑρακλῖα... τῇ δὲ Ἰάφεθ Μήδεια, Ἀλβανία, Ἀρμενία μικρά τε καὶ μεγάλη, Καππαδοκία, Παφλαγονία, Γαλατία, Κολχίς, Βοσπόρη, Μαιῶτις, Δέρβις, Σαρμάτις, Ταυριανίς, Βουταρνίς, Σκυθία,

და მოხდა განყოფა ანუ განთესვა ნოეს ვაჟებისა და მათგან შობილთა.

და სემმა შვა ელამი, ასური, არფაქსადი, ლული... ხოლო იაფეთმა შვა გამერი, მაგოგი, თირა, იოჯანი, ელისა, თოზელი, მოსოხი და მადაი.

შერევის შემდეგ... წილად ხვდა ნოეს პირმშო ვაჟს სემს ქვეყნები სპარსეთიდან და ბაქტრიიდან ვიდრე ინდოეთამდე და რინოკურურამდე აღმოსავლეთის ქვეყნები; ქამს შეხვდა რინოკურურიდან ვიდრე ლადირამდე სამხრეთის ქვეყნები, ხოლო იაფეთს მიდიიდან ვიდრე ლადირამდე ჩრდილოეთის ქვეყნები.

ხოლო სემს შეხვდა წილად ეს ქვეყნები: სპარსეთი, ბაქტრიანე, პირკანია (და სხვა ქვეყნები)... იაფეთს კი შეხვდა: მიდია, ალბანეთი, სომხეთი როგორც მცირე ისე დიდი, კაპადოკია, პაფლაგონია, გალატია, კოლხეთი, ბოსპორი, მეოტისი, დერმისი...

Θράκη, Μακεδονία, Δαλματία, Μολοσσία, Θεσσαλία, Δοκρίς, Βοιωτία, Αίτωλία, Ἀττική, Ἀχαΐα, Πελοπόννησος ἢ καὶ Πελοπόννησος, Ἀρκαδία, Ἡπειρώτις, Ἰλλυρίς, Δυκνίτις, Ἀδριακή, ἐξ ἧς τὸ Ἀδριακὸν πέλαγος. ἔχει δὲ καὶ νήσους Βρετανίαν, Σικελίαν, Εὐβοίαν, Ῥόδον, Χίον, Λέσβην, Κυθῆραν, Ζάκυνθον, Κεφαλληνίαν, Ἰθάκην, Κέρκυραν, καὶ μέρος τι τῆς Ἀσίας τὴν καλουμένην Ἰωνίαν, καὶ ποταμὸν Τίγγριν τὸν διορίζοντα μεταξὺ Μηδείας καὶ Βαβυλῶνος (de Boor, 54—56).

სარმატია, ტავრიანისი, ბუტარნისი, სკვითია, თრავია, მაკედონია, დალმატია, მოლოსი, თესალია, ლოკრიდა, ბეოტია, ეტოლია, ატიკა, აქაია, პელენისი, რომელსაც პელოპონესიც ეწოდება, არკადია, ეპიროტისი, ილირია, ლიხნიტი, ადრიაკის ზღვა. აქვს მას აგრეთვე კუნძულები: ბრეტანია, სიცილია, ევბოა, როდოსი, ქიოსი, ლესბოსი, კითერა, ზაკინთი, კეფალენია, ითაკე, კერკირა და ნაწილი აზიოსა, ეგრეთწოდებული იონია, და მდინარე ტიგროსი, რომელიც მიდიასა და ბაბილონს შუა არის.

ქართველთა და სომეხთა მოქცევა

Ἐπὶ τούτου γὰρ τοῦ μακαρίου² καὶ οἱ ἐνδοτέροι Ἰνδοὶ καὶ Ἰβηρες προσήλθον τῷ ἁγίῳ βαπτίσματι, καὶ οἱ Ἀρμένιοι τελείως ἐπίστευσαν μετὰ καὶ τοῦ βασιλέως αὐτῶν Τηριδάτου διὰ τοῦ πολυάθλου μάρτυρος καὶ μεγάλου Γρηγορίου ἀρχιεπισκόπου αὐτῶν (de Boor 502, 11—15).

ამ ნეტარი კონსტანტინეს დროს წმინდა ნათლისღება მიიღეს აგრეთვე შინაგანმა ინდებმა² და იბერიელებმა. სომეხებმაც სრულად ირწმუნეს ქრისტე თავის მეფესთან ტირიდატესთან ერთად მათი ღვაწლმრავალი მოწამისა და მთავარეპისკოპოსის დიდი გრიგოლის მეშვეობით³.

¹ ეს ამბავი მოთხრობილია კონსტანტინე I-ის მეფობის ისტორიის შემცველ თავში, ასე რომ აქ იგულისხმება კონსტანტინე მეფე, რომლის დროს მომხდარა, გიორგი ამარტოლის ცნობით, იბერიელთა და სომეხთა გაქრისტიანება.

² „შინაგანი ინდების“ სახელით ეთიოპელები იხსენიებიან.

³ ძველქართულ თარგმანში ასე სწერია: «რამეთუ ამის ნეტარისა მეფისა-ზე უშინაგანესნი ჰინდონი და ქართველნი მოუქდეს საღმრთოსა ნათლის ღებასა, და სომეხთა სრულიად ჰრწმენა ტირიდატის თანა მეფისა მათის ღუაწლ მრავლისა მიერ მოწამისა და მთავარეპისკოპოსისა მათისა დიდისა გრიგოლისსა» (გვ. 262 – 263 ქართული გამოცემისა).

იბერიელი ბაკური

Οἱ στρατηγοὶ... εἰς τὸν πόλεμον ἀνεψυχώθησαν, ἐξαιρέτως δὲ Βακσύριος, ἀνὴρ τῇ πίστει καὶ τῇ εὐσεβείᾳ καὶ τῇ ἀρετῇ τῆς ψυχῆς καὶ τοῦ σώματος ἐνδοξός, πάντας τοὺς πλησίον τυγχάνοντας τοῦτο μὲν τῷ κοντῷ, τοῦτο δὲ τοῖς βέλεσιν, ἔσται δ' ὅτε καὶ τῷ ξίφει ἐστρώνησεν, καὶ τὰ τάγματα τῶν πολεμίων συνεζευγμένα καὶ συγκεκροτημένα διέρρηξε καὶ διὰ μέσου τοῦ πλήθους τῶν πεπτωκότων τὰς τάξεις διασχίσας καὶ τοὺς σωρούς τῶν νεκρῶν παρῶν πρὸς αὐτὸν ἐπορεύετο τὸν τύραννον. καὶ τοῦ ἀνέμου σφοδρῶς γεινομένου Εὐγένιος πρὸς τοὺς πόδας τοῦ βασιλέως ὀπίσσω θεδεμένῳ αὐτῷ τῶν χειρῶν ἦχθη, ἀκχείσει τῆς αὐτοῦ ζωῆς καὶ τοῦ πολέμου τὸ τέλος ἐγένετο (de Boor 591—592).

სარდლები... საბრძოლველად გამხმევდნენ, განსაკუთრებით კი ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით: ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყებანი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია, გვამების გორაკებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მივიდა. როდესაც ძლიერი ქარი ამოვარდა, ევგენიოსი, უკან ხელებ-შეკრული მეფეს ფერხთით მიჰკვარეს, და ამით ბოლო მოეღო მის სიცოცხლესაც და ომსაც ².

¹ აქ მოთხრობილია იბერიელი ბაკურის ბრძოლის შესახებ ევგენიოსის წინააღმდეგ. ევგენიოსი (Flavius Eugenius), ლათინური რიტორიკის ყოფილი პროფესორი და რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში magister srinii-ს თანამდებობაზე მყოფი, იმპერატორად გამოაცხადებინა ჯარს 392 წელს თეოდოსი I-ის მთავრობისადმი მტრულად განწყობილმა, ე. წ. „წარმართული პარტიის“ მეთაურმა დასავლეთში, ფრანკმა არბოგასტიემ. ამ უზურპატორ ევგენიოსის წინააღმდეგ თეოდოსიმ დიდძალი ჯარი წაასხა: გარი უმეტესად „ბარბაროსებისაგან“ შედგებოდა; მარტო ჯუთი იყო ოცი ათასი და მათ აღარიხი წინამძღოლობდა. მრავალი სხვა სარდალიც ჰყავდა აქ თეოდოსის: წყაროები განსაკუთრებით იხსენიებენ სტილიხონსა და ბაკურის, უკანასკნელს – როგორც comes domesticorum. 394 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდა ბრძოლა მდინარე Frigidus-თან (იტალიაში). ამ ბრძოლაში, როგორც გიორგი ამარტოლიც სწერს, თავი ისახელა ბაკურიმ. ისტორიკოსი ზოსიმე, რომელიც არბოგასტეს და ევგენიუსის ამბებს დაწვრილებით აგვიწერს, გადმოგვცემს, რომ ბაკური ამ ბრძოლაში დაიღუპა. ჩანს, გიორგი ამარტოლი ამავე წყაროს იმეორებს, როდესაც წერს, რომ ფრიგიდუსთან ბრძოლაში „ბოლო მოეღო მის (ბაკურის) სიცოცხლეს“. იხ. E. Stein, Geschichte des spatromischen Reiches I (1928), გვ. 325 – 334; ს. ყაუხჩი იშვილი, ლიბანიოსი და ბაკური: ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები I (1940), გვ. 13 – 22); გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? თბ. 1947.

სვიდას ლექსიკონი

სვიდას (Σσιδα) სახელით მოღწეულია X საუკუნის შუა წლებში შედგენილი უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსიკონი. იგი განმარტებულია ენციკლოპედიური ხასიათისა: ერთი მხრით იქ განმარტებულია მაშინდელი მკითხველისათვის გაუგებარი ძველი ბერძნული სიტყვები ¹, მეორე მხრით მოიპოვება მოკლე თუ ვრცელი სტატიები ამა თუ იმ ძველ მოღვაწეზე ან გეოგრაფიულ პუნქტზე ².

ლექსიკონის ავტორს ენობრივი ხასიათის განმარტებისათვის უსარგებლია ჰარპოკრატიონის, ჰელადიოს ალექსანდრიელის (V საუკ.) და ევდემოსის ლექსიკონებით, აგრეთვე სქოლიოთა კრებულებით (მაგალითად, არისტოფანეს კომედიებისა და სოფოკლეს ტრაგედიათა სქოლიოებით), ხოლო საისტორიო ხასიათის სტატიებისათვის მისი წყაროა კონსტანტინე პორფიროგენეტის კრებულებში მოთავსებული ნაწყვეტები ისტორიკოსთა თხზულებებიდან. მაგრამ კონსტანტინეს „ექსცერპტებთან“ შედარება ლექსიკონში მოყვანილი ციტატებისა გვარწმუნებს იმაში, რომ ლექსიკონის ავტორი უშუალოდაც იცნობს ზოგიერთ ისტორიკოსთა თხზულებებს (მაგალითად, აგათია სქოლასტიკოსსა და პროკოპი კესარიელს). ლექსიკონის ავტორი კარგად იცნობს აგრეთვე გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიას“.

ლიტერატურული ხასიათის სტატიებიდან ჩანს, რომ ლექსიკონის ავტორი კარგად იცნობს ჰომეროსს, ჰესიოდეს, პინდარეს, სოფოკლეს, არისტოფანეს და „ანთოლოგიას“; ევრიპიდეს, კომედიოგრაფებისა და ელინისტური პერიოდის პოეტთა ნაწარმოებებიდან ნიმუშები მას მოჰყავს, როგორც ჩანს, ლექსიკონებიდან და კომპილაციური კრებულებიდან.

ლექსიკონის ავტორად ბოლო ხანებამდე მიჩნეული იყო ვინმე სვიდა (Σσιδα). უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია იმაზე, თუ რას ნიშნავს Σσιდა: არის ეს ავტორის სახელი თუ ნაწარმოების სათაურს წარმოად-

¹ ნიმუშები იხ. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში.

გენს. ამ კამათის შედეგად ჯერჯერობით შეიძლება დადასტურებულიად ჩაითვალოს, რომ:

1) ამ სიტყვის ორთოგრაფია არის Σιδά;

2) ეს ავტორის სახელი კი არ არის, არამედ ის პირველი სიტყვაა, რომლითაც იწყებოდა ლექსიკონის ხელნაწერი, მაშასადამე, ეს არის თხზულების, ასე ვთქვათ, სათაური;

3) ხელნაწერის ამ პირველი სიტყვის მიხედვით ე ვ ს ტ ა თ ი თ ე ს ა ლ ო ნ ი კ ე ლ მ ა (XII საუკუნის ფილოლოგოსმა) თვითნებურად გააკეთა ავტორის სახელი Σιδά.

რატომ შეიძლებოდა რქმეოდა ლექსიკონს Σιδά? ეს სიტყვა სამხედრო ტერმინია და გვიან ხანებში ნიშნავს „თხრილს“, ხოლო უფრო ძველ საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში IX საუკუნემდე, იგი ნიშნავდა „(ხის) სიმაგრეს“, „ზღუდეს“, „საფარველს“ (რომელიც შეიძლებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანათ, ე. ი. მოძრავი ზღუდე იყო). და, აი, სვიდას ლექსიკონის ზოგიერთს ხელნაწერში თავში ასე სწერია: Τό μὲν παρὸν βίβλιον Σιδά, οἱ δὲ Συσταξάμειοι τούτοι ἀνδρες σοφοί „წინამდებარე წიგნი არის «სიმ ა გ რ ე», ხოლო მისი შემდგენელნი არიან ბრძენი კაცები“. ეს მინაწერი საბუთს აძლევს მკვლევართ ამტკიცონ, რომ ლექსიკონს ერქვა Σιδά, რაც სამხედრო ტერმინია, ხოლო ამ ლექსიკონის შემდგენელნი (συσταξάμειοι) ჯარისკაცები კი არ არიან, არამედ ბრძენი კაცებიო. აქედან ცხადია, რომ „ს ვ ი დ ა“ ლექსიკონისათვის შერქმეული მეტაფორული სახელია, ხოლო მის შემდგენელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია ჩვენთვის ².

სვიდას ლექსიკონიდან ცნობების ამოკრევის დროს ხელთ გვექონდა:

S u i d a e Lexicon, ex recognitione Immanuelis Bekkeri.

Berolini 1854.

S u i d a e Lexicon. Edidit Ada Adler. Pars I, Lipsiae 1928;

Pars II, L. 1931 ³.

¹ აქ ნახმარია სიტყვა συσταξάμειοι, რაც პირველ რიგში სამხედრო ტერმინია და ითქმის ჯარისკაცთა დაწყობაზე რაზმებად, ხოლო შემდეგ გრამატიკაშიც არის გამოყენებული (შდრ, „სინტაქსი“).

² იხ. F. D ö l g e r, Zur Σιδά-Frage: BZ 38 (1938), 36 – 57 და იქ აღნიშნული ლიტერატურა.

³ ადა ადლერის გამოცეპით სვიდას ლექსიკონი გამოსულია ხუთ წიგნად, ხოლო ჩვენ მხოლოდ პირველი ორი წიგნი გვექონდა ხელთ.

Ἄγαθίας σχολαστικὸς Μυριναῖος, ὁ γράψας τὴν μετὰ Προκόπιον ἱστορίαν τὸν Καισαρέα, τὰ κατὰ Βελισάριον καὶ τὰς ἐν Ἰταλίᾳ καὶ ἐν Λιβύῃ πράξεις, τουτέστι τὰ κατὰ Ναρσὴν ἐν Ἰταλίᾳ καὶ τὰ ἐν Δαξικῇ καὶ Βυζαντίῳ. οὗτος συνέταξε καὶ ἕτερα βιβλία, ἔμμετρά τε καὶ καταλογάδην, τὰ τε καλούμενα Δαφνιακὰ καὶ τὸν Κύκλον τῶν νέων ἐπιγραμμάτων, ὃν αὐτὸς συνήξεν ἐκ τῶν κατὰ καιρὸν ποιητῶν· συνήχημασε δὲ Παύλῳ τῷ Σιλεντιαρίῳ καὶ Μακεδονίῳ τῷ ἑπάτῳ καὶ Τριβουνιανῷ, ἐπὶ τῶν Ἰουστινιανοῦ χρόνων.

აგათია სქოლასტიკოსი, მირინელი¹; მან დასწერა პროკოპი კესარიელის ისტორიის გაგრძელება, აღწერა ველიზარის მოღვაწეობა და როგორც იტალიაში, ისე აფრიკაში მომხდარი ამბები, ესე იგი ნარსეს მოღვაწეობა იტალიაში და აგრეთვე ამბები, მომხდარი ლაზეთში და ბიზანტიონში. მან სხვა წიგნებიც შეთხზა, ლექსად და პროზად, ეგრეთწოდებული „დაფნიაკა“ და ახალი ეპიგრამების „კრებული“, რომელიც მან შეადგინა თანამედროვე პოეტთა ნაწარმოებებიდან. ის მოღვაწეობ-

და პავლე სილენციარისთან, მაკედონიოს იპატოსსა და ტრიბონიანესთან² ერთად იუსტინიანეს მეფობის ხანაში.

Αἶα· ἡ γῆ.

Αἶαία³ νῆσος.

Αἰήτης· ὄνομα κύριον. καὶ Αἰήτειον ἔπος.

Ἄκαμψις⁴ ὄνομα πόλεως.

Ἀποπορευτέα· Ἄγαθίας «τοιγαροῦν ἀποπορευτέα αὐτῷ ἐδόκει ἐπὶ φᾶσιν ποταμὸν καὶ τὴν

აია – მიწა.

აიაია – კუნძული.

აიეთი – საკუთარი სახელი. არის აგრეთვე „ეპოსი აიეტზე“.

აკამფისი – ქალაქის სახელი⁴.

უკან დასახევი: აგათია ამბობს: «ამიტომ მისი აზრით⁵ საჭირო იყო უკან დახევა მდი-

¹ ეს არის ცნობილი ისტორიკოსი VI საუკუნისა (იხ. ჩვენი გეოგრაფიკა III, 23 – 187).

² პავლე სილენციარი და მაკედონიოსი VI საუკუნის პოეტები არიან, ხოლო ტრიბონიანე – იურისტი.

³ ამ კუნძულს იხსენიებს ჰომეროსი „ოდისეაში“, იქ ცხოვრობს კირკე, აიეტის და (X, 135 – 137; XI, 70; X.II, 3).

⁴ ასეა მხოლოდ ერთ ხელნაწერში (Vaticanus 1296), დანარჩენებში სწერია Ἄκαψις „აკაფსის“-ის სახელით არც ერთი გეოგრაფიული პუნტი არ არის ცნობილი ბერძნულ წყაროებში, ხოლო „აკამფის“ მდინარეა შავი ზღვის სანაპიროზე. სვიდასთვის ცნობილი ყოფილა ქალაქი „აკამფის“-ი.

⁵ აქ იგულისხმება სპარსელთა სარდალი მერმეროე, რომელიც 553 წელს იბრძოდა ლაზეთში ტელეფისის წინააღმდეგ.

ἐκείνη δυσχαρίαν». ἀντί τοῦ ἐπανακτέον, ὑποστρεπτέον.
 ყვას (ἀποπορευτέον) ხმარობს ნაცვლად სიტყვებისა ἐπανακτέον, ὑποστρεπτέον ¹.

ნარე ფაზისისაკენ და იქ არ-
 სებულ ვიწრობისაკენ. ამ სიტყ-

Δεξιὸς, καὶ ὁ εὐχερήξ. „ἐπὶ
 Ἰουστινιανοῦ Πέτρος τις ἦν Βαρ-
 σήμης οὖτω καλοῦμενος... δεξιὸς
 γὰρ ἦν κλέψαι.

მარჯვე, აგრეთვე „ხელ-
 მარჯვე. «იუსტინიანეს დროს
 იყო ვინმე პეტრე, ეგრეთწოდე-
 ბული ბ ა რ ს უ მ ე... მარჯვე
 იყო ქურდობაში» ².

Δέραις· τὸ χρυσόμαλλον δέραις,
 ἔπερ ὁ Ἰάσων διὰ τῆς Ποντικῆς
 θαλάσσης σὺν ταῖς Ἀργοναύταις
 εἰς τὴν Κολχίδα παραγερόμενοι
 ἔλαβον. καὶ τὴν Μήδειαν τὴν Αἰή-
 του τοῦ βασιλέως θυγατέρα. τοῦτο
 δὲ ἦν οὐχ ὡς ποιητικῶς φέρεται,
 ἀλλὰ βιβλίον ἦν ἐν δέρμασι γει-
 ραμμένον. περιέχον ὅπως δεῖ γί-
 νεσθαι διὰ χημείας χρυσόν ³. εἰκό-
 τως οὖν οἱ τότε χρυσοῦν ἀνόμα-

ს ა წ მ ი ს ი: ოქროს ბეწვიანი
 საწმისი, რომელიც იაზონმა და
 არგონავტებმა მოიპოვეს, როდე-
 საც შავი ზღვით კოლხეთში მი-
 ვიდნენ; მოიპოვეს აგრეთვე მე-
 დეა, მეფე აიეტის ქალიშვილი.
 ეს ისე კი არ იყო, როგორც
 პოეტურად არის გადმოცემული,
 არამედ ეს იყო ტყავზე დაწე-
 რილი წიგნი, რომელშიც ის ეწე-
 რა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს

¹ ჩვეულებრივ, ἀποπορευέσθαι ნიშნავს „გამგზავრებას (შინისაკენ)“; აგა-
 თიას კი, სვიდას აზრით, უხმარია „უკან დახვეის“ მნიშვნელობით, რასაც მოწმობს
 სინონიმებად ნახმარი ἐπανάγεσθαι და ὑποστρεφέσθαι. სვიდას მიერ მოყვანილი
 ციტატა აგათიას ტექსტში ნამდვილად ასე სწერია: τοιγάρτοι ἀποπορευτέα,
 μὲν ἀπὸ τῆς αὐτῆς ἐπὶ Τηλέφω τε καὶ τῆς ἐκείνῃ δυσχαρίαν οὐ μάλ᾽ ἐδόκει
 ξόλας δὲ καὶ ἀκάτοις, ἃ δὲ ἐς τοῦτο ἐπεποιήητο, ζεῖδας τὰς τοῦ Φάσιδος
 ἑχμᾶς καὶ οἷον γέφυραν τεκτηνᾶμενος, διεβίβασεν ἀδέως ἅπαν τὸ στρατεύμα. .
 (CB 112, ნიბულის გამოცემა; HGM II, 216—217; გეორგიკა III, 38—39).
 (CB 112, ნიბურის გამოცემა; HGM II, 216 – 217: გეორგიკა III, 38 – 39).

² პეტრე, წარმოშობით სირიელი, ზარაფად იყო და საშინლად ატყუებდა
 თურმე თავის კლიენტებს ანგარიშში. აი, ეს ქურდი ზარაფი მიიწვია სამსახურში
 თეოდორამ (იუსტინიანეს მეუღლემ) და დანიშნა იგი praefectus praetorio-დ.
 დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბებს პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი (Anectoda
 22, 3 – 6). ჩვენს ინტერესს იწვევს ამჟამად მისი, ალბათ, სირიული სახელი Βαρ-
 σήμης (შდო, არმაზის ბერძნული წარწერის. „ბ ე რ ს უ მ ა“).

სვიდას ეს ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოულია პროკოპის შრო-
 მიდან. უფრო ვრცელია ეს ციტატა სვიდას მეორე სტატიაში Θεόδοτος (თეო-
 დოტე პრეფექტად იყო პეტრე ბარსუმეს წინ).

³ ეს ცნობა სვიდას ამოღებული აქვს იოანე ან ტ ი ო ქ ე ლ ი ს (VII საუკ.)
 „ისტორიიდან“, სადაც ეკითხულობთ: ἐκεῖθεν οἱ περὶ Ἰάσωνα διὰ τῆς Ποντι-

ζον αὐτὸ δέρας, διὰ τὴν ἐνέργειαν τὴν ἐξ αὐτοῦ.

ქიმის საშუალებით ოქრო ¹. ცხა-
დია, მაშინდელი ხალხი ამ ტყავს
ოქროსას უწოდებდა მისგან მიღებული შედეგის გამო.

Ἐλένη· βασίλισσα, μήτηρ τοῦ
μεγάλου Κωνσταντίνου... Ἐπὶ γὰρ
τοῦ μεγάλου Κωνσταντίνου ἔβαπ-
τίσθησαν καὶ οἱ ἐνδότεροι Ἴνδοι
καὶ Ἰβηρες καὶ Ἀρμένιοι.

ელენე, დედოფალი დედა
კონსტანტინე დიდისა... კონსტან-
ტინე დიდის დროს მოინათლნენ
შინაგანი ინდები, იბერები და
არმენიელები ¹.

Ἐπεικῶς· τὸ ἐπίρρημα τοῦ-
το σημαίνει τὸ πᾶν, σημαίνει καὶ
παραδόξως, καὶ παρ' ἐλπίδα καὶ
τὸ μετὰ ἐπεικειᾶς καὶ χρηστότη-
τος, σημαίνει καὶ τὸ μετρίως,
ἦτοι συμμέτρως, καὶ τὸ ἰκανῶς.
Προκόπιος· Λαῖοι δὲ ἐπεικῶς ἤχ-
θοντο ²...

„ეპიეკოს“ ის ზმნისარ-
თი აღნიშნავს „ძალიან“. ნიშნავს
აგრეთვე „უცნაურად“ და „მო-
ლოდინის გარეშე“, „ხათრიანად“
და „გულკეთილობით“. ნიშნავს
აგრეთვე „ზომიერად“ ანუ „თანა-
ზომიერად“, და აგრეთვე „საკმა-
რისად“. პროკოპი ამბობს: «ლა-
ზები ძალიან შეწიხდნენ ²...» (მოჰყავს სხვა ნიმუშებიც).

Ἐῤῥεινός· ὄνομα πελάγους,
ὁ Πόντος. λέγει Ἡρόδοτος· „πελα-
γέων γὰρ ἀπάντων ἐστὶ θασυιασιώ-
τατος“ ³.

ევქსინი – სახელი ზღვისა,
პონტო. ჰეროდოტე ამბობს:
«ზღვათა შორის ყველაზე უფრო
საკვირველია».

Ἡριημένην· καχειροτονημέ-
νην καὶ ἤρημένον ἐπικριμέν,

„მიმხრობილი“. ხმის მიმ-
ცემი (ვისმე სასარგებლოდ), და

αἷς θαλάσσης εἰς Κολχίδα παραγερόμενοι ἔλαβον τὴν Μηδειαν καὶ τὸ χρυ-
σοῦν λεγόμενον δέρας, ὅπερ ἦν οὐχ ὥσπερ ποιητικῶς φέρεται, ἀλλὰ βιβλίον
ἐν δέσμασι γεγραμμένον, περιέχον ὅπως δεῖ γίνεσθαι διὰ χρημείας χρυσόν (იხ.
მიულერის FHG IV, 545). ტექსტების შედარება ნათელჰყოფს, რომ მომდევნო
სიტყვები სვიდას ლექსიკონში («ცხადია, მაშინდელი ხალხი ამ ტყავს ოქროსას
უწოდებდნენ მისგან მიღებული შედეგის გამო») ეკუთვნის სვიდას და არა იოანე
ანტიოქელს.

¹ შდრ. გიორგი ამარტოლის ცნობას. იხ. ზემოთ, გვ. 309.

² ციტატა ამოღებულია პროკოპი კესარიელის შრომიდან De Bello persico II, 28, სადაც ტექსტი ასე იკითხება ... Λαῖων τὸ πλεῖστον τῆς Περσῶν ἀρχῆς ἐπεικῶς ἤχθητο – «ლაზთა ხალხი სპარსელების ხელისუფლების ქვეშ ძალიან შეწუხდა» (იხ. გეორგიკა II, 67).

³ ჰეროდოტეს (IV, 85, 2) უწერია: πελαγέων γὰρ ἀπάντων πεί-
σθε θασυιασιώτατος.

ἐκλελεγμένον· «ἐπειδὴ ἐτύγχανον ἐκ πλείστου τὰ Περσῶν ἡρημένοι, προπηλακίζεσθαι τε ὑπὸ Κόλχων αὐτῶν καὶ Ῥωμαίων, καὶ ἐν τοῖς ἀτιμωτάτοις τετάχθαι»¹.

Θούραξ· οὗτος ἐβασίλευσε μετὰ Νίνον Ἀσσυρίων, ὄντινα μετακάλωσαν εἰς ὄνομα τοῦ πλανήτου ἀπτέρου Ἄρα· ὃς ἦν δεινὸς σφόδρα, καὶ πολεμήσας Καυκάσῳ τυράννῳ ἐκ τῆς φυλῆς Ἰάφρεθ καταγομένῳ ἀνείλεν αὐτόν².

Ἰβηρες· ὄνομα ἔθνους, καὶ Ἰβηρία χώρα. ἔστι δὲ καὶ ἄλλη Ἰβηρία ἢ ἑσπερία, ἣ καὶ Ἰσπανία λεγομένη. ὅτι ἐπὶ τοῦ μεγάλου Κωνσταντίνου ἐβαπτίσθησαν οἱ ἐνδότεροι Ἰνδοὶ καὶ Ἰβηρες καὶ Ἀρμένιοι.

Κάρτα· λίαν ἢ μεγάλως· «ληϊζεται· γὰρ ἢ Κολχίς κάρτα κομῆ, καὶ ἀσχετον ἦν τὸ κακόν· ἐχίρειε γὰρ τοῦ στρατηγίσοντος».

ბეთს) ხომ აღარ ჰყავდა ის, ვინც წინამძღოლობას გაუწევდა».

„მ ო მ ხ რ ე“ – გადამწყვეტი, გამომრჩეველი. «რადგან დიდი ხანია სპარსელების მომხრე ვართ, ამიტომ კოლხები და რომაელები გვჩაგრავენ და უპატიოდ გვეპყრობიანო»¹.

თ უ რ ა ს ი. ეს მეფობდა ასირიელთა მეფის ნინოსის შემდეგ, და მას ახლად შეარქვეს ცთომილი ვარსკვლავის სახელი არესი; ის ძალიან ძლიერი იყო, შეებრძოლა ტირან კავკასოსს, რომელიც შთამომავლობით იაფეთის მოდგმისა იყო, და მოკლა იგი².

ი ბ ე რ ე ბ ი – ტომის სახელია და იბერია – ქვეყანაა. არის აგრეთვე სხვა იბერიაც, დასავლეთისა, რომელსაც ისპანიაც ეწოდება. კონსტანტინე დიდის დროს მოინათლნენ შინაგანი ინდები, იბერები და არმენიელები³.

„კ ა რ ტ ა“ ნიშნავს „ძალიან“. ან „დიდად“. «კოლხეთი მეტისმეტად იძარცვება. და უსაზღვრო იყო ბოროტება: მას (ე. ი. კოლ-

¹ ცოტათა ამოღებულია აგათია სქოლასტიკოსის „ისტორიიდან“ (IV. 12), სადაც იგივე ტექსტია უცვლელად, რომელიც სვიდას მოჰყავს, მხოლოდ ორიოდე სიტყვაა გადასმული (იხ. გეორგიკა III, 154).

² ცნობა ამოღებულია გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიიდან“, სადაც ვკითხულობთ: «ხოლო შემდგომად ნინონისა მეფე იქმნა ასურასტანს თურრას ვინმე სახელით, რომელსა სახელ სდევსცა სახელად ცთომილისა მის ვარსკვლავისა არეა» (მველქართული თარგმანი; იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ. 1920, გვ. 5, 1 – 4), ხოლო კავკასოსთან შებრძოლების შესახებ იქ არაფერია ნათქვამი.

³ უკანასკნელია წინადადება მხოლოდ ზოგიერთ ხელნაწერში მოიპოვება და იგი ამოღებულია სტატიიდან „ე ლ ე ნ ე“ (იხ. ზემოთ, გვ. 315).

Κάσπια ὄρη καὶ Κάσπιαὶ
 πύλαι· ὅτι ἔστιν ἐκεῖ θάλασσα ἀπὸ
 τῆς ἐμβολῆς τοῦ ὠκεανοῦ, καὶ τὸ
 μὲν στενωτάτον αὐτῆς Κάσπια
 πύλαι καλοῦνται, τὸ δὲ λοιπὸν
 Ἰρκανία θάλασσα, περιουκείται
 δὲ βαρβάρους ἔθνεσιν.

Κίρκη· ἡ κίρκωσα τὰ φάρμακα,
 ἢ παρὰ τὴν κερκίδα· κερκίς δὲ
 παρὰ τὸ κρέκω. τὰς δὲ παιπαλώ-
 σας γυναῖκας Κίρκας φამέν.

გაიძვერა ქალებს კირკებს ვეძახით.

Κολχική· ἡ Λαζική.

Κυματώγη· Ἀγαθίας «νῆες
 φορτιδὲς μεγάλαι πρὸς τὴν κυμα-
 τώγη τῆς θαλάττης καὶ ταῖς ἐκ-
 βολαῖς τοῦ Φάσιδος ἐφορμοῦσαι
 μεταώρους εἶχον τὰς ἀκάτους καὶ
 ἀμφ' αὐτὰ ἦδη πού τὰ καρχήσια
 τῶν ἰσθμῶν ἀνιμηθείσας».

Κυταία· πόλις, καὶ Κυταί-
 ἰδος.

Κύταιον· τόπος τις.

Λεόννατος· στρατηγὸς Μακε-
 δονίας, κατὰ γένος προσήμων τῇ
 Φιλίππου μητρὶ, συντραφεὶς δὲ
 Ἀλεξάνδρῳ, κατὰ τὸ τῆς τροφῆς
 ἐπιτήθειον καὶ τοῦ γένους καὶ κατὰ
 μέγεθος μέντοι καὶ ἀλλῶς τοῦ
 σώματος τιμῆς μετεῖχεν. ἔθεν
 αὐτῷ καὶ ζῶντος Ἀλεξάνδρου τὸ τε

კასპიის მთები და კას-
 პიის კარები. იქ არის ზღვა
 ოკეანეს შესართავთან მოშორე-
 ბით, და მის ყველაზე უფრო
 ვიწრო გასავალს ეწოდება კას-
 პიის კარები, ხოლო დანარჩენი –
 ჰირკანიის ზღვაა; გარშემო ცხოვ-
 რობენ ბარბაროსული ტომები.

კირკე – წამლების შემზავე-
 ბელი (კირნოსა), ან სიტყვისაგან
 კერკის – („ქსელი“), ხოლო კერკის
 სიტყვისაგან კრეკა („ვექსოვ“).

კოლხეთი – ლაზეთი.

ნაკირი: აგათია ამბობს:
 «დიდი სატვიროთო ხომალდები
 ზღვის ნაპირას და ფაზისის შესარ-
 თავთან მიაცურეს; ამ ხომალ-
 დებს ზემოთ ნავები ჰქონდათ,
 თვით ანძების თოკებით მაგრად
 ჩაკიდებული¹.

კკტაია – ქალაქია, აგრეთვე
 კკტაიდიისა.

კკტაონი – რომელიღაც
 ადგილია.

ლეონატე – მაკედონიის სარ-
 დალი, წარმოშობით ფილიპეს
 დედის ნათესავი, იზრდებოდა
 ალექსანდრესთან ერთად; აღზრ-
 დის ღირსებით, გვარიშვილობით,
 ტანადობით და სილამაზით დიდ
 პატივს იმსახურებდა. ამიტომაც
 იგი ალექსანდრეს სიცოცხლეში

¹ ციტატა ამოღებულია: აგათიას „ისტორიიდან“ III 21. იხ. გეორგიკა
 III, 102.

φρόνημα ὑπέρογκον ἦν... τελευταί-
σαντος δὲ Ἀλεξάνδρου καὶ ζῆλον
ἐποιεῖτο, εἰκάζων αὐτὸν πρὸς τὰ
βασιλικά τῆρ τε ἀφείτω καὶ ἀναι-
μένω τῆς κόμης καὶ τῆ ἄλλῃ κα-
τασκευῆ, ἣ οὐ πρόσω τοῦ Περ-
σικοῦ τρόπου ἦσκητο αὐτῷ. Ἴπποι
τε Νισαῖοι, οἳ δὲ Φάσιδος ἄπο,
χρυσοχάλινοι σύμπαντες, προετε-
τάχατο τῆς τάξεως, ἐκπρέποντες
τοῖς καλλωπίσμασιν.

ოქროს ლაგამით, გამორჩეულნი თავისი საკაზმავით.

Μήθεια· Κολχίς, ἣ Αἰήτου
Φυγάτηρ, φαρμακιστάτη γυναικῶν·
ἦτις ἀσινῶς ἐποίησε τὸν Ἰάσονα
ζεῦξαντα τοὺς πυριπνόους ταύρους
ἀρόσαι τὴν γῆν. καὶ λαβὼν τὸ
χρυσόμυλλον δέρας ἠγάγετο τὴν
Μήθειαν. ὅτι οἱ Ἕλληγες τὴν
νάφθάν καλοῦσι Μηθείας ἔλαιον.

ელინები ნავთს ეძახიან მედეას ზეთს.

Μισσιανή· „ὅ δὲ δὲ ἄλλῃς
ὅδοσιν παρεγένετο, τῆ Μισσιανῆ χαι-
ρειν εἰπῶν“.

მასზე მეტის-მეტად გაზვიადე-
ბული აზრისა იყვნენ... ალექსან-
დრეს გარდაცვალების შემდეგ
დიდს განდიდებას მიეცა: მეფურ
წესებს ბაძავდა თმის გრძლად
მოშვებით და სხვა კაზმულობით,
რაც მას ძალიან აახლოვებდა
სპარსულ წესებს. რაზმის წინ
ჩამწკრივებული ჰყავდა ხოლმე
ნისური ცხენები, ფ ა ზ ი ს ი ს
მხრიდან ¹ მოყვანილი, ყველანი

მ ე დ ე ა – კოლხელი, აიეტის
ქალიშვილი, ქალთა შორის უჯა-
დოქრესი; მან უვნებელი გახადა
იაზონი, რომელმაც ცეცხლის-
მფრქვეველი ხარები შეაბა გუ-
თანში და მიწას ხნავდა. იაზონმა
ხელში ჩაიგდო ოქროს-საწმისი-
ანი მატყლი და წაიყვანა მედეა.

მ ი ს ს ი ა ნ ე: «ხოლო ის სხვა
გზით მოვიდა, მისიანის გზა მან
უარჰყო“ ².

¹ ნისურ ცხენებზე ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აქვს ნათქვამი. ნისეონი ქა-
ლაქი იყო მიდიაში, ხოლო ნისური ცხენები თუ სადაური იყო, ზედმიწევნით არა
ჩანს. ს ტ რ ა ბ ო ნ ი (XI, 13, p. 525) აღნიშნავს, რომ ზოგიერთების აზრით ეს
ცხენები ნისეონიდან იყო წარმოშობით. ხოლო სხვების აზრით არმენიიდან არისო.
სვიდას ცნობაში ნათქვამია, რომ ეს ცხენები ფაზისის მხრიდან იყო. შდრ. ქვე-
მოთ, გვ. 324.

² ეს არის ციტატა მენანდრე პროტოქტორის „ისტორიიდან“
(იხ. გეორგიკა III, 237). ამ ციტატას იმეორებს სვიდა მეორე ადგილასაც, რო-
დესაც განმარტავს გამოთქმას *χαίρειν εἰπῶν*. მისიანე კუთხე იყო დასავლეთ
საქართველოში, სვანეთის საზღვარზე, და იგი იხსენიება აგათიას სქოლას-
ტიკოსის „ისტორიაშიც“, ხოლო ყველგან, მენანდრესთანაც და აგათიასთანაც
სწერია Μισσιανή, Μισσιανή (თვით ხალხს ეწოდება Μισσιανίον). მისიმიან-
ები წარმოადგენდნენ სვანურ ტომს, ჩამოსახლებულს კოდორის ხეობაში.
იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მისიმიანთა ტომი: თბ. სახ. უნივ. შრომები, I, 1936 წ.;
პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გეორგი მერჩულე: მნათობი 1950, № 3, გვ. 139.

Μόσσυνης· ἐπάλλξεις, πύργου.

Παιπαλώδεις· ἡτάς δὲ παιπαλώδεις γυναῖκας Κίρκας φამέν“.

Πετραία· ὄνομα πόλεως.

Πιτυοῦς· πολίχμιον ἐν Πάρατι μὲν θαλάττης τῆς Ποντικῆς κατὰ δεξιὰν κείμενον, τέλος δὲ καὶ τῆς Ῥωμαίων ἀρχῆς γινόμενον, βαρβάρους καὶ ὁμοῖς ἔθνεσι συνῶπτον¹.

Πομπήιος· ὅτι Πομπήιος ὁ μέγας ἐπικληθεῖς, ὑπάτος καὶ στρατηγὸς Ῥωμαίων, τὸν πρὸς

მოსსინეზი – ქონგურები, კომპეზი¹.

გაიძვერა: «გაიძვერა ქალებს კირკებს ვემახით»².

პეტრაია (ან „პეტრეა“) – ქალაქის სახელია³.

პიტუსი (ბიჭვინთა) – დაბა-ქალაქი პონტოს ზღვის ბოლოში, მარჯვნივ მდებარე, რომაელთა სახელმწიფოს საზღვარზე, ბარბაროსული და ველური ტომების მეზობლად⁴.

პომპეუსი. პომპეუსმა დადა წოდებულმა, რომაელთა კონსულმა და სარდალმა, მითრი-

¹ აქ სვიდა განმარტავს იმ სიტყვას, რომელიც „მოსსინიკების“ სახელწოდებაში შედის, და იზიარებს აპოლონიოს როდოსელის (თუ მისი სქოლიასტის) მიერ ჩართულ ეტიმოლოგიას – მოსინებისაგან დაერქვათ სახელი მოსინიკებსო („არგონავტიკა“ II, 1017). ეს ეტიმოლოგია, რასაკვირვლია, უსაფუძვლოა. იხ. აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა, თბ. 1948, გვ. 222 – 223.

² იგივე ციტატა მოყვანილი იყო ზემოთ (იხ. *Κίρκη*) ხოლო იქ ეწერა παιπαλώσας, რაც იმასვე ნიშნავს.

³ აქ უნდა იგულისხმებოდეს VI საუკუნეში ცნობილი ქალაქი პეტრა, ლაზეთში. სწორედ ასეთი ფორმით იხსენიება ეს ქალაქი იუსტინიანეს ნოველაში (*ἡ Πετραίων ἐστὶ πόλις*. იხ. გეორგიკა II, 198), „ეკთეზისებშიც“ მუდამ მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება (იხ. ზემოთ გვ. 188).

⁴ ეს ცნობა ემყარება თეოდორიკე კვირელის „საეკლესიო ისტორიის“ ცნობას, იქ სწერია: იოანე ოქროპირი კუკუსოდან «პიტუენტში გადასახლეს: ის არის ბოლო პონტოსიც და რომაელთა სამფლობელოსი, ველური ტომების მეზობლად არის» (V, 34, 8).

სახელწოდება Πιτυός, ნათ. Πιτυόνιος მომდინარეობს ქართული სიტყვისაგან „ბიჭვინთა“ (=პიტუენტა). ბანის გამოცემა π-ით იმავე მიზეზებით არის გამოწვეული, როგორც „ბაგრატი“ (*Παγκρ...*); ჭ-აფრიკატი გადმოცემულია τ-თი, რომელიც მომდევნო იოტით ერთგვარად პალატალიზებულია. რაც შეეხება ბოლოკიდურის (-ნტა) გადმოცემას/ აქ ბერძენი შემდეგნაირად მოქცეულა: ირიბ ბრუნვებში მან დაიცვა -νε (Πιτυόντος, -ντι, -ντα), ხოლო, მსგავსად საკუთარი ბერძნული სიტყვებისა Σελινός ნათ. Σελινόντος, Φλιός ნათ. Φλιόνιος და სხვ. ირიბი ბრუნვის Πιτυόντος-ისთვის გააკეთა სახელობითი ბრუნვა Πιτυός.

Μιθριδάτην καὶ Τιγράνην πόλεμον ἀνεδέξατο μετὰ ταῦτα Ἄλβανούς ὑπέταξε, καὶ τὸν βασιλέα τῶν Ἰβήρων Ἀρσάκην φεύγειν ἠνάγκασε, καὶ τὴν μικρὰν Ἀρμενίαν Δηιοτάρῳ τῷ θυνάστῃ τῆς Γαλατίας ἐδώρησατο, Ἄτταλὸν τε καὶ Πυλαιμένεα ἐπὶ τὴν οἰκείαν ἀρχὴν τῆς Παφλαγονίας κατήγγαγεν ἐξεληλαμένους πρὸς τοῦ Μιθριδάτου, Κόλχοις τε ἐφίστησιν ἡγεμόνα¹.

Σμῆνη· τὰ τῶν μελισσῶν πλήρη. „ἐς Κόλχους ἐμβαλόντες οὐδὲν ἔτι καὶ ἐθάψασαν. τὰ δὲ σμῆνη πολλὰ ἦν αὐτόφθι, καὶ τῶν κηρίων ὅσοι ἔφαγον τῶν στρατιωτῶν, πάντες ἄφρονες τε ἐγένοντο καὶ ἦμουν, καὶ ἔκειντο πολλοί, καὶ τῇ ὑστεραίᾳ ἀνίσταντο ἄσπερ ἐκ φαρμακοποσίας“.

დნენ თავს, თითქოს საწამლავი დაელიოთ»².

Σοσβαρμάχισ³· οὐτος τῶν ὄρουφῶρων ἦν ἡγεμόν, πιστότατος

დატეს და ტიგრანის წინააღმდეგ ომი იკისრა ამის შემდეგ დაიმორჩილა ალბანელები, იბერთა მეფე არსაკი გააქცია და მცირე არმენია აჩუქა გალატიის მპყრობელს დეიოტარეს; ატალოსი და პილემენევი რომლებიც გამოძევებული იყვნენ მითრიდატეს მიერ, დააბრუნა მათ საკუთარ სამფლობელოში, პაფლაგონიაში, და კოლხებს მეთაური დაუყენა¹.

ს კ ე ბ ი – ფუტკართა სიმრავლენი. «კოლხების ქვეყანაში რომ შეიჭრნენ, მაინც და მაინც არაფერი გაკვირვებით, ხოლო სკეები იყო იქ ბევრი და ვინც კი ჯარისკაცთაგან ფიჭა ჭამა, ყველამ გონება დაჰკარგა და არწყია და ბევრნი ჩაწვნენ; მეორე დღეს ადგნენ და ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს საწამლავი დაელიოთ»².

ს უ ბ ა რ მ ა ხ ი: ეს იყო მეშუბეთა წინამძღოლი, საჭურის ევ-

¹ ეს ტექსტი მთლიანად ამოღებულია იოანე ანტიოქელის „ისტორიიდან“. კოლხეთის მეთაური, რომლის სახელი არც აქ და არც იოანე ანტიოქელთან მოხსენებული არაა, იყო არისტარქე. იხ. გეორგიკა IV, 3.

² ცნობა ამოღებულია ქსენოფონტის „ანაბაზისიდან“ (IV, 8, 20); οὐδεν ὅτι – καὶ ἦμουν სიტყვა-სიტყვით მისდევს ქსენოფონტის ტექსტს, ხოლო შემდეგ სვიდას შემოკლებით აქვს გადმოცემული. მათრობელა თაფლის არსებობის შესახებ შავი ზღვის პირას, კოლხთა ქვეყანაში, გადმოგვცემენ სხვა ძველი მწერლებიც: სტრაბონი (XI, 2,17) პლინიუსი (XXI, § 77: aliud genus in eodem Ponti situ, gente Sannorum, mellis, quod ab insania, quam gignit, maenomenon vocant. Id existimatur contrahi flore rhododendri, quo searet silvae) და სხვები.

³ ეს ცნობა სვიდას ამოღებული აქვს ევნაზი სარდელის (IV – V საუკ) „ისტორიული მოგონებებიდან“. სამწუხაროდ, ამ ტექსტის შემოწმება სხვაგან შეუძლებელია, ვინაიდან თვით სვიდას ლექსიკონში დაცული, ზემოთ

τῆρ εὐνούχῃ Εὐτροπίῃ¹, εἴπερ τις ἄλλος. ἔπινε δὲ πλείονα οἶνον ἢ ἔσπον ἡδύνατο χαιρεῖν· ἀλλ' ὅμως τὰ περὶ γαστέρα διὰ συνήθειαν οὕτω καὶ γυμνασίαν ἰσχυρὰν καὶ νεανικὴν πάντα φέρειν ἐπὶ τὴν φυσικὴν τῶν ἰγρῶν ἔκκρισιν. αἰ γοῦν ἦν, πεπωκίως τε καὶ οὐ πεπωκίως, μεθύων· τὴν δὲ μέθην παρεκάλυπτε σφαιερὸν διαβαίνων τοῖς ποσὶ καὶ πρὸς τὴν πτώσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας διὰ νεότητα καὶ συνιστάμενος. ἦν δὲ βασιλικὸς μὲν γένους, Κόλχος δὲ ἀκριβῆς τῶν ὑπὲρ Φᾶσιν καὶ Θερμῶδοντα, τοξότης ἄριστος, εἴ γε μὴ κατετόξευεν αὐτὸν τὸ περιττὸν τῆς τρυφῆς.

არ მოეკლა მეტის-მეტ განებივრებას.

Τραπεζοῦς Τραπεζοῦντος, ἄνομα πόλεως.

Φασί· λέγουσι, Φᾶσις δὲ ποταμὸς Σκυθίας... καὶ Φασιανοί—οἱ οἰκίητορες τοῦ τόπου, καὶ Φασιανοὶ κατ'ἀλογοῖ—οἱ ἀπὸ τοῦ Φάσιδος παρὰ Μενάνδρῳ.

... ἔστι δὲ καὶ πόλις Σκυθίας Φᾶσις, ὁμώνυμος τῆρ ποταμῷ.

ტროპის ისეთი ერთგული, როგორც არც ერთი სხვა. სვამდა ბევრ ღვინოს, ან იმდენს, რამდენიც ჩაეტეოდა. ასევე საჭმელსაც ყველაფერს იტანდა მიჩვევის და ძლიერი ჭაბუკური ვარჯიშობის წყალობით, კუჭი კარგად მოქმედებდა. ნასვამი იყო, თუ არ იყო ნასვამი, მუდამ მთვრალი იყო; ხოლო სიმთვრალეს მალავდა იმით, რომ რყევით აზიჯებდა ფეხებს, ებრძოდა დავარდნას და ახალგაზრდული ასაკის წყალობით უმაგრდებოდა. იყო სამეფო გვარისა, ნამდვილი კოლხი ფაზისის და თერმოდონტის გადამცხოვრებთაგან, საუკეთესო მშვილდოსანი იყო, რომ იგი

ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი, ტრაპეზუნტისა, ქალაქის სახელი.

„ფ ა ს ი“ ნიშნავს „ამბობენ“, ხოლო ფ ა ს ი ს ი მდინარეა სკვითიაში... ფ ა ს ი ა ნ ე ბ ი – ადგილის მცხოვრებნი, აგრეთვე ფ ა ს ი ა ნ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი – რომლებიც ფასისიდან არიან, მენანდრესთან.

... არის აგრეთვე ქალაქი ფ ა ზ ი ს ი ს კ ვ ი თ ი ა შ ი, იმავე სახელს ატარებს, რასაც მდინარე.

მოყვანილი ტექსტი არის ჯერჯერობით ერთადერთი წყარო ევნაპის თხზულების ამ ნაწილის აღსადგენად.

¹ ეს არის ცნობილი საჭურისი ევტროპი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სამეფო კარზე IV საუკუნის ბოლო წლებში; ეჭირა რიგრიგობით თანამდებობები: cubicularius, preapositus sacri cubiculi, patricius; 399 წელს კონსულად იყო. მოკლულ იქმნა ქალკედონში.

Φασιανοί· ἀλεκτρούνες, καὶ ὄρνεις τινές.. Φασιανοὶ δὲ οἱ ἔχοντες ἐν τῇ μηρῷ φασιανὸν ἴπποι. Φᾶσις δὲ ἐστὶ ποταμὸς Σκυθίας, ὅπου καλοὶ ἴπποι γίνονται¹.

Χάλυβες· ἔθνος Σκυθίας. ἔνθεν ὁ σίδηρος τίκεται· καὶ Λυκόφρων· „Χαλυβικῶ κνώδοντι συντεθραυσμένῳ“. Καὶ χάλυψ ὁ σίδηρος· ἐν ἐπιγραμμᾷ· „καὶ χάλυβα σκληρὸν καλαμηφάγον“.

ხალიბი (ე. ი. რკინა) მომცელავი».

[Μάχλυες·] „Διονύσιος τοῦ νομα, ἔμπορος τὸ ἐπιτήδευμα, ὄσιν-χεύσας πολλὸν πολλὰκις πλοῦς τοῦ κέρδους ὑποθήγοντος, καὶ πορρωτέρῳ τῆς Μαιώτιδος ἐκκουφίσας ἄνειται κόρην Κόλχιν ἣν ἐληΐσαντο Μάχλυες, ἔθνος τῶν ἐκεῖ βαρβάρων“.

ფასიანები – ქათმები და რალაც ფრინველები... ფაზისური ცხენები – რომელთაც ბარკალში „ფასიანი“ აქვთ. ფაზისი სკვითის მდინარეა, სადაც კარგი ცხენები იცის¹.

ხალიბები – ტომია სკვითიაში, სადაც რკინა იპოვება, ლიკოფრონი² ამბობს: «ხალიბური მახვილით დამარცხებულს». ხოლო ხალიფსი რკინაა; ეპიგრამაში³ სწერია: «და მაგარი

[მახლიები:] «ვინმე დიონისემ, ხელობით ვაჭარმა, რომელიც ხშირად დასცურავდა შორეულ ქვეყნებში მოგების მიზნით და რომელიც მეოტიდის იქითაც ავიდა, იყიდა კოლხი გოგო, რომელიც მახლიებს, იქაურ ბარბაროზ ხალხს, მოეტაცათ»⁴.

¹ აქაც სვიდა ისეთსავე ცნობას იძლევა „ფაზისური ცხენების“ შესახებ, როგორც ზემოთ. იხ. გვ. 318.

² ლიკოფრონი – ძვ. წ. III საუკუნის პოეტი, ავტორი ტრაგედიისა „ალექსანდრა“ (ანუ „კასანდრა“); მოყვანილი ნიმუშიც ამ ტრაგედიიდან არის (ტ. 1109).

³ ამ ეპიგრამას მიაწერენ ახ. წ. VI საუკ. პოეტს პავლე სილენციარის ეპიგრამა მოთავსებულია „ანთოლოგიაში“ (AP VI, 65).

⁴ ნაწყვეტია კლავდი ელიანეს ერთ-ერთი შრომიდან; სვიდას მოჰყავს სიტყვის ქვეშ კούფი (ბეკერის გამოც. გვ. 622). მახლიებს იმავე ადგილას (ἐς τῆν Μαιώτιν παρά τοὺς Μάχλυας) იცნობს ლუკიანე სამოსატელი (Luciani opera, ed. Jacobitz, II, 292), რომელიც მათ ქვეყანას უწოდებს Μαχλυήν. ჰერმანის აზრით (RE XV, 17) მახლიები კოლხური ტომია და მათი საბინადრო ადგილი ლაზეთშია საძებარი.

თეოფანეს გამგრძელებელი

ჩვენამდის მოღწეულია ერთი საისტორიო თხზულება, რომელიც შეიცავს 813 – 961 წლების ბიზანტიელ კეისართა ისტორიას და იწყება იქ, სადაც შეჩერდა თეოფანე ჟამთააღმწერელი. როგორც შინაარსიდან ჩანს, ეს თხზულება ერთ ავტორს კი არ ეკუთვნის, არამედ რამდენსამე ქრონისტს, რომელთაც კონსტანტინე პორფიროგენეტის დავალებით გაუგრძელებიათ თეოფანეს „ქრონოგრაფია“. თხზულება მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (codex Parisinus || Vaticanus 167), რომელიც XII საუკუნეშია გადაწერილი¹. რადგან ავტორები მიზნად ისახავდნენ თეოფანეს „ქრონოგრაფია“ განეგრძოთ და ამ ავტორთა სახელები ცნობილი არაა, თხზულებასა და მის ავტორს პირობითად ეწოდება „თეოფანეს გაგრძელება“ და „თ ე ო ფ ა ნ ე ს გ ა მ გ რ ძ ე ლ ე ბ ე ლ ი“ (Theophanes Continuatus).

„თ ე ო ფ ა ნ ე ს გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა“ ექვსი წიგნისაგან შედგება:

I წიგნი – ლეონ V-ის მეფობა (813 – 820 წ.წ.)

II წიგნი – მიხეილ II-ის მეფობა (820 – 829 წ.წ.)

III წიგნი – თეოფილეს მეფობა (829 – 842 წ.წ.)

IV წიგნი – მიხეილ III-ის მეფობა (842 – 867 წ.წ.)

V წიგნი – ბასილ I-ის მეფობა (867 – 886 წ.წ.)

VI წიგნი შეიცავს ლეონ VI, ალექსანდრეს, კონსტანტინე პორფიროგენეტის, რომანოზ I-ისა და რომანოზ II-ის მეფობათა ისტორიას (886 – 963 წ.წ.).

„თეოფანეს გამგრძელებელი“ წყაროებად იყენებს, პირველ ყოვლისა, გ ე ნ ე ს ი ო ს ს , რომლის „მეფობათა ისტორია“ აგვიწერს 813 – 886 წლების ისტორიას (იხ. ზემოთ გვ. 300), და კ ო ნ ს ტ ა ნ - ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი ს შ რ ო მ ე ბ ს: De administrando imperio და De caerimoniis. აი, ეს არის ძირითადი წყაროები „თეოფანეს გაგრძელების“ პირველი ხუთი წიგნისათვის. რაც შეეხება VI წიგნის წყაროებს, მისი პირველი ნაწილისათვის ცნობები აღებულია გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს „გამგრძელებლის“ თხზულები-

¹ როგორც ჩანს, ამ თხზულების სხვა ნუსხებიც ან სხვა ახალი ტექსტუალური მასალა უპოვია C. de boor-ს, რომელიც „თეოფანეს გაგრძელების“ ახალ გამოცემას ამზადებდა (იხ. BZ IX [1900], 566), მაგრამ ასეთი გამოცემა არ გამოსულა.

დან, ხოლო მეორე ნაწილი რომელიდაც იმდროინდელი (X საუკუნის მეორე ნახევრის) ისტორიკოსის ორიგინალურ ნაშრომს წარნოადგენს ¹.

ვსარგებლობდით ტექსტის შემდეგი გამოცემით:

Theophanes Continuatus... ex recognitione Immanuelis Bakkeri. Bonnae 1838 (CB).

თომა სლავის აჯანყება და ქართველთა მონაწილეობა ამ აჯანყებაში ²

Ὅθεν τοῦ μὲν βουλεύματος οὐ διήμαρτεν τοῦ οἰκείου, ἀλλὰ καὶ στέφους μεταλαγχάνει καὶ αὐτοκράτωρ ἀναγορεύεται παρὰ τοῦ τῶν ἐν Ἀντιοχείᾳ φρόνον τηγικαῦτα μεταποιουμένου Ἰακώβ, καὶ χεῖρα συλλέγει πολλήν, μᾶλλον δὲ λαμβάνει πρὸς τὴν αὐτοῦ κραταίωσιν· οὐ γὰρ Ἀγαρηῶν μόνον τούτων δὴ τῶν ἡμῖν γειτονούντων καὶ ἑμιροούντων, ἀλλὰ καὶ αὐτῶν τῶν ἐνδοτέρων οἰκούντων, Ἀίγυπτίων, Ἰνδῶν, Περσῶν, Ἀσσυρίων, Ἀρμενίων, Χάλδων, Ἰβήρων, Ζηχῶν, Καβείρων καὶ πάντων τῶν δὴ Μάνεντος συστειχούντων δόγμασι καὶ θεσπίσμασι (CB, 54—55).

ამიტომ ეს მისი გეგმა კი არ გაუცრუვდა, არამედ სამეფო გვირგვინიც ერგო და თვითმპყრობელადაც იქმნა გამოცხადებული იაკობის ³ მიერ, რომელსაც მაშინ ანტიოქიის კათედრა ჰქონდა მითვისებული, და მან დიდძალი ჯარი შეკრიბა, უფრო მეტი კი უკვე შეკრებილი ჩაიბარა, ძალაუფლების დასაპყრობად. ჯარი შედგებოდა არა მარტო ამ აგარენთაგან, ჩვენი მეზობლები და მოსაზღვრენი რომ არიან, არამედ აგრეთვე იმათგან, რომელნიც უფრო შორს შიგნით ცხოვრობენ: ეგვიპტელნი, ინდონი, სპარსელნი, ასირიელნი, არმენიელნი, ხალდნი, იბერი, ჯიქნი, კაბირნი და ყველა ისინი, რომელნიც მანის აზრებსა და მოძღვრებას იზიარებენ ⁴.

¹ იხ. Очерки по истории Византии, под редакцией В. Бенешевича, вып. III, стр. 95 – 97. СПб 1913. – ფიქრობენ, რომ „თეოფანეს გამგრძელების“ ბოლო ნაწილის ავტორია თეოდორე დაფნოპატე.

² „თეოფანეს გამგრძელებელი“ დაახლოვებით ისევე გადმოგვცემს თომას აჯანყების მიმდინარეობას, როგორც გენესიოლი (იხ. ზემოთ, გვ. 301 – 304).

³ გენესიოსთან ანტიოქიის პატრიარქია იოვი და არა იაკობი.

⁴ თომას აჯანყების მონაწილე ტომთა ეს სია განსხვავდება გენესიოლის მიერ დასახელებულ ტომთა სიისაგან, ქართველ ტომთაგან „თეოფანეს

ბიზანტიელთა ბრძოლა აფხაზეთის ტერიტორიაზე

Καὶ κατὰ τὸν τῆς αὐτοκρατορίας δὲ χρόνον αὐτὸν καὶ τὸν Ὀκτώβριον μῆνα, εἰς Ἰνδοκτιῶνα ὀγδόην, ὁ τῶν Ῥωμαίων στόλος ἐν τῇ νήσῳ τῇ Θάσῳ καταναυμαχηθεὶς ἄρδην ἅπας ἀπώλετο. καὶ κατὰ τὸ ἐξῆς δὲ τὰς Κυκλάδας νήσους, ἀλλὰ μὴν καὶ τὰς ἄλλας ἀπάσας, ὁ τῶν Ἰσμαηλιτῶν κατασύρων στρατὸς οὐκ ἐπαύετο. καὶ ἀνθὶς ἐν Ἀβασγίᾳ ὁ τε Θεόφροβος καὶ ὁ τῆς Θεοδώρας ἀδελφὸς Βάρδας ἀποσταλέντες μετὰ στρατιᾶς ἰσχυρῆς ἐδυστήχησαν, θλίγων ἄγαν ἐκείθεν ὑποστρεψάντων (CB, 137).

და მისი (ე. ი. თეოფილეს) თვითმპყრობელობის დროს ¹, ოქტომბრის თვეში, მერვე ინდიქტიონს ², რომაელთა ფლოტი დამარცხდა საზღვაო ბრძოლაში კუნძულ თასოსზე და მთელი ფლოტი სრულიად მოისპო. ხოლო შემდეგაც ისმელიტთა ჯარს არ შეუწყვეტია რბევა არა მართო კიკლადის კუნძულებისა, არამედ ყველა სხვა კუნძულებისაც. და კიდევ აფხაზეთში იქნენ გაგზავნილი თეოფოზე ³ და თეოდორას ძმა ბარდა დილძალი ჯარით და სასტიკად დამარცხდნენ, ისე რომ ძალიან ცოტანილა დაბრუნდნენ იქიდან უკან ⁴.

გამგრძელებელის“ სიაში აღარ იხსენიებიან აზაზეგი და ლაზეგი. მაგრამ აქაც, ისევე როგორც გენესიოსთან, ხაზგასმულია, რომ ყველა ეს ტომები, რომლებიც თომას მიემხრნენ, მანის მწვალებლობას იზიარებდნენ, ე. ი. მანიქეველები იყვნენ.

¹ ეს ამბავი მოთხრობილია III წიგნში რომელშიც თეოფილეს მეფობის ხანაა (829 – 842 წ.წ.) აღწერილი.

² ეს ინდიქტიონი 829 წელს ხედება.

³ თეოფოზე ხორასნელი მთავარია, რომელიც თავისი რაზმებით მიემხრო ბიზანტიელებს.

⁴ ექსპედიცია აფხაზეთში გაიგზავნა 832 წელს. აქ აფხაზები აუჯანყდნენ სარკინოზებს და დახმარება სთხოვეს ბიზანტიის კეისარს. იმასაც გაუგზავნია ჯარი თეოფოზეს და ბარდას მეთაურობით, მაგრამ ეს დამარცხებულა (Lebeu, Histoire du Bas-empire. Paris 1819, ტ. VII, გვ. 67). „აფხაზეთში“ ამ დროს შემდეგი მდგომარეობაა: დასავლეთი საქართველო გაერთიანებულია „აფხაზეთის სამეფოს“ სახელწოდებით და 825 – 86 წლებში მეფედ არის დემეტრე II, შვილი აფხაზეთის სამეფოს დამაარსებლის ლეონ III-ისა (753 – 798 წ.წ.) მაშასადამე, კეისარ თეოფილეს მიერ ექსპედიცია სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა არა „აზაზგების ქვეყანაში“, არამედ დასავლეთ საქართველოში. ასეთი ცნობა სხვა წყაროებში არსად მოიპოვება. არც სამეცნიერო ლიტერატურაში არის ხსენება ამ ექსპედიციისა დასავლეთ საქართველოში. თ. უსკინსკი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს თეოფილეს ლაშქრობებს 830-სა და მომდევნო წლებში, არაფერს ამბობს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზე (იხ. Ф. Успенский, История Византийской империи II, стр. 309 – 316).

თეოქტიტეს ლაშქრობა აფხაზების წინააღმდეგ

... και ὁ μὲν Θεόκτιστος νῦν μὲν, ὡς εἴρηται, σφαττόμενος, νῦν δὲ ταῖς αἰς ἐπεχείρει δουλείαις μὴ καταυδοῦμενος· και γὰρ πολλῶν στρατιῶν πολλάκις προκριθεὶς ἡγεμῶν, και κατὰ πολλῶν ὀρμῆσας πολεμίων νῦν τε και πρὸ τούτου οὐδαμοῦ νικήσας ὑπέστρεψεν ἢ τὸ σύνολον τῶν ἐχθρῶν καθυπερτερῶν, ἡττώμενος δὲ και πανωλεθρίῃ τὰ στρατεύματα παραδοῦς, οὐκ οἶδα εἴτε φρονήσεως ἀμοιρῶν και λόγου και τῶν ἐν πολέμοις ἀνδραγαθημάτων ἀπειρώς ἔχων ἄτε δὴ μήτε μελετήσας ταῦτα ποτέ, ἢ τινι ἄλλῃ μείζονι αἰτίᾳ τῇ ὑπὲρ ἡμᾶς, ἢ και τῇ εἰρημένη νυνί. και γὰρ ἡλιακῶν ποτὲ ἐκλείψεων δύο γεγεννημένων, κατὰ τῶν Ἀβασγῶν οὗτος προκριθεὶς στρατηγὸς ἰσομηγίας ἀπήλαυσε δυστυχῶς· οἱ μὲν γὰρ ναυαγίῃ περιπεσόντες περὶ τὴν ἑαυτῶν ζώην ἐδυστύχησαν, οἱ δὲ και τῆς ξηραῶς ἐπιβάντες ταῖς ἐκείνων δυστυχίαις συγκαοινῶντησαν. και οὗτος μὲν οὕτως ἀπώλετο ὁ στρατός· μετ' οὐ πολὺ δὲ πάλιν θρασύτερον ἀψάμενος τοῦ πολέμου ὑπὲρ τὰς τέσσαρας μυριάδας ἀπέβαλε τοῦ στρατοῦ· και ἀνθὶς κατὰ τῶν ἐν Κρήτῃ Ἀράβων στρατεύσας ἀπρακτος ὑπέστρεψεν...¹ (CB, 202—203).

და, აი, ასეთია თეოქტიტე ზოგჯერ, როგორც ითქვა, განადგურებული, ზოგჯერ უბედურად დამამთავრებელი იმ საქმეებისა, რომლებიც იკისრა, ვინაიდან ხშირად ყოფილა სარდლად დანიშნული მრავალ ლაშქრობაში და მრავალი მტრის წინააღმდეგ აღუმართავს იარაღი და არასდროს გამარჯვებული არ დაბრუნებულა, არასოდეს მტერი არ დაუძლევია, არამედ მუდამ დამარცხებული ბრუნდებოდა და ჯარს სრულ განადგურებაში აგდებდა, არ ვიცი იმიტომ, რომ ჭკუასა და გონებას მოკლებული იყო, თუ საომარ ვაჟკაცურ საქმეებში გამოუცდელი იყო; იმიტომ რომ ამ საქმეზე არ ზრუნავდა არასოდეს, თუ სხვა რამ უფრო დიდი და ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო ან ახალი ნათქვამი მიზეზის გამო. მზის ორი დაბნელება რომ მოხდა, აზაზგების წინააღმდეგ სარდლად დანიშნულმა, ღვთის რისხვა იგემა უბედურმა: ჯარის ერთმა ნაწილმა ხომალდის დასხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიდევ, თუმცა ხმელეთზე გავიდნენ, მაგრამ პირველების უბედურება გაიზიარეს. აი, ასე დაილუპა ეს ჯარი¹. ამის

¹ ეს ცნობა ბიზანტიელთა ლაშქრობის შესახებ აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) სამეფოს წინააღმდეგ მხოლოდ „თეოფანეს გაგრძელებაში“ მოიპოვება. თეოქტიტეს, რომელსაც მიხეილ III-ის მცირეწლოვანობის გამო

შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და მან კვლავ, და უფრო მეტის გაბედულებით, ომს მოჰკიდა ხელი და ორმოც ათასზე მეტი კაცი დაჰკარგა თავისი ჯარიდან. მერე კვლავ ილაშქრა კრეტაზე მყოფ არაბთა წინააღმდეგ და უშედეგოდ გამობრუნდა უკან.

იბერთა კუროპალატი კონსტანტინეპოლში

ΕΙΣΑΧΘΗΣ ΘΕΣ ΦΕΞΚΡΟΥΑΡΙΟΥ ΜΗΝΙ,
 ΨΥΧΑΤΙΝΟΥΣ ΔΕΧΑΤΗΡ, ΘΙΣΘΕΝΡΑ, ΣΑΜ-

თებერვლის თვის ოცში, მე-
 ათე ინდიქტიონში, გარდაიცვალა

- ჰიეროკლე** (VI საუკ.): მისი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი „სინეკდემოსი“ 123, 123*, 130, 200, 221.
- ჰილდერიხი**: მეფობს აფრიკაში (523 – 530 წ. წ.) 81*.
- ჰიმარი** (ვარიანტები: პიმარი, ლიმარი), ციხე დასავლეთ საქართველოში: 43*. იხ. სქიომარი.
- ჰიპატოსი**: 77. იხ. სქიომარი.
- ჰირკანე**, იუდეველთა მეფე: 65, 66.
- ჰირკანიის ზღვა**: 319.

ჰისსო: ჰისსოს ნავსადგური 57. იხ. ისსო.

ჰომეროსი: 313.

ჰონიგმანი ე.: 279*.

ჰონორიადა: ჰონორიადის ეპარქია (ცენტრი კლავდიუპოლი) 127, 157.

ჰორმიზდა იხ. ორმიზდა.

ჰუნნები (თურქები): 21, 22. მათი ქვეყნებისაკენ გაემართა ირაკლი კეისარი 632 წელს 97.

ჰუნნები დასავლეთისა (ავარები): 98. ჰუნნები თომა სლავის ჯარში 305.

ჰური: „ქაჯთა ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან ჰური“ (ლეონტი მროველი) 266*.

საგანთა საძიებელი

არხონი (ἀρχων „მთავარი“): 294*.

„ბერძნული ცეცხლი“: 306.

დარიგბედუმი: უდრის „კუროპალატს“ 32.

დომესტიკი: 36. სხოლათა დომესტიკი 262*.

დრომოსის ქართულარი: 237*.

ერისთავი, ანუ მთავარი იბერიისა 67*.

ექსუსუსტი: 294*.

თაფლი: მათრობელა თაფლი კოლხეთში 322, 322*.

ინდიქტიონი: ბიზანტიური თხუთმეტწლიანი კვინკლოსი 72.

იპოსტრატეგოსი, თანამდებობა: 36.

იტაზი (? პიტიახში), ალანთა მთავარი: 109.

კლიმატარქი: არმენიელთა კლიმატარქი (ნახარარი?) სურენა 29.

კომოპოლისი (καμπόσις): 278* – 279*.

ლოგოთეტი დრომოსისა: 237*.

მამასახლისი („ქართლისა მამასახლისი“) 81*, 84*.

მამფალი, მამფლობა: 275*.

მთავარი, ზნუ ერისთავი იბერიისა: 67*.

მონოთელიტები: 48, 51* ბრძოლა მათ წინააღმდეგ 38; მათი შეჩვენება ლატერანის სინოდზე 40*.

მსოფლიო კრებები: მეხუთე მსოფლიო კრება (553 წ.) 182, მეექვსე (680 – 681 წ.) 182, მეშვიდე (787 წ., ნიკეის მეორე კრება) 200, 203.

Notitia dignitatum: 190 – 193.

ოქროს საწმისი: 316.

პატრიკოსი, თანამდებობა და წოდება 238*.

პროტოსპათარი: 226*.

საეკლესიო კრება 692 წლისა: მის დადგენილებას ხელს აწეენ თეოდორე ფაზისელი და იოანე პეტრელი 188*.
სპათარი: 226*.

ქართულარი დრომოსისა: 237*.

წელთაღრიცხვა: ალექსანდრიული ანუ პანოდორესი 71, 72 – 532-წლიანი მოქცევა 67 – 68, 205.

Χαρίπιδ: 278* – 279*.

ჰეტერიარქი: თანამდებობა 238* – 239*. დიდი ჰეტერიარქის თანამდებობა პირველად გვხვდება კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს 238*.

დამატებანი

- I. ცნობა «ზიგანევის» შესახებ ძველქართულ მწერლობაში
- II. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის კვალი ძველქართულ მწერლობაში

I

**ცნობა «ზიგანევის» შესახებ ძველქართულ
მწერლობაში**

(იხ. ზემოთ გვ. 193).

ლაზეთის ეპარქიაში შემავალ საეპისკოპოსო ცენტრის ზიგანევის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული ზოგიერთი ცნობა, რომელიც შემონახულია ძველქართულ ხელნაწერებში.

სახელდობრ, ზიგანევი მოხსენებულია იმ მოთხრობაში, რომელიც ეხება შვიდი „ძმის“ (ორენტიოს, ეროტოს, ფარნაკიოს, ფირმოს, ფირმინოს, კვრიაკოს, ლონგინოს) წამებას. რადგან ამ „შვიდ ძმას“ მეფემ უარი ვერ ათქმევინა ქრისტიანობაზე, გაგზავნა ისინი ქალაქ სატალაში (პირველი არმენიის ადმინისტრაციულ ცენტრში) და იქ მყოფ დუქსს (dux) დაავალა განეგრძო ამ შვიდი ძმის დაკითხვა და, თუ ისინი კერპებს აღიარებდნენ, დაებრუნებინა ისინი მასთან, მეფესთან; თუ კი კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ რწმენაში დარჩენას, გადაესახლებინა ისინი აფხაზეთისა და ჯიქეთის დაბა-ქალაქებში, რადგან ისინი მტკიცენი აღმოჩნდნენ თავიანთ რწმენაზე, დუქსმა ჩაიყვანა ისინი ტრაპეზუნტში, ჩასხა ხომალდში და გამყოლს გაატანა შავი ზღვის სანაპიროთი. დასავლეთ საქართველოს მიმართულებით, გზაზე, ჯერ კიდევ მგზავრობა რომ არ დაემთავრებინათ, შვიდივე ძმა დაიღუპა. მათი წამების მოთხრობაში მოხსენებულია ყველა ის დაბა-ქალაქი, სადაც დაიღუპნენ წამებულნი.

ჩვენ მოგვეპოვება ამ მოთხრობის როგორც სვინაქსარული, ისე მეტაფრასული რედაქცია. სვინაქსარული რედაქცია წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ დიდ სვინაქსარში ¹, ხოლო მეტაფრასული რედაქცია დაცულია გელათის ერთ ხელწადერში (№ 3. ფ. 227 – 241) ².

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებში (A – ფონდისა): №№ 97, 193, 222, 508, 569, 572, 626, 635, 839, 840.

² გამოსცა კ. კეკელიძე. ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა: ლიტერატურული ძიებანი, IV, 93 – 128. აქვეა გამოცემული სვინაქსარული ტექსტი №№ 193 და 626 ხელნაწერთა მიხედვით.

აქვე მოგვყავს სვინაქსარული რედაქციის ტექსტის ბოლო ნაწილი, სადაც იხსენიება შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე დაბა-ქალაქები დასავლეთ საქართველოსი.

«...ხოლო წმიდამან ორენტი კადნიერად აღიარა, ვითარმედ „არა ცუდთა ღმერთთა შეწევნითა, არამედ ძალითა ქრისტესითა დავამჭუ ზუავი იგი და უკეთური ბარბაროზი“. ესმა რად ესე მეფესა, ფრიად შეწუხნა, გარნა მას ჟამსა შეიკდიმა დიდისა მისგან ახოვნებისა, და სარტყელი მოქადულისა მის მძლავრისაჲ დიდფასისაჲ ფრიად სხუათა საბოძვართა თანა სამეუფოთა მიანიჭა წმიდასა ორენტის. ხოლო უკუანადსკნელ ვინადთგან ქრისტეს სარწმუნოებისაგან ვერ ეძლო განყენებად მისა, წარსცა იგი ს ა ტ ა ლ ე ვ ე ლ თ ა ქალაქსა, რომელ არს სომხითისაჲ, ექუსთა ძმათა მისთა თანა, და მიუწერა დუქსსა მას, რომელი იყო მუნ, ვითარმედ „განიკითხნე რად უკუეთუ დაიჯერონ გეზაჲ კერპთაჲ, ჩემდავე წარმოავლინენ; უკუეთუ კულა არა დაირწმუნონ, წარავლინენ იგინი ექსორიად ქუეყანასა აფხაზეთისასა და ჯიქეთისასა“¹.

«და ესრეთ ბრძანებისაებრ მეფისა მი-რად-ჰყვანდეს იგინი მგზავრ, ვითარცა მიიწინეს იგი ადგილსა მას, რომელსა **ბანაკებ**² ეწოდებოდა, წმიდაჲ ე რ ო ს, უხუცესი ძმაჲ, უფლისა მიმართ მიიცვალა თუესა ივნისსა კ[~]ბ.

«ხოლო წმიდაჲ ო რ ე ნ ტ ი **რიზეონს** რად მიიწია, მოება ლოდი ქედსა მისსა და შთაიგდო ზღუასა, რამეთუ ესრეთ განეჩინა მისთვის. არამედ გარდამოსლვითა წმიდისა რაფაელ (!გაბრიელ) მთავარანგელოზისაჲთა ჴმელად განვიდა უვნებელი, და აღვიდა კლდესა ზედა, და ილოცა უფლისა მიმართ, და აღმოუტევა წმიდაჲ სული თვისი, და მუნვე დაეფლა, თუესა ივნისსა კ[~]დ.

«ეგრეთვე წმიდაჲ ფ ა რ ნ ა კ ი **კორდილოს** რად მიიწია, უფლისა მიმართ მიიცვალა თუესა ივლისსა გ[~].

«ხოლო ფ ი რ მ ო ს და ფ ი რ მ ი ნ ო ს **აფსარონს** რად მივიდეს საწუთოდსა ცხორებისაგან განვიდეს შვდსა ივლისისა თვისასა.

¹ გელათის მეტაფრასული რედაქციით მეფემ მისწერა დუქსს «გარნა ზღვს კიდისა ქალაქად ტ რ ა პ ე უ ნ ტ ა დ მიმყვანებელმან და კუამალდად შთამსხმელმან. ექსორია ყვენ სოფელსა ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა მუნ მპყრობელისა რ ი ლ ა ვ დ ი ნ ი ს მიმართ» (გ. 233 v).

² მეტაფრასულ რედაქციაში სწერია «კენი პარაოლიდ» (ბერძნულ ტექსტშია *Κενί παραολίδη*).

«ხოლო წმიდად კვრიაკოს, მივიდა რად **საეგრომსა** ¹ ქუეყანასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების **ზიღანეოს** ², ძილი იგი მართალთადა დაიძინა ი~დ ივლისსა.

«ეგრეთვე ამათი ძმად ნეტარი **ლონგინოს**, განვიდა რად ზღუასა **აფხაზეთად** ³, საშინელითა დუღილითა და დელვითა ოთხ-ნაკეცითა აღიძრა ზღუაჲ. ხოლო მან ილოცა და სული თვისი ღმერთსა შეჰვედრა ⁴ და დაეფლა **პიტოტას**, რამეთუ შემდგომად ოთხისა დღისა მიერ განვიდა ნავი».

ამგვარად, სურათი ნათელია: შვიდნი წამებულნი ჩასხეს ხომალდში ტრაპეზუნტის ნავსადგურში და გზას გაუყენეს იმ მიზნით, რომ გზადაგზა ბოლო მოეღოთ მათთვის. მარშრუტი ხომალდისა და თარიღები ძმათა დაღუპვისა ასეთია:

ბ ა ნ ა კ ე ბ ი	– 22 ივნისი
რ ი ზ ე ო ნ ი	– 24 ივნისი
კ ო რ დ ი ლ ო ს ი ⁵	– 3 ივლისი
ა ფ ს ა რ ო ნ ი	– 7 ივლისი
ზ ი ღ ა ნ ე ვ ი	– 14 ივლისი
პ ი ტ ი ო ტ ა	– 22 ივლისი

ეს გეოგრაფიული ადგილები ყველა ცნობილია საისტორიო წყაროებით გარდა პირველისა („ბანაკები“). „ბანაკი“ კი უდრის ბერძნულს Παρεμβίλη (მდრ. Καυρή παρεμβίλη „ახალი ბანაკი“; იხ. ზემოთ გვ. 192).

ამგვარად, მოთხრობაში აღნიშნული მარშრუტი თანამიმდევრობით ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე დაბა-ქალაქებს ტრაპეზუნტიდან ბიჭვინთამდე; ჩვენი **ზ ი ღ ა ნ ე ვ ი ც**, ამ მარშრუტის მიხედვით, მდებარეობს აფსარონსა და ბიჭვინთას შუა. სოფელი გუდავაც (ძველქართული „გუდაყვა“, იხ. აქვე შენიშვნა 2) სწორედ შავი ზღვის სანაპიროს ამ მონაკვეთზე მდებარეობს.

¹ „საეგრომსა“ ხელნაწ. 97. 569, 572 („საერგომსა“). სხვა ხელნაწერებში – „ოვსეთისა“, გელათის მეტაფრასულ რედაქციაში: «წარვიდეს სოფლად აწ ლ ა ზ - თ ა დ წოდებულად ადგილ ზიღანეოს».

² ამ სტრიქონის გასწვრივ ხელნაწერში № 97 (გვ. 436) არშიაზე სწერია: **«გუდაყუასა იტყვს ზიღანეოსად»**. იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი: ენიშვის მოამბე, ტ. X, გვ. 299.

³ „აფხაზეთად“ ხელნაწ. 97. 569, 572, სხვა ხელნაწერებში – „ოვსეთად“.

⁴ გელათის მეტაფრასული რედაქციით ეს მოხდა 24 ივლისს.

⁵ მეხუთე საუკუნის ანონიმური „პერიპლუსის“ მიხედვითაც **Κόδοβλα** მდებარეობს რიზესა და ათინას შუა (იხ. SC I, 272. § 39).

II.

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის «ისტორიის» კვალი
ძველქართულ მწერლობაში

(იხ. ზემოთ გვ. 208, შენ. 1)

რამდენსამე ძველქართულ ხელნაწერში მოიპოვება ნაწარმოები, რომელშიც მოთხრობილია: 1) სკვითთა მიერ 626 წელს კონსტანტინეპოლის გარემოცვაზე, 2) ირაკლი კეისრის ლაშქრობაზე სპარსთა წინააღმდეგ და 3) არაბთა შემოსევებზე ბიზანტიაში. როგორც ჩანს ამ მოთხრობის შემდგენელის ძირითადი მიზანი ყოფილა ეჩვენებინა, თუ რა სასწაულებრივად გადაურჩა 626 წელს ბიზანტიის დედაქალაქი „სკვითთა“ შემოსევას «მეოხებითა ღმრთისმშობლისადათა», რის გამოც ქალაქის გადარჩენის ამ დღეს მცხოვრებლები გალობენ «სამადლობელსა დაუჯდომელს».

ამ ნაწარმოების ერთ-ერთ რედაქციაში სათაურად სწერია:

«თხრობად მარგებელი ძუელთა თხრობათაგან შეკრებული მაუწყებელად საჰსენებელსა საკვრველებით ქმნილისა სასწაულისსა. რაჟამს სპარსნი და ბარბროზნი დედოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წარწყმდესცა საღმრთოდათა ბჭობითა განშჯილნი, ხოლო ქალაქი ესე უვნებლად დაცული მეოხებითა ღმრთისმშობლისადათა მიერითგან წლითიწლადსა გალობს სამადლობელსა დაუჯდომელ სახელმდებელი დღისა ამის. გვხ~ნ მ~მაო» (ხელნაწერი A-162. გ. 144).

ამ სათაურს მოსდევს თხრობა იმაზე, რომ ირაკლიმ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ. ამით ისარგებლეს „სკვითებმა“ და და ზღვით და ხმელეთით ალყა შემოარტყეს კონსტანტინეპოლს.

«წელთა ირაკლის ბერძენთა მეფობისათა ხუასრო, სპარსთა სამთავროდსა მქონებელმან, წარმოავლინა სარვარონ მკედართა მძლუნველი თვისი ძალითა მძიმითა ტყუწნვად ყოველსა ბერძენთა ქუეშესა აღმოსავალისსა მსგავსად მეხის ტეხისა რამსმე წუვად და სრვად და უჩინო ყოფად.

«ამან ფრიადითა ფლობითა წარმომტყუენველმან მისდა დამთხუეულთა ბერძენთამან არა ვისითა მაყენებელ ყოფითა ანუ ფრიადსა მას სიმძაფრესა მისსა განჭრელობითა რამეთუ ძალითა ბერძენთა ფრიად დამდაბლებულ იყო. მძიმითა მით და მკეცებრითა უგბილობითა მაშინ ბერძენთა სამთავროდსა მპყრობისა მძლავრისა ფოკა მკედრისა მიერ მიწევნა ყო ქალკიდონდ და მიერ განდგომითა საბრძოლთადათა. მიერითგან ყოვლით-კერძო განჰმზადებდა ღონეთა მოსადგომელთა დიდისა ამის ქალაქისათა. რამეთუ ესე იყო მისსა განზრახვა და ყოვლით-კერძო სასწრაფო.

«ამას რა ხედვიდა ერაკლე, აწღა შემდგომად ფოკა მძლავრისა მიმღებელი მთავრობისად, ფრიად ტკივნეულ და სალმობიერ ქმნითა დაუტევა სამეუფოდ და ევქსინო პონტოდთ შეკრებითა წუთდა დაშთომილისა მწედრობათა ძალისადათა მყის წინავე რაჲს მცნობელსა სოფელსა სპარსთასა ზედა დაესხა.

«ეუწყა რაჲ გამწედრებაჲ მეფისად ხალანს სკვთსა მყის საქმედ დაიდვა და ზღუად ვიდრემე აღავსო მათ-მიერთა ნავებითა, რომელსა ერთისა ძელისა მიერ სივრცედ შემზადებულეხისათჳს ბარბაროზთა ჳმითა ძელმარტო უწოდიან. ხოლო ჳმელი მკვრცხლთა და ცხენოსანთა მიერ. ხოლო ერსა სამეუფოსსა მაშინდელი იგი პატრიაქობის მქონებელი სერგი ფრიად ნუგეშინის ცემდა და ასწავებდა არა დავრდომად...

ამას მოჰყვება დაწვრილებითი აღწერა იმ ღონისძიებათა, რომელთაც მიმართავენ კონსტანტინეპოლის მცხოვრებნი პატრიარქ სერგის და მთავარ ბონოს („ვონოს“) ხელმძღვანელობით დასასრულ, ძეგლის ავტორი დაწვრილებით ჩერდება «ღვთისმშობლის» სასწაულებრივ ჩარევაზე და ქალაქის ხსნაზე „სკვითთა“ შემოსევისაგან.

ძეგლში ამის შემდეგ გაგრძელებულია თხრობა ბიზანტია-სპარსეთის ომზე 626 – 628 წლებში და თუ როგორ ირაკლის მიერ სპარსეთის დამარცხების «შემდგომად მცირედთა დღეთა მოვიდა მეფე ერაკლეცა ბიზინტიად, და ყოვლით-კერძოვე იყო მშჯდობად დიდი სამეუფოსა ბერძენთასა» (იხ. ქვემოთ, გვ. 429). მაგრამ მოთხრობა აქ არ თავდება და ნაწარმოების შემდგენელი მოკლედ მოგვი-თხრობს ამის შემდეგ არაბთა შემოსევაზე (ქვემოთ, გვ. 429 – 30).

ნაწარმოებს ეტყობა, რომ იგი კომპილაციური ხასიათისაა. ეს ჩანს თვით ზემოთ მოყვანილი სათაურიდანაც («თხრობად მარგებელი ძუელთა თხრობათაგან შეკრებული»), ხოლო თვით ძეგლში ორგან ვკითხულობთ, რომ მოთხრობა „ქრონოგრაფიების“ მიხედვით არის შედგენილი: «ვითარ იგი აღწერილ არს წერილთა მათ **მოსაჯსენებელთა ხრონოღრაფისათა**». იხ. ქვემოთ გვ. 430 და 432). მართლაც, ის ამბები, რომლებიც გადმოცემული აქვს ჩვენი ძეგლის შემდგენელს, მოთხრობილი აქვთ ქრონოგრაფოსებს: თეოფანე ჟამთააღმწერელს, გიორგი ამარტოლს, გიორგი კედრენს და სხვებს. ლ. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი, რომელსაც ეკუთვნის СМОМІІК-ის იმ ტომის წინასიტყვაობა, სადაც დაბეჭდილია მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემული ერთ-ერთი რედაქცია ჩვენი ძეგლისა, წერდა: „...в нашем повествовании осада Константинополя описана подробнее, чем в византийских: Анастасия Аскита, Зонары, Георгия Писиды, Феофана II св. Никифора“¹. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენი ძეგლის თხრობა არც ერთი ქრონოგრაფიის თხრობას არ იმეორებს,

¹ СМОМІІК, выпуск XXVII (1900), стр. II.

ბერძნული „ქრონოგრაფიების“ შესწავლამ დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ:

1. ჩვენი ძველი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა ქრონოგრაფოსთა თხზულებებიდან ამოკრეფილი მოთხრობები. ხოლო ძნელია იმის თქმა, თუ ვინ შეადგინა ეს კრებული: ბიზანტიელმა ავტორმა, რომლის ნაშრომი მერე თარგმნა ქართველმა მწიგნობარმა, თუ იგი თვით ქართველის მიერ არის შედგენილი სხვადასხვა ბიზანტიური ქრონოგრაფიების მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, დღეს-დღეობით ცნობილი არ არის ბიზანტიურ მწერლობაში ამ ხასიათის რაიმე კრებული.

2. ერთ-ერთ ძველად, საიდანაც კრებულის შემდგენელს ამოუღია ცნობები ბიზანტია-სპარსეთის ომზე ირაკლი კეისრის დროს, ჩვენ გვევლინება ნიკიფორე კონსტანტინეპოლის „მოკლე ისტორია“ (Ἱστορία συντομική). ჩვენ ხელთ არსებულ დაბეჭდილ ქრონოგრაფიათა და ისტორიათა ტექსტებიდან ნიკიფორეს „მოკლე ისტორია“ ერთადერთია, რომლის ტექსტს ბევრგან ემთხვევა ძველქართული ტექსტი. ამაში დასარწმუნებლად სრულიად საკმარისია ის ნაწყვეტები, რომლებიც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს.

3. რაც შეეხება სხვა ადგილებს, რომლებიც ნიკიფორეს „მოკლე ისტორიის“ ფარგლებს სცილდება, ისინიც უთუოდ სხვა ბიზანტიური საისტორიო ტექსტებიდან მომდინარეობენ: ქართულ ტექსტს ამ ნაწილშიც ეტყობა ბერძნულიდან მომდინარეობა. ჩვენი ტექსტის სხვადასხვა რედაქციებსა და ვარიანტებში გვხვდება ისეთი სიტყვები და ფორმები, რომლებიც გასაგები ხდება მხოლოდ ბერძნული სიტყვებისა და ფორმების საფუძველზე:

1) «რომელნიცა იპოვნეს კი და სს (ἐν Πηγᾷ) საყოფელსა მისსა...» (მართლაც, კონსტანტინეპოლის გარეუბნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდებოდა Πηγᾷ, იყო ღვთისმშობლის მონასტერი).

2) «დატევებულ იყო მცველად ქალაქისა და ეპარხოსად¹ ვონოს ვინმე სახელითა, კაცი მოწრაფე და მკნე».

3) «და ყოველივე იგი ზღუაჲ გარემოჲს ქალაქისა ადავსო ნავებითა... რომელსა... ბარბაროზთა ჳმითა ძელმართო (μισορξισον) უწოდიან».

4) «ხოლო იყო იგი სენითა შავნაღლიანობისა და ვნებული». აქ უნდა გვკონდეს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ბერძნული სიტყვისა μελαγχολία.

¹ ქართულ ხელნაწერში სწერია: „ეპარტოსად“ (აღრეულია **ე** და **ღ**).

5) ბერძნული ორიგინალის გავლენა უნდა იყოს, როდესაც სპარსულ საკუთარ სახელებს ქართული ტექსტი გადმოგვცემს ბერძნული ტრანსლიტერაციის მიხედვით: მაგალითად, ს ა რ ვ ა რ ო ნ (აკუზატივის ფორმით ბერძნული სიტყვისა Σάρβαρος; უდრის „შაჰრვარაზ“).

რამდენადაც ბერძნული და ქართული ტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ქართულ ტექსტს მხედველობაში აქვს ნიკიფორეს „ისტორია“, საფიქრებელია, რომ ძველქართული ტექსტი შეიძლება შეიცავდეს ისეთ ვარიანტულ სხვაობებს, რომლებიც ნიკიფორეს „ისტორიის“ ბერძნული ტექსტის დასადგენად გამოდგება. მართლაც, ზოგიერთი ასეთი ვარიანტული წაკითხვა ქართული ტექსტისა უკვე წინასწარი შედარების შედეგად მუდავნდება. ასე, მაგალითად:

ნიკიფორე 21, 18: აქ ლაპარაკია იმაზე, რომ, როდესაც შაჰრვარაზმა (სარვაროსმა) გამარჯვებული ირაკლი კეისრისაგან გამოითხოვა სპარსეთის სამეფო ტახტი, იგი შეჰპირდა კეისარს, რომ ბიზანტიელებს დაუბრუნებდა ყველაფერს, რაც კი ომის დროს სპარსეთმა წაართვა მათ. და შაჰრვარაზმაო – ნათქვამია ნიკიფორესთან – მაშინვე დასცალა ეგვიპტე და მთელი აღმოსავლეთის ქვეყნები და გადასცა ბიზანტიელებსო, გამოიყვანა ამ ქვეყნებიდან იქაური სპარსელებიო (τοῦτ ἐκέισε Πέρσας ἔξελαν). ცხადია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი იყოს სპარსელებზე, რომლებიც ამ ქვეყნებში ცხოვრობდნენ (ასეთი ხომ იქ ბევრნი იყვნენ). აშკარაა, რომ ქართულ ტექსტს შემოუნახეს მართებული ვარიანტი: იქ სწერია: შაჰრვარაზმა «ბრძანებად განსცა და ყოველნი ერი სთავნი სპარსთანი ადგილთაგან ბერძენთა სამეუფოსათა განიყვანა», ე. ი. შაჰრვარაზს, თანახმად დაპირებისა, უკან გაუწვევია სპარსელი სარდლები (თუ პიტიახშები) რომლებიც ჩაყენებული იყვნენ სპარსეთის მიერ მიტაცებულ მხარეებში ბიზანტიის იმპერიისა.

ზემოხსენებული კრებული ქართულად მოღწეულია სამი რედაქციით: მცირე, მოკლე და ვრცელი რედაქციით¹. მცირე რედაქციის მხოლოდ ერთი ხელნაწერი გვაქვს, დანარჩენებისა – რამდენიმე²:

¹ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I³ (1951). გვ. 468.

² ერთის გარდა ყველა ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმის (A) ფონდისაა. მათი აღწერილობა იხ. თ. ჟორდანიას, Описание... (სათანადო ნომრების ქვეშ).

- მ ც ი რ ე: A – 347, XVIII საუკუნისა.
 მ ო კ ლ ე: A – 5, 1756 წლისა.
 A – 40, XV საუკუნისა.
 A – 162, XI საუკუნისა.
 A – 272, 1817 წლისა.
 ვ რ ც ე ლ ი: A – 500, ხელნაწერი 1042 წლისა (A).
 A-518, 1708 წლისა (B).
 A – 674, XV საუკუნისა. (C).
 რუსთაველის სახელობის ლიტერატურის
 ინსტიტუტისა (D).

თუ რა მიმართებაში არიან ერთიმეორესთან მოკლე და ვრცელი რედაქციები, ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება შემდეგი ადგილის შედარება:

ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი თ	მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ი თ
<p>ხოლო მეფისა მიერ ჰერაკლესა დატე- ვებულ იყო მცველად ქალაქისა და ეპარ- ხოსად ვონოს ვინმე სახელითა, კაცი მო- წრაფე და მწნე და რაოდენცა შესაძლე- ბელ იყო მის მიერ, ისწრაფდა იგი წინა- დადგომად თითოსახეთა მათ მანქანე- ბათა და ღონეთა წინააღმდეგომთადასა და ყოველივე სიმარჯუესა იქმოდა იგი, და ყოვლითა ძალითა თვისითა იღუწიდა შეწევნად ქალაქისა და ვსნად ერისა. და არა დასცხრებოდა იგი ყოვლადვე ძიებად ღონესა, რომლითამცა სახითა შეუძლო განრომად მოპოვნებულთა მათ მათთა ბრძოლისა სიბოროტეთა.</p> <p>რამეთუ ესრეთ ჰნებავს ღმერთსა ყოვ- ლადვე, რათა არა უქმრად და უქმად უზრუნველვიყვნეთ, არამედ ჩუენგანცა ჩუე- ნებად მოსწრაფებისა, და მღვმარებისა და ყოველსავე სახელსა ძიებად, პოვნად ვსნისა და დაჯსნად საცთურისა, ხოლო რათა გუაქუნდეს ყოველივე სასოებად ცხოვრე- ბისაჲ მისა მიმართ მხოლოდასა.</p> <p>ესრეთ უკუე ისოს ამცნო ძესა ნავესსა წყობის ყოფად და მზირთა მიერ გამს- ტოვრობად გაინსა ზედა, და გედეონ ბრძოლად მადაიმისა წყლითა და ცეცხ- ლითა აღჭურა ოდესმე. (ხელნაწერი A – 500).</p>	<p>ხოლო მეფისა მიერ ქალაქის მცვე- ლად დატევებული ვონოს სახელით რაოდენ უძლებდა ნაცვლის ვერაგო- ბად ყოვლისავე ყოფად და ქმნად მის- წრაფე იყო.</p> <p>რამეთუ ჰნებავს ღმერთსა ჩუენიცა არა უქმად და უდბად მჯდომარებად, არამედ მოქმედებად რასმე და ჩუენგ- ნითცა მოგებად, ხოლო ყოვლისავე ცხოვრებისაგა მისსა მიმართ ქონებად.</p> <p>ესრეთ ისოს ძესა ნავესსა მზირთ დასხმაჲ უბრძანა გეთისთვს, და გედე- ონ მადაიანელთა მიმართ ჩაფებითა და ლამპრებითა აღჭურა (ხელნაწერი A – 162).</p>

ჩვენი წინამდებარე წიგნის დანიშნულების ფარგლებს სცილდება ამ ქართული ძეგლის დაწვრილებითი გამოკვლევა წარმოვადგინოთ აქ. ჩვენი მიზანი იყო ამ წიგნში მოთავსებული ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „ისტორიიდან“ მოტანილ ცნობებთან (იხ. ზემოთ, გვ. 203 – 208) დაკავშირებით გაგვეზიარებინა მკითხველი საზოგადოებისათვის ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ძველქართულ მწერლობაში მოიპოვება კვალი ნიკიფორეს „ისტორიისა“, და ამ აზრის ნათელსაყოფად გამოგვექვეყნებინა ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტები. ამ შესავალ ნარკვევში წარმოდგენილი ცნობები და ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტები, ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევენ იმას, ვინც მოისურვებს სპეციალური მონოგრაფია უძღვნას ძველქართულ ნაწარმოებს „კონსტანტინეპოლის გარემოცვის შესახებ“.

როგორც მკითხველი დარწმუნდება, ბერძნულ ტექსტთან შეხვედრები აქვს ქართული ტექსტის ვრცელ რედაქციას. ქართული ტექსტი დავამუშავეთ № 500 ხელნაწერის მიხედვით (A) და მისი ნაკლულევანი ადგილები შევავსეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერის (D) მეშვეობით და შევუდარეთ სხვა ხელნაწერებსაც.

ქართული ტექსტი, ხარვეზებიანი, და მისი რუსული თარგმანი გამოქვეყნებული აქვს მ. ჯანაშვილს¹, რომელიც წერს, რომ მან ეს ძეგლი იპოვა თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერში № 471. როგორც ჩანს, ეს არის ხელნაწერი № 500, რომელიც, ალბათ, მაშინ (1900 წელს) № 471-ით იყო დანომრილი, ხოლო შემდეგ, როდესაც თ. ჟორდანიას ამზადებდა თავის „აღწერას“ (1902 წ.), მისთვის ნომერი შეუცვლიათ.

¹ СМОИИК, выпуск XXVII (1900), стр. 1 – 64.

ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის VII საუკუნეში

მერმე კულად ხუასრო სხუად მთავარი წარმოავლინა საბერძნეთსა ზედა, რომელი მოქცეულდა იყო პალესტინით, სახელით სარვარონ, სიმრავლითა ერისადა ფრიად, რომელმანცა განწყუნა და მოაოჭრა ყოველი საბერძნეთი უძვრეს პირველისა მის.

და შთავიდა კოსტანტინეპოლედ და ქალკიდონს, და ეშენა ყოვლითა ლაშქრითა თვისითა და ყოვლითა ღონითა ისწრაფდა * განწყუნად და ძვრის ყოფად ქალაქისა და ერისა. ხოლო ერაკლე მეფემან ისწრაფა და მოინადა მან ¹ ურიცხვ ერი მბრძოლთადა ყოვლით-კერძო ნათესავთაგან მრავალთა, და ევქსინი პონტოდთ, რომელ არს ზღუად ვრცელი ჩრდილოდთ-კერძო,

წარემართა სიმრავლითა ურიცხვთა ნავებისადათა. და ჰყვა ² მის თანა ცოლი თვისი, და მიიწია რაჲ ტრაპეზუნტედ სანახებთა მათ სამეგრელომსათა, უშვა ძე, რომელსა უწოდა ერაკლე. და მიერ წარავლინნა მოციქულნი ძღუნითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთადას. ³ ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეიწყნარნა მოციქულნი ერაკლესნი და მოსცა მას აღთქუმად ერთობისადა, ვინაჲცა ერაკლე წარვიდა თურქეთს, ხოლო მეფე თურქთადა ყოვლითა ერთითა თვისითა მიეგება ერაკლეს

Αὐτίς οὖν ἐπιστρατεύει Χοσρόης ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς κατὰ Ῥωμαίων, Σάρβαρον ἡγούμενον τῆς στρατιᾶς ἐκπέμψας, ὃς κατεδήσθη πᾶσαν τὴν ἀνατολικὴν χώραν... παρεσκευάζοντο δὲ οἱ Πέρσαι καὶ ἠπειρόντο ἐλθεῖν εἰς Χαλκηδόνα.

Ὁ οὖν Ἡράκλειος... ἀπάραις διὰ τοῦ Ἐυξείνου ἐπειράτο διὰ Λαζიკῆς εἰς τὴν Περσικὴν εἰσβαλεῖν· καὶ ἦν τίκτεται αὐτῷ υἱὸς ἐκ Μαρτίνης τῆς γυναικὸς (μεθ' ἑαυτοῦ γὰρ ταύτην ἦγετο), ὃν καὶ ἐπωνόμασεν Ἡράκλειον. ἐντεῦθεν ἀποστέλλει δῶρα πρὸς τὸν Τούρκων κύριον, ἐπὶ συμμαχίᾳ τῇ κατὰ Περσῶν συγκαλούμενος· ὁ δὲ δεξάμενος ὑπέσχετο συμμαχεῖσθαι. ἐν τούτῳ ἦσθεις Ἡράκλειος ἄρμησε καὶ αὐτὸς πρὸς αὐτόν, κἀκείνος τὴν τοῦ βασιλέως παρουσίαν ἀκηκοὼς σὺν πλήθει Τούρκων πολλῶν

* შვერილი ხაზით / აღნიშნულია D ხელნაწერის ახალი გვერდის დასაწყისი.

¹ ხოლო ერაკლე მეფემან ისწრაფა და ყოვლით-კერძო შეიკრიბა ლაშქარი და მოინადა (მოიყვანა C) მან AC. ² და ჰყვა] და ჰოვად C.

³ D ხელნაწერში „თურქ“ თითქმის მთლად ამოფხეკილია და არშიაზე ხელნაწერის ეპოქის ხელით სწერია: „ქართ“ და მიწერილია: „შეისწალე, რამეთუ ქართველნი არიან: დედასა ცთომით ეწერა“.

პატივითა დიდითა და გარდაუ-
 ჯდა ¹ მას ჰონისაგან თვისისა და
 ყოველი ერი მის თანა და თაყუა-
 ნისსცა ², ხოლო ერაკლე მიითულა
 ფრიად და უბრძანა, რადთა აღჯ-
 დეს და ვითარცა ძე მისი ვილო-
 დის მის თანა. და ესრეთ ამბორს
 უყვეს ურთიერთას. და აღიჭადა
 გვრგვნი თვისი ერაკლე და დაარ-
 ქუა მას და უქმნა მას სერი. და
 რავდენნიცა სერსა მას აქუნდეს
 ჭურჭელნი ოქროჲსა და ვეცხლი-
 სანი, მიანიჭნა მას და ყოველთა
 მთავართა მისთა.

და (ს)ავართაგან ³ რადთა ვერ
 წარიპარონ ლიქნით მეფე იგი
 თურქთად, უჩუენა ხატი ასული-
 სა თვისისად და აღუთქუა მიცე-
 მად მისა ცოლად. რომელიცა,
 იხილა რად, განჰკრთა და თავისა
 თვისისა დადებად შეწევნად მისა
 აღუთქუა, და სიმრავლე დიდძალი
 ლაშქართად ერაკლეს მოჰგუარა
 შეწევნად მისა, რომელთა თანა
 მივიდა სპარსეთს ერაკლე მეფე.

την βασιλει υπηγνίαζε, και αποβα-
 του εππου την βασιλει κατα γης
 προσκυει. εποει δε τουτο και ο
 συν αυτη πας δχλος. ο δε βασι-
 λευς το υπερβαλλον της τιμης
 θεασαμενος εδηλου αυτη ως ει
 τα της φιλιას αυτη βεβαια ειη,
 και εποχουμενον πλησιάζειν, και
 εμα τεκνον ιδιον αποκαλων. ον-
 τως ουν ουτος ασπάζεται την βασι-
 λει. ο δε ον περιεκειτο στεφανον
 της κεφαλης λαβων τη του Τουρ-
 κου κεφαλη περιεθετο. συμποσι-
 στας τε αυτη πάντα τα εις υπη-
 ρεσιαν του συμποσιου σκευη εμα
 και στολη βασιλικη και ενωτιοις
 εκ μαργαρων κεκοσμημενοις δω-
 ρειται αυτη. ωσαυτως δε και τους
 περι αυτον αρχοντας τοις ομοιοις
 ενωτιοις αυτοχειρια εκοσμηι.

Είτα δεδιώς μη τα αυτά τη
 Ἀβάρω και παρ' εκείνου πείσεται...
 παραδείκνυσιν αυτη της θυγατρος
 Εὐδοκίαις εικόνα εφη τε προς αυτον
 ως „... εις γυναίκα δίδωμι σοι
 αυτην“. ο δε την άλλει της εικόνας
 και την περι αυτην κόσμηα τρω-
 θεις ερωτι του αρχετύπου ετι
 μάλλον επί τη συμμαχία επέκειτο.
 εὐθύς ουν αρχοντα και πληθος
 Τούρκων την βασιλει παραδίδωσι-
 συν αυτοις τε εις την Περσικην
 εισβαλων τάς τε πόλεις κατήρει
 και τα πυρεια διέστρεψεν (de Boor
 15,5 — 16,20).

¹ გარდუჯდა A.

² თაყუანის სცეს C.

³ და სავართაგან (პავართაგან C) განსამტკიცებლად AC. – ჩვენის აზრით ტექსტი შერყვნილია (სავართაგან, პავართაგან) და უნდა იყოს „ავართაგან“.

ხოლო ხუასრო, ცნა რად მოსლვად ერაკლესი. განეწყო მას ყოვლითა ძალითა მისითა და მრავალ-გზის ბრძოლა უყო. არამედ საღმრთოთა შეწევნითა სძლო მას ერაკლე და ურიცხვ სი/მრავლწ მოსრა ერისაგან სპარსთადას, და ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი მისნი დაჰქსნნა და მოაოკრნა, და ტაძარნი და ზაგინნი მათნი დაარღვნა ¹.

ერთსა შინა ტაძარსა პოვა, რამეთუ ხუასროს კერპი თვისი გამოესახა ღმერთ ყოვად თავი თვისი, ვითარმცა ცათა შინა ² მჯდომარე იყო, და მზწ და მთოვარწ და ვარსკულავენი გარემომს მისსა და ანგელოზნი დგეს წინაშე მისა, და ელვათა და ქუხილთა და წვმათა გამოავლინებდა ქუეყნად რეცა, რომელიცა აღფხურა ერაკლე მისაფუძველამდე, და ვერ ვინაჲ იყო ხუასრო წინადამდგომელ ³ ერაკლესსა.

რომლისათვისცა მიუწერა მან სარგარონს ერის-მთავარსა თვისსა, რომელი იყო ქალკედონს, ვითარმედ: „მეფემან ბერძენთამან შეიერთა მეფწ თურქთაჲ და ვერ უძლებ წინადადგომად, ისწრაფე, მოვედ შეწევნად ჩემდა“. ხოლო ერაკლე წიგნი იგი შეიპყრა მეწიგნიითურთ და ესრეთ შეცვალა დაწერილი მის შორის ვითარმედ: „მძლე ვექმენ ბრძოლასა ერაკლესსა და თურქთასა და მოვსრენ იგინი და ადარვადგანით მეოტ ვყვენ. ხოლო შენ განემტკიცე მანდა და უზრუნვე-

Ἐφ' ἑνὸς δὲ τούτων εὑρηται, ὡς Χοσρόης ἑαυτὸν θεοποιήσας ἐν τῇ τούτου στέγῃ ἑαυτὸν καθιήμενον ὡς ἐν οὐρανῷ ἀνεστήλωσεν, ἄστραπὰς καὶ ἥλιον καὶ σελήνην συγκατασκευάσας, ἀγγέλους περιεστῶτας αὐτῷ, καὶ βροντὴν διὰ μηχανῆς ποιεῖν καὶ βεῖν ὁπότ' ἂν θελήσειεν. τοῦτο τὸ βδέλυγμα θεασάμενος Ἡράκλειος εἰς γῆν κατέρριψε καὶ ὡς κονιορτὸν διέλυσε.

Χοσρόης τοίνυν ἀκούσας τὰ τε ἄλλα πάντα καὶ ὡς Τοῦρκοι συμμαχοῦσιν Ἡρακλείῳ, δῆλα ἐποίει πάντα διὰ γραφῆς τῷ Σαρβάρῳ, καὶ ὡς ταχέως πρὸς αὐτὸν ἐκ τῆς Ῥωμαϊκῆς ἀναξευγύναι καὶ Ἡράκλειον ἀμύνασθαι. μήδε γὰρ δύνασθαι τῷ πλήθει τῷ ἐκείνου ἀντικαθίστασθαι. τὸ δὲ γράμμα περιτραπέν Ἡρακλείῳ ἐγχειρίζεται. ὁ δὲ τοῦτο ἀναγνοὺς ταῦτα μὲν ἐξηφάνισεν, ἑτέραν δὲ γραφὴν ὡς ἀπὸ Χοσρόου σκηψάμενος τῷ Σαρβάρῳ ἐκτίθεται, τῇ ἐκείνου σφραγίδι σημηγνάμενος, ἔχουσιν

¹ დაარღვნა D.

² ცათა შინა] ცათა B.

³ წინააღმდგომ A.

ლად ჰბრძოდე ქალაქსა ბერძენ-
თასა სამეუფოსა“. და ბეჭედი
იგი ხუასროდსი დასდვა მას ზე-
და. ხოლო სარვარონ მიიღო რაჲ
წიგნი იგი, ადგილსავე ზედა
განემტკიცა.

οὕτως· „ὁ Καίσαρ Ῥωμαίων φι-
λίαν μετὰ Τούρκων ἐσπέισατο καὶ
εἰσῆλθε μέχρι τοῦ Ἀδαρβαδιγά-
νου καλουμένου τόπου, καὶ ὅτι
πέμψας στρατιάν κατ' αὐτοῦ ἀν-
τόν τε καὶ τοὺς Τούρκους διώ-
λεσα, οἱ δὲ περιλειφθέντες ἔφυ-
γον. μὴ σὺν ἀπάρῃς ἐκ τῆς Ῥω-
μαίων γῆς, ἀλλὰ τῇ Χαλκηδόνι
προσέδρευε, Ῥωμαίους αἰχμαλω-
τεύων καὶ ληΐζόμενος“. καὶ Σάρ-
βαρος μὲν τὸ γράμμα θεξάμενος
τῆς προσεδρίας εἶχετο (de Boor
16, 20—17, 15).

ვიდრემდის ღმერთმან საკვრველებათამან ყოვლად წმიდისა ღმრთის-
მშობელისა მეოხებითა ხადანის თანა სკვთისა დაჰქსნა საშინელე-
ბით და წაროტა. ხოლო ერაკლე მეფე, ვითარ მიეახლა ქალაქსა
მას სამეუფოსა სპარსთასა, ვინაჲ იგი იყო ხუასრო, მუნთქუესვე
განჰკრთა ხუასრო და ერის-მთავარი თვისი ოცდაათითა ათასითა
ლაშქრითა წინა მიაგება ბრძოლად ერაკლესა. ხოლო ეწყვნეს რაჲ
ურთიერთას, იძლინეს სპარსნი და მოისრნეს ბოროტად. და რაო-
დენნი იგი მეოტად ¹ განერნეს, შეკრბეს იგი ² მთავართა მათ თანა,
და იმეფეს/ მათ ძე ხუასროდსი
სიროი. ხოლო ხუასრო შეიპყრეს
და შეაყენეს იგი სახლსა შინა
ერთსა სამეუფოსა, და წინა და-
უსხეს მას ოქროდ და მარგალიტი
და ვეცხლი და ქვათაგან პატიო-
სანთა, და ჰრქუეს მას ესრეთ:
„ჭამდი ამისგან, რამეთუ ამის-
თვის ალადგინენ ბერძენნი ბრძო-
ლად ჩუენზედა“, და მოკლეს ხუას-
რო სიკუდილითა მწართა. ამან
სიროდ, ძემან ხუასროდსმან, შემ-
დგომად სიკუდილისა მამისა თვ-

Τούτου σὺν ἔφ' ἐνὶ τῶν βασιλι-
κῶν οἴκων κατέκλεισαν, καὶ τρο-
φήν σὺν ἐδίδοσαν, προσθήκαν δὲ
χρυσὸν καὶ ἄργυρον καὶ λίθον
πλείστον λέγοντες. „τούτων ἀπό-
λαυε οἷς κατεμάνης καὶ ἅπερ
ἠγάπησας καὶ συγγίγαγες“. καὶ
οὕτω λιμώττοντα ἐπελιθόντες ἀνεί-
λον, Σειρόην δὲ τὸν τούτου υἱὸν
βασιλέα Περσῶν ἀνηγόρευσαν· ὃς
εὐθὺς πρὸς Ἡράκλειον διαπρεσ-
βεύεται δῶρά τε ἐξέπεμψεν ἕως
σπείσεσθαι αὐτῷ. γράφει δὲ πρὸς

¹ მეოტად] მეოტნი BC.

² შეკრბეს იგინი B.

სისა განიზრახა მთავართა თვსთა თანა, და მოციქულნი წარავლინნა ერაკლესსა ძღუნითა დიდძალითა თხოვად მშვდობისა, რადთა ერთ იყვნენ ორნივე იგი სამეფონი, ბერძენთა და სპარსთანი, და ღმერთი იყოს მათ შორის, ხოლო მეფემან ერაკლე შეიწყნარნა იგინი და მიუწერა სიროის, ვითარმედ: „არა შეჰკავს შეურაცხებად მეფეთად და უფროდსა ძიებისათვს მშვდობისა, და უკუეთუმცა ხუასრო მეპოვნა ძიებად მშვდობისა, არავემცა მოვიკსენენ ძვრნი მისნი“.

და უწოდა/ ძედ მისსა სიროის. და შემდგომად მცირედთა დღეთა მოკუდა სიროი. და მეფე იქმნა კავოს¹. და კულად იგიცა მოკუდა მცირედთა დღეთა შემდგომად. და მეფე ყვეს ურმიზდ. ამან ძჳ თვსი ძღუნითა მოციქულად ერაკლეს მიუგზავნა და მიუწერა: „რად იგი ყო ძესა ჩემსა ზედა, ღმერთსა, რომელსა შენ ჰმსახურებ, გიყოს შენ ეგრეთვე“. და ერაკლე შეიწყნარა იგი ფრიად და მოკუდა მამად მისი და მეფე ყო ერაკლე ნაცვლად ურმიზდისა მამისა მისისა სპარსეთს.

ხოლო სარვარონ შეიქცა რად ქალკედონით სპარსეთად მცი-

αὐτὸν ἐνοθεῖσθαι· τε ἀλλήλοις τὰς ὑπ' αὐτοὺς πολιτείας καὶ εἰρήνην παρὰ θεῶν ἀσπάξασθαι, ὡς ἑκάστην καθ' ἑαυτὴν ἡσυχάζειν, ἢ ἀντέγραφε καὶ Ἡράκλειος, τέκνον τὸν Σειρόην καλῶν, καὶ ὡς οὐκ ἦν αὐτῆρ ποτε κατὰ γνώμην βασιλέα τῆς ἑαυτοῦ δόξης ἐκπεπτωκῆναι· διὸ οὐδὲ Χοσρόην (de Boor 19, 24—20, 81).

Ἐνθὺς οὖν Σειρόης ἐτελεύτα, κρατεῖ δὲ τῆς βασιλείας Περσῶν Καβόης, ὅστις μετ' οὐ πολὺ τέθνηκε, μηδ' ἔν βασιλεύει Περσῶν Ὀρμισθῶς, ὃς καὶ αὐτὸς διαπρεβεύεται πρὸς Ἡράκλειον, τὸν τε ἴδιον υἱὸν τῶν χρημάτων καὶ δώροις πολυτιμήτοις πρὸς αὐτὸν ἀπέστειλεν. ἐσήμαινε δὲ διὰ γραμμάτων τάδε· „ὅν τρόπον λέγετε τὸν θεὸν ὑμῶν θεοῦμαι· γηραιότηνί ἀνθρώπων Συμεῶν εἰς τὰς ἀγκάλας, οὕτως καὶ τὸν θεοῦν σου τὸν υἱὸν μου θείσωμι εἰς τὰς χεῖράς σου, γυναῖχ δὲ θεός ἐν σέβῃ, ὡς ποιήσεις αὐτῆρ“. ὁ δὲ θαξάμενος μεγάλως ἐτίμησε, καὶ εἶτα τελευτήσαντος Ὀρμισθοῦ βασιλέα Περσῶν ἐτίμησε.

Σάρβαρος δὲ ἀκούσας ὅτι Χοσρόης καὶ Σειρόης, Καβόης καὶ

¹ კავოს B (აქაც და ქვემოთაც).

რედთა თანა განრომილთა ¹ და ქცევისა მისგან რომელი ეწია ზეგარდამო რისხვისაგან საღმრთოდსაა და ცნა, ვითარმედ მოსწყედეს ხუასრო, და სიროი, და კავოს, და ურმიზდ ². და მიუწერა მეფესა ერაკლეს, ვითარმედ: „უწყი სამე, რამეთუ არა თუ ნებითა ჩემითა მოვედ მე სამეუფოდ ბერძენთად ყოფად მისა რაოდენი ³ იგი ვყავ, არამედ მომავლინებელისა ჩემისა ხუას/რომს იძულებითა“. და ითხოვა ერაკლესგან, რადთა მივიდეს მისა და დაუდგეს მის წინაშე ვითარცა მონაჲ. და მეფემან ერაკლე მისცა სიტყუაჲ აღთქუმისაჲ ყოფად მის თანა მშჯდობისა, და ყო მან ეგრეთ. და აღუთქუა ერაკლეს მიცემად საფასოჲ ⁴, რადთა მოოჯრებულნი მის მიერ საბერძენეთს აღეშენნენ ⁵.

მათ დღეთა შინა ერისა მისგან სპარსთადსა მოიკლა მეფე მათი, ძე ურმიზდისი. და ითხოვა სარვარონ ერაკლე მეფისაგან, რადთა ყოს იგი მეფე სპარსთა ზედა. და ყო იგი ერაკლე მეფედ სპარსეთისა. ხოლო სარვარონ აღუთქუა ერაკლეს, რადთა რაოდენნიცა საზღვარნი წარეხუნეს საბერძენეთისანი სპარსთა, მიაქცინეს მისა ყოველნივე საბერძენეთადვე. და

Ὁρμισθας ἐτελεύτησαν, ἐκ τῆς Ῥωμαίων ὑπενόσται χώρας γράφει τε ἀπολογίαν πρὸς Ἡράκλειον, ὡς οὐχ ἔκων ἀλλὰ γνώμῃ τοῦ ἀποστείλαντος ἐπραττεν ἀπερ εἰς Ῥωμαίους πεποιήκαε, παραγενέσθαι δὲ αὐτὸν ἐζήτησε καὶ ὡς θεοῦλον παρίστασθαι. λόγοις τε πίστει· παρὰ βασιλείῃς βεβαιωθείς ἦκειν πρὸς αὐτὸν καὶ χρήματα ἐκ Περσίδας διδόναι ὑπισχεύετο, δι' ὧν πάλιν καινίζονται ἔσσι ἂν αὐτὸς ἐν χώρᾳ τῇ Ῥωμαίων κατεστρέψατο.

Ἐν τούτοις ἐπιβουλεύεται καὶ ἀναιρεῖται ὁ υἱὸς Ὁρμισθοῦ, καὶ Σάρβαρος παρὰ βασιλεῖ τὴν Περσῶν ἀρχὴν ἐξαιτεῖ ὁ δὲ ἐβίδου, καὶ ἀλλήλοις συνετίθεντο πάντα τὰ ἐκ Ῥωμαίων ὑπὸ Πέρσαις γενόμενα Ῥωμαίοις ἀνασώζεσθαι· εἰρήνης τε βραβευθείσης εὐθύς τὴν τε Αἴγυπτον καὶ πᾶσαν τὴν ἀνατολικὴν γῆν Ῥωμαίοις ἀποδίδωσι Σάρβαρος, τοὺς ἄκείσε Πέρ-

¹ განრომილთა] განდგომილთა BC.

² სირომს კაროს, და ორმიზდ D.

³ რაოდენი] რაჲ ABC.

⁴ საფასოჲ AD, საფასესა BC.

⁵ აღეშენნენ A, აღაშენნენ cet.

ბრძანებად განსცა და ყოველნი ერისთავნი სპარსთანი ადგილთაგან ბერძენთა სამეფოსათა განიყვანნა და დიდძალი ძღუენი მიანიჭა მეფესა ერაკლეს. და წარსცა მისა ¹ დაკრძალული იგი სკივრი ², რომელსა შინა იხხნეს ძელნი საუფლონი,

რომელნიცა სპასალობასა ³ მას მისსა სარვარონს იერუსალიმით გამოეხუნეს ⁴. და მიიღო იგი მეფემან ერაკლე, და ჰოვა აღბეჭდულად და დაკლიტულად და შეუძრველად განგებითა ღმრთმსადთა, ვითარცა იყო პირველითგან.

და ესრეთ განმარჯუებითა ზეგარდამოდთა ძლევა-შემოსილმან შემუსრა ყოველი ძალი სპარსეთისა და ყოველნი საზღვარნი და სიმტკიცენი მათნი მოაოკრნა, და ტამარნი და ბაგინნი მათნი დააქცინა და დაამჭუნა. და მეფენი მათნი დაიმორჩილნა. ექუს წელ ილაშქრა სპარსეთს შინა, და მეშვდესა წელსა

აღიღო საუფლოდ ძელი ჯუარისა და სიმდიდრე სპარსეთისა და დიდძალი და იერუსალიმს მოვიდა. უზუნა პატრიარქსა მოდისტოსს ჭურჭელი იგი ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა და იხილა ⁵ ყოველმან სავსებამან ეკლესიისამან და იცნნეს ბეჭედნი და კლიტენი შეუცვალებელად და ზოგად ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან დაიცვა ცხოვრებისა იგი საჭურველი უხილავად თუალთაგან შეგინებულთა. განადეს იგი და ყოველმან ერმან თაყუანის სცეს, და დაადგრა მეფე, ვიდრემდის მუნ აღიპყრეს იგი, და მეყსეულად ბიზინტიად წარმოს-

σας ἐξέλων, τὰ τε ζῳοποιὰ ἔδωκε πρὸς βασιλέα στέλλει (de Boor 20, 21—21, 19).

αὐτὸς δὲ λαβὼν τὰ ζῳοποιὰ ἔδωκε ἐσφραγισμένα, καθ' ἅπερ ἐλήφθησαν, διαμείναντα πρὸς τὰ Ἱεροσόλυμα ἀφίκετο, καὶ Μωδῆστω τῷ ἀρχιερεῖ καὶ τῷ αὐτοῦ κλήρῳ τὰυτὰ ὑπέδειξεν. οἱ δὲ τὴν σφραγίδά σῶσαν ἐπεγίνωσκον· καὶ ὡς ἀνέπαφα καὶ ἀμέατα βεβήλοις καὶ μαιφόνοις χερσὶ τῶν βαρβάρων διετηρήθησαν, εὐχαριστήριον ᾠδὴν τῷ θεῷ ἀνέμεσαν. τὴν τε κλειδὸν τὴν ἐπ' αὐτοῖς ὁ ἱεράρχης μείναςαν παρ' αὐτῷ ἦγαγε, καὶ ἀνοίγόντα προσκυνοῦσιν ἅπαντες. ὑψωθέντων δὲ αὐτῶν ἐκείσε εὐφῦς ἐς τὸ Βυζάντιον ὁ βασιλεὺς ἐξέπεμψεν. ἃ δὲ Σέργιος ὁ τοῦ Βυζαν-

¹ მისა] მის თანა A. ² სკვერი A.

³ სპასალობასა AD, სპასალარობასა C.

⁴ გამოეხუნეს] წარმოედო AC.

⁵ იხილეს C.

ცა. რომელიცა სერგის პატრი-
აქმან ვლაჰერნით ¹ ლიტანიითა
დიდითა მიეგება და მოიყვანა
დიდსა ეკლესიასა და აღიპყრა.

ხოლო შემდგომად მცირედთა
დღეთა მოვიდა მეფე¹ ერაკლეცა
ბიზინტიად, და ყოვლით-კერძოვე
იყო მშველობად დიდი სამეუფოსა
ბერძენთასა,

ვიდრემდის განძლიერდა მუჰმედ უღმრთოდ, ტომით ისმაიტელი.
ნაზარისგან მისწულისა ისმაელისა, რომლისა ნათესავი დაემ-
კვდრა უდაბნოსა მადაამისასა და ცხო[ვ]ნდებოდეს აქლემებითა
ვაჭრობით. ხოლო ესე მუჰმედ გამოჩნდა მათგან დღეთა მათ ერაკ-
ლესთა. პირველ ობოლ იქმნა იგი ვიდრე ყრმაღა იყო, და ყოვლად
იყო იგი უღონო და უპოვარ. ხოლო იყო ღონიერ და მანქანა,
და შეუდგა მსახურებად აქლემთა ნათესავსა თვისსა დედაკაცსა
მდიდარსა. და შემდგომად მცირედისა ცოლ ეყო მას დედაკაცი
იგი. და ვალნ რაჲ იგი ვაჭრობად აქლემითა იერუსალიმს, / და
სადავე ისწავებნ იგი და ეძიებნ ყოველთაგან სჯულთა და ნათე-
სავთა სიტყუასა სჯულისასა უფროდსად. მონაზონი ვინმე ნესტო-
რიანი პოვა მან ექსორია-ქმნილი წვალებისათვის ქუეყანასა მას
მადაამისასა, ამას ეზრახებინ მარადის. ხოლო იყო იგი სენითა შავ-
ნავლიანობისაჲთა ვნებული, რამეთუ დასცემნ მას პაემანსა თვისსა.
ცნა ესე ცოლმან მისმან და შეწუხნა ფრიად და იურვოდა. ხოლო
მუჰმედ მანქანებისა ზაკულებითა დააჯერა ცოლი იგი თვისი, ვითარ-
მედ: „ჩუენებით ვიხილავ მთავარ-ანგელოზსა გაბრიელს და ვერ
უძლებ თავს დებად ხილვასა მას ანგელოზისასა და დავეცემი“.
ხოლო ცოლმან მისმან ესე ყოველი მიუთხრა მონაზონსა მას ნეს-
ტორიანსა და სახელი ანგელოზისაჲ მისსა აუწყა. ხოლო მონაზონ-
მან მან დააჯერა იგი და გულსავსე ყო, ვითარმედ ჭეშმარიტად
ეგრეთ არს და ანგელოზი ყოველთა წინადასწარმეტყუელთა მიველი-
ნების. ხოლო დედაკაცმან მან დაიჯერა სიტყუად მაცდურისა მის
ბერისაჲ და მიუთხრა და არწმუნა ყოველთა დედათა, ვითარმედ:
„ქმარი ჩემი წინადასწარმეტყუელი არს“. და იწყო მუჰმედ ქადაგე-
ბად და სჯულის დებად და მცირედ-მცირედ შეუდგა მათ სიმ-

τίου ἱεράρχης ἐκ Βλαχερνῶν λιταν-
νεύων ὑπεδέξατο καὶ πρὸς τὴν
μεγίστην ἐκκλησίαν ἀγαγὼν ταῦτα
ἀνύψωσε. δευτέρα δὲ τὴν Ἰνδικτῶν
ἡγίαια ταῦτα ἐπράττοντο.

Μετ' οὗ πολὺ δὲ καὶ Ἡράκ-
λειος πρὸς τὸ Βυζάντιον ἐχώρει,
ὑπὸ πολλῆς εὐφημίας καὶ θόξης
ὑπερβαλλούσης παρὰ τῶν ἐκεῖσε
θεχθείς (de Boor 22, 3—20).

¹ ვლაჰერნით AD, ვლანქერნით B.

რავლზე, რომელთა ასწავებდა, ვითარმედ: „რომელმან მოკლას მტერი ¹ გინა მოიკლას მის მიერ, ზოგად ცხოვნდებიან ორნივე. ხოლო სამოთხედ საშუებლისად არწმუნებდა ჭამასა და სიძვასა უძღებებით. და ესე ვითარსა მრავალსა უქადაგებდა შემსგავსებულსა ცნობისა და გონებისა მისისასა.

ესე მუჰმედ, მო-რად-ქცეულ იყო მეფეჲ ერაკლე სპარსეთით და მოვიდოდა იერუსალიმად, მიეგება მეფესა ერაკლეს სიმრავლითა ერისათა. და ითხოვა მისგან ადგილი სამკვდრებელად მისა და ერისა მის, რომელნი შეუდგეს მას. და მიანიჭა მას მეფემან ერაკლე. და დღითი დღე განივრცნა იგი და განმრავლდა. ხოლო შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევა ნაცვალად თვსად აზუვარხონ, რომელმანცა ფიცხელი ბრძოლაჲ აღადგინა ბერძენთა მიმართ. და მძლე ექმნა და მიერთგან მრავალი ძური შეემთხვა საბერძნეთსა მათგან და გარდაემატა მძლავრებაჲ და სიმრავლჲ მათი შენდობითა ღმრთისათა გამრავლებისათჳს უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენთასა. აღუპყრის კელი ერსა თვსსა ღმერთმან და მისცის ძლევაჲ მათ ზედა და დაამჯუნის იგინი ოდესმე. არამედ დატევებულ იქმნეს იგინი საგუემელად და საწურთელად ჩუენდა უკეთურებათა ჩუენთა გარდამატებისათჳს. ხოლო ღმერთსა მადლი და დიდებაჲ, რომელი ორკერძოვე ცხოვრებისა ჩუენისათჳს განაგებს და ილუწის. რამეთუ შეუყენებიეს ღმერთსა საწუთოსა ამას შრომაჲ და ჭირი, და მერმესა მას ცხორებაჲ საუკუნოდ, შუებაჲ და განსუენებაჲ, და არა ჰრიდებს თვსთა მოყვარეთა აქა ჭირისათჳს, ვინადგან სხუად ცხორება განუმზადებიეს განსასუენებელად მათდა. რომელსა ჰმუენის პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

და ესე უკუე ესრეთ იყო და ესრეთ აღესრულების. ხოლო აწ ვიტყოდით შემდგომსა

არამედ კუალად შემდგომად საკვრველებისა მის დიდებულისა, რომლითა იქსნა ქალაქი თვსი ყოვლად წმიდამან ღმრთის-მშობელმან და უვნებელად განარინა სკვითთა და სპარსთა ბრძოლისაგან, და განმარჯულებისა ერაკლესსა და მოქცევისა სპარსეთით ძლევა-შემოსილისა, ვითარ იგი საუწყებელთა მათ შინა აღწერილ არს ყოველივე მოსაქსენებელად. ვინადცა საკვრველებათა მათ დედისა ღმრთისათა შემდგომად სამეუფოსა/ ამას ქალაქსა ზედა წარ-რად-ჯდეს ჟამნი ოცდაათექუსმეტთა წელიწადთან, და მიიღო თვთმპყრობე-

¹ ქრისტიანე D.

ლოზად მეფობისად კონსტანტინე ნიკაფ დიდმან, კუალადცა აღიდრა სიმრავლჳ აგარიანთა ერისად და მოიწია განწყობილებითა მკედრობისადთა ურიცხვთა კოსტანტინეპოლედ.

და მუნთქუესვე მოჰმართეს მათ ზღვს პირით ევდომით კერძო, ვინაიცა იგი ჰყოფდეს ნავით ბრძოლასა დლითი-დღე. იწყეს გაზაფხულითგან და დაადგრეს ბრძოლასა ამას შინა ვიდრე დღე-თამდე სთულისათა.

ხოლო ვითარ მოიწია ზამთარი, წიად ვლო უკუე ბანაკმან ბარბაროზთამან და დაიზამთრეს მათ კვზიკს. ხოლო კუალად იწყორაა შემოსლვად არემან ზაფხულისამან, აღიდრნეს მიერ და მოიქცეს კუალადვე, სადა იგი პირველ იყოფვოდეს. და ეგრეთვე არა დასცხრებოდეს ბრძოლად ზღუა, ვიდრემდე განაგრძვეს მათ ბრძოლად მიშუებითა ღმრთისადთა/ მრავალთა მათ ცოდვათა ჩუენთათვს ვიდრე შვდ წლამდე.

არამედ ყოვლად ძლიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ყოველივე სიმარჯულჳ მათი განუმარცხა და შეადრწუნნა იგინი ძლიერებითა თვსითა. ვინაიცა ბანაკი იგი სარკინოზთაა აღიდრა სივლტოლად და სიმრავლჳ დიდძალი ნავებისად გარე მოეყარა ქალაქსა ამას და ურიცხვ მკედროზად მბრძოლთად და კუალად მრავალი ჭურჭელი ბრძოლისათვს შემზადებული, რომელი მოეღო მათ თანა, ყოველი უკუნ აქციეს და წარვიდეს უქმად ცულ-მაშურალნი იგი მადლითა ღმრთისადთა.

და ვითარ მიიწინეს იგინი კერძოთა სვილეოდასათა, მოუჭდა მათ მძაფრი და ფიცხელი ქარი,

ὅς ἀναχθείς προσωρμίσσεται ἐν προαστείῳ τοῦ Βυζαντίου, κατὰ τὸν παραθαλάσσιον τόπον τὸν καλούμενον Ἐβδομῶν. τοῦτον αἰσθόμενος Κωνσταντῖνος ἀντιπαρατάσσεται καὶ αὐτὸς στόλῳ μεγάλῳ. ὑφ' ὧν πλείστα ναυμαχίαι ἐκάστας ἡμέρας ἐγίνοντο, τοῦ πολέμου συγκροτούμενου ἀπὸ τοῦ ἔαριουῦ μέχρι φθινοπωρινοῦ καιροῦ.

Χειμῶνος δὲ ἐπιγινομένου ὁ τῶν Σαρακηνῶν στόλος διαπεραιωθείς ἐν Κυζίκῳ διεχειμάζει, καὶ πάλιν ἔαρος ἀρχομένου ἐκείθεν ἀνταναχθείς ὠσαύτως τοῦ διὰ θαλάσσης πολέμου εἶχετο. ἐπὶ οὖν ἔτεσι τοῦ πολέμου διαρκέσαντος τέλος οὐδὲν πλεόν ὁ τῶν Σαρακηνῶν ἦγυσε στόλος, ἀλλὰ πολλοὺς τε ἀνδρας μαχίμους ἀποβαλόντες καὶ θεινῶς τραυματισθέντες καὶ χαλεπῶς ἡττημένοι ὑπενόστουεν πρὸς τὰ οἰκεῖα καταίροντες.

Πρὸς δὲ τοῖς πελάγῳσι τοῦ Σουλλαίου γενόμενοι ὑπὸ σκληρῶν πνευματῶν καὶ θαλασσίῳ κλύδω-

და ვითარ ჰბერვიდა მათ ძლიერად
სამართალითა სასჯელითა ღმრთი-
სადათა, ერთბამად დააქცინა და
წარწყმიდნა იგინი სრულიად.

νος καταληφθέντες πανστρατιῆς
δὴλόγῳ (ed. de Boor, 32, 8—23).

ესრეთ უკუე თითოეულსა შინა ჟამსა ღმრთივ დაცვულსა ამას
ქალაქსა მოუცდებიან ბრძოლად უცხო ქმნულნი იგი ღმრთისაგან
აღძრვითა სიბორგილისადათა განცოფებულნი/ და გულის წყრომითა
აღვსებულნი. არამედ ძალითა ღმრთისადათა უქმად უკუნ იქციენ
იგინი აღვსებულნი სირცხვლითა.

კუალად უკუე ყოველგნით და ყოვლით-კერძო აღემატა მძლავ-
რებად იგი ბოროტთა მათ ისმაიტელთაჲ და აღმოსავალით და
დასავალით აღორძნდა და გარდაემატა სიმრავლჳ და ძლიერებად
მათი. პირველად უკუე დაიპყრეს მეფობაჲ სპარსთაჲ და მერმე
ეგჳპტჳ და ლუბიაჲ, სიტყუად მისცენ ქრისტიანეთა, რადათა არა
აიძულებდენ მათ გარდასლვად უბიწოსა მას სარწმუნოებასა ქრის-
ტესსა დაცვად მართლმადიდებლობით. რომელიცა არა დაიმარხეს
ცოფთა მათ, არამედ მრავალნი გამოჩნდეს მოწამედ მათ მიერ არა
დათრგუნვისათჳს სასწაულსა პატიოსნისა ჯუარისასა. რამეთუ ამას
აიძულებდეს ყოფად ქრისტიანეთა. და ვითარცა ვთქუთ, ყოველსა
ქუეყანასა მოჰვლიდეს და მოაოჯრებდეს, მიმოვიდოდეს და მოარ-
ბევდეს ჰინდოეთსა და ეთიოპსა და ნათესავსა მას შავთასა ლუვიას
და სპა/ნიას, ხოლო უკუანადსკნელ აღილაშქრეს სამეუფოსა ამას
ქალაქსა ზედა და ეგულეობდა, რადათამცა დაიპყრეს იგი.

ხოლო მეფემან ლეონ ისავრი, რომელსა ეპყრა მეფობაჲ ბერ-
ძენთაჲ მას ჟამსა შინა, პაემანი მოჰკადა მათ განჩინებულთა წელი-
წადთა შინა მიცემად მათდა ხარკისა. ხოლო იგინი კუალად ეძიებ-
დეს მცველთა ქალაქისათა შეყვანებად და განწესებად მათგანისა
ერისა სიმაგრეთა შინა ქალაქისათა, და ყოვლითურთ დაპყრობად
და დამორჩილებად აიძულებდეს, რამეთუ მინდობილ იყვნეს იგინი
სიმრავლესა მკედრობისასა, რომელნი ჰყვეს მათ თანა მოლაშქრედ
თჳსნიცა და მიზდურნი ერნი და შემზადებულნი იგი საბრძოლნი
ნავნი, ვითარ ათას რვაასი ნავი რჩეული, განწესებული ყოვლითა
საწმრითა საბრძოლელითა აღრიცხული და განჩინებული, ვითარ
იგი აღწერილ არს წერილთა მათ მოსაკსენებელთა ხრონოლრა-
ფისათა.

შესწორებანი და დამატებანი

გვ. 136, სტრ. 3 ზევიდან, უნდა წავიკითხოთ: ახლა კესარიის მიტროპოლიტის ადგილი უჭირავს.

გვ. 181, სტრ. 1 ქვევიდან, უნდა წავიკითხოთ: VII საუკუნეში.

გვ. 188, შენიშვნა: საეკლესიო კრებას 692 წელს დაესწრნენ და დადგენილებებს ხელს აწერენ: Θεόδωρος ἀνάξιος ἐπίσκοπος τοῦ Φασίτου¹ Λαζών χάραις ὀρίαις ὑπέγραψα (Mansi XI, 991 – 992), და Ἰωάννης ἀνάξιος ἐπίσκοπος πόλεως Περών τῆς Λαζών χάραις ὀρίαις ὑπέγραψα (Mansi XI, 1005 – 1006).

გვ. 206, შენიშვნა: დაემატოს თეოფანე ჟამთააღმწერლის შემდეგი ცნობა ანთიმოს ტრაპეზუნტელის შესახებ «დასაბამიდან 6029 წელი (= 536/7 წ.). ამ წელს გარდაიცვალა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი (ე. ი. პატრიარქი) ეპიფანე... და მის ადგილას გადმოყვანილ იქმნა კონსტანტინეპოლში ანთიმოსი, მწვალებელი (ἀρετικὸς), ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი. ამავე წელს კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა რომის ეპისკოპოსი აგაპიტე; მან კრება მოიწვია უღვთო სევეროსის, იულიანე ჰალიკარნასელისა და დანარჩენ თეოპასხიტთა წინააღმდეგ. მათ შორის ანთიმოსიც, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, როგორც მათი თანამზრახვალი, გადააყენეს და გააძევეს...» (თეოფანე „ქრონოგრაფია“, დეპორის გამოცემა, გვ. 217).

გვ. 282, სტრ. 16 ზევიდან, უნდა წავიკითხოთ: კუროპალატის აშოტის ძმამ.

გვ. 318, სტრ. 5 ქვევიდან: Κάρια... აქ მოყვანილი ციტატა («კოლხეთი მეტისმეტად იძარცვებოდა და უსაზღვრო იყო ბოროტება: მას [ე. ი. კოლხეთს] ხომ აღარ ჰყავდა ის, ვინც წინამძღოლობას გაუწევდა») ამოღებულია თეოფილაქტე სიმოკატას „ისტორიიდან“ III, 6, ხოლო თეოფილაქტესთან ნაცვლად სიტყვისა ἢ Κολχίς სწერია ἢ Σουανία. იხ. გეორგია IV, 1, გვ. 21.

¹ ჰარდუინის შენიშვნა: pro Φάσιδος.